

ადამიანის
უფლებათა
საერთაშორისო
სამართალი

ლექსიკონი-ცნობარი

თბილისი
2005

წინამდებარე ლექსიკონი შეიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებულ ძირითად ტერმინთა განმარტებებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ლექსიკონი სარგებლობას მოუტანს როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო ხელისუფლების ორგანოებში მომუშავე პირებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სახალხო დამცველის სამსახური, რომელიც ამ ლექსიკონის შედგენის პროექტის ერთ-ერთი მონაწილეა. მისი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს მონიტორინგსა და სათანადო რეაგირებაში ძალზე დიდია. ამ კონტექსტში ლექსიკონი ხელს შეუწყობს აღნიშნული საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვას.

ლექსიკონი სასარგებლო იქნება ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების, მეცნიერების, პოლიტიკოსების, სტუდენტებისა და ყველა იმ პიროვნებისათვის, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმატიული და ინსტიტუციური სისტემებით არიან დაინტერესებულნი.

ავტორები

ლ. ალექსიძე (რედაქტორი)

ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე

კ. კორკელია, ი. ქურდაძე

რეცენზენტები

ა. დემეტრაშვილი

პ. ცნობილაძე

"All rights reserved. No part of this publication may be reproduced, translated, stored in a retrieval system, or transmitted by any other means without the prior written permission of the copyright holders. Please direct all inquiries to the Raoul Wallenberg Institute of Human Rights and Humanitarian Law or to UNDP.

This publication is the result of a joint project between the Raoul Wallenberg Institute of Human Rights and Humanitarian Law, the Public Defender's Office of Georgia and the United Nations Development Programme (UNDP) with financial support from the Swedish International Development Cooperation Agency (Sida).

This publication is not for commercial use or sale."

წინამდებარე ლექსიკონი შეიქმნა და მისი გამოცემა განხორციელდა რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტის, საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტით, შედეგების საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

ყველა უფლება დაცულია

აკრძალულია ამ გამოცემის ნებისმიერი ნაწილის ასლის გადაღება (გამრავლების მიზნით), თარგმნა, შენახვა კომპიუტერულ სისტემაში შემდგომი გამოყენების მიზნით ან გადაცემული ნებისმიერი სხვა საშუალებით, საერთო უფლების მფლობელის წერილობითი ნებართვის გარეშე. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტს ან გაეროს განვითარების პროგრამას.

არ შეიძლება ამ პუბლიკაციის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის ან გაყიდვა.



სარჩევი

რელაქტორისაგან	გვ. I-II
ტერმინების განმარტება	გვ. 7-253
განმარტებული ტერმინების ნუსხა	გვ. 255-265
ინგლისური ტერმინების შესატყვისი ქართული ტერმინების საძიებელი	გვ. 266-278

რელაქტორისაგან

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ადამიანის უფლებათა ეფექტიანი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისოსამართლებრივი ინსტიტუციონალიზაცია, რაც სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად იქცა.

როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს სახელმწიფო, დღემდე ყველა მათგანში, ამა თუ იმ დონით, ხდება ადამიანის უფლებათა დარღვევა.

თუ XX საუკუნის პირველ ნახევრამდე ადამიანის უფლებათა სამართლებრივი რეჟიმი ძირითადად სახელმწიფოს საშინაო საქმე იყო და სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის პრინციპიდან გამომდინარეობდა, დღეს ეს სფერო თითქმის მთლიანად საერთაშორისო სამართლის განუყოფელ დარგად იქცა, რომლის ნორმების უგულებელყოფას ერიდება ყოველი სახელმწიფო გაეროს ან საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციების მხრიდან მკაცრი რეაქციის გამოწვევის შიშით.

ამგვარად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი დარგი, ეფუძნება სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო (აუცილებელი არ არის სახეზე იყოს სრული ერთხმიობა) ნებას, გახადონ ადამიანის უფლებათა დაცვა თანამეგობრობის მიერ შექმნილი მართლწესრიგის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ყველა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემა.

საგულისხმოა, რომ, თუ პირველ ხანებში ადამიანის უფლებების ტერმინოლოგია მთლიანად ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების დროს მიღებული აქტებით განისაზღვრებოდა (ამერიკის დამოუკიდებლობის 1776 წლის დეკლარაცია, 1787 წლის კონტიტუცია და 1791 წლის შესწორებები, 1789 წლის საფრანგეთის დეკლარაცია ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების შესახებ), რომლებიც ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ეხებოდა, დღეს ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა წახალისებისა და დაცვის მწყობრივი სისტემა. საერთაშორისო მართლწესრიგის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები შეიცავეს მრავალ ახალ ტერმინსა და ინსტიტუციას, რომლებიც ყველა სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში უნდა პოულობდეს ასახვას, ხოლო ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები შიდასახელმწიფოებრივი ნორმების მიმართ უზენაესობით უნდა სარგებლობდეს.

მრავალფეროვანი და ეფექტურია უნივერსალური (გაერო) და რეგიონალური (ევროპის საბჭო, ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია და სხვ.) საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ქმნიან ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტურ მექანიზმებს.

თანამედროვე ეტაპზე თითქმის საყოველთაო აღიარება მოიპოვა ინდივიდის უფლებამ, ეძიოს სახელმწიფოს მხრიდან დარღვეული უფლების დაცვა საერთაშორისო სასამართლოში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

ან საერთაშორისო ხელშეკრულებით შექმნილ ორგანოში (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, შექმნილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ძალით).

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს (Case Law), რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებში არსებული ტერმინების შინაარსის ახლებურად გააზრებულ განმარტებას იძლევა. ამ პრაქტიკით შექმნილი პრეცედენტული სამართალი ავტორიტეტულად განმარტავს კონვენციას. ადამიანის უფლებათა ცნების, არსებული ტერმინების თანამედროვე ინტერპრეტაციის ცოდნა აუცილებელია საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისათვის, ამავე დროს, თვით საქართველოს კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა წარმოშობს ადამიანის უფლებათა სხვადასხვა ცნებასა და ტერმინს, რომლებიც ასევე უნდა იქნეს განმარტებული.

სწორედ ამ მიზნებს ისახავდნენ ლექსიკონის შემდგენლები და ცდილობდნენ, ყოველი ტერმინის განხილვისას გამოეყენებინათ არა მარტო საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და ჩვეულებით სამართალში არსებული ტერმინები, არამედ უნივერსალური თუ რეგიონალური ორგანიზაციების (განსაკუთრებით ევროპის საბჭოს) ორგანოების საქმიანობის შედეგად ჩამოყალიბებული ფორმულირებები და განმარტებები. ვფიქრობთ, ლექსიკონი სარგებლობას მოუტანს როგორც საკანონმდებლო, ასევე სასამართლო ხელისუფლებაში მომუშავე პირებს (კანონმდებლებს, მოსამართლეებს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებს).

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახალხო დამცველის სამსახური. როლი სახალხო დამცველისა, რომელიც მონაწილეობდა ლექსიკონის შემუშავების პროექტში, საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგისა და დაცვის საქმეში უაღრესად დიდია. ამ კონტექსტში ლექსიკონი უდავოდ ხელს შეუწყობს ამ საქმიანობის უფრო ეფექტურად წარმართვას.

ვფიქრობთ, ლექსიკონი გამოადგებათ ასევე მეცნიერებს, პოლიტიკოსებს და ყველას, ვინც დაინტერესებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმატიული და ინსტიტუციური სისტემებით.

ლექსიკონი შეიცავს როგორც ქართული ტერმინების განმარტებებს, ასევე ინგლისური ტერმინების შესატყვისი ქართული განმარტებების საძიებელს, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს ინგლისური ტერმინების ქართული თარგმანის მოძიებას.

ავტორთა კოლექტივი დიდ მადლობას უხდის შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, რაულ ვალენბერგის ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ინსტიტუტს და გაეროს განვითარების პროგრამას, რომელთა მხარდაჭერისა და დაფინანსების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ ლექსიკონის გამოცემა.

ლევან ალექსიძე

- 5 -

აღამიანის აბსოლუტური უფლებები (Absolute human rights) – იხ. *აღამიანის ძირითადი უფლებები (Fundamental human rights)*, *აღამიანის ხელშეუხებელი უფლებები, რომელთაგანაც გადახვევა არ შეიძლება (Non-derogatory human rights)*.

აღამიანის ბატაცმბა (Kidnapping) – აღამიანისათვის ნების გარეშე თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აღამიანის გატაცების სამ შემადგენლობას: თავისუფლების უკანონო აღკვეთას – 143-ე მუხლი; მძევლად ხელში ჩაგდებას – 144-ე მუხლი; მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით – 329-ე მუხლი (*იხ. ტერორიზმი*).

მძევლების აყვანა ომის დანაშაულადაა აღიარებული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებითაც (რომის სტატუტი) და მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ დანაშაულად ითვლება (რომის სტატუტის მე-8 მუხლის მე-2 პ. (კ)).

აღამიანის კულტურული უფლებები (Cultural human rights) – უფლებები, რომლებიც მინიჭებული აქვს ნებისმიერ ინდივიდს და რომლებიც მოიცავს კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და სამეცნიერო აღმოჩენათა შედეგებით სარგებლობის უფლებას. ეს უფლებები განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო აქტით, მათ შორის, *აღამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა* (1948) და *საერთაშორისო პაქტით ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ* (1966).

აღამიანის უფლებათა განგრძობადი და დენადი დარღვევები (Continuous violation of human rights) – აღამიანის უფლებათა დარღვევები შეიძლება ატარებდნენ განგრძობად ან დენად ხასიათს. განგრძობადია დანაშაული, რომელიც გამოიხატება აღამიანის უფლებათა სისტემატიური დარღვევით და რომელიც მოიცავს განზრახ ჩადენილ ერთ ან მეტ ფაქტს. მაგალითად, სამხედრო ტყვეთა წამება ან სამოქალაქო მოსახლეობის პერიოდულად დარბევა; დენადია აღამიანის უფლებათა დარღვევა, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება. მაგა-

ლითად: მძევალთა ხელში ჩაგდება და მათთვის უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა, მოსახლეობის დეპორტაცია და სხვა.

საერთაშორისო სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის სხვა სფეროებში არსებულ სასამართლოს ორგანოებში დაწესებულია ადამიანის უფლებათა განგრძობადი და დენადი დარღვევების განხილვის სპეციალური პროცედურა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავს საქმეებს, რომლებიც ეხება კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევას, თუ დარღვევა დაწყებულია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიმართ *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის* ძალაში შესვლამდე, მაგრამ ადამიანის უფლებების დარღვევები კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგაც გრძელდება. ამ შემთხვევაში *სტრასბურგის სასამართლო* საქმის განხილვას ყოფს ორ ნაწილად: კონვენციის ძალაში შესვლამდე მომხდარი დარღვევის ფაქტები არ ხვდება სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ (*ratione temporis*), ხოლო კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარი ფაქტები სასამართლოს მიერ განიხილება. ანალოგიური მექანიზმი მოქმედებს *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოშიც*.

ადამიანის უფლებათა წახალისება და დაცვა (Promotion and protection of human rights) – ფორმულა, რომელიც *გაეროს* შექმნით დაწყებული *ადამიანის უფლებათა პატივისცემის* საერთაშორისო სამართლებრივი და სხვა საერთაშორისო აქტების (იხ. *საერთაშორისო სამართალი, ეუთოს* პელსინკის თათბირის ფინალური აქტი და სხვ.) ფუძემდებლურ პრინციპად იქცა. ეს პრინციპი ავალებს სახელმწიფოს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანის (საკუთარი *მოქალაქეების, უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირების*) დაცვას კანონის, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ძალით. დაცვის მოთხოვნისაგან განსხვავებით, წახალისება უნდა ვლინდებოდეს სახელმწიფოს ისეთ საქმიანობებში, როგორებიცაა: ადამიანის უფლებების არსისა და შინაარსის რაც შეიძლება ფართო პროპაგანდა, საერთაშორისო სტანდარტების გაცნობის ჩათვლით; ამ უფლებების დაცვის ნორმატიული და პროცესუალური მექანიზმების მდგრადი განვითარება და ამ პროცესის შესახებ მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ინფორმაციის მიწოდება; *ადამიანის უფლებათა* დაცვის და განვითარების შესწავლა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების უნივერსიტეტებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში; სხვადასხვა სახის სემინარების, ტრენინგების, მრგვალი მაგიდების ორგანიზება მაღალკვალიფიცირებული ექსპერ-

ტების მონაწილეობით. წახალისება გამოიცხავს რაიმე სახის იძულებითი საშუალებების გამოყენებას, იგი მხოლოდ საზოგადოებისა (ცალკეულ ადამიანთა, მათი ჯგუფების და სხვ.) და სახელმწიფოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სისტემაში მომუშავე პირების პოლიტიკური და მორალური შეგნების აღზრდის ერთობლიობად გვევლინება. ამ მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციები (*გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი, გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებანი, არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები*) აქტიურად იყენებენ *ტექნიკური დახმარების* ყოველგვარ სახეს, რათა ხელი შეუწყონ სახელმწიფოთა შიგნით ა^შშ-ის პროცესების განვითარებას. ეს ხდება როგორც ქვეყნის შიგნით ფორუმების მოწვევით, ასევე საზღვარგარეთ ორგანიზებულ სასწავლო კურსებზე სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების მოწვევით; სახელმწიფოში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტების ქართულად, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე თარგმნისა და გამოქვეყნების დაფინანსებით.

ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმები (Treaty-based mechanisms for the protection of human rights) – *ადამიანის უფლებების* სფეროში მოქმედ უნივერსალურ და რეგიონალურ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე შექმნილი ორგანოები და მექანიზმები, რომლებიც უფლებამოსილი არიან კონტროლი გაუწიონ ამ ხელშეკრულებებში მონაწილე სახელმწიფოების მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას (იხ.: *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციები წამებისა და სასტიკი, არაკუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ, აგრეთვე იხ. წამება, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ* და სხვ.).

გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი მექანიზმებისაგან განსხვავებით (იხ. *გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში*), ამ ორგანოებსა და პროცედურებს დამოუკიდებელი ხასიათი აქვთ. *გაერო* და რეგიონალური ორგანიზაციები მათ მხოლოდ ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფენ. ორგანოების სესიები ტარდება *გაეროს* შტაბ-ბინაში (ნიუ-იორკი) ან მის ევროპულ განყოფილებაში (ჟენევა), ან რეგიონალური ორგანიზაციის შტაბ-ბინაში (მაგ., ქ. სტრასბურგში) (იხ.: *ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი*). ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმები შექ-

მნილია აგრეთვე ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში, აფრიკულ კავშირში, არაბული სახელმწიფოების ლიგაში.

აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (European Court of Human Rights) – ევროპული კონვენციით აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ შექმნილი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს ამ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. იგი მუდმივმოქმედი ორგანოა. შედგება მოსამართლეთა იმ რაოდენობისაგან, სახელმწიფოთა რა რაოდენობაც მონაწილეობს კონვენციაში (მე-20 მუხ.). მოსამართლეები დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი არიან თავიანთ მოვალეობათა შესრულებაში (21-ე მუხ.). მათ ირჩევს *ევროპის საბჭოს* საპარლამენტო ასამბლეა 6 წლის ვადით (23-ე მუხ.). კონვენციის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს უფლება ენიჭება, მიმართოს სასამართლოს კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში (33-ე მუხ.).

სასამართლო ასევე უფლებამოსილია, კერძო პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფისაგან მიიღოს განსახილველად საჩივრები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ (34-ე მუხ.); უფლებამოსილია, გამოიტანოს საკონსულტაციო დასკვნა კონვენციისა და მისი ოქმების განმარტების საკითხზე (48-ე მუხ.). სასამართლო განსახილველად იღებს მხოლოდ იმ საჩივრებს, რომლებიც აკმაყოფილებს კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. საჩივარი მიუღებლად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ: ა) ამა თუ იმ პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფის მიერ არ არის ამოწურული თავისი უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები; ბ) ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების საბოლოო გადაწყვეტილებიდან სასამართლოში საჩივრის წარდგენამდე ექვს თვეზე მეტია გასული; გ) საჩივარი ანონიმურია; დ) იგი უკვე განხილულია ამ სასამართლოს ან სხვა საერთაშორისო საზედამხედველო ორგანოს მიერ; ე) შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან; ვ) ამჟამად დაუსაბუთებელია ან საჩივრის წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებაა. სასამართლოს უფლება აქვს, მიუღებლად გამოაცხადოს საჩივარი, რომელიც, მისი აზრით, არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს (იხ. აგრეთვე *დასაშვებობა განაცხადის, საჩივრის*).

თუ საჩივარი მისაღებად იქნა მიჩნეული, სასამართლო შეეცდება, რომ საქმით დაინტერესებულ მხარეებს შორის (მოძჩივანი და სახელმწიფო) დავა მორიგებით გადაწყდეს (38-ე მუხ.); საქმის ასე და-

თავრების შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფო ფინანსურ კომპენსაციას უხდის ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლს, ხოლო ამასთან დაკავშირებით ზოგჯერ ცვლილებაც კი შეაქვს თავის კანონმდებლობაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმე მორიგებით არ გადაწყდა, სასამართლო განიხილავს საჩივარს და გამოაქვს საბოლოო განაჩენი. საჩივრების განსახილველად სასამართლოში შექმნილია სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტები, შეიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატები და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარი დიდი პალატა (27-ე მუხ.). მისაღებია თუ არა საჩივარი, ამ საკითხს განიხილავს სამი მოსამართლისაგან შემდგარი კომიტეტი. საჩივართა დასაშვებობა, ისევე როგორც მათი არსებითად განხილვა, ზორციელდება პალატების მიერ. დიდი პალატა განიხილავს კონვენციის განმარტების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს და ასევე იმ საკითხებს, რომლებიც მას მოდავე მხარეების მოთხოვნის საფუძველზე გადაეცემა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენი იურიდიულად სავალდებულოა სახელმწიფოებისათვის. სასამართლოს განაჩენის შესრულების ზედამხედველობას ახორციელებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (46-ე მუხ.). სასამართლოს ადგილსამყოფელია ქ. სტრასბურგი (საფრანგეთი). საქართველომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1999 წელს. ამავე წელს საქართველოდან არჩეულ იქნა სასამართლოს წევრი. აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ნახევრის უფლებამოსილების ვადა იწურება სამი წლის შემდეგ.

ადამიანის უფლებათა თაობები (Generations of Human Rights) – ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განვითარებამ განელო რამდენიმე სტადია. ადამიანის უფლებათა თეორიაში მიღებულია *ადამიანის უფლებათა თაობებად* დაყოფა.

პირველ თაობას მიეკუთვნება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მეორე თაობას – სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მესამეს კი კოლექტიური უფლებები.

ადამიანის უფლებათა დაცვის პირველ პოლიტიკურ დოკუმენტად გვევლინება 1215 წელს ინგლისში მიღებული **Magna Carta Libertatum**, რომელმაც ფეოდალიზმში საფუძველი ჩაუყარა კანონის უზენაესობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ადამიანის დაცვას ხელისუფლების თვითნებობისაგან. ასევე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია 1679 წელს ინგლისში მიღებულ **Habeas Corpus Act**, რომლითაც მოქალა-

ქეები დაცული იყვნენ სახელმწიფოს მხრიდან უსაფუძვლო დევნისაგან. მოგვიანებით, ინგლისშივე 1689 წელს მიღებული იქნა **Bill of Rights**, რომლის თანახმადაც მოქალაქეებს ქვეყნის მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება მიენიჭათ.

ადამიანის უფლებათა კონცეფცია პირველად იურიდიული სახით XVIII საუკუნეში შეიქმნა „ბუნებითი სკოლის“ მიმდევრების მიერ. მისი სამართლებრივი გამოვლინებაა: 1776 წელის 4 ივლისის მიღებული ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლითაც დასრულდა ინგლისისაგან ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; 1787 წელს კონსტიტუცია და 1791 წელს მიღებული პირველი ათი შესწორება ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც კონსტიტუციის 10 შესწორებას შეიცავდა; საფრანგეთის დიდი რევოლუციის შედეგად მიღებული „ადამიანის და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაცია“ (*Déclaration des droits de l'homme et du citoyen*). საფრანგეთის დეკლარაცია შეიცავს დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა ძირითადი უფლებისა და თავისუფლების ჩამონათვალს.

ადამიანის უფლებათა პირველი თაობა ანუ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები სამართლებრივად აისახა გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, 1966 წლის საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და სხვა დოკუმენტებში.

ინდუსტრიული რევოლუციის განვითარებამ ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა მეორე თაობის ჩამოყალიბებას. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის შედეგად ყალიბდება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, რომელთა წარმოშობას და განვითარებას ინდუსტრიულმა რევოლუციებმა შეუწყო ხელი. საშუალო კლასი, რომელმაც დიდი ბრძოლით მოიპოვა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ახალი ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის მოთხოვნით გამოვიდა. 1870 წელს საფუძველი ჩაეყარა ახალი ეკონომიკური და სოციალური უფლებების განვითარებას, კერძოდ: სამუშაო დღის შემცირებას, შრომის უსაფრთხოების დაცვას, სოციალურ დაზღვევას და სხვა. მოგვიანებით ამ უფლებებს დაემატა კულტურული უფლებებიც. ადამიანის უფლებათა მეორე თაობა ანუ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები სამართლებრივად აისახა, მაგალითად, 1966 წლის საერთაშორისო პაქტში ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ.

ადამიანის უფლებათა მესამე თაობა უფრო ახალგაზრდაა და მას კოლექტიური უფლებები მიეკუთვნება. ადამიანის უფლებები უფრო

ფართოდაა გაგებული და საზოგადოების ფართო მასას მოიცავს. მესამე თაობას საფუძველი 60-იან წლებში დაწყებულმა მსოფლიოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩაუყარა. ამავე თაობას მიეკუთვნება ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრების უფლება, ერის თვითგამორკვევის უფლება, განვითარების უფლება, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში მონაწილეობის უფლება. ადამიანის უფლებათა მესამე თაობა ანუ კოლექტიური უფლებები აისახა, მაგალითად, 1986 წლის დეკლარაციაში განვითარების უფლების შესახებ.

ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია (Classification of Human Rights) – *გაეროს წესდებისა* და 1948 წლის *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* მიღებით, *ადამიანის უფლებათა* დადგენის ხარისხობრივად ახალი ეტაპი იწყება. დეკლარაციამ ასახა როგორც სამოქალაქო-პოლიტიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, თუმცა შემდგომში ეს უფლებები ცალ-ცალკე საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში აისახა. ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ხდება (იხ. ტაბულა).

ადამიანის უფლებათა სამართლის თეორიაში განასხვავებენ: *ადამიანის და მოქალაქის უფლებებს*, უფლებებსა და თავისუფლებებს (იურიდიული ბუნებით ორივე იდენტურია); ძირითად ანუ ფუნდამენტურ და სხვა უფლებებს; უფლებებს განასხვავებენ აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს მიხედვით (პირადი, სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული) და წარმოშობის დროის მიხედვით (*ადამიანის უფლებათა თაობები*). *თანამედროვე საერთაშორისო სამართალში* ყველაზე უფრო გავრცელებული და მიღებულია უფლებათა კლასიფიცირება თაობების მიხედვით. მიღებულია უფლებათა 3 თაობის გამოყოფა: პირველი თაობის უფლებებს მიაკუთვნებენ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს (ნეგატიური უფლებები); მეორე თაობის უფლებებში იგულისხმება სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები (პოზიტიური უფლებები); მესამე თაობას მიაკუთვნებენ კოლექტიურ უფლებებს.

ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია

<p>წარმოშობის დროის მიხედვით</p>	<ul style="list-style-type: none"> • I თაობა (XVIII ს-ის ბოლო) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები • II თაობა (XX ს-ის მეორე ნახევარი) სოციალურ-ეკონომიკური უფლებები
----------------------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> • III თაობა (XX ს-ის 70-იანი წლები) კოლექტიური (სოლიდარული) უფლებები
საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო • პოლიტიკური • ეკონომიკური • სოციალური • კულტურული
პიროვნების პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანის უფლებები (ყოველი ინდივიდის უფლებები) • მოქალაქის უფლებები
უფლებების მატარებელი საეკიალური სუბიექტის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • ლტოლვილების უფლებები • ქალთა უფლებები • ბავშვთა უფლებები • აპატრიდების უფლებები • პირთა უფლებები შეიარაღებული კონფლიქტების დროს • მიგრანტთა უფლებები • ინვალიდების უფლებები • სხვა ჯგუფების უფლებები
დროში მოქმედების შეზღუდვის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • აბსოლუტური უფლებები • შეფარდებითი უფლებები
სახელმწიფოს როლის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • პოზიტიური უფლებები • ნეგატიური უფლებები
კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ნორმებში განმტკიცების მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი (კონსტიტუციური) უფლებები • წარმოებული უფლებები

ადამიანის უფლებათა კომიტეტი (Human Rights Committee) – შექმნილია *საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* (28-ე მუხ.). მისი მიზანია, ზედამხედველობა გაუწიოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, რომლებიც მიუკერძოებლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. კომიტეტის წევრთა უფლებამოსილების ვადაა 4 წელი. კომიტეტი თავისი ფუნქციების განსახორციელებლად

მოქმედებს საგანგებოდ შემუშავებული პროცედურის წესების საფუძველზე. იგი მიიღებს და განიხილავს სახელმწიფოების პერიოდულ მოხსენებებს მათ მიერ პაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შესახებ (40-ე მუხ.); განიხილავს პაქტის მონაწილე სახელმწიფოების შეტყობინებებს რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ პაქტით დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ (41-ე მუხ.), თუ ამ სახელმწიფოს აღიარებული აქვს ამ მუხლით დადგენილი წესი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაქულტატიური ოქმის (იხ. *ფაქულტატიური ოქმი საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*) თანახმად, აშშ მიიღებს და განიხილავს ინდივიდუალურ შეტყობინებებს პაქტის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ პირთა ამ სახელმწიფოს მიერ მათი უფლებების დარღვევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს პირველადი მოხსენება კომიტეტს წარედგინება ამ სახელმწიფოსათვის პაქტის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში. შემდგომში მოხსენებები კომიტეტს წარედგინება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოთა მოხსენებებს, აგრეთვე სახელმწიფო და ინდივიდუალურ შეტყობინებებს და იღებს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებებს. კომიტეტი ჩატარებული მუშაობის შესახებ ყოველწლიურად მოხსენებას წარუდგენს გაეროს გენერალურ ასამბლეას.

ადამიანის უფლებათა პატივისცემა (Respect for Human Rights) – *საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი* (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი სულ უფრო მეტ აქტიურობას იჩენს ისეთ სფეროში, რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს სახელმწიფოს მხოლოდ საშინაო საქმეა. მაგრამ სინამდვილეში ამ სფეროს ჯეროვანი მოწესრიგება სახელმწიფოთა მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს. სწორედ ასეთი პრობლემების დაძლევას ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებანი. ეს ის უფლებებია, რომლებიც კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე განუსხვისებელია ყოველი გონიერი არსებისაგან, მიუხედავად მისი სქესისა, კანის ფერისა, სარწმუნოებისა, რასისა თუ ეროვნებისა.

აშშ-ის პრინციპის ჩამოყალიბებასა და საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებებით მის განმტკიცებას დასაბამი მიეცა მეორე მსოფლიო ომის დროს. ამას დიდად შეუწყო ხელი ჰიტლერული რეჟიმის მიერ ადამიანთა მასობრივი განადგურების საშინელი ფაქტების საქვეყნოდ მხილებამ. თუ მანამდე საერთაშორისო საზოგადოე-

ბრიობა ძირითადად *ეროვნულ უმცირესობათა* საერთაშორისო დაცვით იყო დაინტერესებული, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე *გაეროს წესდებაში* შეტანილ იქნა მოწოდება – დაცული ყოფილიყო ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები. აქედან იწყება მწვავე იდეოლოგიური ბრძოლა „სოციალისტურ და იმპერიალისტურ“ ქვეყნებს შორის, რათა ადამიანის უფლებათა პატივისცემა *გაეროს მიზნებისაგან* ძირითად საერთაშორისოსამართლებრივ პრინციპად გადაქცეულიყო, თანაც ორი სოციალური სისტემის თანაარსებობის პრინციპის შეუბღალავად, ქვეყნის საშინაო საქმეებში *ჩაურევლობის* პრინციპის დაცვით (იხ.: *ადამიანის უფლებები, გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში*).

გაეროს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, „კვლავ განამტკიცოს ადამიანის ძირითად უფლებათა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის რწმენა“; ორგანიზაცია მოწოდებულია, „განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტაში და დანერგოს ყველას მიმართ, მიუხედავად რასისა, სქესისა, ეროვნებისა და რელიგიისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისადმი პატივისცემა“ (1-ლი მუხ., მე-3 პუნქ.). აღნიშნული პრინციპის განსახორციელებლად *გაეროს გენერალური ასამბლეა* და *გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო* აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. ამ საბჭოს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად შეიქმნა მთელი რიგი საერთაშორისოსამართლებრივი აქტებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია: *1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია*, *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*, *საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ* (1966), *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ* (1969) და სხვ.

ეთოს დასკვნითმა აქტმა (I.VIII.1975) შეაჯამა საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგები ადამიანის უფლებათა პატივისცემის უზრუნველყოფის სფეროში და იგი ცალკე ძირითად პრინციპად გამოყო. ამ აქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს, პატივისცემით მოეკიდონ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის: აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას ყველასათვის, განურჩევლად რასისა, სქესისა და რელიგიისა; ხელი შეუწყონ და განავითარონ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომი-

კური, სოციალური და სხვა ფაქტორები ამ უფლებათა და თავისუფლებათა ეფექტიანი განხორციელებისათვის, რაც დაეფუძნა ადამიანის პიროვნების დამახასიათებელ ღირსებებს. სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიებზე ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობანი, ასევე ვალდებულია კისრულობენ, პატივისცემით მოეკიდონ ასეთ უმცირესობათა თანასწორობის უფლებას კანონის წინაშე, მიანიჭონ მათ სრული შესაძლებლობანი, ნამდვილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით და ამრიგად დაიცვან მათი კანონიერი ინტერესები, იმოქმედონ *გაეროს წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად, თავიანთი ვალდებულებები შეასრულონ ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ამ დარგის საერთაშორისო დეკლარაციებსა და შეთანხმებებში, მათ შორის საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ, თუ ისინი ამ პაქტების მონაწილენი არიან.

ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპის საფუძველია დებულება, რომელიც კრძალავს იძულებითი ზომების გამოყენებას უცხო სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ *გაეროს* კომპეტენტური ორგანოები დარწმუნდებიან, რომ კონკრეტულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებები მასობრივად და სისტემატურად ირღვევა და საფრთხეს უქმნის მშვიდობას, რაც *საერთაშორისო დანაშაულად* ითვლება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს წესდებით გათვალისწინებული საშუალებები, შეიარაღებული ძალის გამოყენების ჩათვლით. დაუშვებელია ადამიანის უფლებათა დაცვის ღონისძიების გამოყენება სახელმწიფოთა მიერ სხვა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის კრიტიკისათვის, მასზე დიპლომატიური ზემოქმედებისათვის, რაც საშინაო საქმეებში *ჩაურევლობის* პრინციპის უხეშ დარღვევად ითვლება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს იდეოლოგიურ ბრძოლას ადამიანის უფლებათა დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა *საერთაშორისო სამართლით* დასაშვებად მიჩნეული ფორმებით უნდა მიმდინარეობდეს. სხვა საკითხია პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მონაწილეობა იდეოლოგიურ ბრძოლაში, რაც სპეციფიკურ ხასიათს ატარებს და ვერ შეედრება ოფიციალურ სახელმწიფოთაშორის (მთავრობათაშორის) ღონისძიებებს, რომლებიც სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპზეა (*სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა*) აგებული. ბოლო წლებში ამ მხრივ განსაკუთრებით გააქტიურდა ეუთო. ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანი რეგიონალური ორგანიზაციაა *ვეროპის საბჭო*, რომლის წევრი საქართველო 1999 წელს გახდა, რითაც ადამიანის უფლებათა პატივისცემის დიდი და ფარ-

თომასშტაბიანი ვალდებულებები იკისრა და ცალკეული ადამიანების უფლებათა დაცვის დახვეწილ და ეფექტიან მექანიზმებს დაუკავშირა თავისი ბედი (იხ. *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო*).

წლების განმავლობაში შეიქმნა ადამიანის უფლებათა აღნუსხვისა და მათი დაცვის მექანიზმების განმსაზღვრელი ფართო უნივერსალური და რეგიონალური სამართლებრივი ბაზა (დაიღო 100-ზე მეტი საერთაშორისო ხელშეკრულება), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა. დღეისათვის ადამიანის უფლებათა დაცვა ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის ცალკე დარგად, რომელსაც „*ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი*“ ეწოდება. საქართველოს კონსტიტუცია დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებზე. მასში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“ (მე-7 მუხ.).

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი (International Law of Human Rights) – *საერთაშორისო სამართლის* დარგი, რომელიც მიზნად ისახავს *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა* დაცვას *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* ყოველი წევრის მიერ.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (Universal Declaration of Human Rights) – მიღებულია *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ 10.XII.1948. ამ დეკლარაციის მიღების თარიღი (10 დეკემბერი) ყოველწლიურად აღინიშნება როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე. დეკლარაცია ეხება როგორც *სამოქალაქო და პოლიტიკურ*, ისე *ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს*. კერძოდ, დეკლარაციით გათვალისწინებულია ისეთი უფლებები, როგორებიცაა: *სოცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება*. იგი კრძალავს *მონობას, წამებას, უკანონო დაპატიმრებას, დაკავებასა და დევნას*. დეკლარაციით ასევე გათვალისწინებულია ისეთი უფლებები, როგორებიცაა: *პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის უფლება, გარანტირებულია მიმოწერის საიდუმლოება და მიუკერძოებელი სასამართლოს*

მიერ დაცვის უფლება. დეკლარაცია ასევე ითვალისწინებს სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. საყოველთაო დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო, იგი სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ თითქმის ყველა ქვეყანამ აქცია თავისთვის სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებად (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*). დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ მრავალ *საერთაშორისო ხელშეკრულებას*, მათ შორის ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორებიცაა: *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* და *საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ*, რომლებიც მიიღეს 1966 წელს და ძალაში შევიდა 1976 წელს.

ადამიანის უფლებები (Human Rights) – ადამიანისაგან, როგორც გონიერი არსებისაგან, გაუსხვიებული უფლებები, რომელთა აღიარება და დაცვა სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. *ბუნებითი სამართლის სკოლის* წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს უფლებები ღმერთის მიერ არის ნაბოძები და ადამიანის ბუნებიდან გამოძინარეობს; მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქასა ან საზოგადოებაში ცხოვრობდა ან ცხოვრობს ადამიანი, ეს უფლებები არ იცვლება და ამიტომ სახელმწიფო მოვალეა, აღმოაჩინოს და დაიცვას ისინი. ამდენად, ადამიანის უფლებები პოზიტიური სამართლის, ანუ იმ ნორმათა ერთობლიობის მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, პირველად წყაროდ ცხადდება, ხოლო სახელმწიფოს მიერ თავისი კანონით ამ უფლებათა უგულებელყოფა მართლსაწინააღმდეგო, უზურპაციის აქტად ითვლება.

პოზიტივიზმის მიმდევრები, რომლებიც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონედ აცხადებენ მხოლოდ სახელმწიფოს ნებას და მის კანონმდებლობას, უარყოფდნენ ადამიანის ბუნებითი უფლებებისათვის უპირატესობის მინიჭებას მოქმედი კანონმდებლობის წინაშე და ამ უფლებათა ნუსხას სახელმწიფოს ნებას უქვემდებარებდნენ. კაცობრიობის განვითარების პროცესში სულ უფრო და უფრო იმარჯვებდა *ბუნებითი სამართლის* შეხედულებები, თუმცა გარკვეული ცვლილებებით – ყალიბდებოდა ე.წ. ცვალებადი შინაარსის ბუნებითი სამართლის კონცეფცია, რომლის მიხედვით, ადამიანის უფლებები არ შეიძლებოდა ერთი და იმავე არსისა და მოცულობისა ყოფილიყო მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ხანაში, – ეს კატეგორიები იცვლება და ახალ შინაარსს იძენს კაცობრიობის განვითარებას-

თან ერთად, ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩასახვასა და სრულყოფასთან მჭიდრო კავშირში; ადამიანის უფლებები რჩება სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების პირველად წყაროდ, მაგრამ მათი მოცულობა ვარიირებს ეპოქისა თუ კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონეთა მიხედვით.

ადამიანის ძირითადი უფლებები (Fundamental human rights) – მიეკუთვნება ყველაზე მთავარ, სასიცოცხლო მნიშვნელობის უფლებებს, რომელთა გარეშე არ შეიძლება იარსებოს საზოგადოების არცერთმა წევრმა. აძქ გამოიყენება ადამიანის ფუნდამენტურ თავისუფლებებთან კონტექსტში. ამ უფლებათა კატეგორიაში შედის: სიცოცხლის უფლება, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ადამიანის პიროვნების აღიარება, შეხედულების, აზრის გამოხატვის უფლება, პრესისა და რელიგიის თავისუფლების უფლება და სხვ. (იხ. *ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია*).

არ არსებობს მკვეთრი ზღვარი აძქ-სა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს შორის. კონცეფცია ახასიათებს აძქ-ს როგორც ადამიანის კანონით დაცულ შესაძლებლობას, მოსთხოვოს სახელმწიფოს მისთვის მინიჭებული უფლებების დაკმაყოფილება (მაგ.: საარჩევნო უფლება, განათლების უფლება და ა.შ.), ხოლო თავისუფლებები გულისხმობს, მოითხოვოს სახელმწიფოსაგან, თავი შეიკავოს პიროვნების ამ უფლებების რეალიზაციაში ჩარევისაგან (მაგ. აზრის გამოხატვის თავისუფლება).

პრაქტიკაში უფლებები და თავისუფლებები ერთმანეთის შემცველია და კანონის შესაბამისად უნდა იყოს დაცული.

ადამიანის უფლებები, რომელთაგანაც გადახვევა და უშვებელია (Non-derogatory human rights) – *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის* ნორმები მათი გამოყენების სფეროს მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა:

1. ნორმები, რომლებიც გამოიყენება ნებისმიერ ვითარებაში, ანუ ნორმები, რომლებისგანაც გადახვევა სახელმწიფოს არ შეუძლია.

2. ნორმები, რომელთა მოქმედების შეჩერება სახელმწიფოს კონკრეტული გარემოებების არსებობისას (როგორებიცაა: ომის, საგანგებო ან სხვა განსაკუთრებული მდგომარეობის შემოღება, როდესაც საფრთხე ემუქრება ერის არსებობას) შეუძლია.

სწორედ პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ხელშეუხებელი ბირთვი, რომლის მოქმედება არ არის დამოკიდებული ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა: შეიარაღებული *საერთაშორისო* თუ *არასაერთაშორისო კონფ-*

ლიქტი, შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური დაძაბულობა თუ არეულობა.

როგორც წესი, საერთაშორისო კონვენციური დოკუმენტები გვაძლევს ამგვარი უფლებების ზუსტ ნუსხას. მაგალითად, *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* (მე-4 მუხ., მე-2 პ.) და *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ* (მე-15 მუხ., მე-2 პ.) პირდაპირ მოითითებს, თუ რა უფლებათა შეზღუდვა დაუშვებელი საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. ამ ორი მუხლის შედარებისას ვხედავთ, რომ ევროპის კონვენციაში მოცემული უფლებათა ჩამონათვალი უფრო მწირია, ვიდრე სამაქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტში.

პაქტის მიხედვით, შეუზღუდავ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება:

- სიცოცხლის უფლება (მე-6 მუხ.); წამების, სასტიკი მოპყრობის, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოქცევის აკრძალვა (მე-7 მუხ.); მონობის, მონათვაჭრობისა და პირის დაბეჭავებულ მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვა (მე-8 მუხ., 1-ლი პ. და მე-2 პ.); სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თავისუფლების აღკვეთის დაუშვებლობა (მე-11 მუხ.); სისხლის სამართლის დანაშაულებზე კანონის უკუქმედების ძალის გამოყენების აკრძალვა (მე-15 მუხ.); სამართალსუბიექტობის უფლება (მე-16 მუხ.); აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლების უფლება (მე-18 მუხ.).

ევროპული კონვენციის მიხედვით, შეუზღუდავ უფლებათა ნუსხას მიეკუთვნება:

- სიცოცხლის უფლება (გარდა კანონიერი საომარი მდგომარეობის დროს ადამიანების დაღუპვის) (მე-2 მუხ.); წამების აკრძალვა (მე-3 მუხ.); აკრძალულია მონობა და პირის ძალმომრეობითი მორჩილების მდგომარეობაში ჩაყენება (მე-3 მუხ., 1-ლი პ.); სისხლის სამართლის დანაშაულებზე კანონის უკუქმედების ძალის გამოყენების აკრძალვა (მე-7 მუხ.).

საქართველო პაქტისა და კონვენციის მონაწილეა, ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, ის მოვალეა, დაეყრდნოს პაქტის მიერ დაწესებულ გაფართოებულ ნუსხას.

უფრო ვრცელ სიას შეიცავს ენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა შესახებ.

ადამიანური განზომილება (Human dimension) – ცნება, რომელიც ჩამოყალიბდა და განვითარდა *ეუთოს* ფარგლებში. ტერმინი აბ შემოღებულ იქნა 1989 წელს ვენის შეხვედრის დასკვნითი დო-

კუმენტით და გამოიყენება ყველა იმ საკითხის აღსანიშნავად, რომლებიც *ადამიანის უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს*, ჰუმანიტარული ხასიათის საკითხებს, ასევე საკითხებს, რომლებიც დემოკრატიას, დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და მართლწესრიგს ეხება.

აბ-ის საფუძველზე აღებული ვალდებულებების უზრუნველყოფის მექანიზმი ცნობილია როგორც ვენის მექანიზმი. ვენის მექანიზმი შემდგომ განმტკიცდა კოპენჰაგენის (1990 წ.), მოსკოვისა (1991 წ.) და ჰელსინკის (1992 წ.) შეხვედრებზე. ვენის მექანიზმი განსხვავდება ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო მექანიზმებისაგან. იგი არ ითვალისწინებს ინდივიდუალური განაცხადების განხილვის პროცედურას (იხ.: *ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო*). მექანიზმი ითვალისწინებს ინფორმაციის განხილვას სახელმწიფოს მიერ მოწოდებული მასალის საფუძველზე, გადაწყვეტილება მიიღება *კონსენსუსით*.

ტერმინი აბ გულისხმობს წევრი სახელმწიფოს მხრიდან *ადამიანის უფლებათა პატივისცემის, კანონის უზენაესობის* პრინციპის დაცვას, დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებას, აგრეთვე *ტოლერანტობის* ატმოსფეროს ხელშეწყობას. აბ-ის საკითხებზე შემუშავებული ვალდებულებები გამომდინარეობს და ეფუძნება ჰელსინკის დასკვნითი აქტის დებულებებს (კერძოდ, *ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპს*).

წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს პოლიტიკური ძალის ვალდებულებები. 1990 წლიდან მოყოლებული, ეუთოს ფარგლებში დაფუძნდა სხვადასხვა ინსტიტუტი და მექანიზმი, რომლებითაც ხორციელდება ამ ვალდებულებათა უზრუნველყოფა. ეს ინსტიტუტებია: ბიურო, კომისარი, წარმომადგენელი მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა საკითხებში, მისიები, ადგილზე დამსწრენი.

ეუთოს ჩარჩოებში აღებული ვალდებულებები ვრცელდება ყველა წევრ სახელმწიფოზე, ვინაიდან დოკუმენტები, რომლებიც ეუთოს სამიტებზე მიიღება, არა სახელშეკრულებო, არამედ პოლიტიკური ხასიათისაა და მიიღებიან კონსენსუსის წესით (გამონაკლის შემთხვევაში – კონსენსუსი მინუს ერთი). ამით ეუთოს ეგიდით შემუშავებული საერთაშორისო დოკუმენტები განსხვავდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით შემუშავებული დოკუმენტებისაგან (*ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი*).

ადგილობრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა (Exhaustion of domestic remedies) – ყველა ხელმისაწვდომ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნა. *საერთაშორისო*

პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (1966) და ადამიანის უფლებათა ეროვნული კონვენცია (1950) საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმად ადგენს, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის მოთხოვნას. მართალია, არცერთ ამ დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა იგულისხმება შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ცნებაში, მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს არის არა სახელმწიფოში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა მექანიზმი (მაგ., ომბუდსმენი), არამედ სასამართლო ორგანოები.

პრაქტიკაში როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ასევე ადამიანის უფლებათა ეროვნული სასამართლო ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას განსაზღვრავს, ამოწურულია თუ არა განმცხადებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭირო არ გახდეს, მიემართოს ყველა სასამართლო ინსტანციას.

მართალია, სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა არ არის ერთგვაროვანი ხელშემკრეულ სახელმწიფოებში, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ეს არის სასამართლო სამსაფეხურიანი სისტემა: პირველი, სააპელაციო და უმაღლესი ინსტანციები.

სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის საერთო მოთხოვნიდან არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, განმცხადებელს არ მოეთხოვება სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვა, თუ მან დაამტკიცა, რომ ეროვნული სასამართლოსადმი მიმართვა აზრს მოკლებულია, გამომდინარე სახელმწიფოში არსებული პრაქტიკიდან, ან თუ საქმის განხილვა გაუმართლებელი ვადით ჭიანურდება.

პირს მოეთხოვება იმ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა, რომლებზეც ეროვნული კანონმდებლობით მას უფლება, და არა პრივილეგია, აქვს. პირი ვალდებული არ არის, მიმართოს ცალკეულ სპეციალურ ორგანოსა თუ სამსახურს, რომელთა კომპეტენციაში ადამიანის უფლებათა დაცვა შედის (მაგ., ომბუდსმენის სამსახური ან საკანონმდებლო ორგანოს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და სხვ.).

მტკიცების ტვირთი, თუ რა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებანი არსებობს ეროვნულ სისტემაში, რომელთა ამოწურვაც განმცხადებელს ევალება, სახელმწიფოს აწევს. შესაბამისად, სახელმწიფომ შეიძლება დააყენოს საკითხი, რომ პირს არ ამოუწურავს დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

ადმინისტრაციული დაკავება (Administrative detention) – სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაც განსაზღვრავს ადმინისტრაციული დაკავების წესს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღსაკვეთად, როდესაც ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ეს აუცილებელია, მაგრამ ადგილზე შეუძლებელია, საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებულ დადგენილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება.

აღ-ის შესახებ შედგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: მისი შედგენის თარიღი და ადგილი; შემდგენლის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი, ცნობები დაკავებული პირის შესახებ; დაკავების დრო და მოტივი, ოქმს ხელს აწერენ ოქმის შემდგენი თანამდებობის პირი და დაკავებული. თუ დაკავებული უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე, ამის შესახებ კეთდება ჩანაწერი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკავებული პირის თხოვნით მის ადგილსამყოფელს აცნობებენ ნათესავებს, ადმინისტრაციას სამუშაო თუ სწავლების ადგილის მიხედვით; არასრულწლოვანის დაკავების შესახებ აუცილებლად აცნობებენ მის მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს. აღნიშნული ერთადერთი საპროცესო უფლებაა, რომელსაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დაკავებული პირისთვის ითვალისწინებს.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღ შეუძლიათ მხოლოდ ორგანოებს (თანამდებობის პირებს), რომლებიც საამისოდ უფლებამოსილი არიან საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ:

ა) შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობების და დემონსტრაციების ორგანიზაციისა და ჩატარების წესის დარღვევის, პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის, პროსტიტუციის, საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ, ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხყოფელ მდგომარეობაში ყოფნის, საგზაო მოძრაობის წესების, ნადირობის, თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისა თუ ცხოველთა სამყაროს დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის სხვაგვარი

დარღვევების, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ბ) სასაზღვრო ძალებს – საქართველოს სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

გ) დასაცავი ობიექტების განლაგების ადგილას გასამხედროებელი დაცვის უფროს თანამდებობის პირს – დასაცავი ობიექტების, სხვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევათა ჩადენის შემთხვევაში;

დ) სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირებს – მძღოლების ან სხვა პირების მიერ, რომლებიც მართავენ საქართველოს შეიარაღებული ძალების სატრანსპორტო საშუალებებს, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში;

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსურ პოლიციას, საბაჟო ორგანოებს, საგადასახადო ორგანოებს – საგადასახადო და საბაჟო სფეროში ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შემთხვევებში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს სამ საათზე მეტ ხანს. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები.

ადმინისტრაციული დაკავება დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მიღებული იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს და ცვლილებებითა და დამატებებით ძალაშია 1985 წლის 1 ივნისიდან. ამის გამო მისი ზოგიერთი ნორმა, რომლებშიც ცვლილება-დამატებები არ შეტანილა, მოძველებულია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს არ შეესაბამება. მოსამართლის ბრძანების გარეშე პირის ადმინისტრაციული დაკავების და დაკავების გასაჩივრების შესახებ ნორმები გასაჩივრდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია (Organisation of American States) – რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1948 წელს. მისი წევრია 35 სახელმწიფო. 1971 წელს შეიქმნა ასმ-ის მეთვალყურეთა ორგანო, რომელშიც სხვა კონტინენტების სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოღვაწეობენ. ორგანიზაციასთან აკრე-

დიტებული არიან მუდმივი მეთვალყურეები, მათ შორის: ავსტრია, ბელგია, გფრ, ესპანეთი, იტალია, კანადა, ნიდერლანდი, საფრანგეთი, შვედეთი. ორგანიზაციის მიზნებია: კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, სადავო საკითხების მშვიდობიანი მოგვარება და უთანხმოების თავიდან აცილება; აგრესიის შემთხვევაში – ერთობლივი მოქმედება, ამერიკის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტისათვის ხელშეწყობა, ძალთა გაერთიანება ეკონომიკური, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული პროგრესისათვის. ასწ-ის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით, რომელიც 1947 წელს რიო-დე-ჟანეიროში იქნა ხელმოწერილი, აგრეთვე სხვა სამხედრო შეთანხმებებით. ასწ-ში შესვლა შეუძლია დასავლეთ ნახევარსფეროს ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მის წესდებას აღიარებს.

სტრუქტურა. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელსაც ყოველწლიურად იწვევენ. იგი განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკასა და საქმიანობას, მისი ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციებს. ყველა ქვეყნისათვის საინტერესო, სასწრაფო ხასიათის პრობლემების განსახილველად იწვევენ საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირს. სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე საკონსულტაციო თათბირის დასახმარებლად დაარსებულია თავდაცვის საკონსულტაციო კომიტეტი.

აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოა მუდმივი საბჭო, რომელიც ორგანიზაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისაგან შედგება. საბჭოსთან შექმნილია მრავალი დამხმარე ორგანო: პანამერიკული სამართლებრივი კომიტეტი (ქ. რიო-დე-ჟანეირო) კონსულტაციებს უწევს გენერალურ ასამბლეას, მის მოვალეობას შეადგენს იმ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შემუშავება და კოდიფიკაცია, რომლებიც ხელს უწყობენ ამერიკის სახელმწიფოთა ინტეგრაციის პროცესს.

მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებათა საფუძველზე ორგანიზაციასთან შექმნილია 6 სპეციალიზებული დაწესებულება: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ამერიკის ქვეყნების ინსტიტუტი (ქ. სან-ხოსე – კოსტა-რიკა); ჯანმრთელობის დაცვის პანამერიკული ორგანიზაცია (ქ. ვაშინგტონი); ბავშვთა „ამერიკათაშორისი“ ინსტიტუტი (ქ. მონტევიდეო – ურუგვაი); გეოგრაფიისა და ისტორიის პანამერიკული ინსტიტუტი (ქ. მეხიკო – მექსიკა); ქალთა „ამერიკათაშორისი“ კომისია (ქ. ვაშინგტონი); „ამერიკათაშორისი“ ინსტიტუტი ინდიელი მოსახლეობის საკითხებზე (ქ. მეხიკო – მექსიკა).

აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ცნობილი „სან-ხოსეს პაქტის“ სახელით. ძალაში შევიდა ას(წ)-ის ყველა წევრი-სათვის 1978 წელს, ანუ 9 წლის შემდეგ მისი შეზღუდვების დღიდან. თუ ადამიანის უფლებათა ნუსხა ეფუძნება ჯერ კიდევ 1948 წლის მაისში (ე.ი. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციამდე რამდენიმე თვით ადრე) მიღებულ დეკლარაციას ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ, მისი შეზღუდვების პროცესში მასში ბევრი რამ იყო შეტანილი მომდევნო საერთაშორისო აქტებიდან, მათ შორის, უფლებათა დაცვის მექანიზმის მხრივ. აქაც შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია და ადამიანის უფლებათა სასამართლო, რომლებსაც მიეკათ უფლება, მიეღოს საჩივრები ინდივიდებისაგან, აგრეთვე ადამიანთა ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან (იხ. *ევროპული კონვენცია ადამიანთა უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის*).

ანტისემიტიზმი (Anti-Semitism) – რასობრივი შოვინიზმის, ეროვნული და რელიგიური შეუწყნარებლობის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა. გამოიხატება ებრაელი ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ სიძულვილითა და მტრული დამოკიდებულებით. ტერმინი „ანტისემიტიზმი“ შემოიღეს გერმანელმა მეცნიერმა ვილჰელმ მარმა და ფრანგმა სოციოლოგმა ერნსტ რენანმა XIX ს-ის 70-იან წლებში, მაგრამ თვითონ მოვლენა საუკუნეებს ითვლის – თავს იჩენს იმ დროიდან, რაც ებრაელთა დიასპორა (ძვ. წ. IV ს-იდან) არსებობს. ა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად გამოიხატებოდა, კერძოდ, უფლებათა შეზღუდვიდან და რელიგიურ-ფსიქოლოგიური შეუწყნარებლობიდან დაწყებული, იძულებითი გასახლებით, დარბევითა და ფიზიკური მოსპობით (*გენოციდი*) დამთავრებული. ა და ებრაელთა გენოციდი ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი ნაცისტურ გერმანიაში, სადაც „ბიოლოგიური არასრულფასოვნებისა“ და „პარაზიტი ერის“ საბაბით რ მილიონი ებრაელი იქნა განადგურებული. ნაცისტური გერმანიის დამარცხებამ და ებრაელთა დევნის საერთაშორისო დაგმობამ ა-ს მძიმე დარტყმა მიაყენა. მიუხედავად ამისა, იგი საბოლოოდ არ არის აღმოფხვრილი და კვლავაც იჩენს ხოლმე თავს ცალკეული რეციდივების სახით. *გაერომ* და *ევროპის საბჭომ* მიიღეს სპეციალური რეზოლუციები რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და მსგავს მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად. *ევროპის საბჭოს* სისტემაში ეს ფუნქცია ეკისრება *რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართულ ევროპულ კომისიას*.

აპარტეიდი (Apartheid) – *საერთაშორისო დანაშაული. გენოციდისა-* განსხვავებით, იგი არ არის მიმართული ეროვნული თუ ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი ჯგუფების ფიზიკური განადგურებისაკენ, არამედ მიზნად ისახავს ასეთი ჯგუფების, მათი წევრების საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან იზოლირებას (იხ. *სეგრეგაცია*). ა რასობრივი დისკრიმინაციის ნაირსახეობაა. იგი ამკარად გამოიხატება გაბატონებული ეროვნების მხრიდან აღნიშნული ჯგუფების ექსპლუატაციის ყველაზე უღმობელი და არაადამიანური პოლიტიკითა და სათანადო მექანიზმების შექმნით. ა მძვინვარდება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში XX საუკუნის 90-იან წლებამდე – ევროპიდან გადმოსახლებულმა მოსახლეობამ დაამწყვდია აფრიკის, აზიის და სხვა კონტინენტის ფერადკანიანები (მოსახლეობის 80%) ე.წ. ბანტუსტანებში, საკონცენტრაციო ბანაკებში და შემოიღო ამ ბანაკებში მცხოვრები მოსახლეობისათვის განცალკევებული საზოგადოებრივი ცხოვრების წესები, სწავლა-განათლების უვარგისი სისტემა. ა-თან ბრძოლა სისხლისმღვრელი შეტაკებებით სრულდებოდა, ხოლო მებრძოლთა ლიდერებს სამუდამო პატიმრობას უსჯიდნენ (მათ შორის იყო დღევანდელი პრეზიდენტი მანდელა). *გაერო* აქტიურად იბრძოდა ა-ის რეჟიმის წინააღმდეგ, *გაეროს უშიშროების საბჭოს* გადაწყვეტილებით, მთელმა მსოფლიომ შეწყვიტა სამხრეთ აფრიკასთან პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო, კულტურული, სპორტული ურთიერთობანი. 1973 წელს დაიღო კონვენცია ა-ის დანაშაულების აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომელიც ა-ს მიაკუთვნებს *საერთაშორისო დანაშაულთა* რიცხვს, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა კატეგორიას. გაეროსა და სხვა რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით, თეთრკანიანთა რეჟიმი იძულებული გახდა, გაუქმებინა ა-ის რეჟიმი და მიეცა მოსახლეობის უმრავლესობისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზაციის უფლება. ეს პროცესი დაიწყო 1994 წლიდან.

აპატრიდი (Apatrid) – *მოქალაქეობის* არმქონე პირი, რომელიც არ არის მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე და არ გააჩნია საბუთი, რომელიც დაადასტურებდა, რომ ის უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეა. ა-ად ჩაითვლება ის პირიც, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი ქვეყნის მოქალაქეობა და არ იღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას. მოქალაქეობის არმქონე პირთა რიცხვის ზრდამ აუცილებელი გახადა, მიღებული ყოფილიყო ახალი საერთაშორისო კონვენციები: 1954 წლის კონვენცია ა-თა სტატუსის შესახებ, 1961 წლის კონვენცია ა-თა რაოდენობის შემცირების შესახებ, 1957 წლის კონვენცია გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ. ა, ისევე როგორც სხვა უცხო-

ელი, არ სარგებლობს ზოგიერთი პოლიტიკური უფლებით (მაგ., საარჩევნო უფლებით) და არ გააჩნია ზოგიერთი სახის მოვალეობანი. ყველა სხვა შემთხვევაში მოქალაქეობის არმქონე პირებს გარანტირებული აქვთ „კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები“ (იხ. *საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ* (1993, მე-8 მუხ.). საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის მიხედვით, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და მოვალეობანი მოეპოვებათ, გარდა კონსტიტუციითა და მოქალაქეობის კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (League of Arab States) – რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 22.III.1945 კაიროს კონფერენციაზე. 1950 წელს ლიგის წევრებმა წესდების დამატებით ხელი მოაწერეს თავდაცვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივ ხელშეკრულებას, ხოლო 1965 წელს – სოლიდარობის პაქტს, რომელიც თავისი ფორმით *საერთაშორისო ხელშეკრულება*. ასლ-ის მიზნებია: ლიგის წევრ სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის კოორდინაცია, *სუვერენიტეტის* დაცვა და *ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა*, უთანხმოებათა მშვიდობიანი მოგვარება, კოლონიური დამოკიდებულებისა და ნეოკოლონიალიზმისგან არაბეთის ქვეყნების სრული განთავისუფლებისათვის ერთობლივი ბრძოლა, მჭიდრო თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგებში, ლიგის წევრ სახელმწიფოთა შორის მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფა და სხვ. ლიგას აგრეთვე მიზნად აქვს დასახული, რომ თითოეულ სახელმწიფოში არსებული შინაგანი პირობების დაურღვევლად უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა ლიგის წევრ სახელმწიფოთა შორის შემდეგ საკითხებში: 1) ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები, მათ შორის: სავაჭრო ბაჟი, ფულის სისტემა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა; 2) გზები და კავშირგაბმულობა, მათ შორის: რკინიგზები, გზატკეცილები, ავიაცია, ნაოსნობა, ფოსტა და ტელეგრაფი; 3) კულტურის საკითხები; 4) *მოქალაქეობასთან*, პასპორტებთან, ვიზებთან, სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებასთან, *ექსტრადიციასთან* დაკავშირებული საკითხები; 5) სოციალური უზრუნველყოფა; 6) ჯანმრთელობის დაცვა.

სტრუქტურა. ასლ-ის უმაღლესი ორგანოა ლიგის საბჭო, რომელშიც შედიან ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ორჯერ. სესიებს შორის ლიგის ხელმძღვანელო-

ბას ახორციელებს გენერალური სამდივნო, რომელთანაც არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციის, პალესტინის საქმეების, ნავთობის საკითხებისა და სხვა დეპარტამენტები. სამდივნოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევენ. სამდივნოში ფუნქციონირებს: ა) ეკონომიკურ საკითხთა საბჭო; ბ) თავდაცვის გაერთიანებული საბჭო; გ) მუდმივი სამხედრო კომისია. ლიგის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე, ინსტიტუტები და სპეციალიზებული ორგანიზაციები (მათ შორის: არაბეთის შრომის ორგანიზაცია, არაბეთის ეკონომიკური ერთობის საბჭო, არაბეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდი, არაბეთის სავალუტო ფონდი), რომლებსაც იგი ფინანსურ დახმარებას უწევს. ასლ-ის შტაბ-ბინა განლაგებულია ქ. კაიროში. ოფიციალური ენაა არაბული.

არაკომბატანტი (Noncombatant) – *საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში* ეწოდება შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემაჯავალ პირებს, რომელთა ფუნქციებში შედის მხოლოდ შეიარაღებული ძალების მომსახურება (სამედიცინო პერსონალი, სამეურნეო ნაწილების წევრები, აგრეთვე ჟურნალისტები და სხვ.).

არალეგალური იმიგრაცია (Illegal immigration) – *საერთაშორისო ხასიათის დანაშაული*, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, აგრეთვე მის სუვერენიტეტს. 1949 წლის კონვენცია „მიგრანტი-მუშების შესახებ“ და კონვენცია „მიგრაციის სფეროში დარღვევებისა და უფლებათა ბოროტად გამოყენების შესახებ“, აგრეთვე 1975 წლის კონვენცია „მუშა-მიგრანტთა თანასწორუფლებიანობის დაცვის შესახებ“ ითვალისწინებენ იმიგრაციის ნორმათა დარღვევების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, აი-სათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული, აგრეთვე, იმ პირთა მიმართ, ვინც ხელს უწყობს აი-ს.

არაკირდაპირი დისკრიმინაცია (Indirect discrimination) – ეს მოვლენა აღინიშნება იმ შემთხვევებში, როდესაც ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: სამართლებრივი ნორმები, კრიტერიუმები და პრაქტიკა, ერთი შეხედვით, არ არის შემზღულდელი რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, *მოქალაქეობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის* საფუძველზე, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში არახელსაყრელ პირობებში აყენებს ზემოხსენებული ნიშნების საფუძ-

ველზე გამოყოფილ პირებს ან პირთა ჯგუფებს. მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებებში საბუშაოდ არ აიყვანენ აღნიშნული ნიშნების მქონე ადამიანებს, კონკურსში გასაუბრებისას განგებ ძნელ, აშკარად „ჩამჭრულ“ კითხვებს უსვამენ. იგივე ითქმის არასამთავრობო დაწესებულებებზე. აგრეთვე დაუსჯელი რჩება ამ კატეგორიის ადამიანთა მიმართ ყოველგვარი ძალადობა, როგორც რიგითი ადამიანების, ასევე პოლიციის მხრიდან. ყოფით დონეზე სწორედ აქ სუფევს (იხ. *დისკრიმინაცია, პირდაპირი დისკრიმინაცია*).

არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები (Non-international armed conflicts) – *საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებისაგან* განსხვავებით, აშშ მიმდინარეობს ერთი სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს (ჯგუფებს) შორის, რომელიც (რომლებიც) იბრძვის ხელისუფლების ხელში ჩაგდებისათვის ან ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის პრეტენზიით ცდილობს, დაეუფლოს გარკვეულ ტერიტორიას და შელახოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ასეთ ჯგუფს სათავეში უნდა ედგას პასუხისმგებელი სარდლობა და უნდა აწარმოებდნენ ეფექტიან კონტროლს მათ მიერ დაკავებული ტერიტორიის მიმართ.

საერთაშორისო კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებზე ვრცელდება *ჟენევის 1949 წლის კონვენციები 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ* და სხვა აქტები, თუ მეომარი მხარეები ცნობენ მათ იურიდიულ ძალას. თუ არა, ისინი მაინც ვერ აუვლიან გვერდს ჟენევის კონვენციებისა და ოქმების ძირითად დებულებებს, რომლებიც ჰუმანურობისა და ცივილიზაციის მონაპოვარია. ჟენევის კონვენციები არ გამოიყენება ავტომატურად. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აღიარებს მოწინააღმდეგე მხარე არსებულ *საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ომის კანონებსა და ჩვეულებებს*. ჟენევის კონვენციების მე-3 მუხლი ითვალისწინებს არასაერთაშორისო კონფლიქტებში ჩაბმულ ჯგუფებზე ჰუმანიზმით ნაკარნახევი წესების გავრცელებას. ეს მუხლი არ იხსენიებს ტყვეთა ინსტიტუტს. კონფლიქტში მონაწილე მხარეები მოვალენი არიან მოეპყრონ მათ ხელში ჩავარდნილ ნებისმიერ პირს (რომელიც დანებდა იარაღით ხელში ან ავადმყოფობის თუ დაჭრილობის გამო) ჰუმანურად და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობისა თუ სხვა ანალოგიური ნიშნებისა. ამ მიზნით იკრძალება მკვლელობა, დასახინ-

რება, წამება და სხვა მსგავსი ქმედებანი: მძევალთა აყვანა, ადამიანის ღირსების შელახვა, პირის გასამართლება და დასჯის ზომების გამოყენება წინასწარ დაწესებული სასამართლოს განაჩენისა და სასამართლო გარანტიების უზრუნველყოფის გარეშე. II ოქმი ასევე ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ხელთ ჩაუვარდნენ მოწინააღმდეგე მხარეს და გამოეთიშნენ ბრძოლას, ან მათი თავისუფლება იყო შეზღუდული კონფლიქტთან დაკავშირებით. 1977 წლის II დამატებითი ოქმი მთლიანად ეძღვნება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვას.

აშშ-ს მიეკუთვნება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ზოგიერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში მიმდინარე კონფლიქტები – საქართველოში (აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი), აზერბაიჯანში (მთიანი ყარაბაღი), მოლდოვაში (დნესტრისპირეთი), სადაც *აგრესიულმა სეპარატიზმმა* თავს მოახვია მთავრობებს შეიარაღებული კონფლიქტები. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა კონფლიქტი აფხაზეთში, სადაც საზღვარგარეთიდან შემოსული ძალები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველა ნორმის დარღვევით სასტიკად ეპყრობოდნენ არა მარტო მეომრებს, არამედ *მშვიდობიან მოსახლეობას*. (იხ. *ეთნიკური წმენდა*).

არასამთავრობო სამართაშორისო ორგანიზაცია (Non governmental international organization) – რამდენიმე სახელმწიფო საზოგადოებრივი ჯგუფის, კავშირის ან კერძო პირთა მიერ შექმნილი გაერთიანება პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო თუ სხვა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისა და გაღრმავების მიზნით. იმისათვის, რომ ასწ-ს სათანადო სტატუსი ჰქონდეს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ კრიტერიუმებს: საქმიანობას ეწეოდეს ორზე მეტ სახელმწიფოში, ამასთან, თავისი შემადგენლობით, მიზნებითა და ფინანსური მხარდაჭერით საერთაშორისო ხასიათის უნდა იყოს. ასეთი სტატუსი არ შეიძლება მიენიჭოს სხვა ორგანიზაციების ფილიალს, სასწავლო დაწესებულებას, დახურულ კლუბებს და სხვ. ბევრ ასწ-ს მჭიდრო კონტაქტი აქვს *მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებთან*. სათანადო შეთანხმების საფუძველზე ასწ-ს ენიჭება საკონსულტაციო სტატუსი. მაგ., *გაეროს სისტემის* ორგანოებში წარმოდგენილია რამდენიმე ასეული არასამთავრობო ორგანიზაციის მეთვალყურე, რომელთა უფლებები ზუსტად არის განსაზღვრული.

გაეროს წესდების მიხედვით (71-ე მუხ.), *გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო* (ეკოსოსი) უფლებამოსილია, გაატაროს სათანადო

ლონისძიებანი მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან კონსულტაციების მისაღებად. ჩამოყალიბდა საკონსულტაციო სტატუსის კატეგორიები — I, II და „სია“: I და II კატეგორიების ას(ო)-ს შეუძლია, დამკვირვებლის სტატუსით, დაასწროს წარმომადგენლები ეკოსოსის ღია სხდომას, მისი კომიტეტებისა და სასესიო ორგანოების მუშაობას, ხოლო „სიაში“ შეტანილ ას(ო)-ს შეუძლია დაასწროს ეს წარმომადგენლები მხოლოდ ისეთ სხდომებს, რომლებიც განიხილავენ ამ ორგანიზაციების კომპეტენციაში შემავალ საკითხებს. ას(ო)-ს შეუძლია გააკეთოს ზეპირი თუ წერილობითი განცხადებები; არ მონაწილეობს *გაეროს გენერალური ასამბლეის*, *გაეროს უშიშროების საბჭოსა* და საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობაში. თანამედროვე ეტაპზე ას(ო) მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მშვიდობის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგ., ორგანიზაცია „*საერთაშორისო ამნისტიის*“ საქმიანობა.

აფრიკული კავშირი (African Union) — რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. დაარსდა 25.V.1963 აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მესამე კონფერენციის გადაწყვეტილებით ადის-აბებაში (ეთიოპია). ორგანიზაციის წევრია 49 სახელმწიფო.

ორგანიზაციის მიზანია: ზრუნვა აფრიკის სახელმწიფოთა ერთიანობისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის, მათ შორის თანამშრომლობის განვითარება და კოორდინაცია, ღონისძიებათა გაერთიანება აფრიკის ხალხთა საარსებო პირობების გაუმჯობესებისათვის, სახელმწიფოთა *ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის*, *სუვერენიტეტის*, დამოუკიდებლობის დაცვა, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება *გაეროს წესდებისა* და *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის* საფუძველზე.

სტრუქტურა. ორგანიზაციის მთავარი ორგანოა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეა, რომელსაც წელიწადში ერთხელ იწვევენ. ასამბლეის გადაწყვეტილებათა და რეზოლუციათა შესრულების საქმეს განაგებს ორგანიზაციის მინისტრთა საბჭო. იგი შედგება საგარეო საქმეთა და სხვა მინისტრებისაგან, რომლებიც შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობების მიერ უფლებამოსილი არიან, მონაწილეობა მიიღონ ორგანიზაციის საქმიანობაში.

ბპ-ის ორგანოებია აგრეთვე: პანაფრიკული პარლამენტი, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისია, ტექნიკური კომიტეტები. ყველა ორგანოს ორგანიზაციულ-აღმასრულებელი საქმიანობის მომსახურება აკისრია მუდმივმოქმედ გენერალურ სამდივნოს. ორგანიზაციის ფარგლებში მუშაობს შუამავლობისა და არბიტრაჟის კომისია. გარდა ამისა, არსებობს მრავალი სპეციალიზებული ორგანო — ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომისია, განათლებისა და კულტურის საკითხთა კომისია, თავდაცვის საკითხთა კომისია და სხვ. ზემოჩამოთვლილ ორგანოებთან შექმნილია მუდმივი დამხმარე ორგანოები, რომელთა მიზანია *რასიზმისა* და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბპ-ის წევრ სახელმწიფოთა ბრძოლის კოორდინაცია, მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გაკონტროლება და ა.შ.

1986 წელს ამოქმედდა „აფრიკის წესდება (ქარტია) ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ“, რომლის საფუძველზე შეიქმნა ადამიანის და ხალხთა უფლებათა აფრიკული კომისია. ძირითადად, მისი კომპეტენცია ემსგავსება სხვა რეგიონალური ორგანიზაციების მექანიზმებს (იხ. *ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია*, *ევროპის საბჭო*) და ითვალისწინებს, ქარტიაში მონაწილე სახელმწიფოების პასუხისმგებლობას ცალკეული პირების, პირთა ჯგუფების უფლებების დარღვევისათვის, რისთვისაც დაწესებულია ამ პირთა მიერ წარმოდგენილი საჩივრების (განაცხადების) განხილვის პროცედურები. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული სასამართლოს შექმნა (ჯერ არ ჩამოყალიბებულა).

შტაბ-ბინა აღის-აბებაშია (ეთიოპია). სამუშაო ენებია: არაბული, ფრანგული, ინგლისური.

- ბ -

ბავშვთა უფლებები (Rights of the child) – განსაზღვრულია საერთაშორისო აქტებით (როგორც სარეკომენდაციო, ისე იურიდიულად საკლდებულო ხასიათის) ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელიც *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* 20.XI.1989 მიიღო. კონვენციაში მონაწილეობს *გაეროს* თითქმის ყველა წევრი სახელმწიფო, საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1995 წელს.

ბიპატრიზმი (ორმოქალაქეობა) (Bipatrimism) – ამა თუ იმ პირის ყოფნა ერთდროულად ორი ან მეტი ქვეყნის *მოქალაქეობაში*, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით. მაგ., ბ-ად ითვლება შემთხვევა, როდესაც ქალი თხოვდება *უცხოელზე*, მაგრამ არ კარგავს თავის მოქალაქეობას, ხოლო ქმრის სახელმწიფოს კანონებით ამ სახელმწიფოს მოქალაქეობას იღებს. ამგვარ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს ბავშვიც, რომლის მშობლებსაც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობა აქვთ.

სხვადასხვა სახელმწიფოში ორმაგი მოქალაქეობის დაშვებისა და ამ სტატუსის საკითხი სხვადასხვაგვარად წყდება. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია გამორიცხავს ორმაგ მოქალაქეობას. კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია: „საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე“. ორმაგი მოქალაქეობა არ დაიშვება აგრეთვე ლიტივის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის კონსტიტუციებით. რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს უფლება აქვს იქონიოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობაც (ე.ი. ორმაგი მოქალაქეობა). ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციით ნებადართულია ორმაგი მოქალაქეობა, მაგრამ, ამასთან, დაწესებულია გარკვეული შეზღუდვები. მაგ., უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები შეიძლება დაიკავონ სახელმწიფოს მხოლოდ მკვიდრმა მოქალაქეებმა. პაავის 1930 წლის კონვენცია – „ზოგიერთი საკითხი, რომელიც მოქალაქეობის შესახებ კოლიზიურ კანონებს ეხება“ – განსაზღვრავს რამდენიმე სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირთა სტატუსს, კერძოდ, იმას, რომ ყოველი სახელმწიფოს მიერ ისინი განიხილებიან როგორც საკუთარი მოქალაქეები, როდესაც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ამგვარ პირებს მთელი მოცულობით ეხებათ მათი

მოქალაქეობრივი სტატუსის შესაბამისი უფლება-მოვალეობანი. ორმაგი მოქალაქეობა სათანადო პირს არა მარტო უფლებებს ანიჭებს, არამედ უფართოებს მოვალეობებსაც. არცერთი სახელმწიფო, რომელიც ორმაგ მოქალაქეობას აღიარებს, არ აძლევს ამგვარ მოქალაქეებს რაიმე შეღავათს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას. ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, ასეთი პირი პასუხისმგებელია იმ სახელმწიფოს წინაშე, სადაც ის ცხოვრობს და თავისი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობს.

ბ-ის მარეგულირებელი რაიმე ერთიანი სამართლებრივი ნორმა არ არსებობს. სახელმწიფოები ცდილობენ, ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებით გადაწყვიტონ. ასეთია, მაგ., საქართველოსა და უკრაინას შორის 28.X.1997 დადებული ხელშეკრულება ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევებისა და უკვე არსებული ორმაგი მოქალაქეობის თავიდან აცილების შესახებ (ძალაში შევიდა 2.X.1999).

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-12 მუხლში 06.02.2004 შეტანილი ცვლილების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ორმაგი მოქალაქეობა აკრძალულია, დაშვებულია შემთხვევები, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

ბრალდებულნი (Accused person) – სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული პირი. ბრალდებულად ითვლება პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია გამომძიებლის ან პროკურორის მიერ დადგენილება მისი ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. დადგენილება უნდა შეიცავდეს იმ ქმედების აღწერას, რომლის ჩადენაც ბრალად ედება პირს, და მის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციას. ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა, ალბათობის მაღალი ხარისხით დამტკიცდეს, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.

ბ-ს უფლება აქვს, ყველა კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, ჰქონდეს საკმაო დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს დაცვისათვის.

ბ-ს აქვს ეჭვმიტანილის ყველა საპროცესო უფლება. ბრალდების წაყენებისას ბრალდებულს გადაეცემა მის მშობლიურ ან მისთვის გასაგებ ენაზე თარგმნილი დადგენილების ასლი ბრალდებულად პასუხ-

ისგებაში მიცემის შესახებ. ბ-ს უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი გამოძიებლისა და პროკურორის მოქმედებების მიმართ, ნათესაებებსა და ახლობლებს შეატყობინოს თავისი დაპატიმრების შესახებ, მიიღოს უკანონო და დაუსაბუთებელი დაპატიმრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ბ-ს უფლება აქვს აგრეთვე: ხელზე მიიღოს მისი ბრალდებულად დაკავების შესახებ დადგენილების ასლი, გაეცნოს დადგენილებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტის დასკვნას, განახორციელოს ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით კანონით დადგენილი უფლებები; გაეცნოს საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას, რომლებიც ადასტურებს მისთვის წაყენებულ ბრალდებას; მოითხოვოს დაპირისპირება იმ პირთან, რომელიც ამხელს მას დანაშაულის ჩადენაში; მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების სავალდებულო ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულებანი, რომლებიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; წარუდგინოს გამოძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს კერძო გამოძიების მონაცემები, რომლებიც აუცილებლად უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს; წინასწარი გამოძიების დამთავრების, მათ შორის, საქმის შეწყვეტის დროს დამოუკიდებლად ან დამცველთან ერთად გაეცნოს საქმის მთელ მასალას, ამოიწეროს საქმიდან ყველა საჭირო ცნობა, გადაიღოს ასლები, გამოძიების არა სრული სახით ჩატარების თაობაზე განაცხადოს შუამდგომლობა, რომლის განხილვაც სავალდებულოა; უარი თქვას დამცველზე და თავი დაიცვას დამოუკიდებლად და სხვ.

ბუდაპეშტის სამიტი (Budapest Summit) – იხ.: *ეუთო, ეთნიკური წმენდა*.

ბუნებითი სამართალი (Natural Law) – იხ. *ბუნებითი სამართლის სკოლა*.

ბუნებითი სამართლის სკოლა (Natural Law School) – *საერთაშორისო სამართლის* დოქტრინა, რომელმაც მოიკიდა ფეხი XVII-XVIII სს-ში და საერთაშორისო სამართლის ნორმებად აღიარებდა მხოლოდ ღმერთის ნაბოძებ ბუნების კანონებს, რომლებიც ვლინდება ადამიანის გონებით და სტიქიურად იქცევა იურიდიულად სავალდებულო ძალად სახელმწიფოთა, ხალხთა შორის ურთიერთობებში. ბსს აცხადებდა პრიმატს პოზიტიურ (იხ. *პოზიტივიზმი*) ანუ სახელმწიფოების, ადამიანების მიერ შექმნილ სამართალზე. ბსს დროე-

ბით კარგავს ზეგავლენას XIX ს-ის დამლევს, როდესაც საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკასა და თეორიაში იმარჯვებს პოზიტივისტური მიდგომა – მხოლოდ სახელმწიფოთა საერთო ან კერძო თანხმობით ჩამოყალიბებულ ნორმებს (*საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმას*) შეეძლო ჰქონოდა იურიდიულად საკვალდებულო ძალა (იხ. *წყაროები საერთაშორისო სამართლისა*).

XX ს-ის შუა წლებიდან კვლავ ძლიერდება ბსს, რაც განპირობებული იყო ფაშისტური და კომუნისტური იდეოლოგიითა და პრაქტიკით, მათი მხრიდან დასავლური ფასეულობების შერყევისა და ლიკვიდაციის შიშით (მაგ., ახალი ბსს).

- 3 -

გადაადგილების თავისუფლება (Freedom of movement) – ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება, რომელიც განმტკიცებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო აქტებით (*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით*, მე-13 მუხ.; საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-12 მუხ.).

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი უზრუნველყოფს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პირთა თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლებას. ამ მუხლის მიხედვით:

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“.

საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი იცავს პირის უფლებას, სახელმწიფოს კონტროლისა და ნებართვის გარეშე თავისუფლად გადაადგილდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და თავისუფლად აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი.

საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ვრცელდება ნებისმიერ პირზე და არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, რაც დასტურდება ტერმინით – „ყველა“, რომელიც გამოყენებულია აღნიშნულ მუხლში. ამდენად, თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება უზრუნველყოფილია ნებისმიერი პირისათვის, მისი მოქალაქეობრივი სტატუსის მიუხედავად. კონსტიტუციიდან გამომდინარე, იკრძალება რაიმე განსხვავებული რეჟიმის დადგენა მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს შორის ამ უფლებასთან დაკავშირებით.

კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცულია როგორც პირის უფლება – სახელმწიფოს ნებართვის გარეშე დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილი აირჩიოს, ისე დროებით საცხოვრებლად სხვა ადგილას გადავიდეს (მაგ., აგარაკზე). ცხადია, რომ პირს შეიძლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს.

კონსტიტუციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს საქართველოში კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის ქვეყნის დატოვების უფლებას. ეს უფლება ვრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე სხვა სახელმწიფოს მფარველობაში მყოფ ნებისმიერ პირზე. საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლება არ ნიშნავს, რომ მას ყოველთვის აქვს უფლება, შევიდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც დატოვა საქართველოს ტერიტორია, შეიძლება არ მიეცეს სხვა სახელმწიფოში შესვლის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ ადგენს, რომ „საქართველოს მოქალაქეს აქვს საქართველოდან დროებითი გასვლის და საქართველოში შემოსვლის უფლება.“ ამავე კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, რომ „საქართველოს მოქალაქეს ნებისმიერ დროს უფლება აქვს შემოვიდეს საქართველოში, რისთვისაც ნებართვა არ სჭირდება“. ამ დებულების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს არ შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე.

საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლება უზრუნველყოფილია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთათვის. შესაბამისად, უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებზე არ ვრცელდება იმის გარანტია, რომ ისინი თავისუფლად შემოვიდნენ საქართველოში.

უცხოელების მიმართ საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის დებულებები დაზუსტებულია კანონში „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (1993 წლის 3 ივნისი), რომელიც უცხოელად მიიჩნევს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს. კანონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში უცხოელთა სამართლებრივ სტატუსს, უფლებებსა და მოვალეობებს, ადგენს, რომ უცხოელები საქართველოში თანასწორი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად.

საქართველოს კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც აისახა მის 22-ე მუხლში, ზემოაღნიშნული კანონის მე-18 მუხლი ითვალისწინებს, რომ უცხოელები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებით. ამასთან, კანონი ითვალისწინებს, რომ „უცხოელთა მიმოსვლა და მათ მიერ საცხოვრებელი ადგილის არჩევა საქართველოში შეიძლება შეიზღუდოს, როცა ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობის, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად“.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კონსტიტუციის 22-ე მუხლით დაცული უფლებების დარღვევისათვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საქართველოში კანონიერად მყოფისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ან საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში თავისუფლად შემოსვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ექვს თვემდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. იგივე ქმდება, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ერთ წლამდე ვადით, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

ბაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nations) – იხ. გეოგრაფია.

ბაეროს ადამიანის უფლებათა კომისია (UN Commission on Human Rights) – გეოგრაფია, ეკონომიკური და სოციალური საქმის დამხმარე ორგანო, რომელიც 1946 წელს შეიქმნა გეოგრაფია წესდების საფუძველზე (68-ე მუხ.). კომისია გეოგრაფია ძირითადი ორგანოა ადამიანის უფლებათა სფეროში. იგი შედგება სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. კომისია, ამ წესდების შესაბამისად, (55-ე-56-ე მუხ.) ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვას. იგი გეოგრაფია ჟენევის განყოფილებაში ყოველწლიურად მართავს სესიებს.

ბაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი (UN High Commissioner for Human Rights) – ხელმძღვანელი დაწესებულების, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს *გაეროს* ფარგლებში სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვას. დაკისრებულ ფუნქციებს იგი ასრულებს ადამიანის უფლებათა სფეროში *გაეროს* საქმიანობის კოორდინაციის, სახელმწიფოებთან დიალოგისა და *ადამიანის უფლებათა* შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით. სამსახურს ხელმძღვანელობს *გაეროს* ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი (ეს თანამდებობა დაარსებულია *გაეროს გენერალური ასამბლეის* 23.XII.1993 რეზოლუციით), რომელიც თანამდებობრივად *გაეროს გენერალური მდივნის* მოადგილეა ადამიანის უფლებათა საკითხებში. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის სამსახურის ადგილსამყოფელია ქ. ვენევა (შვეიცარია).

ბაეროს ამოცანები (UN Aims) – *გაეროს წესდების* პრეამბულაში ჩამოყალიბებულია ის ამოცანები, რომლებიც დაისახეს ორგანიზაციის შემქმნელებმა: „ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა, აღსავსებმა მტკიცე სურვილით, ავაცილოთ მომავალ თაობებს უბედურებანი ომისა, რომელმაც ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში ორჯერ მოუტანა კაცობრიობას აუწერელი მწუხარება, გადაეწყვიტეთ, კვლავ განვატკიცოთ ადამიანის ძირითად უფლებათა, ადამიანის პიროვნების ღირსების და ღირებულების, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის და დიდი და პატარა ერების თანასწორობის რწმენა, შევექმნათ პირობები, რომელთა დროსაც შესაძლებელი იქნება სამართლიანობის დაცვა, აგრეთვე ხელშეკრულებებიდან და *საერთაშორისო სამართლის* სხვა წყაროებიდან (იხ. *წყაროები საერთაშორისო სამართლისა*) გამომდინარე ვალდებულებებისადმი პატივისცემა, ხელი შევეწყოთ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას უფრო მეტი თავისუფლების პირობებში“...

ბაეროს ბენერალური ასამბლეა (UN General Assembly) – *გაეროს* ერთ-ერთი ძირითადი ორგანო, რომელიც შედგება *გაეროს* ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან. ყოველი სახელმწიფო უფლებამოსილია, დაასწროს ასამბლეის სესიას ხუთი წარმომადგენელი, თუმცა ყოველ დელეგაციას მხოლოდ თითო ხმა აქვს. სესია იკრიბება ყოველი წლის სექტემბრის მესამე სამშაბათს. რიგგარეშე სპეციალური სესიები მოიწვევა ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნით ან უმრავლესობისაგან თანხმობის მიღების საფუძველზე.

სპეციალური სესია მოიწვევა 24 საათში. სესია ირჩევს თავმჯდომარესა და მის 21 მოადგილეს გეოგრაფიული რეგიონების სამართლიანად წარმოდგენის პრინციპის დაცვით. ეს რეგიონებია: დასავლეთ ევროპისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოები, ლათინური ამერიკა და კარიბი, აფრიკა, აზია-წყნარი ოკეანე და აღმოსავლეთი ევროპა.

მუშაობა წარმოებს ასამბლეის პლენარულ და კომიტეტების სხდომებზე. იქმნება 7 კომიტეტი: პირველი – პოლიტიკური და განიარაღების საკითხები; მეორე – ეკონომიკური და ფინანსური საკითხები; მესამე – სოციალური და ჰუმანიტარული საკითხები; მეოთხე – დეკოლონიზაციის საკითხები; მეხუთე – ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხები; მეექვსე – სამართლებრივი საკითხები; სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი. მოქმედებს აგრეთვე ორი პროცედურული კომიტეტი: ა) გენერალური კომიტეტი (თავმჯდომარის, მისი 21 მოადგილის, შვიდივე დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარეთა შემადგენლობით), რომელიც განაგებს დღის წესრიგს, მუშაობის წესსა და სხვა ამგვარ საკითხებს; ბ) რწმუნებათა შემოწმების კომიტეტი. გარდა ამისა, ასამბლეამ შექმნა გაეროს რამდენიმე მუდმივი ორგანო: სარევიზიო კომისია, ინვესტიციების კომიტეტი, გაეროს პერსონალის საქენსიო ფონდის კომიტეტი, *საერთაშორისო სამართლის კომისია* და სხვ.

ბაეროს ბენერალური მდივანი (UN Secretary General) – გაეროს წესდების თანახმად, გაეროს უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი. იგი გვევლინება იმ პოლიტიკურ და დიპლომატიურ პირად, რომელიც გაეროს წარმოადგენს საერთაშორისო ასპარეზზე, უფლებამოსილია, გაეროს უშიშროების საბჭოს ყურადღება გაამახვილოს ყველა ისეთ მოვლენაზე, რომელიც, მისი აზრით, ეუქრება სახელმწიფოთა მშვიდობასა და უშიშროებას. ბზმ-ს ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა ხუთი წლის ვადით უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე (ამ შემთხვევაში მოქმედებს დიდ სახელმწიფოთა ერთხმეობის პრინციპი). გაეროს დაარსებიდან დღემდე ბზმ-ის პოსტზე სულ შვიდი პირი იყო არჩეული: 1945–53 – ტრიუგველი (ნორვეგია), 1953–61 – დაგ ჰამარშელდი (შვედეთი), 1961–71 – უ ტანი (ბირმა), 1972–81 – კურტ ვალდჰაიმი (ავსტრია), 1982–91 – ჰავერ პერეს დე კუელიარი (პერუ), 1992–96 – ბუტროს-ბუტროს გალი (ეგვიპტე), 1997-დან – კოფი ანანი (განა).

ყოველწლიურად ბზმ ამზადებს მოხსენებას, რომელშიც ასახულია გაეროს საქმიანობა და პრიორიტეტულ მიმართულებათა გეგმები. ბოლო წლებში ჩამოყალიბდა ბზმ-ის სპეციალური (პირადი) წარმომადგენლის ინსტიტუტი, რომელიც თავის ასეთ წარმომადგენელს გზავნის

ამა თუ იმ რეგიონში არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს მხარეთა შორის კომპრომისის მოსაძებნად. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის თუ არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების პროცესში გაეროს უშიშროების საბჭოში საკითხის განხილვისას გადამწყვეტ როლს ასრულებს ბზმ-ის მოხსენებები, რომლებიც მისი პირადი წარმომადგენლის ინფორმაციას ემყარება.

ბაეროს დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისია (UN Subcommission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities) – იხ. გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ბაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია (UN Subcommission on promotion and protection on human rights) – იხ. გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ბაეროს 1985 წლის დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ (UN Declaration on Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power) – 1985 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ. დეკლარაციაში მოცემულია დანაშაულის მსხვერპლის განსაზღვრება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ტერმინი „მსხვერპლი“ აღნიშნავს პირს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაყენეს ზიანი, მათ შორის: სხეულის დაზიანება ან მორალური ზარალი, ემოციური ტანჯვა, მატერიალური ზარალი, ან მოხდა მის ძირითად უფლებათა საფუძვლიანი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომლებიც არღვევენ წევრი სახელმწიფოების მოქმედ ეროვნულ სისხლის სამართლის კანონებს, მათ შორის კანონებს, რომლებიც კრძალავენ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ დანაშაული ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ იწვევს როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ისე მისი ახლობლების სხეულის დაზიანებას და ფსიქოლოგიურ ტრავმას. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ პოლიციისა და მართლმსაჯულების ორგანოებმა თავიანთი არამართლზომიერი მოქმე-

დებით შეიძლება უფრო გაამძაფრონ დაზარალებულებისა და მოწყვეთების მდგომარეობა. დანაშაულისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ დაზარალებულისათვის და მისი ოჯახისათვის მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით, დეკლარაციაში შემუშავებულია რიგი ზომებისა, რათა: დაზარალებულები უკეთ იყვენენ ინფორმირებულნი; ხელი შეუწყონ და დაეხმარონ მათ, მიიღონ ზარალის ანაზღაურება დამნაშავისაგან, ზოგიერთ შემთხვევაში კი სახელმწიფოსაგანაც; ესწრებოდნენ და ყოველთვის იქნენ მოსმენილნი, როდესაც საქმე ეხება მათი ინტერესების დაცვას; მათ მოეპყრონ სამართლიანად როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აღსრულებისას; დაცულ იქნენ ყოველგვარი რეპრესალიებისა და დაშინებისაგან.

დეკლარაციაში ჩამოთვლილია ის ორგანოები, რომლებიც მოწოდებული არიან, განახორციელონ მუშაობა დაზარალებულებთან. მაგალითად, პოლიციის ორგანოები, სოცუზრუნველყოფის ორგანოები და სხვა.

ანალოგიური ზომებია გათვალისწინებული ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისას დაზარალებულთა დაცვის დროს. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დაზარალებულებისათვის ზიანის ანაზღაურებას.

ბამროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (UN Economic and Social Council) – *გაეროს* ერთ-ერთი ძირითადი ორგანო. შედგება 54 წევრისაგან, რომლებსაც ირჩევს *გაეროს გენერალური ასამბლეა*. საბჭო: ა) უზრუნველყოფს ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობას; ბ) სწავლობს და იკვლევს საერთაშორისო ვითარებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ბევრ სხვა დარგში, ადგენს მოხსენებებს და იძლევა სათანადო რეკომენდაციებს; გ) რეკომენდაციას იძლევა *ადამიანის უფლებებისა* და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის დაცვისა და წახალისებისათვის; დ) იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს და ამუშავებს სათანადო კონვენციების პროექტებს *გაეროს გენერალურ ასამბლეაში* წარსადგენად; ე) აწარმოებს მოლაპარაკებას *გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებებთან*. საბჭოსთან შექმნილია დამხმარე ორგანოები: *გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია*, *ქალთა უფლებების კომისია* და სხვ.

ბამროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UN High Commissioner for Refugees) – იხ.: *ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის სამსახური*.

ბაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახური (UN Office of High Commissioner for Refugees) – *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ შექმნილი დაწესებულება მეორე მსოფლიო ომის შედეგად ლტოლვილთა პრობლემების მოგვარებაში ხელშეწყობის მიზნით. ამ პრობლემების მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს სამსახურის მანდატი. სამსახურის წესდება 1950 წელს მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. სამსახური მოქმედებს ამ წესდების, აგრეთვე ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის საფუძველზე. სამსახურის საქმიანობა, მისი წესდების თანახმად, ჰუმანიტარულია და იგი პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებს. სამსახურის მანდატი ვრცელდება არა მარტო ლტოლვილებზე, არამედ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებზეც (იხ. *ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები*). სამსახურს მართავს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის წევრებს ირჩევს *გაეროს ეკონომიკური და სოციალური სამსახური*. კომიტეტი განსაზღვრავს სამსახურის პოლიტიკას, ადგენს მის ბიუჯეტს. სამსახურის საქმიანობას ხელმძღვანელობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი. სამსახურის ძირითადი დამფინანსებლები არიან სახელმწიფოები, *საერთაშორისო ორგანიზაციები* და კერძო პირები. სამსახურის დაფინანსების ერთ-ერთი წყაროა აგრეთვე გაეროს ბიუჯეტი.

ბაეროს მიზნები და პრინციპები (UN Purposes and Principles) – ჩამოყალიბებულია *გაეროს წესდებაში*. გაეროს მიზანია: განავითაროს მეგობრული, მშვიდობიანი ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის; განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ჰუმანიტარული პრობლემების გადასაწყვეტად, აგრეთვე *ადამიანის უფლებებისა* და ძირითად თავისუფლებათა – *რასის, ენისა და სარწმუნოების* მიუხედავად – პატივისცემის წახალისებასა და განვითარებაში. *გაეროს წესდება* ვერდნობოდა შეიდ პრინციპს, მათ შორის სახელმწიფოთა *სუვერენული თანასწორობის* პრინციპებს; ორგანიზაციის ყველა წევრი კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს წესდებით ნაკისრ ვალდებულებებს; წევრი სახელმწიფოები უნდა წვეტდნენ თავიანთ საერთაშორისო დავებს მშვიდობიანი საშუალებებით და ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებასა და სამართლიანობას; ისინი თავს უნდა იკავებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებისა და ძალით დაშუქებისაგან სხვა სახელმწიფოთა მიმართ; ხელს უნდა უწყობდნენ ორგანიზაციის მიერ მისი წესდების თანახმად ჩატარებულ

ყველა ღონისძიებას და თავს იკავებდნენ იმ სახელმწიფოს დახმარებისაგან, რომლის წინააღმდეგ მოქმედებს ორგანიზაცია (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*). ორგანიზაციას არა აქვს უფლება, ჩაერთოს წევრი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში („შინაგან კომპეტენციაში“), თუ ამას არ მოითხოვს იძულებითი ზომების გამოყენების აუცილებლობა (იხ. *ჩაურევლობა*).

ბაპროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“) (UN Minimum Rules for Administration of Juvenile Justice – Beijing Rules) – *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ 29.XI.1985 მიღებული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა უფლებრივ გარანტიებს მართლმსაჯულების განხორციელებისას. ეს წესები ადგენენ ისეთ სამართლებრივ გარანტიებს, როგორებიცაა: უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების გაცნობის უფლება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ადვოკატის აყვანის უფლება, მშობლების ან მზრუნველის დასწრების უფლება, მოწმებთან პირისპირ შეხვედრის უფლება, ზემდგომ ინსტანციაში აპელაციის უფლება და სხვ.; განსაზღვრავენ გამოძიებისა და სასამართლოს წესით დადგენილ სამართლებრივ გარანტიებს, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის წესს, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარებას და სხვ. აღნიშნული წესები არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება მიუკერძოებლად და დისკრიმინაციის გარეშე. ამ წესებს სავალდებულო იურიდიული ძალა არ გააჩნიათ, ისინი რეკომენდაციებია და სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს, მისცეს თუ არა ამ წესებს კანონის ძალა, თუმცა ყველა სახელმწიფო ცდილობს, სამართალდამცველი და მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობა ამ პრინციპების შესაბამისად წარმართოს.

ბაპროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში (UN bodies for the protection of Human Rights) – როგორ ასრულებს ესა თუ ის სახელმწიფო საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს, კერძოდ, აღნიშნულ სფეროში, ეს მის საშინაო საქმედ არის მიჩნეული. მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოები აღიარებენ საერთაშორისო ორგანოების იმ უფლებას, რომ მათ კონტროლი გაუწიონ სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. *გაეროს* ფუნქციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გათვალისწინებულია *გაეროს წესდების* პრეამბულასა

და შემდეგ მუხლებში: 1-ლი (მე-3 პუნქ.), მე-13, 55-ე, 56-ე, 62-ე და 72-ე. გაეროს ის ძირითადი ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადამიანის უფლებათა საკითხები, არის *გაეროს გენერალური ასამბლეა* და *გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო*. ადამიანის უფლებათა საკითხების უმრავლესობა განიხილება გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე. პირველად საკითხებს იხილავენ მესამე კომიტეტში (სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული საკითხების კომიტეტი). ზოგიერთი საკითხი გადაეცემა სხვა კომიტეტსაც. ყოველი კომიტეტი საკითხს განიხილავს დღის წესრიგის მიხედვით და განხილვის დამთავრებისთანავე უგზავნის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას სპეციალურ მოხსენებას, სადაც აღნიშნულია კენჭისყრის შედეგებიც.

გენერალურ ასამბლევას უფლება აქვს, საკითხის მოსამზადებლად შექმნას დამხმარე ორგანოები, რასაც იგი ხშირად აკეთებს. გენერალური ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში აქტიურ ხელმძღვანელობას ეწევა ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი). საბჭოს მთავარი დამხმარე ორგანო ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში არის ადამიანის უფლებათა კომისია, რომელიც 1946 წელს შეიქმნა. ამჟამად კომისიას ჰყავს 53 წევრი: 15 წევრი აფრიკიდან, 12 – აზიიდან, 11 – ლათინური ამერიკიდან, 10 – დასავლეთ ევროპიდან და ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან, 5 – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. კომისიის წევრები აირჩევიან ოთხი წლის ვადით, ყოველწლიურად ხდება კომისიის შემადგენლობის ერთი მესამედის განახლება. კომისია უფლებამოსილია, ამა თუ იმ სახელმწიფოში შექმნილი სიტუაციის გასარკვევად, შექმნას სპეციალური ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი, რომლებიც მთავრობათა მიერ არ არიან აღნიშნულნი.

1947 წელს ადამიანის უფლებათა კომისიამ შექმნა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის გაეროს ქვეკომისია (1999 წლიდან მისი სახელწოდებაა „ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია“), რომლის დღის წესრიგი ყოველთვის გადატვირთულია. ქვეკომისიას სპეციალური მომხსენებლები წინასწარი განხილვისათვის გადასცემენ მოხსენებებს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიცაა: *ხალხთა თვითგამორკვევის უფლების* განვითარების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა, აბორიგენი მოსახლეობის დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ა.შ. ქვეკომისიის დღის წესრიგში ყოველთვის დგას საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის შესახებ ამა თუ იმ ქვეყანაში. 1970 წლიდან ქვეკომისია იხილავს საჩივრებს ადამიანის

უფლებათა უხეში და სისტემატური დარღვევის შესახებ. ქვეყომისიის კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული კერძო საჩივრების განსჯა, იგი საჩივრების საერთო ანალიზის საფუძველზე არკვევს, თუ რამდენად მასობრივი, უხეში და სისტემატურია ეს დარღვევები, და თავის დასკვნებს გადასცემს ადამიანის უფლებათა კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, აწყობს მათ განხილვას, რაც შეიძლება დამთავრდეს „დამნაშავე“ სახელმწიფოსათვის მითითების მიცემით *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ, თუკი *საერთაშორისო დანაშაული* არ არის ჩადენილი. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოებზე ზემოქმედების აღნიშნული სისტემა საკმაოდ ეფექტიანი გამოდგა, თუმცა დღეს იგი ადგილს უთმობს *ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმებს*.

ბამროს საქრთაშორისო სასამართლო (UN International Court of Justice) – შედგება 15 მოსამართლისაგან, რომლებიც აირჩევიან 9 წლის ვადით. მოსამართლეები სასამართლოში წარმოადგენენ მსოფლიოში არსებულ მთავარ სამართლებრივ სისტემებს. ერთ სახელმწიფოს ამ სასამართლოში მხოლოდ ერთი მოსამართლე შეიძლება ჰყავდეს; ყოველი მოსამართლე სასამართლოში მოქმედებს პირადად, ანუ მოსამართლეები არ წარმოადგენენ თავიანთი სახელმწიფოების ინტერესებს. ბსს *გაეროს* ერთ-ერთი მთავარი ორგანოა (იხ. XIV თავი), რომელსაც აქვს საკუთარი წესდება (სტატუტი): იგი ხელმოწერილ იქნა *გაეროს წესდებასთან* ერთად და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს. სასამართლო იხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, სადაც მხარეებად გაეროს წევრი სახელმწიფოები გამოდიან. სასამართლო იძლევა საკონსულტაციო დასკვნებს, თუ საამისოდ მიმართავს *გაეროს გენერალური ასამბლეა* ან *გაეროს უშიშროების საბჭო*, ან ამათგან პირველის ნებართვით რომელიმე სხვა ორგანო.

სამართლის წყაროები, რომლებსაც სასამართლო საქმის განხილვისას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე იყენებს, შემდეგია: ა) საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც მოდავე სახელმწიფოების მიერ აღიარებულ წესებს ადგენენ; ბ) საერთაშორისო ჩვეულება როგორც საერთაშორისოსამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*); გ) სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ; დ) სასამართლო გადაწყვეტილებანი და საჯარო სამართლის ყველაზე კვალიფიციურ სპეციალისტთა დოქტრინა (შეხედულება, მოძღვრება) როგორც დამხმარე საშუალება სამართლებრივი ნორმის დასადგენად. თუ მხარეები თანახმანი იქნებიან, სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს საქმე *ex aequo et bono* (სამარ-

თლიანად და კეთილსინდისიერად). სასამართლო წარმოებაში მხოლოდ მაშინ იღებს საქმეს, თუ ორივე მოდავე თანახმაა მის იურისდიქციაზე. წერილობითი თანხმობა შეიძლება ეხებოდეს ან კონკრეტულ საქმეს, ან იყოს მომავალში შემოსატანი საქმის მიმართ სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციის წინასწარი აღიარება, ანდა ეყრდნობოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებაში არსებულ დებულებებს ბსსს-ს სავალდებულო იურისდიქციის შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია, აიძულოს ურჩი მხარე, შეასრულოს გადაწყვეტილება.

ბაეროს სამდივნო (UN Secretarial) – გაეროს ერთ-ერთი მთავარი ორგანო. შედგება პირებისაგან, რომლებსაც ევალებათ ორგანიზაციის ორგანოების მუშაობის უზრუნველყოფა, დაწყებული სესიების თუ სხდომების ტექნიკური მომსახურებიდან (სხდომათა დარბაზებით უზრუნველყოფა, დოკუმენტების *ოფიციალურ და სამუშაო ენებზე* თარგმნა და გავრცელება, სინქრონული თარგმანი, სხდომების დროს რეზოლუციების პროექტების დროული თარგმნა და დარიგება, შესწორებების აღნუსხვა და პროექტებში შეტანა, კენჭისყრის პროცედურის უზრუნველყოფა). ამას ძირითადად ასრულებენ ე.წ. საერთო სამსახურის მუშაკები (კატეგორია G).

სამდივნოს მიეკუთვნება ე.წ. პროფესიონალების კატეგორიაც (P-1, P-2, P-3, P-4, P-5), აგრეთვე მაღალი რანგის ხელმძღვანელთა კატეგორია – „დირექტორები“ (D-1 და D-2), გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეები და თანამშემწეები. სამდივნოს სათავეში დგას მისი მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი – *გაეროს გენერალური მდივანი*. „პროფესიონალები“ ჩართულნი არიან მრავალფეროვან საქმიანობაში: ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ გამოკვლევათა და ინფორმაციის შემცველი მოხსენებების მომზადება, ორგანოების მიერ გამოყოფილი სპეციალური მომხსენებლებისათვის ყველა საჭირო მასალის შეგროვება და შავი ვარიანტის დაწერა. ორგანოების სხდომებზე მდივნობა, გაეროს საქმიანობასთან დაკავშირებით პუბლიკაციების მომზადება და დასტამბვა, გაეროს ორგანოების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაგზავნილ მისიებში მონაწილეობა და სხვ.

ყველა მუშაკი „საერთაშორისო სამოქალაქო მოსამსახურეა“ და ოფიციალურად, მიცემული ფიცის თანახმად, უნდა იყოს მიუმხრობელი, თავისი ქვეყნისაგან დამოუკიდებელი. გაეროს სამდივნოს მუშაკებს მიენიჭებათ პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებიც უზრუნ-

ველყოფენ მათ სტატუსს (დღეისათვის სამდივნოში მუშაობს 9000 მუშაკამდე, სამდივნოს შტაბ-ბინა ქ. ნიუ-იორკშია, ამავე დროს, მას აქვს განყოფილებები ქ. ჟენევაში, ვენასა და ნაირობში. ჟენევაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის სამსახური და განი-არალების ოფისი. აქ ტარდება სხვადასხვა სახის დიპლომატიური კონ-ფერენციები და შეხვედრები; ვენაში განლაგებულია ნარკოტიკების გადაზიდვასთან ბრძოლის ცენტრი, დანაშაულობების თავიდან აცილე-ბისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოები, აგრეთ-ვე ორგანოები, რომლებიც დაკავშირებულია კოსმოსის მშვიდობიან გა-მოყენებასთან და საერთაშორისო სავაჭრო სამართალთან; ნაირობში (კენია) ფუნქციონირებს შტაბ-ბინა, რომელიც ჩაბმულია გაეროს ფუნქ-ციების რეალიზაციაში ბუნების დაცვისა და განსახლების სფეროში.

გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები (UN Special Agencies) – მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აღჭურვილნი არიან ზუსტად განსაზღვრული კომპეტენ-ციით ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში (იხ. *გაეროს წესდების 57-ე მუხლი*). ყოველი ასეთი დაწესებულება *გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან* დაკავშირებულია შეთანხმებით, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. *გაერო* უფლებამოსილია: ამ დაწესე-ბულებათა პოლიტიკის ურთიერთშეთანხმების მიზნით წარუდგინოს მათ სათანადო რეკომენდაციები, განიხილოს მათი ბიუჯეტები და ბიუ-ჯეტის საკითხებზე რეკომენდაცია მისცეს დაინტერესებულ დაწესებუ-ლებას, აწარმოოს ამ დაწესებულებათა და გაეროს საქმიანობის კოორ-დინაცია კონსულტაციების გაწვევითა და რეკომენდაციების მიცემით როგორც ამ დაწესებულებების, ასევე *გაეროს გენერალური ასამბლეისა* და მისი წევრი სახელმწიფოებისათვის განიხილოს ამ დაწესებულე-ბათა რეგულარული მოხსენებები და სხვ. (იხ. *გაეროს წესდება*, მუხ.: მე-17, 58-ე, 63-ე, 64-ე და 70-ე). თანამედროვე ეტაპზე ბსდ აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მათ კომპეტენციაში შემავალი სა-კითხების გადასაწყვეტად, გეგმავენ მრავალწლიან პოლიტიკას მსოფ-ლიოს ხალხების ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ცხოვ-რების შემდგომი პროგრესისა და განვითარებისათვის და სხვ. ამის მკაფიო მაგალითია *იუნესკო* (იხ. აგრეთვე *შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია*).

გაეროს უშიშროების საბჭო (UN Security Council) – *გაე-როს* ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელსაც ძირითადი პასუხისმგებ-

ლობა ეკისრება მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთა შორის ხუთი მუდმივია, ხოლო ათი – არამუდმივი. ეს ხუთი ადგილი შემდეგ დიდ სახელმწიფოებს ეკუთვნის: აშშ-ს, ინგლისს, საფრანგეთს, რუსეთის ფედერაციასა და ჩინეთს, რომლებსაც განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. დანარჩენ ათ წევრს ორი წლის ვადით ირჩევს *გაეროს გენერალური ასამბლეა* გეოგრაფიული რაიონებისა და კანდიდატი სახელმწიფოების მიერ მშვიდობის დაცვაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით. ყველა წევრი ერთდროულად არ აირჩევა – ყოველწლიურად აირჩევა მხოლოდ ხუთი ახალი წევრი.

უშიშროების საბჭო: ა) იცავს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას; ბ) იძიებს ყველა ისეთ დავასა და სიტუაციას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო დაძაბულობა; გ) იძლევა რეკომენდაციას ასეთ დავათა გადაწყვეტის მეთოდების შესახებ; დ) შეიმუშავებს შეიარაღების რეგულირების სისტემის შექმნის გეგმებს; ე) განსაზღვრავს მშვიდობის დარღვევის საფრთხისა და *აგრესიის* აქტის ფაქტს და იძლევა რეკომენდაციებს საჭირო ზომების მიღებისათვის. იგი მოუწოდებს გაეროს წევრ სახელმწიფოებს, გამოიყენონ აგრესორის წინააღმდეგ ეკონომიკური ან ისეთი სხვა *სანქციები და კონტრზომები*, რომლებიც შეიარაღებული ძალის გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული; ვ) მიმართავს სამხედრო მოქმედებას აგრესორების ასალაგმავად; ზ) იძლევა რეკომენდაციებს ახალი წევრების მიღებისა და *გაეროს გენერალური მდივნის* დანიშვნის შესახებ; თ) *გაეროს გენერალურ ასამბლეასთან* ერთად ირჩევს *გაეროს საერთაშორისო სასამართლოს* წევრებს და ა.შ.

ბუს მოქმედებს გაეროს ყველა წევრის სახელით, რომლებიც, თავის მხრივ, მოვალენი არიან, ყოველდღიურად დაეხმარონ საბჭოს ამ რთული მისიის შესრულებაში, კერძოდ, საჭიროებისამებრ მის განკარგულებაში გადასცენ სათანადო სამხედრო კონტინგენტები და რესურსები მშვიდობის დასაცავად. ბუს-ს გადაწყვეტილებანი პროცედურულ საკითხებზე მიიღება ცხრა ხმით, მიუხედავად იმისა, ამაზე თანახმაა თუ არა საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრი სახელმწიფო. არაპროცედურული საკითხის განხილვისას კი აღნიშნული უმრავლესობა უნდა შეიტყუდეს ყველა მუდმივი წევრის დადებით ხმას (ე.წ. ერთხმობის პრინციპი).

ბუს-თან შექმნილია სამხედრო-სამშტაბო კომიტეტი, რომელიც საბჭოს მუდმივ წევრთა სამხედრო შტაბების მეთაურთაგან შედგება და მოწოდებულია, დახმარება გაუწიოს საბჭოს სამხედრო ღონისძიებების

რეალიზაციის საქმეში (დღემდე ეს კომიტეტი არ ამუშავებულა საბჭოს მუდმივ წევრ სახელმწიფოთა შორის უთანხმოების გამო). საჭიროების შემთხვევაში, ბუშს ქმნის სპეციალურ შეიარაღებულ ძალებს, რომლებსაც ვვალეხათ აგრესორთან ბრძოლა (ე.წ. გაეროს მშვიდობის იძულებით შენარჩუნების ან აღდგენის ოპერაცია). ასე მოხდა 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობასთან დაკავშირებით. უშიშროების საბჭომ დაგმო ეს აქცია და რამდენჯერმე მოითხოვა ერაყისაგან ქუვეითის ტერიტორიის დატოვება. ბოლოს, ბუშს-ს რეზოლუციით (№678), ერაყს წაუყენეს ულტიმატუმი – 15 იანვრამდე ერაყის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გაეროს დეალებით ჯარები იერიშს მიიტანდნენ მასზე. და მართლაც, 1991 წლის იანვარ-თებერვალში ბუშს-ს დეალებით შექმნილმა სამხედრო კოალიციამ, რომლის ბირთვს აშშ-ის ჯარები შეადგენდნენ, მძლავრი სამხედრო დარტყმით (ე.წ. „ოპერაცია – „ქარიშხალი უდაბნოში“) გაათავისუფლა ქუვეითი და აიძულა ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი, თავი დამარცხებულად ეცნო.

ბამროს ფისდმბა (UN Charter) – უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებელი საერთაშორისო ხელშეკრულება (იხ. გაერო), რომელშიც ჩამოყალიბებულია გაეროს მიზნები და პრინციპები, მთავარი ორგანოების სახეები და კომპეტენცია. გაეროში მოქმედებს ერთხმობის პრინციპი, ანუ დიდ სახელმწიფოებს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, რუსეთსა და ჩინეთს – გაეროს უშიშროების საბჭოში აქვთ მუდმივი წევრის სტატუსი და უნიშვნელოვანეს საკითხებში მათი ერთობლივი ხმების გარეშე ვერც ერთი გადაწყვეტილება ვერ მიიღება, წესდებაში ცვლილებების შეტანის ჩათვლით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პრინციპს წესდების VI („დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა“) და VII („მოქმედება მშვიდობისადმი მუქარის, მშვიდობის დარღვევის და აგრესიის აქტების მიმართ“) თავების გამოყენების დროს. ორგანიზაციის წევრებად მიიღებიან მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები, რომლებიც კისრულობენ წესდებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. ორგანიზაციის წევრად გახდომისათვის საჭიროა უშიშროების საბჭოს რეკომენდაცია (არანაკლებ 9 ხმისა ყველა მუდმივი წევრის ხმათა ჩათვლით და გაეროს გენერალური ასამბლეის წევრთა ორი მესამედის გადაწყვეტილება. წესდების დებულებათა სისტემატური დარღვევისათვის სახელმწიფო გაირიცხება ორგანიზაციის შემადგენლობიდან. გარიცხვა იმავე წესით ხდება, რა წესითაც მიიღება სახელმწიფო ორგანიზაციის წევრად. გაერო შედგება ექვსი მთავარი ორგანოს, მრავალი დამხმარე და სპეციალიზებული ორგანოსა და ორგანიზაციისაგან.

მთავარი ორგანოებია: გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს უშიშროების საბჭო, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, მეურვეობის საბჭო, გაეროს საერთაშორისო სასამართლო, გაეროს სამდივნო.

გამოხატვის თავისუფლება (Freedom of expression) – უფლება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიის აღმშენებლობაში. სიტყვისა და აზრის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი არსებითი საფუძველია, დემოკრატიული საზოგადოების პროგრესისა და ცალკეული ადამიანის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ეს უფლება შეეხება არა მხოლოდ ისეთ „ინფორმაციას“ ან „იდეას“, რომელიც სახელმწიფოს მიერ კეთილგანწყობილად მიიღება, არამედ ისეთსაც, რომელიც მიუღებელია ხელისუფლების ან მოსახლეობის ნაწილისათვის. ამას მოითხოვს *პლურალიზმის, ლიბერალიზმისა და ტოლერანტობის* პრინციპები, რომელთა გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.

ტერმინი „გამოხატვა“ არ შემოიფარგლება შეხედულებების, აზრის გამოთქმის წერილობითი და ზეპირი ფორმებით. იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას, რომელიც იღებების გამოთქმასთან ან ინფორმაციის გადაცემასთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის წარმოების, გადაცემის, გავრცელების საშუალებებია: ბეჭდვითი მასალები, რადიომაუწყებლობა, ხელოვნების ნიმუშები, ფილმები, ელექტრონული საინფორმაციო სისტემები. აზრის გამოხატვის თავისუფლება 3 ელემენტს მოიცავს:

ა) საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლებას; ბ) ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებას; გ) ინფორმაციის მიღების თავისუფლებას. პირველადი პირობაა საკუთარი აზრის მიდევნების (ქონის) თავისუფლება. ამ უფლების დაცვას აბსოლუტური ხასიათი აქვს, ვინაიდან ის შეზღუდვები, რომლებიც სახელმწიფოს შეუძლია დააწესოს აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენება. ნებისმიერი შეზღუდვა ამ უფლებასთან მიმართებით შეუთავსებელია დემოკრატიული საზოგადოების ბუნებასთან. მოქალაქეები არ უნდა განიცდიდნენ ძალდატანებით იდეოლოგიურ დაბუშავებას სახელმწიფოს მხრიდან. მით უფრო დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, აზრის ქონის თავისუფლების სერიოზულ და მიუღებელ წინააღმდეგობას ნიშნავს.

აღნიშნული თავისუფლება მოიცავს ასევე იმის გარანტიას, რომ პიროვნებაზე არ განხორციელდება ზეწოლა მისგან განსხვავებული აზრის გამოთქმის მიღების მიზნით.

ბმ) დაცულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, ასევე საქართველოს კანონმდებლობით (იხ.: *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა შესახებ* (მე-19 მუხ.), *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ* (მე-10 მუხ.), საქართველოს კონსტიტუცია (24-ე მუხ.).

ყველა, ვინც სარგებლობს გამოხატვის თავისუფლების უფლებით, გარკვეულ ვალდებულებებსაც უნდა ემორჩილებოდეს: რამდენადაც შესაძლებელია, თავი უნდა აარიდონ ისეთი გამონათქვამების ან მსჯელობის გამოყენებას, რომლებიც შეურაცხმყოფელია სხვა პირთათვის. სახელმწიფოს შეუძლია გარკვეული შეზღუდვები დააწესოს გამოთქმის თავისუფლებებზე იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვები ემსახურება კანონიერ მიზანს, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე უწესრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის. დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის დადგენისას ყურადღება ექცევა: 1) დასახული მიზნის პროპორციულობას; 2) ცალკეული პიროვნებისა და ფართო საზოგადოების უფლებათა შორის პროპორციული ბალანსის დადგენას.

მაგალითად, ნაციონალისტური, ფაშისტური, *რასისტული* გამონათქვამები ეწინააღმდეგება *ტოლერანტობის*, *პლურალიზმისა* და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს. ასეთი გამონათქვამების შეზღუდვის დასაბუთება ბევრად უფრო ადვილია, ვინაიდან მათი არსებობა იწვევს ძალადობას, შუღლს, სიძულვილს გარკვეული ჯგუფების მიმართ (იხ. *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*, მე-4 მუხ.).

განათლების უფლება (Right to education) – ადამიანის სოციალური უფლება, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანს აქვს განათლების მიღების უფლება. განათლების მიღება შესაძლებელია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

უფლება აღიარებულია: *საერთაშორისო პაქტით ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ* (მე-13 მუხ.), *ევროპის ქარტიით* (მე-10 მუხ.), (იხ. *ევროპის საბჭო*), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (იხ. *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ*) №1 დამატებითი ოქმით (მე-2 მუხ.), ასევე ბავშვთა უფლებების კონვენციით (28-ე მუხ.), და სხვა საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებით.

განათლების უფლება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია (35-ე მუხ.).

ბანკითარების უფლება (Right to development) – ყოველი ადამიანისა და ხალხის ხელშეუხებელი უფლებაა, იცხოვროს მშვიდობის პირობებში, მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაში თავისი კეთილდღეობისათვის; სახელმწიფო მოვალეა, შექმნას ყველა პირობა, რათა თითოეულ ადამიანს და ხალხს მიეცეს საშუალება, გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები, დაეუფლონ განათლებას, ისარგებლონ ჯანდაცვის სისტემით, საკვებისა და ბინადრობის საკმარისი სტანდარტებით, უზრუნველყოფილნი იყვნენ დასაქმებით ცხოვრების ყველა სფეროში და შემოსავლის სამართლიანი განაწილებით.

დღეისათვის მოთხოვნები რეგულირდება *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ მიღებული „დეკლარაციით განვითარების უფლების შესახებ“ (1986), ვენის დეკლარაციითა და მოქმედების პროგრამით (1993); ამავე წელს, გაეროს *ადამიანის უფლებათა კომისიის* მიერ შექმნილი განვითარების უფლების თაობაზე სამუშაო ჯგუფი თვალყურს ადევნებს ამ პრინციპების რეალიზაციის მსვლელობას, თუმცა მათ იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვთ.

2002 წლის აგვისტო-სექტემბერში იოჰანესბურგში მოწვეულ იქნა მსოფლიო კონფერენცია უმაღლეს დონეზე, რომელმაც მიიღო დეკლარაცია მდგრადი განვითარებისა და გადაწყვეტილებათა გეგმის შესრულების შესახებ.

ბ.უ მიეკუთვნება ე.წ. კოლექტიურ უფლებებს (იხ. *ადამიანის უფლებათა თაობები*).

ბაუქმძვებლობა (Non-Refoulment) – ფრანგული წარმოშობის ტერმინი, რომელიც „უკან არდაბრუნებას“ ნიშნავს და გამოიყენება *ლტოლელითათვის, თავშესაფრის* მაძიებელთა და სხვა *უცხოელთათვის* ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის შემთხვევაში მათი საკუთარ სახელმწიფოში იძულებით დაბრუნების დაუშვებლობას, მით უმეტეს,

როდესაც ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ამ პირებს თავიანთ ქვეყნებში *დისკრიმინაციისა* და სიცოცხლისათვის საფრთხის მომტანი პირობები ხვდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სახელმწიფო თვითონ საზღვრავს უცხოელთა შემოსვლის ან გასვლის სტანდარტებს და საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ნორმა (პოლიტიკური თავშესაფრის გარდა), რომელიც კრძალავს არასასურველი (თუ ეს დისკრიმინაციული არ არის) პიროვნებისთვის *იმგრანტის* სტატუსის მიცემის აუცილებლობას, ითვლება, რომ, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან გამომდინარე, არ შეიძლება ლტოლვილთა და უკეთესი ცხოვრების მაძიებელთა უკან დაბრუნება, თუ ისინი აღმოჩნდებიან გაუსაძლის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში.

ბაძმეშობა (Expulsion) – სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს *უცხოელის* თავისი *მოქალაქეობის* ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახელმწიფოსათვის გადაცემას. საზოგადოდ, პირი შეიძლება გაძევდეს იმ შემთხვევაში, თუ იგი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფება ან მისი ყოფნა საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს საზოგადოებრივ კეთილდღეობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას.

სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაც ადგენს ბ-ის წესსა და პირობებს. კერძოდ, „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (1993 წელი) მიხედვით, უცხოელი მოქალაქეები, აგრეთვე საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები (იხ. *ბიპატრიდი*) საქართველოდან შეიძლება გაძევებულ იქნან:

ა) თუ აღარ არსებობს საქართველოში მათი შემდგომი ყოფნის საფუძველი;

ბ) თუ ისინი უკანონოდ შემოვიდნენ ან იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე;

გ) თუ მათი ყოფნა საქართველოში ეწინააღმდეგება სახელმწიფო უშიშროების ინტერესებს და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

დ) თუ ეს აუცილებელია საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში მყოფ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის;

ე) თუ ისინი განზრახ სისტემატურად არღვევენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

კანონი ასევე ადგენს, რომ უცხოელი მოქალაქეები და საქართველოში დროებით მყოფი მოქალაქეობის არმქონე პირები ვალდებულნი არიან, ბ-ის შესახებ გადაწყვეტილების მათთვის გასაგებ ენაზე წარდგენის შემდეგ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში დატოვონ საქართველო. თუ აღნიშნული პირები უარს იტყვიან საქართველოდან გასვლაზე ან გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში არასაპატიო მიზეზით არ გავლენ საქართველოდან, ისინი იძულებით გაძევებიან და გაძევებიდან ერთი წლის განმავლობაში მათზე არ გაიცემა საქართველოში შემოსასვლელი ვიზა და მიგრანტის ბარათი (29-ე მუხლის მე-3 პუნქტი). გადაწყვეტილება საქართველოდან უცხოელთა გაძევების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

კანონი ასევე ადგენს, რომ არ შეიძლება საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირთა საქართველოდან გაძევება (31-ე მუხლი).

ბაძეშვიძე მასობრივი (Mass expulsion) – სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე მცხოვრები *ეროვნული* თუ *ეთნიკური*, რელიგიური ჯგუფების გაძევება ტერორისა და ძალდატანების სხვა საშუალებების გამოყენებით, რაც *დანაშაულია ადამიანურობის წინააღმდეგ*. იგივე კვალიფიკაცია მიეცემა შიდა კონფლიქტის დროს გარკვეული მოსახლეობის გაძევებას ან იძულებით გადასახლებას. დაუშვებელია მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი გაძევება მაოკუპირებელი სახელმწიფოს ან კონფლიქტის ზონაში დროებით გამარჯვებული სეპარატისტული ძალების მიერ, რაც განიხილება *ეთნიკური წმენდის* ერთ-ერთ სახედ.

ლისაბონის სამიტზე (ეუთო) სახელმწიფოებმა დაგმეს აფხაზი სეპარატისტების მიერ წარმოებული *ეთნიკური წმენდა*, „რომელიც გამოიხატა, ძირითადად, ქართული მოსახლეობის *მასობრივი განადგურებითა და იძულებითი გაძევებით*“, რის შედეგადაც დახოცილ იქნა 10000 მოსახლე, ხოლო 200000-ზე მეტი პიროვნება იძულებული გახდა ქვეულიყო *ლტოლილად და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირად*.

ბანოცილი (Genocide) – *სერთაშორისო დანაშაული, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ*, რომელიც განისაზღვრება კონვენციით გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი ჩადენისათვის დასჯის შესახებ (*გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* მიიღო 9.XII.1948. საქართველო ამ კონვენციას შეუერთდა 1992 წელს). ბ არის ქმედება, რომლის მიზანია, მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპოს რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი. ბ გამოიხატება

ასეთი ჯგუფის წევრთა გაყლევით, მათი სხეულისა თუ გონებისათვის სერიოზული ზიანის მიყენებით, განზრახ ისეთი საარსებო პირობების შექმნით, რომელთა მიზანია ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური მოსპობა შობადობის იძულებითი შემცირებით, სხვა ჯგუფისათვის მათი გადაცემით. ასეთი ქმედებანი დანაშაულია *საერთაშორისო სამართლის* წინაშე და მის აღსაკვეთად ყველა სახელმწიფო, ერთობლივად თუ ინდივიდუალურად, უნდა იბრძოდეს. ბ-ის ჩამდენ პირთა დასჯის მიზნით შესაძლებელია *საერთაშორისო სასამართლოს* შექმნაც. დანაშაული შეტანილია *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს* იურისდიქციაში. სახელმწიფოები მოვალენი არიან, აქტიურად ებრძოდნენ ბ-ის ნებისმიერ გამოვლინებას თავისი საზღვრების შიგნით, ხოლო თუ ასეთ ქმედებას თვითონ სახელმწიფო ახორციელებს, ის *საერთაშორისო დანაშაულს* სჩადის და მისი ხელმძღვანელებიც ამ დანაშაულის უშუალო ჩამდენნი არიან, რის გამოც *საერთაშორისო სისხლის სამართლით* გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან.

ბ-ის გამოცხადება უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად განაპირობა პიტლერული რეჟიმის მიერ მილიონობით ებრაელის, პოლონელის, საბჭოთა კავშირის ხალხთა წარმომადგენლის მასობრივი მოსპობის ფაქტების გამოვლენამ. *ნიურნბერგის პროცესზე* (1945-1946) საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში ბ ერთ-ერთ ძირითად ბრალდებად ფიგურირებდა. მრავალი წლის განმავლობაში კონვენციის დებულებები გამოუყენებელი რჩებოდა, მაგრამ 1990-იან წლებში ბ იქცა *აგრესიული სეპარატიზმის* ერთ-ერთ ძირითად იარაღად ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში (მაგ., ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში), ასევე მან თავი იჩინა აფრიკის ქვეყნებში (რუანდა). ამან განაპირობა *სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალების* შექმნა *გაეროს უშიშროების საბჭოს* გადაწყვეტილებებით (1992 წელს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სერბი სეპარატიზტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამო, ხოლო 1993 წელს რუანდაში ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ უმცირესობაში მყოფი მეორე ჯგუფის მთლიანად გაყლევტის გამო), რომლებიც დღემდე მოქმედებენ და სჯიან დამნაშავე პირებს (იხ. *ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი, რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი*). ბოლო წლებში ბ-ის ახალი ფორმა წარმოიშვა – *ეთნიკური წმენდა*, რომელიც საერთაშორისო სამართალში აღიარებულია *დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ*.

- დ -

დამნაშავეთა გადაცემა - იხ. *ექსტრადიცია* (*See Extradition*).

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეზობრობა (*Commonwealth of Independent States*) - მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 8.XII.1991 რუსეთის ფედერაციის, ბელორუსისა და უკრაინის მიერ ქ. მინსკში (ბელორუსი) ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე. იმავე წლის 21 დეკემბერს ალმა-ათაში ხელმოწერილ იქნა ოქმი, რომლითაც სომხეთი, ყაზახეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი შეუერთდნენ ბელორუსის შეთანხმებას; მიღებულ იქნა, აგრეთვე, ალმა-ათის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ „ღსთ არ არის არც სახელმწიფო, არც ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი“ და რომ იგი ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს; რომ ღსთ არც საერთაშორისო ორგანიზაციაა, იგი სუვერენულ სახელმწიფოთა კავშირია, რომლის ორგანოებს მაკოორდინირებელი ფუნქციები აქვთ და მათი გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილისათვის, რომელიც ეთანხმება მას. საქართველო ღსთ-ს 9.XII.1993 შეუერთდა. ღსთ-ის ჩარჩოებში თანამშრომლობა ხორციელდება მისი მაკოორდინირებელი ინსტიტუტების მეშვეობით, რომელთა შორის ძირითადი ორგანოებია: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, მთავრობათა მეთაურების საბჭო, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, თავდაცვის მინისტრების საბჭო, სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, სასაზღვრო ჯარების სარდლების საბჭო, აღმასრულებელი სამდივნო, ეკონომიკური სასამართლო, საპარლამენტთაშორისო ასამბლეა. ამას გარდა, ღსთ-ის წესდებისა და შეთანხმებათა საფუძველზე დაფუძნებულია დარგობრივი თანამშრომლობის ორგანოები ეკონომიკის, სოციალურ და სხვა სფეროებში, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ხელმძღვანელები. ამჟამად ღსთ-ს აქვს 54 ასეთი ორგანო, რომლებიც შექმნეს სამინისტროებმა და უწყებებმა კონკრეტული პრაქტიკული მიზნებით. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში შექმნილია 38 დარგობრივი საბჭო და კომიტეტი. საწესდებო ორგანოებსა და მათ სამუშაო აპარატებში დასაქმებულია 850-ზე მეტი, ხოლო დარგობრივ ორგანოებში - 500-ზე მეტი კაცი.

სახელმწიფო მეთაურების, მთავრობათა მეთაურების, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოებისა და 6 დარგობრივი ორგანოს მუშა აპარატის ფუნქციებს ასრულებდა აღმასრულებელი სამდივნო, 11 დარგობრივი ორგანოსას – სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი, 7 დარგობრივი ორგანოსას კი – თავმჯდომარე ქვეყნების სხვადასხვა უწყებები. საწესდებო ორგანოების შექმნის დღიდან თითქმის ყველა ორგანოში თავმჯდომარეობდა რუსეთის ფედერაცია და მხოლოდ 1998 წლის ოქტომბერში მოსკოვის სამიტმა თანამეგობრობის მთავრობათა მეთაურების საბჭოს თავმჯდომარის პოსტის დასაკავებლად რეკომენდაცია გაუწია უზბეკეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. დაარსების დღიდან დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ და მთავრობათა მეთაურების საბჭომ განიხილეს და მიიღეს 1000-ზე მეტი დოკუმენტი. წლების განმავლობაში დსთ-ის გადაწყვეტილებათა შესრულებლობამ, განსაკუთრებით აგრესიულ სეპარატიზმთან ბრძოლის სფეროში, საფრთხის წინაშე დააყენა მისი არსებობა. დსთ-ის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებმა 1998 წლის კიშინიოვისა და მოსკოვის სამიტებზე მიიღეს გადაწყვეტილება – თანამეგობრობის ორგანოების ძირეული რეფორმირებისა და მისი ეფექტიანობის ხარისხობრივი დონის ამაღლების მიზნით გამართულიყო სპეციალური სახელმწიფოთაშორისი ფორუმი, სადაც დაისვა ორი გლობალური საკითხი: არსებული სტრუქტურების კარდინალური რეორგანიზაცია და თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნა. სახელმწიფოთა მეთაურებს შესთავაზეს თანამეგობრობის ახალი მოდელი, რომელიც დსთ-ის მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტთა უმრავლესობამ მიიწონა. დსთ-ის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ 2.IV.1999 მიიღო გადაწყვეტილება თანამეგობრობის ორგანოების რეფორმირებისა და სრულყოფის შესახებ. ამ გადაწყვეტილების თანახმად, აღმასრულებელი სამდივნო, სახელმწიფოთაშორისი და მთავრობათაშორისი დარგობრივი ორგანოების მუშა აპარატები გარდაიქმნა დსთ-ის აღმასრულებელ კომიტეტად, რომელიც თანამეგობრობის ერთადერთ მუდმივმოქმედ აღმასრულებელ, აღმინისტრაციულ და მაკოორდინებელ ორგანოდ იქცა.

დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (Crime against humanity) – საერთაშორისო დანაშაულის ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც გამოიკვეთა ნიურნბერგის ტრიბუნალის (იხ. *ნიურნბერგის პროცესი*) წესდებით (8.VIII.1945) და შემდგომ, განსაკუთრებით აგრესიული სეპარატიზმის თარეშის შედეგად სამოქალაქო მოსახლეობაში მრავალრიცხოვანი მსხვერპლის გამო, აუცილებელი გახდა ამ დანაშაულთა ცალკე კატეგორიად გამოყოფა იუგოსლავიისა და რუანდის

თაობაზე სამხედრო ტრიბუნალების წესდებებსა (იხ. *ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, რუნდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი*) და თვით *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს* სტატუსშიც. დღეისათვის ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულად ითვლება მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობა, მისი განადგურება, დამონება, დეპორტაცია, დაპატიმრება, წამება, გაუპატიურება, ადამიანთა დევნა პოლიტიკური, რელიგიური თუ რასობრივი ნიშნის მიხედვით, აგრეთვე სხვა არაადამიანური აქტები. *ღაწ*-ს მიეკუთვნება *ეთნიკური წმენდა*.

დაუსწრებლად გასამართლება (Trial in absentia) – 1) სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს მიერ საქმის განხილვა განსასჯელის დაუსწრებლად. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, ჭეშმარიტების დადგენის და ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსასჯელის პირად გამოცხადებას სასამართლოს სხდომაზე სავალდებულოდ თვლის. *ღბ* დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს ხელს არ შეუშლის საქმის გარშემო ჭეშმარიტების დადგენას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს *ღბ*-ს, თუ ბრალდებული საქართველოს ფარგლებს გარეთ არის და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ან იმ დანაშაულებისათვის, რომელთა გამო არ შეიძლება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა და განსასჯელი თვითონ შუამდგომლობს საქმის დაუსწრებლად განხილვას (ასეთი შუამდგომლობა წერილობით ფორმდება, სათანადო მოტივების მითითებით). მიუხედავად ამისა, სასამართლოს უფლება აქვს, ამ შემთხვევაშიც მოითხოვოს განსასჯელის სავალდებულო გამოცხადება. გამამართლებელი მიზეზების გარეშე სასამართლოზე გამოცხადებლობისათვის სასამართლოს შეუძლია, განსასჯელის იძულებით მოყვანა ან აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა განაზოციელოს. განსასჯელის გარეშე სასამართლოს ჩატარება შესაძლებელია მაშინაც, თუ იგი გაძევებულია სხდომის დარბაზიდან მოსამართლის გაფრთხილების შემდეგ წესრიგის დაუცველობისათვის, ან მოსამართლის განკარგულების შეუსრულებლობისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში განაჩენი განსასჯელის თანდასწრებით ცხადდება.

2) სამოქალაქო პროცესში საქმის დაუსწრებლად განხილვა მოსარჩელისა ან მოპასუხის გარეშე, ან ორივეს ერთად გამოუცხადებლობის შემთხვევაში დასაშვებია, თუ მოსარჩელემ ან მოპასუხემ, ან ორივემ ერთად განაცხადეს თანხმობა საქმის მათ გარეშე განხილვაზე.

საქმის დაუსწრებლად განხილვა კანონით გაუთვალისწინებელ შემთხვევაში კანონის მნიშვნელოვან დარღვევად ითვლება და აუცილებლად იწვევს განაჩენის ან გადაწყვეტილების გაუქმებას.

დაქირავებული პირები (მეომრები) (Mercenaries) – თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ღპ-ში გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც: ა) საეციალურად არის მოხმობილი, რათა ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ ებრძოლოს დამქირავებლის მოწინააღმდეგე მხარეს შეიარაღებულ კონფლიქტში; ბ) უშუალოდ მონაწილეობს შეიარაღებულ მოქმედებებში; გ) მონაწილეობს სამხედრო მოქმედებებში და ძირითადად ამოძრავებს ერთადერთი სურვილი – მიიღოს პირადი მოგება. მას კონფლიქტში მყოფი დამქირავებელი მხარე უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით ჰპირდება მატერიალურ ანაზღაურებას, რომელიც ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი იმავე რანგისა და ფუნქციების კომპატანტიისთვის განკუთვნილ ანაზღაურებას ბევრად აღემატება; დ) არ არის კონფლიქტში მყოფი დამქირავებელი მხარის არც მოქალაქე და არც ამ მხარის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები; ე) არ შედის კონფლიქტში მყოფი დამქირავებელი მხარის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში; ვ) არ არის გაგზავნილი ოფიციალურ ვალდებულებათა შესასრულებლად იმ ქვეყნის მიერ, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს თავისი შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი პირის სახით.

დაქირავებულებს უფლება არა აქვთ, ფლობდნენ *კომპატანტების* ან *სამხედრო ტყვის* სტატუსს. ამ კატეგორიის მეომართა სტატუსის განსაზღვრის ცდები თავს იჩენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 50–60-იანი წლებიდან, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აფრიკისა და აზიის ქვეყნებში ახალ საფეხურს მიაღწია – დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. ამას როგორც ყოფილმა მეტროპოლიებმა, ისე ხელისუფლებისათვის მებრძოლმა ადგილობრივმა ჯგუფებმა დაუპირისპირეს დაქირავებულ პირთა შეიარაღებული ფორმირებები. *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* არაერთხელ მიმართა ყველა სახელმწიფოს, თავიანთ ტერიტორიაზე არ დაეშვათ დაქირავებულთა დაბანაკება, მომზადება და ეკაპირება; გამოცხადდა, რომ დაქირავებულთა გამოყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ხალხთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში არის სისხლის სამართლის დანაშაული, ხოლო თვით ეს პირები დამნაშავეთა კატეგორიას მიეკუთვნებიან (1968 წ.).

გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სა-*

მართლის) სპეციალურად ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ყოველი სახელმწიფო მოვალეა, თავი შეიკავოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე არარეგულარული ძალებისა თუ შეიარაღებული ბანდების, მათ შორის დაქირავებულთა, შეჭრის ორგანიზებისა და წახალისებისაგან. 1973 წელს *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო სპეციალური რეზოლუცია – „კოლონიალიზმისა და უცხოელთა ბატონობის და რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ კომბატანტთა სამართლებრივი რეჟიმის ძირითადი პრინციპები“, რომლის მიხედვით, ამ მებრძოლთა წინააღმდეგ დაქირავებულთა გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. გენერალური ასამბლეის რეზოლუცია „აგრესიის განსაზღვრების შესახებ“ (1974 წ.) ერთი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით შეიარაღებული ბანდების ჯგუფების, არარეგულარული ძალებისა და დაქირავებულთა შეგზავნას მეორე სახელმწიფოში, რომლის წინააღმდეგ ისინი შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებენ, *აგრესიის* ერთ-ერთ ნაირსახეობად მიიჩნევს. მსგავსი დოკუმენტები შეიმუშავა და მიიღო *აფრიკული კავშირის ორგანიზაციამ* 1971 და 1972 წლებში. 1989 წელს *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* მიიღო კონვენცია „დაქირავებულთა შეკრების, გამოყენების, დაფინანსებისა და სწავლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. *ვენევის 1949 წლის კონვენციებმა* და *1977 წლის დამატებითმა ოქმებმა ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ* შეაჯამა არსებული სამართლებრივი პრაქტიკა.

ამრიგად, *საერთაშორისო სამართლის* ნორმები ამკარად მოწმობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დროს რუსეთისა თუ სხვა ქვეყნების მოქალაქეები (ჩეჩნები, ადიღეელები, კაზაკები, სირიელები და სხვ.), რომლებიც სეპარატისტულ ხელისუფალთ ჰყავდათ დაქირავებული, კომბატანტებად ვერასვლით ვერ ჩაითვლებიან, ისინი ბანდიტთა ფორმირებებად უნდა იქნენ მიჩნეულნი. იგივე ითქმის ე.წ. „კავკასიის ხალხთა კონფედერაციის“ მიერ შემოგზავნილ „*მოხალისეებზე*“, რომლებიც ძირითადად დაქირავებული მეომრები იყვნენ. მიუხედავად ამისა, საქართველო ჰუმანურად ეპყრობოდა ტყვედ ჩავარდნილ თვით ამ დაქირავებულებსაც, ავრცელებდა მათზე საერთაშორისო სამართლის ნორმებს. აფხაზი სეპარატისტები კი ქართველი მოსახლეობის მიმართ *გენოციდისა* და *ეთნიკური წმენდის* პოლიტიკას ახორციელებდნენ, რაც *მშვიდობისა* და *კაცობრიობის* და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად არის აღიარებული *ეუთოს*, *ვეროპის საბჭოს* და მთლიანად *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* მიერ. არ შეიძლება გამოირიცხოს რუსეთის მთავრობის პასუხისმგებლობა მის ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის ბანდების, არარეგულარული ჯარებისა თუ

დაქირავებულთა მომზადებისა და საქართველოში (აფხაზეთში) შემოგზავნის გამო. რუსეთის ფედერაცია ვალდებული იყო, არ დაეშვა ასეთი ბანდების შექმნა და, მით უმეტეს, საქართველოში მათი გადმოსვლა საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან საბრძოლველად.

დასაშვებობა საჩივრის, განაცხადის (Admissibility of communications) – ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების მიერ საჩივარი (განაცხადი) განსახილველად მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს კონკრეტულ კრიტერიუმებს. ამ პროცედურას განაცხადის დასაშვებობა ეწოდება. დაცულ უნდა იქნეს ყველა ის კრიტერიუმი, რომლებიც განაცხადთა დასაშვებობას წაყენება.

როგორც წესი, დასაშვებობის დადგენისას არსებითი კრიტერიუმია: საგნობრივი კომპეტენცია (*Ratione Materiae*) – აღინიშნა თუ არა იმ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით გამოცხადებულ უფლებათა დარღვევა, რომლითაც არის შექმნილი აღნიშნული მექანიზმი (მაგალითად: *ევროპული სასამართლო*, შექმნილი *ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის* მიერ; *ადამიანის უფლებათა კომიტეტი*, შექმნილი *საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*).

ტერიტორიული იურისდიქცია (*Ratione loci*) ნიშნავს, რომ სახელმწიფო (ხელშემკვრელი მხარე) თავისი ტერიტორიის ფარგლებში და მის *იურისდიქციაში* მყოფ ყველა პირს უზრუნველყოფს მოცემული დოკუმენტით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით. სწორედ ამით არის განპირობებული ის გარემოება, რომ ფიზიკური პირების წრე ძალზე ფართოა, ვინაიდან არ არსებობს შემზღუდველი გარემოებანი, როგორებიცაა: ასაკი, მოქალაქეობა, ქმედუნარიანობა; არ არის აუცილებელი, დადგინდეს სტაბილური სამართლებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსა და პირს შორის, ისეთი, როგორიცაა „ბინადრობა“ ან „საცხოვრებელი ადგილი“. განმცხადებელი შეიძლება იყოს არა წევრსახელმწიფოს მოქალაქე, თუ იგი დავობს წევრი სახელმწიფოს მიერ მისი უფლებების დარღვევის თაობაზე. საკმარისია, რომ სახელმწიფოს შეეძლოს გარკვეული უფლებამოსილების განხორციელება ფიზიკური პირის მიმართ;

დროის ფაქტორი (*Ratione temporis*) – ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებში შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ დარღვევის ის ფაქტები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის *რატიფიცირების* შემდგომ მოხდა. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს არ შეუძლიათ, კონვენციის

ნორმებს უკუქცევითი ძალა მიანიჭონ. როგორც წესი, *საერთაშორისო ხელშეკრულებას* უკუქცევითი ძალა არ ენიჭება. „საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის 1969 წლის კონვენცია ადგენს: „თუ ხელშეკრულება რაიმე სხვა განზრახვას არ ცხადყოფს, ან განზრახვა სხვაგვარად არ არის დადგენილი, მაშინ ხელშეკრულების დებულებები სავალდებულო არ არის ხელშეკრულების მონაწილეთათვის ნებისმიერი მოქმედების ან ფაქტის მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღამდე“ (დებულება, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებას უკუქცევითი ძალა არა აქვს, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია). საყოველთაოობაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ არ არის სავალდებულო, ხელშეკრულებაში კონკრეტულად იყოს მითითებული დებულება უკუქცევითი ძალის გავრცელებაზე. (*Ratione Temporis*) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტის რატიფიცირების პირველ წლებში.

ადგილობრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა. (ყველა ხელმისაწვდომ შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნა) – საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (1966 წელი) და ადამიანის უფლებათა ეროპული კონვენცია (1950 წელი) დასაშვებობის ერთ-ერთ კრიტერიუმად ადგენს, *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების* თანახმად, ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის მოთხოვნას. მართალია, არც ერთ ამ დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული, თუ რა იგულისხმება შიდასახელმწიფოებრივ საშუალებათა ცნებაში, მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს არის არა სახელმწიფოში არსებული *ადამიანის უფლებათა* დაცვის ყველა მექანიზმი (მაგალითად *ობზერვანტი*), არამედ სასამართლო ორგანოები.

პრაქტიკაში როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ასევე ევროპული სასამართლო ყოველი კონკრეტული საქმის განხილვისას განსაზღვრავს, ამოწურულია თუ არა განმცხადებლის მიერ შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება. კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, საჭირო არ გახდეს, მიემართოს ყველა სასამართლო ინსტანციას.

მართალია, სამართლებრივი დაცვის საშუალებათა სისტემა არ არის ერთგვაროვანი ხელშემკერებელ სახელმწიფოებში, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს არის სასამართლო სამსაფეხურიანი სისტემა: პირველი, სააპელაციო და უმაღლესი ინსტანციები.

სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვის საერთო მოთხოვნიდან არსებობს გამონაკლისები. მაგალითად, განმცხადებელს

არ მოეთხოვება სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვა, თუ მან დაამტკიცა, რომ ეროვნული სასამართლოსადმი მიმართვა აზრს მოკლებულია, გამომდინარე სახელმწიფოში არსებული პრაქტიკიდან, ან თუ საქმის განხილვა გაუმართლებელი ვადით ჭიანურდება.

პირს მოეთხოვება იმ სამართლებრივი საშუალებების ამოწურვა, რომლებზეც ეროვნული კანონმდებლობით მას უფლება, და არა პრივილეგია, აქვს. პირი ვალდებული არ არის, მიმართოს ცალკეულ სპეციალურ ორგანოებსა თუ სამსახურებს, რომელთა კომპეტენციაში ადამიანის უფლებათა დაცვა შედის (მაგ., ომბუდსმენის სამსახური ან საკანონმდებლო ორგანოს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და სხვ.).

მტკიცების ტვირთი, თუ რა შიდასახელმწიფოებრივი საშუალებანი არსებობს ეროვნულ სისტემაში, რომელთა ამოწურვაც განმცხადებელს ევალება, სახელმწიფოს აწევს. შესაბამისად, სახელმწიფომ შეიძლება დააყენოს საკითხი, რომ პირს არ ამოუწურავს დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

დასაშვებობის სხვა კრიტერიუმები – არსებობს დასაშვებობის კიდევ რამდენიმე კრიტერიუმი. ისინი ითვალისწინებენ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანო არ მიიღებს ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ: ა) იგი არის ანონიმური; ბ) არსებითად იგივე საკითხია, რომელიც უკვე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ, ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას; გ) მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებაა. დაუშვებლად გამოცხადდება აგრეთვე ინდივიდუალური განაცხადება, თუკი ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანო მიიჩნევს, რომ განაცხადი შეუთავსებელია დოკუმენტის დებულებებთან (მაგალითად, განმცხადებელი მოითხოვს ეროვნული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვას), აშკარად დაუსაბუთებელია. მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება ნიშნავს, რომ განმცხადებელი აშკარად ცილისმწამებლურ განაცხადებას აკეთებს მოპასუხე სახელმწიფოს მიმართ ან თავს არიდებს სასამართლოსთან თანამშრომლობას და არ პასუხობს განაცხადებასთან დაკავშირებულ სასამართლოს მოთხოვნებს.

ექვსთვიანი ვადის მოთხოვნა – ეს კრიტერიუმი მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვისას მოქმედებს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს დასაშვებობის კიდევ ერთ კრიტერიუმს – ექვსთვიან ვადას, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა სამართალდარღვევის ჩადენის თარიღს, არამედ შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტი-

ლების გამოტანის დღეს (მაგ., განმცხადებელი ამტკიცებს, რომ უკანონოდ ჩატარდა ჩხრეკა. მნიშვნელობა ენიჭება არა ჩხრეკის ჩატარების თარიღს, არამედ იმ თარიღს, როდესაც დაზარალებული ამოწურავს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალებას).

ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს ეროვნული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და თარიღი, როდესაც ამ გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მნიშვნელობა ენიჭება იმ თარიღს, როდესაც განმცხადებელმა შეიტყო გადაწყვეტილების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ექესი თვის ვადის ათვლა სწორედ ამ დღიდან იწყება.

დეკლარაცია (Declaration) – 1) ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება, რომელიც სახავს მხარეთა საგარეო პოლიტიკის გარკვეულ გეზს ან გამოხატავს მათ შეხედულებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროში; 2) ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო პოლიტიკური აქტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მხარეთა პოლიტიკური ვალდებულებანი, საერთაშორისო ვითარების ერთობლივი ხედვა, სასურველი საერთაშორისოსამართლებრივი პრინციპების ნუსხა და სხვ.; 3) ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი აქტი, რომლითაც სახელმწიფოები ცნობენ ამა თუ იმ ქვეყნის ან წესის იურიდიულად სავალდებულო ძალას (მაგ.: ეუთოს 1975 წლის დასკვნით აქტში არსებული დეკლარაცია, სახელმწიფოს ცალმხრივი აქტი ნეიტრალიტეტის შესახებ და სხვ.).

დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს (Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious or Linguistic Minorities) – იხ. *ეროვნული უმცირესობანი (see. National Minorities)*.

დეპორტაცია (Deportation) – პირის იძულებითი გასახლება, გაძევება სხვა სახელმწიფოში. იგი ძირითადად გამოიყენება უცხოელ და მოქალაქეობის არმქონე (იხ. *აპატრიდი*) პირთა მიმართ, რომლებმაც უკანონოდ გადმოლახეს სახელმწიფო საზღვარი. თუმცა ბოლო წლებში დ-ს არცთუ იშვიათად ფართო მასშტაბით და ამკარად დანაშაულებრივად იყენებდნენ და იყენებენ ზოგიერთი სახელმწიფოს ტოტალიტარული რეჟიმები, მეტადრე კი *აგრესიული სეპარატისტები*,

რომლებმაც არაერთი რეგიონიდან დიდძალი მოსახლეობა გამოაძევეს ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით (იხ.: *გენოციდი, ეთნიკური წმენდა*).

დიპლომატიური დაცვა (Diplomatic protection) – ქმედება, რომელსაც დიპლომატიური არხების მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს თავის მოქალაქეთა დასაცავად უცხო სახელმწიფოს მიერ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ჩვეულებრივ, დღე ხორციელდება მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დამრღვევი უცხო სახელმწიფოს მიმართ პროტესტის გამოთქმით, რომელშიც სახელმწიფო მოითხოვს, აუნაზღაურონ მის მოქალაქეს მიყენებული ზარალი და აღუდგინონ დარღვეული უფლებები. ამჟამად გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია სპეციალურად განიხილავს დღ-ის საკითხს.

დისკრიმინაცია (Discrimination) – ადამიანის უფლებათა შეზღუდვა ან შელახვა სოციალური, რასობრივი, ეროვნული (იხ. *ეროვნული წარმომავლობა*), ენობრივი, სქესობრივი კუთვნილების, პოლიტიკურ, რელიგიურ ან სხვაგვარ შეხედულებათა, აგრეთვე ქონებრივი, ასაკობრივი ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით. დ გვევლინება ინდივიდთა თანასწორობის უარყოფად და შეუთავსებელია დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს (იხ. *კანონის უზენაესობა*) ძირითად პრინციპებთან (იხ.: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948); საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ; ევროპული კონვენცია (1950) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ. იხ. აგრეთვე: კონვენცია (1969) რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; 1973 წლის საერთაშორისო კონვენცია დანაშაულებრივი აპარტიდის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ, 1978 წლის დეკლარაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების გაძლიერების, ადამიანთა უფლებების განვითარების, რასიზმთან, აპარტიდთან და ომის წაქეზებასთან ბრძოლის შესახებ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1958 წლის კონვენცია შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ; იუნესკოს 1960 წლის კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ და სხვა საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც კრძალავენ დ-ის ყველა ფორმას). საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, (მე-14 მუხ.), „ყველა ადამიანი

დაბადებით და კანონის წინაშე თანასწორია, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

- 2 -

ემთანაზია (Euthanasia) – (ბერძ. eut – ტკბილი, უშფოთველი, thanatos – სიკვდილი) უკურნებელი სენით დაავადებული, სიკვდილისწინა სტადიაში მყოფი ავადმყოფის სიცოცხლის განზრახ შეწყვეტა მისივე დაჟინებული თხოვნით. მედიცინასა და სამართალში ერთმანეთისაგან განარჩევენ აქტიურ და პასიურ ეთანაზიას. აქტიური ეთანაზიის დროს ხდება ავადმყოფისათვის სიცოცხლის მოსპობა მოწყალეების საბაბით, სამედიცინო პერსონალის ან სხვა პირის მიერ აქტიური მოქმედებების შესრულებით (მაგალითად, მომაკვდინებელი ინექციის შეყვანით, წაშლის დიდი დოზის მიცემით და სხვა); პასიური ეთანაზია ნიშნავს, სამედიცინო მუშაკის ან სხვა პირის მიერ შეზღუდული ან რთული მეთოდებით ორგანიზებული მკურნალობის შეწყვეტას მოწყალეების საბაბით, რომელიც იწვევს ავადმყოფის გარდაუვალ სიკვდილს. ეთანაზიის საკითხი უკავშირდება სიცოცხლის უფლებასა და სიცოცხლის დასრულების უფლებას (სიცოცხლის ღირსეულად დასრულების უფლებას). მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, გარდა ნიდერლანდებისა და ბელგიისა, ეთანაზიის აქტი აკრძალულია. ეთანაზია (აქტიური და პასიური ფორმები) აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით: „მკვლელობა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით და მისი ნამდვილი ნების შესაბამისად, ჩადენილი მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან განთავისუფლების მიზნით, -ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი); „სამედიცინო პერსონალს, აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, ეკრძალება ეთანაზიის განზორციელება ან ამ უკანასკნელში მონაწილეობის მიღება“ (საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის ჯანდაცვის შესახებ კანონის 151-ე მუხლი). ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ეთანაზიის დაშვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის (საქმე სიცოცხლის უფლების დარღვევას ეხებოდა) სტრასბურგის სასამართლომ ეთანაზიის ფაქტი სიცოცხლის ხელყოფად აღიარა.

ევროკავშირი (EU) – ევროპის კავშირი (გაერთიანება), რომელიც შედგება სამი ორგანიზაციისაგან, ესენია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯის კომისია (ევრატომი). 1957 წელს რომის ხელშეკრულებით შეიქმნა „ევროპის გაერთიანება“, რომელშიც სამივე

ორგანიზაცია ავტონომიურობით სარგებლობდა, ხოლო 1967 წლიდან „ხელშეკრულებით შერწყმის შესახებ“ შეიქმნა ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებით ორგანიზაციის ერთიანი სისტემა. მომდევნო წლებში ეს ერთიანობა უფრო გაძლიერდა. ქ. მასტრიხტში (ნიდერლანდები) II.XII.1991 დაიდო „ხელშეკრულება პოლიტიკური კავშირების შესახებ“, რომელიც აძლიერებს ე-ის საქმიანობას საერთაშორისო ურთიერთობათა, თავდაცვისა და უშიშროების სფეროში. ეს ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1993 წელს, 1997 წლის ივნისში ხელი მოეწერა მასტრიხტის ახალ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან შესწორებას, რამაც საგრძობლად გააძლიერა ე-ის ერთიანობა საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის სფეროში, ახლებურად განსაზღვრა მისი სამხედრო პოტენციალის განვითარების გზები, სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის ფორმები (იხ. *დასავლეთი ევროპის კავშირი*). ამ გადაწყვეტილებებით ევროპული საბჭოს გენერალური მდივანი იქცა საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის უზენაეს წარმომადგენლად. მასტრიხტის შემდეგ ევროგაერთიანება ევროპის კავშირის სახით გვევლინება.

ამჟამად გაერთიანების ძირითადი ორგანოებია:

1. კომისია – იგი შეიმუშავებს ე-ის ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. კომისია არის კანონმდებლობის მთავარი ინიციატორი, თუმცა კანონმდებლობაში უფლებამოსილების მქონეა ევროპარლამენტი და ე-ის მინისტრთა საბჭო, აგრეთვე ამ კავშირის წევრი ცალკეული სახელმწიფოები. თავისი აღმასრულებელი ფუნქციების შესაბამისად, კომისია კონტროლს უწევს ქვანახშირისა და ფოლადის ფასებს, ებრძვის მონოპოლიზმსა და ისეთ სუბსიდირებას, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენციას. გარდა ამისა, იგი თვალყურს ადევნებს ბირთვულ (ენერგეტიკულ) დანადგარებს და სხვ. კომისია დგას ე-ის კანონმდებლობის სადარაჯოზე: იგი იძიებს კავშირის წევრი სახელმწიფოებისა თუ ცალკეული კომპანიების მიერ გაერთიანების კანონების დარღვევის შემთხვევებს, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში აჯარიმებს დამრღვევ მხარეს ან საქმეს სასამართლოს გადასცემს. კომისია შედგება 20 წევრისაგან, რომლებსაც ნიშნავენ 5 წლის ვადით და რომლებიც ამ ხნის განმავლობაში მოქმედების სრულ თავისუფლებას ინარჩუნებენ, ხოლო სახელმწიფოსთან მათი დამოკიდებულება წყდება. კომისიის წევრები კურირებენ ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროებს, როგორებიცაა: საგარეო ეკონომიკური კავშირები, ეკონომიკა, ფინანსები, სოფლის მეურნეობა და სხვ. გადაწყვეტილება მიიღება ერთობლივად – *კონსენსუსით*, ზოგჯერ კი ხმათა უმრავლესობით. კომისიისაგან უნდა განვასხვავოთ ადმინისტრაციული

სამსახურები, რომლებიც უწევენ ხელმძღვანელობას კომისიის მიერ დასახულ ღონისძიებებს. ამ სამსახურებში შედიან: გენერალური მდივანი, იურიდიული სამსახური, თარგმანის ბიურო, სხვა ცენტრალიზებული სამსახურები, აგრეთვე 23 გენერალური დეპარტამენტი თავიანთი გენერალური დირექტორების მეთაურობით. თუ კომისიის წევრები პროფესიონალი პოლიტიკოსები არიან, ადმინისტრაციული სამსახურის მთელი სისტემა შედგება სპეციალისტ-პროფესიონალებისაგან, რომლებიც პოლიტიკაში ჩაურევლად უნდა ახორციელებდნენ თავიანთ საქმიანობას.

2. ევროპარლამენტი – იგი კავშირის საკანონმდებლო ორგანოა. პირველ ხანებში მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქციით სარგებლობდა. დღეს მას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკანონმდებლო საქმიანობაში. კომისიასთან ერთად 626 წევრისაგან შემდგარ ამ პარლამენტს ირჩევენ *მ*-ის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული პირდაპირი არჩევნებით 5 წლის ვადით. ევროპარლამენტის კომპეტენციას მიეკუთვნება: ა) ბიუჯეტის მიღება; ბ) დადგენილებების, დირექტივებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა. საქმე ისაა, რომ კომისია საკანონმდებლო აქტს ერთდროულად წარუდგენს როგორც პარლამენტს, ასევე მინისტრთა საბჭოს. თუ ამ ორგანოების პოზიციები განსხვავდება, კანონპროექტი ხელმეორედ განიხილება. მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს უარყოს პარლამენტის გადაწყვეტილება მხოლოდ თავისი წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, რასაც მხარი უნდა დაუჭიროს კომისიამ; გ) კონტროლი კომისიის საქმიანობის მიმართ. საჭიროების შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია, ხმათა ორი მესამედით კომისიას უნდობლობა გამოუცხადოს; დ) პოლიტიკური ფორუმების მოწვევა; ე) პარლამენტს უფლება მიეცა, მიიღოს პეტიციები კავშირის მოქალაქეებისაგან. ამ პეტიციების განხილვისათვის დაინიშნა ომბუდსმენი.

3. მინისტრთა საბჭო – იგი *მ*-ის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღების ორგანოა, რომელსაც ასევე საბოლოო სიტყვა ეკუთვნის კანონების მიღებისას. თავის მხრივ, შედგება რამდენიმე საბჭოსაგან, რომლებიც აერთიანებენ *მ*-ის წევრ სახელმწიფოთა ამა თუ იმ დარგის მინისტრებს დღის წესრიგის შინაარსის მიხედვით, მაგალითად: სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, ფინანსებისა და ა.შ. მათგან ორ საბჭოს აქვს განსაკუთრებული სტატუსი, ესენია: ა) საერთო საკითხების საბჭო, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან შედგება და საკოორდინაციო ფუნქციას ასრულებს; ბ) *გეროპის საბჭო*, რომელიც თავისი წევრი ქვეყნების სახელმწიფოების მეთაურებს აერთიანებს. იგი წელიწადში ორჯერ იკრიბება და ყველაზე მნიშვნელოვან ზოგადპოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს განიხი-

ლავს. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს ამზადებს გენერალური სამდივნო, რომელშიც 2200 თანამშრომელი მუშაობს. მრავალი საბუთო ჯგუფი და კომისია საქმიანი სუბაბასის ასპარეზია, სადაც მის წევრ სახელმწიფოთა მოხელეები და ევროპის გაერთიანების კომისიის წევრები გულდასმით იხილავენ გადაწყვეტილებათა პროექტებს. ამ სისტემის სათავეში დგას მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი, რომელიც შედგება კავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ წარგზავნილი ელჩებისაგან – მინისტრებისაგან. კომიტეტს ეკისრება მინისტრთა საბჭოს სხდომებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინაცია. მინისტრთა საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით; ერთხმიობა საჭიროა მხოლოდ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, როგორებიცაა: გადასახადები, შრომითი კანონმდებლობა, იმიგრაცია, გარემოს დაცვა, პოლიტიკა, საგარეო თავდაცვა. ყოველი ქვეყნის ხვედრითი წილი განისაზღვრება მისი ეკონომიკის პოტენციალით, იგი ვარირებს 10-იდან (გვრ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) 2-ამდე (ლუქსემბურგი).

მხარეთა დაეების განსახილველად შექმნილია *ევროპის გაერთიანებათა სასამართლო*. შექმნილია აგრეთვე აუდიტორთა კომიტეტი, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კომიტეტი და ევროპის საინვესტიციო ბანკი.

ევროპის კავშირის სამართალშემოქმედება ხორციელდება რამდენიმე სახის აქტით, ესენია: ა) დადგენილებანი – საერთო გამოყენების ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მოქმედებენ მის წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე; ბ) დირექტივები – ისინი სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტაში. ასეთი აქტები მოითხოვენ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამის კორექტირებას; გ) გადაწყვეტილებანი – ისინი ეხებიან ცალკეულ სადავო საკითხებს და სავალდებულოა იმ ქვეყნების იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის, რომელთა საქმის გამოც იქნენ მიღებული; დ) რეკომენდაციები და შეხედულებანი – ეს ისეთი აქტებია, რომლებსაც ოფიციალურად იურიდიული ძალა არა აქვთ, მაგრამ დიდ ყურადღებას მოითხოვენ, რადგან ისინი მის აზრს გამოხატავენ.

დღემდე მ ძირითადად ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო და სოციალურ-ჰუმანიტარული საკითხების ერთობლივ რეგულირებას ახდენდა. იგი უპირველეს მიზნად ისახავდა, შექმნილიყო ერთიანი ეკონომიკური არე, რომლის ფარგლებში არ იარსებებდა არც საზღვრები, არც რაიმე შეზღუდვა საქონლის, კაპიტალისა და მოქალაქეთა გადაადგილებისათვის. 1990 წლის ივნისიდან დაიწყო მის საქმიანობის პირველი ეტაპი

– სავალუტო-საფინანსო და ეკონომიკური კავშირის შექმნა. თავდაპირველად ამ კავშირში შევიდა 8 სახელმწიფო – დიდი ბრიტანეთი, დანია, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდი და ლუქსემბურგი. 1992 წელს მას შეუერთდა საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია და ესპანეთი. 2002 წლის იანვრიდან ბრუნვაში შემოვიდა „ევრო“ – ერთიანი სავალუტო ერთეული.

აღსანიშნავია, ე.წ. „შენგენის სივრცის“ შექმნა. ამის შესახებ ქ. შენგენში (ლუქსემბურგი) 1.IV.1990 დაიდო კონვენცია, რომლითაც გაუქმდა კონვენციის მონაწილე ქვეყნებს შორის საბაჟო კონტროლი. სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც *შენგენის ვიზა* აქვს, ევროპის ქვეყნებში მიმოსვლის გაადვილებული წესით სარგებლობს.

ბოლო წლებში ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს *ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას*. 2000 წლის დეკემბერში ნიცაში (საფრანგეთი) მიღებულ იქნა „ევროპის კავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია“, რომელიც მომავალი ევროპული კონსტიტუციის ერთ-ერთი (მეორე) თავით მოიაზრება და ძალაში შევა კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ. მაგრამ მასში საკმაოდ დეტალურად ჩამოთვლილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები გამოცხადებულია *ევროპის სამართლის* ზოგად საერთო პრინციპებად, რომლებიც ბატონობენ ევროპის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ დადებულ ხელშეკრულებებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ევროპის გაერთიანებათა სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. ამდენად, უკვე დღეს ინდივიდებს ეძლევათ უფლება, მიმართონ ევროპის სასამართლოს ევროკავშირის ორგანოების ან სახელმწიფოთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევის გამო. აღნიშნავენ ევროპული სასამართლოსა და გაერთიანებათა სასამართლოს კომპეტენციების შეჯახების შესაძლებლობას და მათი გამიჯვნის უფრო ზუსტად განსაზღვრის აუცილებლობას.

მ საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის მქონე გაერთიანებაა. იგი აღიარებულია დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელსაც უფლება აქვს, დადოს ხელშეკრულება როგორც სხვა *საერთაშორისო ორგანიზაციებთან*, ასევე ცალკეულ სახელმწიფოებთან. უკვე დადებულია ხელშეკრულებები ასზე მეტ სახელმწიფოსთან. ეს არ გამოირიჩხავს მ-ის წევრი ქვეყნების უფლებას, დამოუკიდებლად დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები. მაგრამ თუ მოცემულ სფეროს მ-ის მიერ უკვე დადებული ხელშეკრულება არეგულირებს, კავშირის წევრ

ქვეყანას არა აქვს უფლება დაარღვიოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობები.

1996 წელს დაიდო *საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება ქარტ-ნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ*.

ემროკომისია (European Commission) – იხ. *ევროკავშირი*.

ემროკავში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (Organisation for Security and Cooperation in Europe) – იხ. *ეუთო*.

ემროკის გაერთიანებათა სასამართლო (European Communities Court of Justice) – *ევროკავშირში* მოქმედი ორგანო, რომელიც შედგება 13 მოსამართლისა და 6 გენერალური ადვოკატისაგან; მათ ნიშნავენ 6 წლის ვადით ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს თანხმობით. სასამართლოს ევალბა ევროკავშირის სიერცეში შემაველ ყველა ქვეყანაში კანონის ერთიანი გამოყენების უზრუნველყოფა ისეთ საკითხებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით, როგორცაა: ა) დავები ევროკავშირის კომისიასა და კავშირის წევრ-სახელმწიფოს შორის; ბ) დავები კავშირის წევრ-სახელმწიფოთა შორის; გ) კავშირის წინააღმდეგ მიმართული აქტები; დ) კავშირის წევრ-სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ გადმოცემული საკითხები ევროპის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის შესახებ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ევროპის სასამართლოს აქტს. სასამართლო ხელმძღვანელობს ცალკეულ გაერთიანებათა (პარიზის 1951 წლის და რომის 1957 წლის) ხელშეკრულებებისა და სხვა დამატებითი აქტების დებულებებით. ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება ევროკავშირის სასამართლოს, რომელიც ამოწმებს კავშირის წევრ-სახელმწიფოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობას კავშირის დამფუძნებელ და სხვა საკანონმდებლო აქტებთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლო კონტროლს უწევს, თუ რამდენად შეესაბამება თვით კავშირის გადაწყვეტილებები და ღონისძიებები დამფუძნებელ ხელშეკრულებას. *ევროკავშირის* მიერ მიღებულ აქტებს ეროვნული სასამართლოები უშუალოდ იყენებენ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართ.

ნიცაში მიღებული ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტია აფართოვებს სასამართლოს კომპეტენციას (იხ. *ევროკავშირი*).

ემროკის კავშირი (European Union) – იხ. *ევროკავშირი*.

ევროპის კავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება დანაშაულის მსხვერპლთა პროცესუალური უზღვევაუნარიანობის შესახებ (European Union Framework Decision on Standing Victims in Criminal Proceeding) – ყოველი წვერი სახელმწიფო ვალდებულია, შემოიღოს თავის ქვეყანაში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში დაზარალებულთა უფლებებისა და ინტერესების დამცველი კანონები, დებულებები და ადმინისტრაციული წესები. ამ შეთანხმების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულებს ეძლევათ შესაძლებლობა, მსჯავრდებულის მსგავსად მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში (მე-5 მუხლი), აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯზე მიიღონ იურისტის კონსულტაციები (მე-6 მუხლი). აღნიშნულ დოკუმენტში დაზარალებული განისაზღვრება როგორც პირი, რომელმაც სახელმწიფოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიიღო ფიზიკური ან მორალური ზიანი. ხელშეკრულების თანახმად, დაცული უნდა იქნეს დაზარალებულის უფლებები, ღირსება და ინტერესები სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში. ისინი მოსმენილნი უნდა იქნენ სასამართლოში და მათ უნდა წარუდგინონ მტკიცებულებები (მე-2 და მე-3 მუხლები); მიიღონ სრული ინფორმაცია, მათ შორის იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების შესახებ, ასევე საშიშ დამნაშავეთა გათავისუფლების შესახებ (მე-4 მუხლი), მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, უფლება – მოითხოვონ კომპენსაცია სამართალდამრღვევისაგან, თუკი კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შეთანხმების თანახმად, პოლიციის მუშაკები და იურისტები უნდა გადიოდნენ სპეციალურ მომზადებას დაზარალებულებთან კონტაქტის მიზნით.

ევროპის საბჭო (Council of Europe) – შეიქმნა 5.V.1949 ქ. ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს (ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი) საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ამ ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის შედეგად. 1949-70 წლებში ორგანიზაციაში გაწევრიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო. 1990 წლამდე ეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად რჩებოდა. 1989 წელს მან შემოიღო ქვეყნებისათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტი, რითაც ხელი შეუწყო ამ ორგანიზაციის არაწევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობის

დამყარებას. პოსტკომუნისტურ სივრცეში განვითარებულმა პროცესებმა მს-ს წვერთა შემადგენლობაზეც იქონია გავლენა. ქ. ვენაში 8-9.X.1993 ჩატარდა მს-ს წვერი სახელმწიფოების *სამიტი*, სადაც ოფიციალურად დადასტურდა ამ ორგანიზაციის გაფართოების პოლიტიკა: მასში გაწვერიანდა ყოფილი სოციალისტური ბანაკის მრავალი სახელმწიფო.

დღეისათვის დამფუძნებელი 10 სახელმწიფოს გარდა, საბჭოს წვერია კიდევ 36 სახელმწიფო: თურქეთი, საბერძნეთი (1949), გერმანია, ისლანდია (1950), ავსტრია (1956), კვიპროსი (1961), შვეიცარია (1963), მალტა (1965), პორტუგალია (1976), ესპანეთი (1977), ლიხტენშტაინი (1978), სან-მარინო (1988), ფინეთი (1989), უნგრეთი (1980), პოლონეთი (1991), ბულგარეთი (1992), ესტონეთი, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი (1993), ანდორა (1994), ალბანეთი, ლატვია, მაკედონია, მოლდოვა, უკრაინა (1995), რუსეთი, ხორვატია (1996), საქართველო (1999), აზერბაიჯანი და სომხეთი (2001), ბოსნია და ჰერცეგოვინა (2002), სერბია და მონტენეგრო (2004), მონაკო (2004). ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს მს-ს წვერი, თუ საბჭო დარწმუნდება, რომ ამ სახელმწიფოში დაცულია სამართლის უზენაესობა და *ადამიანის უფლებები*.

მს არის საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაცია (იხ. *საერთაშორისო ორგანიზაციები*), რომლის მიზანია: ადამიანის უფლებათა, პლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა; ევროპული კულტურის თვითმყოფადობის აღქმისა და განვითარებისათვის ხელშეწყობა; ევროპის თანამეგობრობის წინაშე მდგარი პრობლემების (ეროვნული უმცირესობის დაცვა, ბრძოლა ქსენოფობიის, შეუწყნარებლობის, გარემოს დაუცველობის, ადამიანის კლონირების, შიდსის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და ა.შ.) გადაწყვეტის ერთობლივი გზების ძიება; პოლიტიკური, საკანონმდებლო და სასამართლო რეფორმების მხარდაჭერის გზით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება. მს განიხილავს ევროპის თანამეგობრობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს, გარდა თავდაცვის საკითხებისა. მისი მოქმედების პროგრამა მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორებიცაა: *ადამიანის უფლებები*, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თანამშრომლობა სამართლებრივ დარგში, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა, ადგილობრივი დემოკრატია და საზღვრისპირა თანამშრომლობა, გარემოს დაცვა და რეგიონალური დაგეგმარება.

მს-ს ორგანოებია:

1. მინისტრთა კომიტეტი – ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც შედგება ამ ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებისაგან (ან მუდმივი წარმომადგენლებისაგან) ევროპის საბჭოში. კომიტეტი იხილავს და ამტკიცებს ბიუჯეტს, გამოაქვს გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ, განსაზღვრავს ორგანიზაციის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;

2. საპარლამენტო ასამბლეა – ეროვნული პარლამენტების წევრთა ფორუმი, რომელიც იხილავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო საკითხებს. მს-ს წევრ ყველა სახელმწიფოს საპარლამენტო ასამბლეაში ჰყავს ეროვნულ პარლამენტში მყოფი ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობათა წარმომადგენლები (ამჟამად დაახლოებით 600 დეპუტატი). ასამბლეა იკრიბება პლენარულ სხდომებზე წელიწადში ოთხჯერ;

3. ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესი – იგი შედგება მს-ს წევრი სახელმწიფოების ადგილობრივი ხელისუფლების პალატისა და რეგიონების პალატისაგან. იკრიბება წელიწადში ერთხელ ქ. სტრასბურგში. კონგრესის ძირითადი ამოცანაა, განამტკიცოს დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა და განვითარება ადგილებზე;

4. სამდივნო – იგი ტექნიკურ დახმარებას უწევს მს-ს ძირითად მთავარ ორგანოს, მის მრავალ კომისიას. შედგება დაახლოებით 1300 თანამშრომლისაგან. სამდივნოს სათავეში უდგას გენერალური მდივანი, რომელსაც ირჩევს საპარლამენტო ასამბლეა.

მს-მ შეიმუშავა მრავალი ფუძემდებლური საერთაშორისო კონვენცია, რომელთაგან ზოგიერთი წინ უსწრებდა *გაეროს სისტემაში* მიმდინარე პროცესებს. ასეთია, მაგალითად, *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ* (1950), რომელშიც მოგვიანებით შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი დამატებები კონვენციის 12 ოქმის სახით. ასევე აღსანიშნავია ევროპის სოციალური ქარტია, რომელიც მიღებულ იქნა 1961 წელს, ხოლო 1996 წელს მიღებულ იქნა მისი გადასინჯული ტექსტი. დღეისათვის მს-ს სულ მიღებული აქვს 170-ზე მეტი დოკუმენტი, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობებს, რეგიონალურ ენებს, არჩევნების დემოკრატიზაციას, წამების აკრძალვას და სხვ.

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო*.

საქართველოს მს-ში მიღებისას ხელშეკრულებით დაეკისრა ვალდებულებათა მთელი რიგის შესრულება, რომლის რეალიზაციის შემოწმება მონიტორინგის მექანიზმით ხორციელდება. ეს ჯგუფი სის-

ტმატურად ჩამოდის საქართველოში და ადგილზე სწავლობს ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას.

EMPOXIS სამართალი (European Law) – საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციების ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ორგანოების სტრუქტურის, კომპეტენციის, ფუნქციონირებისა და წვერი სახელმწიფოების უფლება-მოვლეობათა განმსაზღვრელი ნორმების ერთობლიობა.

ტერმინი გამოიყენება ორი მნიშვნელობით:

1. იმ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ევროკავშირის ორგანოების კომპეტენციას, მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფის საშუალებებს. ევროკავშირი ზენაციონალური ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციას მიეკუთვნება, რადგანაც მის ორგანოებს უფლება აქვთ ბათილად ცნონ ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტი, რომელიც დაფუძნებულ ხელშეკრულებებს ეწინააღმდეგება.

2. ფართო გაგებით, მს-ის ცნებაში მოიაზრება ევროპის საბჭოს ორგანოების სტრუქტურა, კომპეტენცია, მიღებული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ასახვისა და რეალიზაციის უზრუნველყოფის საშუალებები.

თუ ევროკავშირის სამართალი შეიქმნა მონაწილე ქვეყნების (თავდაპირველად მასში 12 ქვეყანა მონაწილეობდა, დღეისათვის კი ეს რიცხვი 25-ს აღწევს) ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, დღეს მისი საქმიანობა მოიცავს აგრეთვე თანამშრომლობას პოლიტიკურ, უშიშროებისა და დიპლომატიურ სფეროებში. სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების სრულყოფა ევროსაბჭოსთან მჭიდრო კავშირში. ევროკავშირი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად გვევლინება, მას ხელშეკრულებების დადების უფლება აქვს.

ევროპის საბჭო იმთავითვე დაარსდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მიზნით. მთელი მისი სტრუქტურა და საქმიანობა ეყრდნობა (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სხვა კონვენციას) საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებს (კონვენციებს, შეთანხმებებს და სხვ.), რომლებიც ხელმოწერილია და რატიფიცირებულია წვერი სახელმწიფოების მიერ. ორგანიზაცია აკონტროლებს წვერი სახელმწიფოების შიგნით ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობას – რამდენად შეესაბამება იგი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა აქტის მოთხოვნებს.

ევროკავშირის 25-ივე წევრი სახელმწიფო ევროპის საბჭოს მონაწილეა, რომელიც დღისათვის 46 სახელმწიფოს მოიცავს.

ევროპის სოციალური ქარტია (European Social Charter)
– იხ. *ევროპის საბჭო*.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms) – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიღებულია რომში 4.XI.1950 და ძალაში შევიდა 3.IX.1953. კონვენცია პირველი იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისოსამართლებრივი აქტია, რომელმაც გაითვალისწინა *ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები*. კონვენცია ითვალისწინებს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის: სიცოცხლის უფლებას, წამების, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვას, სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლებას, სამართლიანი სასამართლოს მიერ დაცვას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, მრწამსისა და სიტყვის თავისუფლებას, შეკრებისა და ასოციაციის თავისუფლებას, დარღვეულ უფლებათა ეფექტიანი აღდგენის უფლებას, დისკრიმინაციის აკრძალვას და სხვ. კონვენციის დამატებით ოქმებში გათვალისწინებულია სხვა უფლებებიც. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კონვენციითა და ოქმებით გათვალისწინებული უფლებები მისი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც მათ იურისდიქციაში იმყოფება. კონვენციის ეფექტიანობა განპირობებულია ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული სისტემით. კონვენციის მიერ თავის ვალდებულებათა სათანადოდ შესრულებისათვის ზედამხედველობის განსახორციელებლად შექმნილია *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო* (მე-19 მუხ.).

ევროპული კონვენცია კალაღობის დანაშაულთა მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდის შესახებ 1985 წლისა (European Convention on Compensation for Victims of Crimes of Violence) – კონვენციას ხელი მოაწერეს ევროპის კავშირის წევრებმა, იტალიის, ბელგიისა და საბერძნეთის გარდა. კონვენციის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციას იხდის იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა წყაროებიდან ვერ ხერხდება კომპენსაციის გადახდა იმ დაზარალებულებისათვის, რომლებსაც უშუალოდ განზრახ ძალადობი-

თი დანაშაულის შედეგად მიადგათ მძიმე სხეულის დაზიანება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ამგვარი დანაშაულის შედეგად დაღუპულთა კმაყოფაზე მყოფი პირები. კომპენსაცია დაფარავს: შემოსავლის დაკარგვას, სამედიცინო და ჰოსპიტალიზაციის, დაკრძალვის ხარჯებს, ასევე დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ პირთა ხარჯებს. კონვენციის თანახმად, ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადახდის სქემა ხელმისაწვდომი იყოს პოტენციური განმცხადებლისათვის.

ევროპული სასამართლო (European Communities Court of Justice) – იხ. ევროპულ გაერთიანებათა სასამართლო.

ევროპული ქარტია რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების დაცვის შესახებ (European Charter on Protection of Regional or Minorities Languages) – იხ. ეროვნული უმცირესობანი.

ევროპული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (European Framework Convention on the Protection of National Minorities) – იხ. ეროვნული უმცირესობანი.

ეთნიკური კონფლიქტი (Ethnic conflict) – 1) დაპირისპირება სახელმწიფოს ხელისუფლებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ თუ ეთნიკურ, ენობრივ ჯგუფს შორის (იხ. ეროვნული წარმომავლობა, ეთნიკური ჯგუფი, ეთნიკური წარმომავლობა, აგრესიული სეპარატიზმი, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი). როგორც წესი, მკ პროვოცირებულია ამ ჯგუფების სათავეში მდგარი პოლიტიკური ელიტის მიერ, რომელსაც მორალურ, პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებასაც კი უწყევენ მეზობელი ქვეყნების ოფიციალური თუ არაოფიციალური ძალები, რაც მიზნად ისახავს **სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის** ხელყოფას. ასეთი სახის მკ, რომელსაც სეპარატიზტები ნათლავენ უფრო მრავალრიცხოვან ეთნიკურ ერთობასა და პატარა ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებად, სინამდვილეში ეთნობოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რადგან მისი ძირითადი მხარეებია სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება და სეპარატიზტული ძალები, ასეთი მკ ხშირად გადაიზრდება **არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში**, რომლის დროს ეთნიკური წმენდა აღინიშნება.

2) მკ, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს აგრესიული, შეუწყნარებელი, დისკრიმინაციული პოლიტიკით (იხ. *შეუწყნარებლობა, დისკრიმინაცია*), რაც *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მწვევე რეაქციას* იწვევს. ამ ტიპის კონფლიქტების სიმრავლით ხასიათდება აფრიკის რეგიონი.

3) მკ წარმოიშობა მეზობლად მცხოვრებ *ეთნიკურ ჯგუფებს* შორის, რომლებიც ტრადიციული შეუწყნარებლობით გამოირჩევიან და დაუნდობელი ზოცვა-ყლექით ცდილობენ პრობლემის გადაწყვეტას, რასაც მილიონობით, ასეულათასობით ადამიანი ემსხვერპლება (მაგ., აფრიკის ქვეყნებში).

4) მკ, რომელიც წარმოიშობა ორ ან რამდენიმე ეთნიკურ ჯგუფს შორის, ყოფით ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირება (მიწის ნაკვეთების გაყოფა, ტყის გამოყენება და ა.შ.). როგორც წესი, ასეთი მკ ხანგრძლივი არ არის და სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების ეფექტურობაზეა დამოკიდებული).

ეთნიკური წარმომავლობა (Ethnic origin) – ტერმინი აღნიშნავს ადამიანის კუთვნილებას ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული *ეთნიკური ჯგუფისადმი*, რომელიც განსხვავდება სხვა ეთნიკური ჯგუფისაგან (ერთობებისაგან) და, პირველ რიგში, უმრავლესობაში მყოფი მოსახლეობისაგან, რომელიც მართავს სახელმწიფოს (იხ. *ერი*). ხშირად მკ ენაცვლება *ეროვნულ წარმომავლობას*, რადგანაც ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ეთნიკური ერთობაა.

ეთნიკური წმენდა (Ethnic cleansing) – ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს, ამა თუ იმ გეოგრაფიული რაიონიდან განდევნოს სხვა ასეთი ჯგუფების სამოქალაქო მოსახლეობა ძალადობისა და ტერორის მეთოდების გამოყენებით (მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუპატიურება და სხვა სექსუალური ხელყოფა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალმომრეობით განდევნა, გადაადგილება და *დეპორტაცია*, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ ამ თავდასხმების მუქარა, საკუთრების განადგურება). მკ-ის პრაქტიკა *აგრესიული სეპარატიზმის* ძირითადი იარაღია და იგი *გენოციდის* სახეს იღებს, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სადაც 1992 წელს სერბმა სეპარატისტებმა მუსლიმანების მიმართ, გაეროს გენერალური ასამბლეის შეფასებით, სწორედ ამ გზით გა-

ნახორციელეს გენოციდი. ეთნიკური წმენდა ერთ-ერთი ყველაზე საშიში სახეობაა დანაშაულისა ადამიანურობის წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო მართლმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება; იგი იუგოსლავიის ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის (იხ. *ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი*) გადაწყვეტილებებში ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად ფიგურირებს, რომლის გამოც მრავალი სერბი სეპარატისტი მიეცა პასუხისგებაში. ბოლო დროს იმავე ბრალდებით პასუხისგებაში მიეცა რამდენიმე ხორვატი და ბოსნიელი პირი.

მწ-ის სასტიკი გამოვლინებაა აფხაზ სეპარატისტთა ბარბაროსული ქმედებები, რომელთა შედეგად მოკლულია 10000-ამდე სამოქალაქო პირი, ხოლო 250000-ამდე ადამიანი განდევნილია მშობლიური კერიდან. ეს ქმედებები დაგობილია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. *ეუთოს* ლისაბონის *სამიტმა* 5.XII.1996 დაგმო ეთნიკური წმენდა, რომელსაც შედეგად მოჰყვა ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი მოსპობა და განდევნა აფხაზეთიდან. ასეთ პოზიციაზე დგანან *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა*, *ევროპის საბჭო*, *ევროკავშირი*. რაც შეეხება *გაეროს უშიშროების საბჭოს*, იგი დღემდე თავს არიდებს ამ ფაქტის პირდაპირ დაფიქსირებას და ჯერჯერობით კმაყოფილდება მხოლოდ იმით, რომ „შეახსენებს“ საერთაშორისო თანამეგობრობას ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების გადაწყვეტილებებს. უშიშროების საბჭოს ასეთი პოზიცია აიხსნება მასში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალთა პოზიციების განსხვავებით, რაც აფერხებს აფხაზ სეპარატისტთა მიმართ გაეროს წესდების VII თავის ამოქმედებას (მოქმედება მშვიდობისადმი საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ) და მხოლოდ VI თავის ფარგლებში (დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტა) აღწევს საბჭო ჯერჯერობით საერთო შეთანხმებას კონსენსუსის წესით.

ეთნიკური ჯგუფი (Ethnic group) – ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მდგრადი სოციალური, საზოგადოებრივი ერთობა, რომელსაც აქვს საერთო ენა, ადათ-ჩვეულებები, მითები, კულტურა, რწმენა. ეთნიკურ ერთობას ქმნის *ერი* – მრავალსაუკუნოვანი ეთნიკური წარმონაქმნი, რომელიც ერი-სახელმწიფოს ძირითადი მოსახლეობაა, ან სხვა ერთან ერთად მართავს სახელმწიფოს.

მწ-ში შედარებით მცირერიცხოვანი თემებია, რომლებიც ისტორიულად არსებობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და განსხვავდებიან

დანარჩენი მოსახლეობისაგან თავისი ადათ-ჩვეულებებით, ენით, კულტურით, რწმენით.

ზოგიერთი მკვ ცდილობს, ხაზი გაუსვას ამ განსაკუთრებულობას და ეწინააღმდეგება ასიმილაციას (იხ. *ძირძველი მოსახლეობა*). ზოგი ერწყმის უმრავლესობაში მყოფ მოსახლეობას – ერს, მაგრამ ინარჩუნებს ყოფით თავისებურებებს, ენას ან დიალექტს. თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი აქტები კრძალავს ნებისმიერ *დისკრიმინაციას* „ეთნიკური“, „ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის საფუძველზე“.

აგრესიული სეპარატიზმი იყენებს ეთნიკურ თავისებურებებს მკვ-ის წევრთა თავისი პოლიტიკური ზრახვების რეალიზაციაში ჩაბმის მიზნით, რაც აკრძალულია თანამედროვე საერთაშორისო სამართალით (იხ. *ეროვნული უმცირესობანი, ეროვნული წარმომავლობა, ეთნიკური წარმომავლობა*).

ემიგრანტი (Emigrant) — პირი, რომელიც ტოვებს თავისი *მოქალაქეობის* ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში (გაეროს 1948 წლის *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია* (27-ე მუხ.). 1966 წლის *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* (მე-12 მუხ., მე-2 პუნქ.) აღიარებს „ყოველი ადამიანის უფლებას, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც“ (ე.ი. ემიგრაციის უფლებას). ეს უფლება კანონის საფუძველზე შეიძლება შეზღუდოს იმისათვის, რომ დაცულ იქნეს სახელმწიფო საიდუმლოება და უსაფრთხოება, საზოგადოებრივი წესრიგი, მოსახლეობის ჯანმრთელობა და ზნეობა ან სხვა უფლებები და თავისუფლებები. საბჭოთა კავშირის მიერ ამ უფლების დარღვევა წლების განმავლობაში ძაბავდა ურთიერთობას დასავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ებრაელთა ემიგრაციასთან დაკავშირებით.

ERGA OMNES (ლათ., ნიშნავს: „ყოველთა შორის“) – საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა (იხ. *სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა*) ვალდებულება, დაემორჩილონ *საყოველთაო საერთაშორისო სამართლის* იმ ნორმებს, რომლებიც *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* ძირითად მორალურ-პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავენ და ცალკეული სახელმწიფოების, თუნდაც მათი ჯგუფების, ინტერესებზე მალა დგანან. ასეთი ვალდებულების დარღვევისათვის სახელმწიფო (სახელმწიფოები) პასუხს აგებს მთელი თანამეგობრობის წინაშე, რომლის ყოველ წევრს უფლება აქვს, გაასაჩივროს ასეთი ქმედება საერთაშორისო სასამართლოში ან პოლიტიკურ ორგანოებში

(მაგ., *გაეროში*). საერთაშორისო სამართლის *იმპერატიული ნორმებისაგან* განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ხელშეკრულებათა ბათილად გამოცხადებას ეხება, ვალდებულება EO არ არის შეზღუდული მხოლოდ სახელმწიქრულებო ურთიერთობებით, მას ექვემდებარება, აგრეთვე, სახელმწიფოს (სახელმწიფოების) კონკრეტული ქმედებები, რომლებიც არღვევენ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის EO-ის ხასიათის მქონე ნორმებს. მაგალითად, *გაეროს საერთაშორისო სასამართლომ* 1970 წელს ერთ-ერთი საქმის ("Barcelona Traction Case") განხილვისას დაადგინა: „არსებითად უნდა განვასხვავოთ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა „სახელმწიფოთა მთელი თანამეგობრობის წინაშე“ და ის პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური დაცვის სფეროში. პირველი მათგანი თავისი არსით ეხება ყველა სახელმწიფოს. ამ უფლებათა მნიშვნელობის გამო უნდა ითქვას, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს მათი დაცვის სამართლებრივი ინტერესი; ეს არის ვალდებულება Erga Omnes. მაგალითად, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ასეთი ვალდებულებები გამოძინარეობს *აგრესიის* აქტის კანონგარეშედ გამოცხადებიდან, *გენოციდის* აკრძალვიდან, აგრეთვე იმ პროცესებიდან და ნორმებიდან, რომლებიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს, მონობისა და რასობრივი დისკრიმინაციისაგან დაცვის ჩათვლით. დაცვის ზოგიერთი სათანადო უფლება შევიდა საყოველთაო *საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში*, ხოლო სხვები აღიარებულია უნივერსალური და თითქმის უნივერსალური ხასიათის *საერთაშორისო ხელშეკრულებით*. ამ დასკვნამ დიდი როლი შეასრულა EO-ის პრინციპის განვითარებაში.

მრი (Nation) — ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი „ერთობა“, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ზოგიერთ კრიტერიუმს. ტერმინ „ერის“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს. საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში მიღებული იყო *მ-ის* სტალინისეული განმარტება, რომლის მიხედვით, *მ-ს* ოთხი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: ენის ერთობა, საერთო ტერიტორია, ეკონომიკური წყობის ერთობა და საერთო ეროვნული ხასიათი, რომლის გამოვლინებაც ეროვნული კულტურა. ამასთანავე, მარქსიზმის მტკიცებით, *მ-ები* ყალიბდებიან მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში, როდესაც იქმნება საერთო ეროვნული ეკონომიკა და ერთიანი შიდა ბაზარი. ამრიგად, გამოდის, რომ XVI-XVII საუკუნეებამდე *მ-ები* არ არსებობდნენ, ხოლო XX ს-ში, იმის მიხედვით, თუ როგორ

საზოგადოებრივ ფორმაციაში იმყოფებოდა ესა თუ ის ქვეყანა, არსებობდნენ სოციალისტური და ბურჟუაზიული მ-ები.

მ-ის ასეთ გაგებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა თვით სოციალისტურ ქვეყნებში. მკვლევართა ნაწილის აზრით, ზემოხსენებული ოთხი ნიშანი ახასიათებს ნებისმიერ ეთნიკურ ერთობას (იხ. *ეთნიკური ჯგუფი*) და ამიტომ მ-ის რაობის გარკვევისათვის საკმარისი არ არის. ბევრი მ-ის აუცილებელ კრიტერიუმად საკუთარი სახელმწიფოს არსებობას მიიჩნევს და ასკენის, რომ მხოლოდ ის ეთნიკური ერთობა შეიძლება ჩაითვალოს მ-ად, რომელიც პოლიტიკურ ერთობას ქმნის და აქვს თავისი სახელმწიფო. ეს თვალსაზრისი უახლოვდება დასავლეთში გავრცელებულ წარმოდგენას მ-ის რაობის შესახებ, სადაც მ და სახელმწიფო ხშირად იდენტურ ცნებებად მოიაზრება, რადგან დასავლეთ ევროპაში მ-ის ჩამოყალიბება მათი სახელმწიფოების წარმოქმნასთან ერთად მოხდა (ასეთი თეორია წამოყენებული იყო იტალიაში XIX ს-ის დამლევს და მიზნად ისახავდა დაქუცმაცებული იტალიის გაერთიანებას). აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისურ და ფრანგულ ენებში სიტყვა „ერს“ (the nation, la nation) უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეთნიკური. თვით ქართულ და რუსულ ენებშიც კი, სადაც ეს სიტყვა ძირითადად ეთნიკური შინაარსისაა, გვხვდება „ერთან“ დაკავშირებული ტერმინები, სწორედ სახელმწიფოს მნიშვნელობით (მაგ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეროვნული ვალუტა, ეროვნული შემოსავალი და სხვ.).

მ-ისა და სახელმწიფოს იდენტურობის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „ერი-სახელმწიფო“ ან „ეროვნული სახელმწიფო“ (Nation-state). ამ ცნებაში იგულისხმება, რომ ასეთი სახელმწიფოს ყველა მოქალაქე, მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, ერთი მ-ის წარმომადგენელია. მაგ., ფრანგი მ-ში გულისხმობს საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, ასევე ამერიკელი მ აშშ-ის მოქალაქეების ერთობლიობაა და ა.შ. ამდენად, ცნება „ფრანგი“ განსხვავდება „ეთნიკური ფრანგისაგან“, რადგან პირველი გულისხმობს საფრანგეთის ყველა მოქალაქეს, მეორე კი მხოლოდ ეთნიკურ ფრანგებს. ევროპის ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა „ერი-სახელმწიფოს“ ტიპს განეკუთვნება, მაშინ როდესაც აფრიკაში „ერი-სახელმწიფო“ იშვიათობაა. ამიტომ საერთაშორისო დოკუმენტებში უფრო ტერმინი „ხალხი“ იხმარება (მაგ., *ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება*).

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (National liberation movement) – დაპყრობილი და კოლონიზებული ხალხების ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს უცხოეთის ბატონობის მოსპობას და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას, კოლონიური ჩაგვრისა და ექსპლუატაციის ლიკვიდაციას, ხალხის მიერ თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების განხორციელებას. ეს მოძრაობა ამა თუ იმ ფორმით თავს იჩენს კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ბოლო ორ საუკუნეში. ამ მოძრაობის პირველ მასობრივ ტალღად ითვლება XIX ს-ის პირველ მესამედში ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სუვერენული სახელმწიფოების (იხ. *სუვერენიტეტი, სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა*) შექმნისათვის ესპანელი და პორტუგალიელი კოლონიზატორების ბატონობის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით ფართოდ და მძლავრად გაიშალა XX ს-ის 50–60-იან წლებში, როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა აზიის, აფრიკის, კარიბის რეგიონისა და ოკეანეთის ასზე მეტმა სახელმწიფომ. მესამე ეტაპად უნდა ჩაითვალოს XX ს-ის 90-იანი წლები, როდესაც კომუნისტური რეჟიმების დამხობას აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა ოცამდე ახალი სუვერენული სახელმწიფოს წარმოქმნა.

დღევანდელ მსოფლიოში კოლონიალიზმის კლასიკური ფორმა ფაქტობრივად ლიკვიდირებულია. დაპყრობილი და კოლონიზებული ხალხების რიცხვი არცთუ ისე ბევრია. თუმცა ახალჩამოყალიბებული, პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქვეყნების დიდი უმრავლესობა ეკონომიკურად კვლავ ყოფილი მეტროპოლიის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფება ან დამოკიდებულია სხვა წამყვან, განვითარებულ ქვეყნებზე. ასეთი მდგომარეობა წარმოშობს დამოკიდებულების ახალ ფორმებს (*ნეოკოლონიალიზმი*) და ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების წინაშე აყენებს პრობლემას, იბრძოლონ რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. ეპმ სამართლიანი და პროგრესული მოვლენაა. მის იურიდიულ საფუძველს შეადგენს *ძირითადი პრინციპი საერთაშორისო სამართლისა – ხალხთა თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის უფლება*. ამ მოძრაობისაგან მკვეთრად განსხვავდება *აგრესიული სეპარატიზმი*, რომელიც მიზნად ისახავს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული დემოკრატიული სახელმწიფოსაგან გამოცალკევდეს მასში მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხი ეთნიკური ან რელიგიური ნიშნის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო

სამართლის სხვა ძირითად ნორმებს, კერძოდ, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობის პრინციპებს.

მაროვნული რეჟიმი (National regime) – იხ. უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა.

მაროვნული უმცირესობანი (National minorities) – სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობასთან შედარებით და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით. ეს სტატუსი ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაციების ორგანოთა და ექსპერტთა მუშაობის შედეგად. ეროვნულ უმცირესობათა წინამორბედად გვევლინება „რელიგიური უმცირესობა“. ფეოდალურ სამყაროში, რომელიც არ იცნობდა ერის ცნებას, სახელმწიფოები ცდილობდნენ სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ერთმორწმუნეთა დაცვას ამ ქვეყანაში გაბატონებული მათთვის უცხო რელიგიისაგან, რისთვისაც ასეთ ქვეყნებთან დებდნენ სათანადო შეთანხმებას. XVII ს-იდან მოყოლებული, ხშირდება ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკაში ამ სახის ხელშეკრულებანი როგორც ერთმანეთს შორის (მაგ.: ვესტფალიისა და ინსბრუკის 1648 წლის ხელშეკრულებანი, ვენის 1815 წლის კონგრესის აქტები და სხვ.), ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან (რუსეთ-თურქეთის 1774 წლის ხელშეკრულება და ა.შ.).

XX ს-იდან რელიგიურ უმცირესობათა დაცვა იცვლება „ეროვნულ უმცირესობათა“ ინტერესების უზრუნველყოფით. დიდმა სახელმწიფოებმა დაქსაქსეს პატარა ერები ევროპის გულში საზღვრების ხელოვნურად გატარების მეშვეობით. ცნობილია, რომ ვერსალის სისტემამ (1919) ავსტრია-უნგრეთის ადგილას შექმნა რადმენიმე სახელმწიფო, რომელთა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს „ეროვნული უმცირესობანი“ შეადგენდნენ. პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, იუგოსლავიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან და თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებებში ინგლისმა და საფრანგეთმა შეიტანეს სპეციალური პუნქტები „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, მაგრამ შემდგომ ამ უმცირესობათა ჩივილებსა და მოთხოვნებს არავინ ყურადღებას აღარ აქცევდა; ასეთსავე პოზიციაზე იყო ერთა ლიგა, რომელსაც უშუალოდ ეკისრებოდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა. გაერო უარყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებას – უშუალოდ მიმართონ მას პეტიციით, მაგრამ, ამასთან ერთად, აძლიერებს მოთხოვნებს თვით სახელმწიფოების მიმართ ადა-

მიანისა და ერების ღირსებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანაშაუვ სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იბულება. საკითხის დასმის უფლება აქვს გაეროს წევრ ყველა სახელმწიფოს და ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. *გაეროს წესდება* არ ხმარობს ტერმინს – „ეროვნული უმცირესობა“, მაგრამ ქმნის მათი დაცვის რეალურ გარანტიებს. *საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* აღიარებს იმ ინდივიდთა უფლებებს, რომლებიც „ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან“, შექმნან ფართო ავტონომია. შემდგომ დადგინდა, რომ ამ ჯგუფებს არ შეიძლება ჰქონდეთ იმ სახელმწიფოდან გამოყოფის პრეტენზია, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, ანუ მათზე არ ვრცელდება ხალხთა თვითგამორკვევის უფლება (იხ. *ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება*).

ზოგადად ამ ჯგუფთა ყველა კატეგორია „ეროვნულ უმცირესობათა“ ტერმინში ერთიანდება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ჯგუფი სხვა სახელმწიფოში მცხოვრები ხალხის მცირედი ნაწილია (მაგ.: რუმინეთში – უნგრელები, საქართველოში – სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები და სხვ., ესტონეთში – რუსები), თუ უმცირესობაში მყოფი ძირძველი მოსახლეობაა. თავისთავად ცხადია, მათ არ გააჩნიათ გამოყოფის უფლება იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომელშიც ისინი ცხოვრობენ (იხ.: *სეპარატიზმი, ირედენტიზმი*). დასრულებული სახით 1992-თა სტატუსი ჩამოყალიბდა *გაეროს* 1992 წლის „დეკლარაციაში იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს მიეკუთვნებიან“.

დეკლარაციის მიხედვით, მათ უნდა მიეცეთ უფლება, თავისუფლად ეზიარონ თავიანთ კულტურას, რელიგიას, გამოიყენონ თავიანთი ენა საჯარო და პირად ცხოვრებაში, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ქვეყნის კულტურულ, რელიგიურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფოს ცენტრალური თუ ადგილობრივი ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც ეხება უმცირესობის ბედს; იმ რეგიონში, სადაც ისინი ცხოვრობენ, უმცირესობათა წევრები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთობა დაამყარონ ამავე ჯგუფის სხვა წევრებთან ან სხვა უმცირესობებთან, ამ უმცირესობის მონათესავე პირებთან, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ (1-ლი-მე-3 მუხ.). საჭიროებისამებრ, სახელმწიფოები იღებენ ზომებს, რათა კანონის წინაშე სრული თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყონ უმცირესობათა ყოველი წარმომადგენლისათვის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაცია; უქმნიან მათ

ხელსაყრელ პირობებს, რათა საშუალება მისცენ, გამოამჟღავნონ თავიანთი თავისებურებანი, განავითარონ თავიანთი კულტურა, ენა, რელიგია, ტრადიციები და ჩვეულებანი, თუ მათი კონკრეტული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართალს; აღნიშნულ პირებს, შეძლებისდაგვარად, საშუალება მისცენ, შეისწავლონ თავისი მშობლიური ენა და მიიღონ განათლება ამ ენაზე; აქტიურად ჩააბან უმცირესობანი ქვეყნის ეკონომიკური პროგრესისა და განვითარების პროცესში. თავის მხრივ, ამ უმცირესობებმა სათანადო ანგარიში უნდა გაუწიონ იმას, რომ აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც „ეწინააღმდეგება *გაეროს* მიზნებსა და პრინციპებს, მათ შორის, სახელმწიფოთა *სუვერენული თანასწორობის*, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებს“ (მე-8 მუხ., მე-4 პუნქ.).

ეროვნულ უმცირესობათა საკითხი მწვავედ დადგა სსრ კავშირის დაშლის პროცესში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის 1990 წლის აპრილის კანონით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სხვა ავტონომიებს უფლება მიეცათ, თვითონვე გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი და გამოყოფოდნენ იმ რესპუბლიკას, რომელიც სსრ კავშირიდან გამოსვლას დააპირებდა. პირველ რიგში, ეს შეეხო საქართველოს, აზერბაიჯანსა და მოლდოვას, სადაც ეწყობოდა ე.წ. *ეთნიკური კონფლიქტები*, რომლებიც რუსეთის რეაქციული წრეების მიერ იყო ინსპირირებული და მათი უშუალო დახმარებით სარგებლობდა. ეს წრეები ცდილობდნენ, შიგნიდან აეფეთქებინათ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყოფილი „მოკავშირე რესპუბლიკები“. მაგრამ ამას დაბრკოლებას უქმნიდა და უქმნის *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა*, რომელიც უარყოფს ნებისმიერი ეროვნული უმცირესობის წაღილს, ცალმხრივად გამოეყოს სახელმწიფოს.

მშ-ის პრობლემას დიდ ყურადღებას აქცევს „ევროპული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (ძალაში შევიდა 1.II.1998) და *ვეროპის საბჭოს* მინისტრთა კომიტეტის მიერ 1992 წელს დამტკიცებული „რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების ქარტია“.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების წევრთა კულტურული, რელიგიური, ენობრივი და ადამ-ჩვეულებების დაცვა და ხელის შეწყობა მათი განვითარებისათვის, არ დაუშვან მათი დისკრიმინაცია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების არც ერთ სფეროში.

ძირითადად ეს აქტები ეფუძნებიან ზემოაღნიშნულ *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს*, მა-

გრამ. ამავე დროს, ბევრ ახალ უფლებას აღნუსხავენ, რაც მიუღებელია ზოგიერთი სახელმწიფოსთვის. ამიტომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა დღემდე არ მონაწილეობს ჩარჩო კონვენციაში, რადგანაც არ ცნობს თავის ტერიტორიაზე ასეთი უმცირესობების არსებობას (მაგ., საფრანგეთი). საქართველო 2005 წლის დასაწყისისათვის არ იყო ამ დოკუმენტის ხელმძღვრ სახელმწიფოთა შორის, თუმცა აღიარებს მშ-თა არსებობას საქართველოს ტერიტორიაზე. ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედებს ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის მეთვალყურე კომისარი და მონიტორინგის მწარმოებელ ექსპერტთა საკონსულტაციო კომიტეტი, რომელიც განიხილავს სახელმწიფოების მიერ წარდგენილ მოხსენებას (დაიწყო მუშაობა 1998 წლიდან).

ეროვნული წარმომავლობა (National origin) – ტერმინი გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით:

ა) ერისადმი (იხ. *ერი*) კუთვნილების, წმინდა ეთნიკური (ენა, ადათ-ჩვეულებები და ა.შ.) მნიშვნელობით. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია* აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი უფლებები „მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყველა ადამიანს, განურჩევლად რაიმე განსხვავებისა – რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა...“.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ უფრო ზუსტად განსაზღვრავს; იგი კრძალავს *დისკრიმინაციას* ეროვნული და სოციალური წარმოშობის, *ეროვნული უმცირესობის* კუთვნილების... განურჩევლად (მე-14 მუხ.).

ბ) *მოქალაქეობის* აღმნიშვნელ ტერმინად (Citizenship, Nationality), რაც განპირობებული იყო ევროპაში ერების ჩამოყალიბებით, ეროვნული სუვერენიტეტის (იხ. *სუვერენიტეტი*) და ე.წ. ერი სახელმწიფოების (Nation States) ჩამოყალიბებით (იტალია, საფრანგეთი და სხვ.). ამიტომ ამა თუ იმ უცხო ქვეყნის საკონსულოში ვიზის მისაღებად შესასვლელ ანკეტაში გრაფაში, „nationality“, ჩაიწერება არა ეთნიკური მნიშვნელობით ეროვნება (ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი), არამედ პიროვნების მოქალაქეობა. (მაგ.: დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის და ა.შ.) საქართველოს კანონმდებლობით, ასეთ კითხვაზე ვიზის მომთხოვნმა უნდა ჩაწეროს – „საქართველოს“, რაც მოქალაქეობის და არა ეროვნული წარმომავლობის აღმნიშვნელია.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-15 მუხ.) აცხადებს: „1. ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება (ინგლისურ ტექსტში: „Everyone has the right to a nationality“); 2. არავის

შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა (nationality) ან შეიცვალოს თავისი მოქალაქეობა“ (მე-14 მუხ.).

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია. არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ მასალაზე დაყრდნობით ასკვნის: „დაუშვებელია ნებისმიერი ყველა სახის დისკრიმინაცია ადამიანისა თუ ადამიანთა ჯგუფის მიმართ რასის, კანის ფერის, რელიგიის, ენის, მოქალაქეობის (გამოყენებულია ტერმინი „nationality“), ეროვნული („national“) და ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე“. აქვე კომისია აღნიშნავს, რომ ტერმინი „ეროვნება“ („Nationality“) მას ესმის ისე, როგორც ეს აღნიშნულია „ევროპულ კონვენციაში მოქალაქეობის შესახებ“ (მე-2 თ მუხ.), რომელიც აცხადებს: „ეროვნება“ (Nationality) ნიშნავს სამართლებრივ კავშირს პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის და არ მიუთითებს პიროვნების ეთნიკურ წარმოშობაზე“. საფრანგეთისა და უცხოეთის სხვა სახელმწიფოების კანონები „მოქალაქეობის შესახებ“ იყენებენ ტერმინს – „Nationality“, როგორც „მოქალაქეობის“ აღმნიშვნელს.

მუშო (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია – OSCE) – უსაფრთხოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წევრი 55 სახელმწიფო განლაგებულია ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმულ გეოგრაფიულ სივრცეზე. იგი შეიქმნა *გაეროს წესდების VIII* თავის შესაბამისად ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისის მართვისა და კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: შეიარაღების კონტროლი, *გაეროს პრევენციული დიპლომატია*, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომები, *ადამიანის უფლებები*, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს უსაფრთხოება. ჰელსინკის თათბირის დასკვნით აქტს 5.VIII.1975 ხელი მოაწერა 35-მა სახელმწიფომ. ეს აქტი, თუმცა არ არის *საერთაშორისო ხელშეკრულება*, უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური შეთანხმებაა, რომლის მიზანი იყო, შეესუსტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

1990 წლამდე ეუთო ფუნქციონირებდა როგორც შეხვედრებისა და კონფერენციების ფორუმი, რომელიც ადგენდა სახელმწიფოთა და მოქალაქეთა მოქმედების წესებს და პერიოდულად მიმოიხილავდა მათ შესრულებას (ამ დროს მისი სახელწოდება იყო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი – ეუთო). პარიზის 1990 წლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ეუთო ახალ კურსს დაადგა. „პარიზის

ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ ეუთო-ის ძირითად ამოცანებად მიჩნეულ იქნა ევროპაში მიმდინარე ისტორიული გარდაქმნის წარმართვისა და „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის ახალ მოთხოვნებზე რეაგირებისათვის ხელის შეწყობა. ამ ამოცანების შესრულების გასაადვილებლად შეიქმნა ცალკეული ინსტიტუტები, შეხვედრებმა უფრო რეგულარული ხასიათი მიიღო და ეუთო-ის მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდა. 1990 წლის ნოემბერში მოლაპარაკება წარმოებდა ეუთო-ის საქმიანობის ფარგლებში შეიარაღების კონტროლის მნიშვნელოვან შეთანხმებაზე – ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების ხელშეკრულებაზე (CFE). ერთობლივი საკონსულტაციო ჯგუფი (იგი პასუხისმგებელია ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობაზე) და „ლია ცის“ საკონსულტაციო კომისია (მასში წარმოდგენილია „ლია ცის“ შესახებ 1992 წლის ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო), თუმცა ისინი *მშტო*-ს ორგანოები არ არიან, რეგულარულად იკრიბებიან *მშტო*-ს საკონფერენციო დარბაზში ჰოფბურგების კონგრესცენტრში (ქ. ვენა).

ბუდაპეშტის 1994 წლის სამიტზე აღიარეს, რომ ეუთო უკვე აღარ იყო უბრალოდ კონფერენცია, და ამიერიდან მას ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (*მშტო*) ეწოდა. ამან ორგანიზაციას ახალი პოლიტიკური იმპულსი მისცა, მით უფრო, რომ ეს იყო „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ორგანიზაციის ინსტიტუციური განვითარების გამოხატულება.

ლისაბონის 1996 წლის სამიტზე უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცა *მშტო*-ს საკვანძო როლს ყველა განზომილებით უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობაში. ლისაბონის შეხვედრამ ხელი შეუწყო აგრეთვე ევროპული უსაფრთხოების *მშტო*-ს ქარტიის შემუშავებას (მიღებულ იქნა ქ. სტამბოლის 1999 წლის სამიტზე), ქარტიისა, რომელიც მიზნად ისახავს *მშტო*-ს ქმედითუნარიანობის გაუმჯობესებას. სტამბოლშივე *მშტო*-ს მონაწილე 30-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ხელშეკრულების გადასინჯულ ვარიანტს. მათ მხარი დაუჭირეს *არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების* მოგვარების საქმეში *მშტო*-ს უფრო აქტიურად და ეფექტიანად ჩარევის აუცილებლობას.

მშტო-ს სტრუქტურა. პოლიტიკური კონსულტაციებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები მთავარი ორგანოა მუდმივი საბჭო. მისი წევრები არიან *მშტო*-ს წევრ სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლები (ელჩები) ვენაში, რომლებიც ყოველკვირულად იკრიბებიან *მშტო*-ს კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხის განსახილველად და მათ

შესახებ გადაწყვეტილებათა მისაღებად. მთავარ საბჭოს, რომელსაც ეშტო-ს წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკური ხელმძღვანელები ან სხვა მაღალი თანამდებობის პირები ესწრებიან, იწვევენ პერიოდული პოლიტიკური თათბირებისათვის. მთავარი საბჭო წელიწადში ერთხელ იკრიბება ქ. პრალაში, როგორც ეკონომიკური ფორუმი. ეშტო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები წელიწადგამოშვებით მართავენ „მინისტერიალს“, ხოლო „მინისტერიალთა“ შორის პერიოდში სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები რამდენიმე წელიწადში ერთხელ იკრიბებიან უმაღლესი დონის შეხვედრაზე, ანუ სამიტზე (ბოლო ასეთი შეხვედრა გაიმართა სტამბოლში 1999 წლის ნოემბერში).

ეშტო-ს მოქმედ თავმჯდომარეს ეკისრება პასუხისმგებლობა აღმასრულებელი საქმიანობისათვის. თავმჯდომარე 6 თვეში ერთხელ იცვლება. ეშტო-ს მოქმედ თავმჯდომარეს, შესაბამისი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, საქმიანობაში დახმარებას უწევენ წინა და მომდევნო თავმჯდომარეები და ამით იქმნება ე.წ. „ტროიკა“. მოქმედ თავმჯდომარეს აგრეთვე შეუძლია დანიშნოს პირადი წარმომადგენლები, რომლებსაც ავალებს კონკრეტულ საკითხებზე ან სიტუაციებზე მუშაობას. ეშტო-ს გენერალური მდივანი, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ვენა (ავსტრია), ფუნქციებს ახორციელებს როგორც ეშტო-ს მოქმედი თავმჯდომარის წარმომადგენელი და დახმარებას უწევს მას მთელ იმ საქმიანობაში, რომელსაც იგი ეშტო-ს მიზნების განხორციელებისათვის იღებს. გენერალური მდივნის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ეშტო-ს სტრუქტურებისა და ოპერაციების წარმართვა. სამდივნოში (მისი ადგილსამყოფელია ქ. ვენა) შედის: გენერალური მდივნის ოფისი, კონფლიქტების თავიდან აცილების ცენტრი, ადმინისტრაციისა და ოპერაციების დეპარტამენტი და ეკონომიკურ და გარემოს დაცვის სფეროში ეშტო-ს საქმიანობის კოორდინატორი. სამდივნოს პრალის ოფისი ახორციელებს დოკუმენტებით უზრუნველყოფასა და საინფორმაციო ფუნქციებს. ეშტო-ში შედის აგრეთვე სხვა ინსტიტუტებიც. მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR), რომელიც აქტიურ როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგსა და ეროვნული საარჩევნო და ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტების განვითარებაში, ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში, ადამიანის უფლებათა და არჩევნების მიმართ ეშტო-ს მონიტორინგის მომზადებაში, ჟურნალისტთა მომზადებაში. აღნიშნული სამსახურის ადგილსამყოფელია ქ.

ვარშავა (პოლონეთი). წინასწარი გაფრთხილებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარი (HCNM), რომლის ადგილსამყოფელია ქ. ჰააგა (პოლანდია). უმაღლესი კომისარი აფასებს და ცდილობს, ადრეულ ეტაპზე მოაგვაროს სიტუაციები, რომლებიც ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს ეხება. იგი ხელს უწყობს მხარეებს არაკონფრონტაციული პოლიტიკის განხორციელებაში.

მუშაობის მეთვალყურეთა მისიები ფუნქციონირებენ: ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ზორვატიაში, ესტონეთში, ლატვიაში, საქართველოში, მოლდოვაში, ტაჯიკეთში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე – მაკედონიასა და კოსოვოში; მუშაობის აგრეთვე დამხმარე ჯგუფი ჰყავს ჩეჩნეთში (რუსეთის ფედერაცია), წარმომადგენლები – ალბანეთში, საკონსულტაციო და სამეთვალყურეო ჯგუფი – ბელორუსში, პროექტის კოორდინატორი – უკრაინაში, ოფისი – სომხეთში, საერთო ოფისი – ცენტრალურ აზიაში (უზბეკეთი) და ცენტრები – ალმა-ათაში, აშხაბადსა და ბიშკეკში; მოლაპარაკება წარმოებს ბაქოს (აზერბაიჯანი) ოფისის გახსნის შესახებ; სოხუმში შექმნილია ადამიანის უფლებათა გაერო-ეუთო-ს ერთობლივი ოფისი; მუშაობის მისიები არაერთხელ დასწრებიან არჩევნებს საქართველოში. მუშაობის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლი და ნდობის მოსაპოვებლად მიმართული ზომების მიღება. ვენის 1994 წლის დოკუმენტი (1999 წლის შესწორებებით) ავალდებულებს მუშაობის წევრ სახელმწიფოებს, გამოიჩინონ გამჭვირვალობა თავიანთ სამხედრო საქმიანობაში; ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებულია სამხედრო ქცევის კოდექსი, რომელიც ადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების როლის განმსაზღვრელ პრინციპებს. ამასთან ერთად, მუშაობა შექმნა დავათა მშვიდობიანი მოგვარების რამდენიმე მექანიზმი.

მუშაობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც მუშაობის ყველა წევრი სახელმწიფოს 300-ზე მეტი პარლამენტარისაგან შედგება, ატარებს ყოველწლიურ სესიას ივლისში, ხოლო მთელი წლის განმავლობაში აწყობს აგრეთვე სხვადასხვა შეხვედრასა და კონფერენციას. ასამბლეა განიხილავს საკითხებს და იღებს რეზოლუციებსა და რეკომენდაციებს მუშაობის საქმიანობის შესაბამისად. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არჩევნების მონიტორინგშიც. ასამბლეის სამდივნოს ადგილსამყოფელია კოპენჰაგენი (დანია).

ორგანიზაციას აქვს შერიგებისა და არბიტრაჟის სასამართლო ქ. ჟენევაში. მუშაობის წევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს შერიგებისა და არბიტრაჟის კონვენციას, შეუძლიათ, სასამართლოს გადას-

ცენ სადავო საკითხი, რომელსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი ან შერიგების კომისია გადაწყვეტს. *მუთონ-ს* წევრი სახელმწიფოებია: ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, აშშ, ანდორა, ბელგია, ბელორუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, თურქმენეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, იუგოსლავია, კანადა, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენ-შტაინი, ლუქსემბურგი, მაკედონია, მალტა, მოლდოვა, მონაკო, ნიდერლანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, სან-მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, შვეიცარია, შვედეთი, ჩეხეთი, ხორვატია და *ვატიკანი*.

მუთონ 1975 წლის დასკვნითი აქტი (OSCE, Helsinki Final Act of 1975) – იხ.: *ეუთო, ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*.

მქსპატრიაცია (Expatriation) – *მოქალაქეობის* დაკარგვა პირის მიერ, რაც სამი ფორმით ვლინდება: მოქალაქეობის ავტომატურად დაკარგვა, მოქალაქეობიდან გასვლა, მოქალაქეობის ჩამორთმევა. მოქალაქეობის დაკარგვა ხდება მაშინ, თუკი ეს გათვალისწინებულია *საერთაშორისო ხელშეკრულებით* ან სპეციალური კანონმდებლობით (იხ. *საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ*, 32-ე და 33-ე მუხ.). მოქალაქეობიდან გასვლა იწვევს მოქალაქეობის დაკარგვას. მოქალაქეობის ჩამორთმევა შეიცავს დასჯის ელემენტებს. საქართველოს კანონში არ არის გათვალისწინებული მოქალაქეობის ჩამორთმევის შემთხვევები.

მქსტრადიცია (Extradition) – მსჯავრდებულ და ეჭვმიტანილ პირთა გადაცემა. სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი დახმარების ერთ-ერთი სახე. სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზე იმყოფება მსჯავრდებული და ეჭვმიტანილი პირი, გადასცემს ამ პირს მეორე სახელმწიფოს, რომელიც მოითხოვს მის გადაცემას სისხლის სამართალში მიცემის ან უკვე გამოტანილი განაჩენის აღსრულების მიზნით.

მ-ის ინსტიტუტი ცნობილია უძველესი დროიდან. *საერთაშორისო სამართალში* ჩამოყალიბდა მისი შემდეგი წესები: 1) არ გადაიცემა საკუთარი მოქალაქე; 2) არ გადაიცემა პოლიტიკური დამნაშავე, რომელიც სარგებლობს თავშესაფრის უფლებით; 3) პირი გადაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ჩადენილი ქმედება გადაცემი სა-

ხელმწიფოს კანონმდებლობითაც ისჯება; 4) გადაცემული პირი შეიძლება გასამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომლის გამოც მისი გადაცემა მოხდა; 5) არ გადაიცემა პირი, რომლის მიმართ უკვე გამოტანილი განაჩენი ვერ აღსრულდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; 6) არ გადაიცემა პირი, რომლის მიმართ უკვე გამოტანილია განაჩენი ან შეწყვეტილია საქმის წარმოება მის ადგილსამყოფელ სახელმწიფოში; 7) ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, ქმედებაზე საქმე აღიძვრება მხოლოდ კერძო ბრალდების წესით, ე.ი. დაზარალებულის განცხადების თანახმად; 8) გადაცემის შესახებ მოლაპარაკება ხორციელდება დიპლომატიური ან საუწყებო არხებით.

თანამედროვე პირობებში მოქმედებს მ-ის ორგვარი მოდელი – ევროპული და ანგლოსაქსური. ევროპულ მოდელს საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: ა) ორმაგი კრიმინალიზაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ როგორც მომთხოვნი, ისე გადამცემი სახელმწიფოს კანონმდებლობა ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილ ქმედებას დასჯადად აღიარებს; ბ) ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სანქციის სახე და ზომა; გ) საკუთარ მოქალაქეთა გადაცემაზე უარის თქმა. ევროპის ქვეყნების უმეტესობა (მაგ., საფრანგეთი, იტალია და სხვ.) ასეთ პირთა მ-ს საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ახდენს. ანგლოსაქსური მოდელის მიხედვით (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა და სხვ.), ერთი სახელმწიფო მეორეს გადასცემს ამა თუ იმ პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ სახელმწიფოებს შორის არსებობს ხელშეკრულება, რომელშიც ჩამოთვლილია, თუ რა სახის დანაშაულთა ჩამდენი პირნი ექვემდებარებიან გადაცემას. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში სასამართლო გადაცემის საკითხს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით. გარდა ამისა, ანგლოსაქსური მოდელით დასაშვებია საკუთარ მოქალაქეთა გადაცემაც. გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობს სასამართლო, თუმცა საბოლოო სიტყვა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს ეკუთვნის. დანაშაულთა გადაცემის შესახებ მრავალი კონვენცია არსებობს. 1957 წლის ევროპის კონვენციამ მოახდინა იმ სამართალდარღვევთა დეტალური რეგლამენტაცია, რომელთა ჩადენისათვის ესა თუ ის პირი შეიძლება გადაცემულ იქნეს. ამ კონვენციის 1975 წლის დამატებითი ოქმი არაერთ მნიშვნელოვან საკითხს განმარტავს და არგუულირებს. 1978 წლის მეორე დამატებითმა ოქმმა აღიარა პრინციპი non bis in idem (არ შეიძლება ვინმე ორჯერ მიეცეს პასუხისგებაში ერთი და იმავე დანაშაულისათვის), ამასთან, ზაზგასმით აღინიშნა იმ პირის გადაცემის დაუშვებლობა, რომელიც უკვე იყო ამნისტირებული ან გამართლებული.

საქართველომ ქ-ის შესახებ ხელშეკრულებები დადო აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, ბულგარეთთან, სომხეთთან. იგი მონაწილეა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კონვენციისა სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ. ყველა ეს დოკუმენტი ითვალისწინებს, რომ გადაცემას ექვემდებარება: ა) პირი, რომელიც ისჯება ორივე ქვეყნის კანონებით და რომლის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი; ბ) დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც უკვე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს დანაშაულის გადაცემაზე უარის თქმის კანონიერ შემთხვევებს, რომლებიც ზემოაღნიშნულ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებს ემყარება. ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს გადასაცემი პირის დაპატიმრების პროცედურას, გადაცემის გადადების მიზეზებს, სისხლისსამართლებრივი დევნის ფარგლებს, ურთიერთდაკავშირების წესებს. ორივე მხარის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა კარგად უნდა იცოდნენ, თუ რა სახის *საერთაშორისო ხელშეკრულება* არსებობს სისხლის სამართლის (ისევე როგორც სამოქალაქო და საოჯახო სამართლის) ამა თუ იმ საქმესთან დაკავშირებით, და სათანადოდ გამოიყენონ ეს ხელშეკრულება, კერძოდ, მისი შემდეგი დებულებანი: ა) ქ სასჯელის მოსახდელად იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არის დანაშაულის ჩამდენი პირი, ხდება მაშინ, თუ განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული; თავის სახელმწიფოში ეს პირი არ შეიძლება მეორედ იქნეს გასამართლებული იმავე საქმეზე, თუ აღნიშნული განაჩენი, რომელიც გადაცემ სახელმწიფოში გამოიტანეს, არ იქნა გაუქმებული და არ დაინიშნა ხელახალი გამოძიება ან სასამართლო გარჩევა.

მსჯავრდებულის გადაცემა არ ხდება იმ შემთხვევაში: ა) თუ იმ სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, ქმდება, რისთვისაც მას მსჯავრი დაედო, დანაშაულად არ ითვლება; ბ) თუ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, ჩადენილი ქმედებისათვის იგი დასჯილ იქნა ან გაამართლეს, ან საქმე შეწყვიტეს, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი სასჯელისაგან გათავისუფლებულია მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ; გ) თუ სასჯელი არ შეიძლება აღსრულდეს სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული პირი, ზანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ან ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოების საფუძველზე; დ) თუ მსჯავრდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს იმ სახ-

ელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლის სასამართლომაც გამოუტანა განაჩენი; ე) თუ ვერ მიადწიეს შეთანხმებას მსჯავრდებულის გადაცემის ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობების დაცვის შესახებ.

მ-ის საკითხი შეიძლება აღძრას სახელმწიფომ, რომლის მოქალაქეც ის არის, ან – მსჯავრდებულის ნათესავებმა მიძღვნილი ან გადამცემი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოებისადმი მიმართვით. ყველა შემთხვევაში გადაცემის საკითხს წყვეტენ და ახორციელებენ მხარეთა კომპეტენტური ორგანოები, რომელთა სია დეპოზიტარ სახელმწიფოებში ინახება. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს პროკურატურა, უმაღლესი სასამართლო, იუსტიციის სამინისტრო და ა.შ. კონვენცია ითვალისწინებს გადაცემის აღძვრის წესებს, საჭირო დოკუმენტაციას, გადაცემის პროცედურას, მშობლიურ ქვეყანაში სასჯელის მოხდის წესს და სხვ. საქართველოში მ-ის საკითხი ეყრდნობა კონსტიტუციას, უცხო სახელმწიფოებთან დადებულ ხელშეკრულებებს სამართლებრივი დახმარების შესახებ, სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს*.

ექსტრატერიტორიული იურისდიქცია (Extraterritorial jurisdiction) –

სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან სახელმწიფოების *იურისდიქციის* გარეთ არსებულ სივრცეში (ღია ზღვა, კოსმოსი) თავისი იურისდიქციის განხორციელება ან მცდელობა – განახორციელოს იგი. მაგალითად, ასეთია: *საკონსულოების* უფლება – გაატარონ რეგისტრაციაში თავისი *მოქალაქეების* დაქორწინება-განქორწინება საკონსულოს დამფუძნებელი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად; სახელმწიფოს გემს აქვს უფლება – დააკავოს ღია ზღვაში ზომალდი, რომელმაც დაარღვია კანონი მისი ტერიტორიული საზღვრების შიგნით და ცდილობს, თავი დააღწიოს დევნას ღია ზღვაში გასვლით, სადაც ყველა ქვეყნის ზომალდი მხოლოდ აღმის კანონს ექვემდებარება, ანუ იმ ქვეყნის კანონს, სადაც ის არის რეგისტრირებული.

მაგრამ სახელმწიფოს ყველა მცდელობა – გააფართოოს იურისდიქცია თავისი საზღვრების გარეთ, როდი ითვლება კანონიერად. მაგალითად, *საერთაშორისო სამართალი* კრძალავს მთვარის და სხვა პლანეტების თავისი იურისდიქციის ქვეშ მოქცევას, იგივე ითქმის ღია ზღვის ამა თუ იმ ნაწილის მითვისების მცდელობის შესახებ.

აღსანიშნავია, ასევე, *საერთაშორისო კერძო სამართლის* სფეროში მოქმედი *კოლიზიური ნორმები*, რომლებიც აძლევენ სასამართლოებს უფლებას, გამოიყენონ უცხო სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმა საქმის ფეროვანი გადაწყვეტის მიზნით.

- 3 -

ვიენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა (Vienna Declaration and Program of Action) – ადამიანის უფლებათა თაობაზე მეორე მსოფლიო კონფერენციის (1993) დოკუმენტები, რომლებმაც შეაჯამეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948) შემდგომ მიმდინარე პროცესები, აღნუსხეს ადამიანის უფლებათა პატივისცემის ნორმატიული და სტრუქტურული (ინსტიტუციური) მექანიზმის ეფექტურობა (დეკლარაცია) და დასახეს ამ სფეროში მიზანმიმართული და კოორდინირებული მუშაობის ძირითადი მიმართულებანი (მოქმედების პროგრამა). ეს აქტები არ ითვლება საერთაშორისო სამართლის წყაროდ, მაგრამ აქვს უაღრესად დიდი როლი და ფართომასშტაბიანი მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რის გამოც სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ ამ დებულებების ციტირებას საერთაშორისო ფორუმებზე მიღებულ გადაწყვეტილებებში. შეიძლება ითქვას, ვლ და მპ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტებია, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაციების სახეს ატარებენ, დღემდე დიდ ზეგავლენას ახდენენ გაეროსა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო მექანიზმების საქმიანობაზე (იხ. რბილი სამართალი).

ვენეციის კომისია (Venice Commission) – ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად, ცნობილი როგორც ვენეციის კომისია, დაარსდა 1990 წელს და არის ვეროპის საბჭოს დამოუკიდებელი საკონსულტაციო ორგანო კონსტიტუციურ საკითხებში. კომისიის გადასინჯული წესდება მიღებულ იქნა 2002 წლის 21 თებერვალს. წესდების თანახმად, კომისია ემსახურება შემდეგ მიზნებს: მონაწილე ქვეყნების სამართლებრივი სისტემის გაგების გაძლიერებას ამ სისტემათა დაახლოების მიზნით; დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობით წარმოშობილი პრობლემების განხილვას, მათ გამყარებასა და განვითარებას. კომისია პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ საქმიანობას, რომელიც შეეხება: კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ პრინციპებსა და ტექნიკას, რაც უზრუნველყოფს დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურობასა და მათ გაძლიერებას; ძირითად ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, კერძოდ კი მათ, რომლებიც უზრუნვე-

ლყოფენ მოქალაქეთა მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობათა ხელშეწყობას დემოკრატიის განვითარების მიზნით. დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლის (კანონის) უზენაესობის პრინციპების დაცვა კომისიის მიერ ხორციელდება ოთხი მიმართულებით: კონსტიტუციური სამართლის სფეროს ხელშეწყობა; არჩევნები და რეფერენდუმები, საკონსტიტუციო სასამართლოებთან თანამშრომლობა; კვლევებისა და სემინარების ჩატარება. კომისია შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან.

ვენის მსოფლიო კონფერენცია ადამიანის უფლებათა თაობაზე (Vienna World Conference on Human Rights) – იხ. ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა (See Vienna Declaration and Program of Actions).

- 9 -

ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია (General international Organisation) – უნივერსალური ან რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობისათვის კომპლექსური ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის ხელის შეწყობას, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვას, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობების განვითარებას (მაგ. გაერო).

ზოგადი საერთაშორისო ხელშეკრულება (General international treaty) – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი წყარო – მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აღნუსხავს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დადგენილ საყოველთაოდ გამოსაყენებელ სამართლებრივი ქცევის წესებს, რაც საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა და პროგრესული განვითარების შედეგია, მაგ.: დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია, საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია, საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია და სხვ. ზსს ადგენს ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ დარგის ერთ-ერთ ძირითად ნორმატიულ აქტად იქცევა. ზსს ღია ხელმოწერისა ან შეერთებისათვის ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. ზსს განსხვავდება საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან, რომლებიც ორი, რამდენიმე ან მრავალი სახელმწიფოს ურთიერთობებს არეგულირებენ და კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავენ. სხვა სახელმწიფოების მონაწილეობა ასეთ ხელშეკრულებებში დამოკიდებულია ხელშემკვერელი სახელმწიფოების ნებაზე.

- თ -

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები (Free and Fair elections) – არჩევნები, როდესაც მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირებს აქვთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად და რაიმე ზემოქმედების გარეშე ხმა მისცენ სასურველ კანდიდატებს და როდესაც ამ არჩევნების შედეგები სამართლიანად ასახავს ელექტორატის ნებას.

საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს საარჩევნო კოდექსით (2001 წელი), რომელიც ასახავს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

კოდექსის მიხედვით, არჩევნები არის საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა საყოველთაო არჩევნებით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, საარჩევნო უფლება აქტიური და პასიურია. აქტიური საარჩევნო უფლებაა მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში.

პასიური საარჩევნო უფლებაა მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად.

საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პრინციპი, რომელიც ასახავს საერთაშორისო აღიარებული წესებს, ადგენს, რომ საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. კოდექსის მიხედვით, არჩევნების საყოველთაოობა ნიშნავს, რომ ა) აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს; ბ) პასიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს.

არჩევნებში ამომრჩევლები თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ. საქართველოში არჩევნები პირდაპირია. იგი ტარდება ფარული კენჭისყრით. აკრძალულია: ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, ასევე კონტროლი ამომრჩე-

ლის ნების გამოვლენაზე. სწორედ ამ პრინციპების დარღვევის გამო 2003 წლის 23 ნოემბრის პარლამენტის არჩევნები ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ შეფასებული იყო არშემდგარად და ბათილად, რასაც საბოლოოდ ამ არჩევნების რეზულტატის გაუქმება მოჰყვა მასობრივი სახალხო დემონსტრაციების შედეგად (იგივე მოვლენები მოხდა კიევში 2004 წელს).

თავისუფლების უფლების უპანონო შეზღუდვა (Illegal restriction of the right to freedom) – პიროვნების თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

აღნიშნული ქმედება გამოიხატება ადამიანის პირადი თავისუფლების შეზღუდვით (გადაადგილების თავისუფლება), როდესაც დაზარალებულს არ აქვს შესაძლებლობა, გადაადგილდეს საკუთარი შეხედულებისამებრ. თუ **თ"უ"შ** მოხდა მისი მოტაცების შედეგად, ე.ი. მისი ბუნებრივი სოციალური მიკროსამყაროდან იძულებითი მოკვეთით, მაშინ ასეთ ქმედებას მიეცემა *ადამიანის გატაცების კვალიფიკაცია*.

თავშესაფრის უფლება (Right to asylum) – პოლიტიკური შეხედულებებისა და საქმიანობისათვის საკუთარ ქვეყანაში დევნილი *მოქალაქის* ან მოქალაქეობის არმქონე პირის (იხ. *ასტრიდი*) უფლება – თავი შეაფაროს სხვა სახელმწიფოს და არ იქნეს დაბრუნებული თავისსავე ან სხვა სახელმწიფოში, რომელიც მას დევნის.

საერთაშორისო სამართალში **თ"უ** გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფოს უფლებას – პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს *უცხოელს*, რომელსაც დევნიან საკუთარ სახელმწიფოში. ამ უფლებით სარგებლობენ მხოლოდ პოლიტიკური *ემიგრანტები*. თავშესაფრის მიცემის საკითხს ყოველი სახელმწიფო დაბოუიცილებლად წყვეტს, რადგან ეს მის საშინაო კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთან, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები, რომლებიც სახელმწიფოს უადვილებს თავშესაფრის ინსტიტუტის რეგლამენტაციას ამა თუ იმ პირისათვის (პოლიტემიგრანტისათვის) თავშესაფრის უფლების მიცემის შემთხვევაში. სახელმწიფოს მიერ ტერიტორიული თავშესაფრის უფლების მიცემის საკითხები რეგულირდება გაეროს გენერალური ასამბლეის „დეკლარაციით ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“, რომელიც მიღებულია 14.XII.1967.

საერთაშორისო სამართალში არსებობს თავშესაფრის ორი ფორმა – ტერიტორიული და დიპლომატიური. ტერიტორიული თავშესაფრის უფლება გულისხმობს ამა თუ იმ პირის უფლებას, მოითხოვოს უცხო

სახელმწიფოში თავშესაფარი საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური დევნის გამო. ეს პრინციპი განმტკიცებულია 1948 წლის გაეროს *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით*, აგრეთვე *„დეკლარაციით ტერიტორიული თავშესაფრის შესახებ“* (1967). საერთაშორისო სამართლით არ შეიძლება თავშესაფარი მიეცეთ: ა) სამხედრო დამნაშავეებს (ან იმ პირებს, რომელთა მიმართ არსებობს სერიოზული საფუძველი, ჩათვალონ სამხედრო დამნაშავეებად, ან კაციობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩამდენებად); ბ) სისხლის სამართლის დამნაშავეები.

სახელმწიფო, რომელიც ამა თუ იმ პირს პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევს, მოვალეა, შეუქმნას მას უსაფრთხოდ ცხოვრების პირობები და არ გადასცეს იგი იმ სახელმწიფოს, რომელშიც მის მიმართ შეიძლება პოლიტიკური დევნა განხორციელდეს; მიანიჭოს მას იგივე უფლებები, რომლებითაც მოცემულ ქვეყანაში უცხოელები სარგებლობენ. რაც შეეხება დიპლომატიურ თავშესაფარს, იგი გულისხმობს ამა თუ იმ პირისათვის თავშესაფრის მიცემას დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების ტერიტორიაზე, სამხედრო-საზღვაო ან საჰაერო ხომალდზე, სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო სამართალში კლასიფიცირებულია სახელმწიფოთა ოთხი ჯგუფი: ა) სახელმწიფოები, რომლებიც არ ცნობენ და არ იყენებენ ამ ინსტიტუტს (ეს ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია); ბ) სახელმწიფოები, რომლებიც კრძალავენ დიპლომატიურ თავშესაფარს თავის ტერიტორიაზე, მაგრამ ანიჭებენ ამ უფლებას თავის დიპლომატიურ და სხვა ორგანოებს (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ); გ) სახელმწიფოები, რომლებიც თავშესაფარს აძლევენ თავის საზღვრებში მდებარე დაწესებულებებში და არ აღიარებენ ამ უფლებას თავიანთ ტერიტორიაზე მდებარე დიპლომატიურ თუ სხვა დაწესებულებათა მიმართ (ლათინური ამერიკის ქვეყნები); დ) სახელმწიფოები, რომლებიც თვითონ არ ანიჭებენ დიპლომატიურ თავშესაფარს, მაგრამ აღიარებენ ასეთ უფლებას თავიანთ ტერიტორიაზე (ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა, საბერძნეთი). დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ 1961 წლის ვენის კონვენცია კრძალავს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა გამოყენებას ოფიციალური მიზნების შესრულებისათვის.

თვითგამორკვევის უფლება (Right to self-determination) –
 იხ. *ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება.*

- 0 -

იმარაქია სამართაშორისო სამართლის ნორმებში (Hierarchy of International Law Norms) – ქცევის წესების განლაგება მათი იურიდიულად სავალდებულო ძალის დონეთა მიხედვით. პირველ რიგში აქ განასხვავებენ ორ ჯგუფს – *საყოველთაო საერთაშორისო სამართალს* და *ლოკალურ საერთაშორისო სამართალს*. პირველ ჯგუფში გამოიყოფა შემდეგი სამი დონე: 1) *ძირითადი პრინციპები* (მაგ., *ძალის გამოყენებისა და ძალით დამუქრების აკრძალვის პრინციპი*); 2) *დარგობრივი პრინციპები* (მაგ., დიპლომატიური აგენტის პირადი ხელშეუხებლობა), რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ძირითად პრინციპებს; 3) *საყოველთაოდ აღიარებული დარგობრივი ნორმები* (მაგ., დიპლომატიური სამართალი, საზღვაო სამართალი და ა.შ.), რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ძირითად და დარგობრივ პრინციპებს. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მას მიეკუთვნება ერთადერთი (მეოთხე) დონე – *ლოკალური ნორმები*, რომლებიც ძირითადად წარმოიქმნება შეზღუდული რაოდენობის (ორმხრივი, სამხხრივი და ა.შ.) სუბიექტთა მიერ დადებული ხელშეკრულებებით (მათი რაოდენობა დღეს ასობით ათასს აღემატება) და რომლებიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს პირველი ჯგუფის დონეთა პრინციპებსა და ნორმებს.

იერარქიის ამ სტრუქტურას არ მიეკუთვნება *იმპერატიული ნორმები*, რადგან ოთხივე ზემოაღნიშნული დონე შეიცავს პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქცევის წესების იურიდიული ძალის ერთმანეთთან დამოკიდებულებას, მაგრამ ოთხივე დონე კრძალავს სუბიექტთა მხრიდან მათ დარღვევას.

იმიგრანტი (Immigrant) – *უცხოელი*, რომელიც შემოდის სახელმწიფოში იქ სამუდამოდ ან დროებითი დასახლებისათვის და უარს ამბობს თავისი ქვეყნის *მოქალაქეობაზე* ან იქ მუდმივად ცხოვრებაზე. ი შეიძლება იყოს კანონიერი და არაკანონიერი.

იმპერატიული ნორმები (Jus cogens, peremptory norms) – საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენციის განსაზღვრებით, ხელშეკრულება, რომელიც იმპერა-

ტიულ ნორმას (jus cogens) გადაუხვევს, ბათილად ჩაითვლება. იმ არის ქცევის წესი, „რომელიც შექმნილია და აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანობაში როგორც ნორმა, რომლისაგან გადახვევა დაუშვებელია და რომლის შეცვლა შეძლება მხოლოდ საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმავე ხასათის მქონე მომდევნო ნორმით“. იმპერატიული ნორმისაგან გადახვევისათვის საერთაშორისო სამართალი იურიდიულ პასუხისმგებლობას აკისრებს ხელშეკრულების დამდებ მხარეებს; ასეთი ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება მისი დადების მომენტიდან, რადგან მთელი სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა თავის კოლექტიურ ნებას უპირისპირებს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სახელშეკრულებო ნებას და გარკვეულ ჩარჩოებში აქცევს მას. ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძვლებს, რომლებიც შემუშავებულია ცივილიზაციის განვითარების დღევანდელი საფეხურის ყველაზე მნიშვნელოვან მორალურ ფასეულობებზე დაყრდნობით და რომელთა გარეშე შეუძლებელია კაცობრიობის შემდგომი განვითარება.

ასეთ ნორმებზე ამჟამად გვეკლინება დავათა მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარების მოთხოვნა, ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა, კაბალურ, არათანასწორუფლებიან ხელშეკრულებათა უკანონობა, ზალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლების შეზღუდვა, ადამიანის უფლებათა ხელშეუხებლობა, რომლებიც ადამიანის ღირსებას იცავენ მისი რასის, ეროვნების, სქესის, ენისა თუ რელიგიის განურჩევლად. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით აკრძალულია ადამიანის მიმართ ულმობელ, მტანჯველ ქმედებათა გამოყენება, როგორებიცაა: წამება, მონობა, მონათვაჭრობა, ვაჭრობა ქალებითა და ბავშვებით, აპარტიდო, გენოციდი, ეთნიკური წმენდა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმა (იხ.: უენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, აგრეთვე ნიურნბერგის პროცესის, ტოკიოს პროცესის, ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის და რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალის წესდებებსა და განაჩენებში ჩამოთვლილი დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ასევე მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული).

განსხვავებით დისპოზიტიული ნორმებისაგან, რომლებიც არ ზღუდავენ ხელშეკრულების დამდები მხარეების ნების თავისუფლებას და აძლევს მათ უფლებას, გადაუხვიონ არსებულ ქცევის წესს (მაგ., სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოუხსნან თავის

ელჩებს იმუნიტეტი), **ინ** გამორიცხვენ ასეთ გადახვევას (მაგ., მხარეები ხელშეკრულებით ვერ დააკანონებენ იმის უფლებას, რომ მათ შორის წამოჭრილი დავები ძალის გამოყენებით იქნეს გადაწყვეტილი: ასეთი ხელშეკრულება რეგისტრაციას ვერ გაივლის *გაეროს გენერალურ მდივანთან*, ხოლო თუ ერთ-ერთი მხარე ძალას გამოიყენებს, საერთაშორისო თანამეგობრობა უფლებამოსილი ხდება, გამოიყენოს *აგრესორის* მიმართ კოლექტიური ზომები, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს დაზარალებულ მხარეს.

როგორც იმპერატიული, ასევე დისპოზიტიური ნორმები ამკრძალველი ხასიათისაა – სუბიექტების მიერ მათი ცალმხრივად დარღვევა *საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას* იწვევს, რადგან ლახავს დადგენილი ნორმით სხვა სუბიექტებისათვის მინიჭებულ უფლებებს. საერთაშორისო სამართლის ნორმათა ამ ორ სხვადასხვა ტიპს შორის პრინციპული განსხვავება მათი იურიდიული ძალის აბსოლუტურობის ხარისხშია: **ინ-ისაგან** გადახვევა ურთიერთშეთანხმებითაც კი არ შეიძლება, რაც საკვებით დასაშვებია დისპოზიტიური ნორმის შემთხვევაში. საერთაშორისო სამართლის ნორმათა უმრავლესობა დისპოზიტიური ხასიათისაა, ხოლო იმპერატიული ქცევის წესები (პრინციპები და ნორმები) მთელი საერთაშორისო სამართლის სისტემის ხერხემალია.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (Individual criminal law responsibility) – *საერთაშორისო სისხლის სამართლის* პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს ისეთი მოქმედებების დაგეგმვაში, მომზადებასა ან აღსრულებაში, რაც არღვევს *საერთაშორისო სისხლის სამართლის* ნორმებს (*გენოციდის* ან *სამხედრო დანაშაულის* ჩადენის აკრძალვა), ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნასა და სასჯელს, როგორც ინდივიდი, მიუხედავად იმისა, ეკუთვნის თუ არა ის სახელმწიფოს სამხედრო ძალებს ან სხვა წარმონაქმნს, ან მოქმედებს თუ არა ის მათი სახელით.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO) – შეიქმნა 1967 წელს, 1974 წლიდან *გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა*. მის ფუნქციებში შედის: სამრეწველო საკუთრების (გამოგონებები, სასაქონლო ნიშნები, სამრეწველო ნიმუშები და სხვ.) დაცვა, მეცნიერულ აღმოჩენებზე, ლიტერატურულ, სამუსიკო, მხატვრულ და სხვა ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების დაცვისათვის ზომების მიღება, აგრეთვე ამ საკითხთა სფეროში ეროვ-

ნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განვითარება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროგრესის პირობებში ამ ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელობა თანდათანობით იზრდება. განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიას სულ უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვენ, მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ორგანიზაციის მიმართ, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს მეტი საპატენტო ინფორმაცია. ორგანიზაციის წევრია დაახლოებით 150 სახელმწიფო.

სტრუქტურა: გენერალური ასამბლეა – შედგება ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისაგან, რომლებიც იმავდროულად სამრეწველო საკუთრების შესახებ პარიზის (1883) ან ლიტერატურულ და სამხატვრო ნაწარმოებთა დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის (1886) მონაწილენი არიან. იგი მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ; კონფერენცია აერთიანებს ამ ორგანიზაციის ყველა წევრს; საკოორდინაციო კომიტეტი შედგება 68 სახელმწიფოსაგან; მუშაობს: სამრეწველო საკუთრების მუდმივმოქმედი კომიტეტი; საერთაშორისო ბიურო (სამდივნო), რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და რომელიც აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ 6 წლის ვადით.

ორგანიზაციის შტაბ-ბინა ჟენევაშია.

ინტერპოლი (INTERPOL) – კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია. დაარსდა 1923 წელს. მისი მიზანია სხვადასხვა ქვეყნის საპოლიციო ხელისუფალთა თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. ი-ის წევრია 120 ქვეყნის ოფიციალური საპოლიციო ორგანოები. უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების მიერ მივლინებული დელეგატებისაგან და იკრიბება ყოველწლიურად, ასამბლეა ირჩევს აღმასკომს – პრეზიდენტის, 3 ვიცე-პრეზიდენტისა და ცხრა დელეგატის შემადგენლობით. ყოველი მათგანი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი უნდა იყოს. არსებობს აგრეთვე მრჩეველთა კოლეგია. გენერალური სამდივნო კოორდინაციას უწევს ორგანიზაციაში შემაჯავლი ქვეყნების საპოლიციო ორგანოების საქმიანობას, აგროვებს დოკუმენტაციას ძებნაში მყოფი პირების საქმიანობის შესახებ და ა.შ. სამდივნო კონტროლს უწევს რადიოქსელს, რომელიც 53 რადიოსადგურისაგან შედგება. ორგანიზაციის ოფიციალური ენებია: ფრანგული, ინგლისური და ესპანური. შტაბ-ბინა ქ. ლიონშია (საფრანგეთი). საქართველო ი-ში გაწევრიანდა 1993 წლის სექტემბერში. შეიქმნა

საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო, რომელიც აქტიურად საქმიანობს საქართველოში და საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულის ჩამდენ პირთა ძებნის, დაკავებისა და გადაცემის (იხ. *ექსტრადიცია*) საქმეში.

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება (Freedom of information) – ინფორმაციის თავისუფლება გავლენას ახდენს დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობასა და მის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს უფლება მჭიდრო კავშირშია აზრის გამოხატვისა და პრესის თავისუფლებებთან.

ინფორმაციის თავისუფლება ორი ელემენტისაგან შედგება, ესენია: ინფორმაციის მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან და ინფორმაციის გავრცელება.

თავის მხრივ, ინფორმაციის მიღების თავისუფლება სხვადასხვა ასპექტით ვლინდება, ესენია:

I. პირის უფლება – მოიპოვოს ინფორმაცია აზრებისა და ფაქტების შესახებ, მიუხედავად იმისა, ეხება ეს საჯარო თუ კერძო ინტერესებს;

II. მასმედიის წარმომადგენელთა მიერ ინფორმაციისა და იდეის მიღების თავისუფლება, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, აცნობონ აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებას;

III. საზოგადოების უფლება – მიიღოს ინფორმაცია, კერძოდ იმ საკითხების შესახებ, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანია.

შეუძლებელია ინფორმაციის გავრცელების უფლების არსებობის გარეშე ხელისუფლების თავისუფალი კრიტიკა, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და სხვა.

ამავე უფლებით გარანტირებულია ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციის გავრცელება (ე.წ. კომერციული ინფორმაცია), თუმცა კომერციული ხასიათის საკითხებთან მიმართებით ეროვნულ ხელისუფლებას უფრო ფართო შეხედულება აქვს.

ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერი სახით არის შესაძლებელი, მაგალითად, მხატვრული ნაწარმოების შექმნა, აგრეთვე მისი გავრცელება, ინფორმაციის გავრცელების ნაწილია. სამსახიობო თავისუფლების, სამხატვრო ნამუშევრების გავრცელების შეზღუდვა მხოლოდ არადემოკრატიული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი, ვინაიდან შემოქმედი თავის ნაწარმოებებში გამოხატავს არა მარტო პირად მსოფლმხედველობას, არამედ აზრს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც იგი ცხოვრობს. ამ გაგებით, ხელოვნება ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და საზოგადოების წინაშე აყენებს აქტუალურ საკითხებს. დაცვას ექვემდებარება უხეში, უტრირე-

ბული ფორმით გამოთქმული აზრიც. დაცვის ხარისხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, იმ კონტექსტზე, რომლშიც გამოყენებულია ეს ინფორმაცია და, მეორე მხრივ, იმ მიზნებზე, რომელთაც მოცემული კრიტიკა ემსახურება.

შეფასებითი მსჯელობა, რომელიც პოლიტიკური ხასიათის მოვლენათა სფეროს შეეხება, განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს, ვინაიდან სწორედ ასეთი აზრია საზოგადოებაში *ქლურალიზმის* არსებობის წინაპირობა. პოლიტიკური ბრძოლის ან საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების მიმართ ბევრად უფრო მეტი ტოლერანტობა უნდა არსებობდეს.

სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეული შეზღუდვები დააწესოს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებებზე, იმ პირობით, თუ ეს შეზღუდვები ემსახურება კანონიერ მიზანს, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად, დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის (იხ.: *ვეროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ, მე-10 მუხ., მე-2 პ.; საერთაშორისო პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-3 მუხ.*).

ირედენტისმი (Irredentism) – სიტყვასიტყვით ნიშნავს გამოსასყიდს, ასანაზღაურებელს, დასაბრუნებელს. მას შემდეგ, რაც 1870 წელს იტალია გაერთიანდა, მის საზღვრებს გარეთ დარჩა იტალიელებით დასახლებული რამდენიმე ტერიტორიული ერთეული (ტრიესტი, ტრენტინო, ალტო-ადიჯე), რომლებიც იტალიას საკუთარ და შემოსაერთებელ მიწებად მიაჩნდა. მათ დასაბრუნებლად განხორციელებულ ქმედებას ი ეწოდა.

თანამედროვე პოლიტიკაში ი ეწოდება რომელიმე ქვეყანაში კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობის მოთხოვნას, გამოეყოს ამ ქვეყანას და შეუერთდეს ისტორიულ სამშობლოს (სეპარატიზმისაგან განსხვავებით, აქ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნა არ დგას). ი-ის მაგალითია მთიანი ყარაბაღის სომხეთთან ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის (ცხინვალის რეგიონის) ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნა. ი-ის რეალიზაცია ძალით, სუვერენული სახელმწიფოს (იხ. *სუვერენიტეტი, სუვერენული თანასწორობა სახელმ-*

წიფოთა) თანხმობის გარეშე, არაკანონიერი ქმედებაა, რადგან იგი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

ისლამური ფუნდამენტალიზმი (Islamic fundamentalism) – ფართო გაგებით, ყველა ის მოძრაობა, რომელიც იბრძვის იმისათვის, რათა საზოგადოებრივი ცხოვრება მკაცრად იყოს განსაზღვრული ყურანითა და შარიათის (ისლამური სამართალი) ნორმებით. ხშირ შემთხვევაში ამჯობინებენ, უწოდონ ამ მოძრაობას „ისლამიზმი“, ხოლო იშვ-ში გულისხმობენ ისლამიზმის ექსტრემისტულ მიმართულებას, რომელიც ცდილობს, იარაღის ძალით დაამყაროს ისლამური რეჟიმი, „წმინდა ომი“ (ჯიჰადი) გამოუცხადოს „ურწმუნოებს“ (არამუსლიმებს) და ყოველნაირად წინ აღუდგეს დასავლური, ანუ ევროპულ-ამერიკული, კულტურისა და იდეოლოგიის გავლენას ისლამურ სამყაროზე. იშვ-ს საფუძველი XIX ს-ში ჩაეყარა, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მან XX ს-ში მიიღო. თავდაპირველად იგი მიმართული იყო იმ რეფორმების წინააღმდეგ, რომლებიც ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში განხორციელდა და ისლამისტების მიერ აღქმულ იქნა ისლამურ საზოგადოებაში დასავლური ცხოვრების წესის დამკვიდრების მცდელობად. შემდგომ ისლამიზმმა უფრო ექსტრემისტული და აგრესიული ხასიათი მიიღო ყოველივე დასავლურის მიმართ. საამისოდ ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა საბჭოთა კავშირის აგრესიამ ავღანეთში და ზოგიერთი არაბული ქვეყნის ლიდერების ნაციონალისტურ-რელიგიურმა იდეებმა, აგრეთვე 1991 წლის სპარსეთის ყურის ომმა.

იუნესკო (გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) (UNESCO) – *გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება*. ოფიციალურად არსებობს 4.XI.1946-დან, როდესაც ძალაში შევიდა მისი წესდება. 2002 წლისათვის ი-ს წევრი იყო 186 სახელმწიფო. წესდების თანახმად, სახელმწიფოებში ი-ს საკითხებზე იქმნება ეროვნული კომისიები, რომელთაგან საკონსულტაციო სტატუსი აქვს 250-ზე მეტ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციას, ხოლო საქმიანი კონტაქტი – 4000 ორგანიზაციას. ი-ს წლიური ბიუჯეტი შედგება მასში შემავალი სახელმწიფოების საწევრო გადასახადებისაგან. ი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს: მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას, რისთვისაც განავითარებს ხალხთა თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში; ყველა ხალხისათვის *გაეროს წესდებით* გამოცხადებული სამართლიანობის, კანონიერების, *ადამიანის უფლებებისა* და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პა-

ტივისცემის უზრუნველყოფას, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა. O-ს საქმიანობის დიაპაზონი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს – უწიგნურობასთან ბრძოლას, განათლების დაფინანსებასა და დაგეგმვას, განვითარებად ქვეყნებში საინჟინრო-ტექნიკური კადრების მოსამზადებელი ცენტრების შექმნას, მეცნიერების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებებს, ადამიანის უფლებათა და მშვიდობის განმტკიცების პრობლემების კვლევას, განათლების მიზნით კოსმოსური კავშირგაბმულობის გამოყენებას. ორგანიზაცია ყოველწლიურად მართავს 150-ზე მეტ საერთაშორისო ღონისძიებას – კონფერენციებს, სხდომებს, სიმპოზიუმებს.

ორგანიზაციის სტრუქტურა. O-ს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელიც შედგება მასში შემაჯავლი სახელმწიფოების წარმომადგენლობათაგან. იგი ორ წელწადში ერთხელ მართავს სესიას. გენერალური კონფერენცია ირჩევს აღმასრულებელ საბჭოს, რომელიც 51 წევრისაგან შედგება და წელიწადში ორ-სამჯერ იკრიბება. საბჭოს სამდივნოს მეთაურობს გენერალური დირექტორი. სამდივნოს დაკომპლექტება ხდება გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპით. O-ს აქვს 6 პრიორიტეტული მიმართულება: 1) აღზრდა, 2) მეცნიერება, 3) კულტურა, 4) კომუნიკაცია, 5) სოციალური მეცნიერებანი და განვითარება, 6) მშვიდობა და ადამიანის უფლებები. იგი რამდენიმე ენაზე გამოსცემს ორასზე მეტ პერიოდულ და ას სერიულ გამოცემას. ყოველწლიურად გამოიცემა ასობით წიგნი: ცნობარები, ტერმინოლოგიური ლექსიკონები, საიუბილეო გამოცემები, საერთაშორისო მიმოხილვები, პედაგოგიური და ტექნიკური დამხმარე სახელმძღვანელოები, კატალოგები, აგრეთვე მონოგრაფიები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ინფორმაციის პრობლემებზე. O-ს შტაბ-ბინა ქ. პარიზშია. მისი ოფიციალური ენებია: ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული, ჩინური.

OYNECCKO და CAXAPOTBEMO (UNESCO and Georgia) – საქართველო გაწევრიანდა იუნესკოში 1992 წელს. შეიქმნა იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, რომელიც იუნესკოსთან საქართველოს თანამშრომლობის ოფიციალური არხი გახდა. კომისიის თავმჯდომარე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია. 1994 წლის თებერვალში ქ. პარიზში დაარსდა იუნესკოსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა. ამჟამად იუნესკო-საქართველოს თანამშრომლობა ხორციელდება 1995 წელს ხელმოწერილი იუნესკო-საქართველოს ურთიერთგაგების მემორანდუმის ჩარჩოებში. 1999 წელს საქართველო გახდა სამხრეთ კავკასიის პირველი სახელმწიფო, რომელიც იუნესკოს აღმასრულებელ საბჭოში 4 წლით აირჩიეს. იუნესკოს გენერალური კონფერ-

ენციის 30-ე სესიაზე საქართველოს ინიციატივით დამტკიცდა პროექტი „კავკასია“, რომელმაც იუნესკოს კომპეტენციის სფეროში, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს თანამშრომლობის მეშვეობით, რეგონში სტაბილურობას უნდა შეუწყოს ხელი. საქართველოს თანამშრომლობა იუნესკოსთან ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით: განათლების, კულტურის, მეცნიერების, ინფორმაცია-კომუნიკაციისა და სხვა სფეროებში.

იუნესკოს 1997 წლის საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის გენომისა და ადამიანის უფლებათა შესახებ (UNESCO Declaration on Human Genome and Human Rights) – ყველას აქვს უფლება, პატივისცემით მოექცნენ მის ღირსებას და უფლებებს, მიუხედავად მისი გენეტიკური თავისებურებებისა. ღირსება გულისხმობს ადამიანების თანასწორობას გენეტიკური თავისებურებების მიუხედავად, მათი განუმეორებლობისა და მრავალსახონების პატივისცემას (მე-2 მუხლი). დეკლარაციით დაცულია გენური მანიპულაციებისას ადამიანის უფლებები, ინფორმირებული თანხმობა, ინფორმაციის მიღების ან არმიღების უფლება, გენეტიკური ინფორმაციის შენახვა და გენეტიკური მარკერების კონფიდენციალური ხასიათის დაცვა (მე-5 და მე-8 მუხლები). „დაუშვებელია გენეტიკური თავისებურებების გამო დისკრიმინაცია, რომელიც არღვევს ან მიზნად ისახავს დაარღვიოს ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, შელახოს ადამიანის ღირსება“. საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული სამართლის საფუძველზე ყველა ადამიანს, რომელსაც გენომსაც უშუალოდ და დეტერმინებული ზემოქმედების შედეგად მიაღდა ზიანი, უფლება აქვს, მოითხოვოს მიყენებული ზიანისთვის კომპენსაცია.

დეკლარაციით აღნიშნულია, რომ ბიოლოგიური, გენეტიკური და სამედიცინო ხასიათის სამეცნიერო კვლევების ჩატარებისას არ შეიძლება დაირღვეს *ადამიანის უფლებები* და თავისუფლებები. დეკლარაციით აკრძალულია *კლონირება*. დეკლარაციით ასევე განსაზღვრულია გენომზე მუშაობისას საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძვლები და დეკლარაციის პრინციპებისათვის ხელშეწყობა, მისი განხორციელების გზები.

იურისდიქცია (Jurisdiction) – *საერთაშორისო სამართალში* სახელმწიფოს ან *საერთაშორისო ორგანიზაციის*, მისი ორგანოს უფლებამოსილება, უზრუნველყონ მათი კომპეტენციის ფარგლებში მდებარე სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო სივრცეებში მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესრულება. ვიწრო გაგებით, ი-ში იგულისხმება სახელმწიფოს სამართალდამცვე-

ლი და სასამართლო ორგანოების უფლება, განიხილონ სამართლის დამრღვევი პირის საქმე და აიძულონ იგი, აგოს პასუხი სამართლით დადგენილი წესით.

- 3 -

კანონის უზენაესობა (Rule of Law) – იხ. *სამართლის უზენაესობა*.

კოლექტიური უფლებები (Collective rights) – კოლექტიური უფლებები ცნობილია, აგრეთვე, როგორც სოლიდარული უფლებები. ეს არის მესამე თაობის უფლებები (იხ. *ადამიანის უფლებების კვალიფიკაცია, ადამიანის უფლებათა თაობები*). მათი თავისებურება ისაა, რომ ამ უფლებით სარგებლობა ინდივიდს არ შეუძლია დამოუკიდებლად, მხოლოდ ადამიანთა ჯგუფისადმი კუთვნილება აძლევს მას უფლებას, მიიღოს მონაწილეობა კოლექტიურ უფლებათა რეალიზებაში. კოლექტიურ და ინდივიდუალურ უფლებებს შორის არსებობს მყარი ურთიერთდამოკიდებულება, თუმცა ისინი განსხვავდებიან თავიანთი ბუნებით. კუ-ის განხორციელებისას არ შეიძლება შეიღახოს ინდივიდის უფლებები და თვისუფლებები.

კუ-ს მიეკუთვნება *განვითარების უფლება*, უფლება მშვიდობაზე, უფლება კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაზე. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება თვითგამორკვევის უფლება, უმცირესობათა უფლებები და სხვა (იხ. *ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება, ეროვნული უმცირესობანი*).

კოლიზიური სამართალი (Collision Law) – *კოლიზიური ნორმების* ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც წყდება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სამართლებრივ ნორმათა შორის წარმოქმნილი კოლიზიის საკითხი. ეს *საერთაშორისო კერძო სამართლის* შემადგენელი ნაწილია. ზოგიერთი სახელმწიფოს (მაგ.: აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის) სამართლებრივ დოქტრინებში კს-ისა და საერთაშორისო კერძო სამართლის ცნებები გაიგივებულია.

კომბატანტები (Combatants) – შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარის *შეიარაღებულ ძალებში* შემავალი პირები (სამეურნეო, სამედიცინო და სასულიერო პერსონალი), რომლებსაც უფლება აქვთ, უშუალო მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში. *ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციებში, ჟენევის 1949 წლის კონვენციასა და 1977 წლის დამატებით ოქმებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ* განსაზღვრულია კომბატანტთა წრე, ესენია: სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა, პარ-

ტიზანები და მოხალისეები, რომლებიც ღიად ატარებენ იარაღს, იცავენ *ომის კანონებსა და ჩვეულებებს*, ჰყავთ პასუხისმგებელი სამხედრო ხელმძღვანელი; მოსახლეობა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავს დამპყრობლებისაგან, სამხედრო ზომადლების ეკიპაჟები. ბ-ები უნდა განსხვავდებოდნენ სამოქალაქო მოსახლეობისაგან, კერძოდ, ღიად უნდა ატარებდნენ ფორმას, ჰქონდეთ შორი მანძილიდან ამოსაცნობი განმასხვავებელი ნიშანი. მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ხელში მოხვედრილი პირი, რომელიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობდა, *სამხედრო ტყვედ* ითვლება და შესაბამისად სარგებლობს დაცვის უფლებით (1977 წლის I დამატებითი ოქმის 45-ე მუხ.). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით ბ-ისათვის გათვალისწინებულია დაცვის სპეციალური მექანიზმი. კ-ები ტყვეობაში სარგებლობენ სამხედრო ტყვის სტატუსით. ბ-ის სტატუსით არ სარგებლობენ *ჯაშუშები* და *დაჭირავებული პირები*. ბ-ის ცნება განსხვავდება *მფარველობაში მყოფი პირების* ცნებისაგან.

კომპენსაცია ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის (საერთაშორისო სამართალში) (Compensation for violation of human rights) – თანხა, რომლის გადახდა დაეკისრა სახელმწიფოს იურიდიული ან კვაზიურიდიული ორგანოს მიერ იმ პირთა სასარგებლოდ, რომელთა უფლებებიც დაირღვა სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მოქმედებით ან უმოქმედობით (მაგ., *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს* მიერ მიღებული დადგენილების ძალით).

კომუნიკე (Communiqué) – ოფიციალური ცნობა საერთაშორისო ხასიათის მოვლენათა შესახებ. შეიძლება ატარებდეს სახელმწიფოსთან *საერთაშორისო ორგანიზაციის* ორგანოს ცალმხრივი დოკუმენტის სახეს, რომლითაც საზოგადოებრიობას აცნობენ მომხდარი ფაქტების, მიმდინარე მოლაპარაკებებისა და სხვა მოვლენათა შესახებ. მაგ.: საერთაშორისო მოლაპარაკებათა დაწყების, მიმდინარეობის ან დამთავრების შესახებ, შეიარაღებული კონფლიქტის მსვლელობის შესახებ. ბ-ს აქვს მხოლოდ პოლიტიკური დეკლარაციის ძალა და ის ვერ მიეკუთვნება *საერთაშორისო სამართლის* წყაროებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები კისრულობენ გარკვეულ მოვალეობებს და მკაფიოდ მოუთითებენ მათ იურიდიულად სავალდებულობაზე, ეს დოკუმენტი ხდება *საერთაშორისო ხელშეკრულება*.

კონვენცია გაგაკაცთა და ქალთა თანაბარი შრომისათვის (Convention concerning Equal Remuneration for Men and Women Workers for Work of Equal Value) – მიღებულია *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის* კონ-

ფერენციის მიერ 1952 წელს. კონვენცია აკისრებს მის მონაწილეებს ვალდებულებას, ბოლო მოუღონ ყოველგვარ დისკრიმინაციას ქალის შრომის ანაზღაურებაში და მკაცრად დაიცვან თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი, სამუშაოს შემსრულებლის სქესის მიუხედავად.

კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination) – მიღებულია *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ 1966 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1969 წელს. ამ კონვენციით (1-ლი მუხ.) უკანონოდ არის გამოცხადებული რასობრივი დისკრიმინაცია, ანუ ყველა ის განსხვავება, გამონაკლისობა, შეზღუდვა და გამორჩევა, რომლებიც ეყრდნობიან რასობრივ, კანის ფერის, ეროვნულ თუ ეთნიკურ ნიშნებს და რომლებიც მიზნად ისახავენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ნებისმიერ დარგში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა აღიარების, გამოყენების ან თანაბარ საწყისებზე განხორციელების გაუქმებას ან შეზღუდვას.

კონვენცია გმობს არა მარტო რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმას, განსაკუთრებით *სეგრეგაციას* და *აპარტიდს*, არამედ დანაშაულად აცხადებს რასობრივ უპირატესობასა და სიძულვილზე აგებული იდეების ყოველგვარ გავრცელებას, რასობრივი დისკრიმინაციისაკენ წაქეზებას, აქტებს, რომლებიც მიმართულია რასობრივი ჯგუფების ან კანის ფერის თუ ეთნიკური წარმოშობის ნიშნით განსხვავებული ჯგუფების წინააღმდეგ; კრძალავს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც ეწვეიან რასობრივი დისკრიმინაციის პროპაგანდას ან წაქეზებლობას მის ჩასადენად; გმობს და უკანონოდ აცხადებს ყველა ისეთ ორგანიზაციას, რომლებიც ზემოაღნიშნულ იდეებსა და თეორიებს ეყრდნობიან და ცდილობენ მათ განხორციელებას. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან კისრულობენ, გაატარონ მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, რომლებიც ჩამოთვლილია კონვენციაში; ამ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი დაკისრებული აქვს *რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს*.

კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women) – საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიღებულია 1977 წელს. კონვენცია კრძალავს სქესის მიხედვით *ადამიანის უფლებების* ყოველგვარ შეზღუდვას, რომელიც ამცირებს ან არარაობამდე დაჰყავს ქალისა და მამაკაცის

თანასწორუფლებიანობის პრინციპი საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა სფეროში.

კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ (Convention on Political Rights of Women) – მიღებულია 1952 წელს. კონვენცია აკისრებს ვალდებულებას მასში მონაწილე სახელმწიფოებს, მანიჭონ თავიანთ მოქალაქე ყველა ქალს: ა) აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება; ბ) იმის უფლება, რომ დაიკავოს ყოველგვარი თანამდებობა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ სამსახურში და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეასრულოს შესაბამისი ფუნქციები.

კონვენცია ქორწინებაში მყოფი ქალის მოქალაქეობის შესახებ (Convention on Citizenship of Married Women) – მიღებულია გაეროს ეგიდით 1957 წელს. კონვენცია კრძალავს უცხოელზე დაქორწინებული ქალის მოქალაქეობის ავტომატურ შეცვლას (ქმრის მოქალაქეობით) ან მოქალაქეობის საერთოდ დაკარგვას მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.

კონვენციები და შეთანხმებანი მონობისა და მოწეობის გაქრობის აღკვეთის შესახებ (Conventions and Agreements on Elimination of Slavery and Trade in Slaves) – ადამიანის უფლებების დაცვის მომწესრგებელ ნორმათა შორის ამ სფეროში მოქმედი აქტები ერთ-ერთი უძველესი საერთაშორისოსამართლებრივი აქტებია. ასეთ ნორმათა შემკველი პირველი კონვენცია მიიღეს 1926 წელს, რომელიც 7.XII.1953 მიღებული ოქმით ნაწილობრივ შეიცვალა. მალე (7.IX.1956) მიიღეს მეორე, დამატებითი კონვენციაც. ეს აქტები კრძალავენ არა მარტო მონობასა და მონებით ვაჭრობას, არამედ ისეთ მოვლენებსაც, როგორებიცაა: ქალისა და ბავშვის გადაქცევა მონებად, ყმობა და ა.შ. აღნიშნული კონვენციები აკისრებენ ვალდებულებას სახელმწიფოებს, გააუქმონ ყველა ისეთი კანონი, რომლებიც ხელყოფენ მონებით ვაჭრობისა და მონობის დაუშვებლობის პრინციპს; ეს კონვენციები ითვალისწინებენ ამ პრინციპის დამრღვევთა დასჯის საშუალებებს. ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, აღნიშნული კონვენციები პროგრესული აქტებია და ხელს უწყობენ მონობის წინააღმდეგ ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში, ასევე აფრიკაში დღესაც გვხვდება მონობის საშინელი ფაქტები. დღემდე მუსლიმურ აღმოსავლეთსა და აფრიკაში მილიონი ნახევარი ადამიანი ან აშკარა მონურ, ან ბატონყმურ მდგომარეობაშია, რაც, 1956 წლის კონვენციის თანახმად, აგრეთვე, მონობის ნაირსახეობად ითვლება.

- 13 -

ლეგალიზაცია (Legalisation) – 1) მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთი იმ ქვეყნებში, სადაც საპასპორტო რეჟიმი არ არსებობს; 2) მოქალაქის უფლების დამადასტურებელი საბუთი ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად, აგრეთვე თანხის ან ქონების მისაღებად;

ლეგიტიმაცია (Legitimation) – რაიმე ქმედების ან ფაქტის სამართლიანობისა და კანონიერების აღიარება (მაგ., არჩევნების, *სახელმწიფო საზღვრის* და ა.შ.).

ლიბერალიზმი (Liberalism) – XX საუკუნის იდეოლოგია, რომელიც ქადაგებს პოლიტიკური ინსტიტუტების თავისუფლებას, ადამიანის ინდივიდუალურ უფლებებს, როგორებიცაა *აზრის გამოხატვის უფლება*, *რელიგიური შემწყნარებლობა*. იგი მხარს უჭერს იდეას, რომ მთავრობამ აქტიურად უნდა იღვაწოს კაპიტალიზმის რეგულირებაში, საერთო სიკეთისათვის და კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნისათვის, რომელშიც ღარიბთა მოთხოვნილებები მაქსიმალურად დაკმაყოფილებული იქნება.

ლისაბონის სამიტი (Lisbon Summit) – იხ.: *ეუთო, ეთნიკური წმენდა*.

ლოკალური საერთაშორისო სამართალი (Local International Law) – ნორმათა ერთობლიობა, რომელიც დადგენილია ორი ან რამდენიმე სუბიექტის მიერ და, *საყოველთაო საერთაშორისო სამართლისაგან* განსხვავებით, არეგულირებს ურთიერთობებს სუბიექტთა შორის, რომელთა რიცხვი მცირეა (ორმხრივი, სამმხრივი, რეგიონალური ხელშეკრულებები და საერთაშორისო ჩვეულებანი) (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*). ლსს უნდა შეესაბამებოდეს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის *იმპერატიულ ნორმებს*.

ლტოლვილები და ძვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები (Refugees and Internally Displaced Persons) – ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის უნევის კონვენციის მი-

ხედვით (1A2-ლი მუხ.), ტერმინში – „ლტოლვილი“ – იგულისხმება პირი, რომელიც „...რასის, სარწმუნოების, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის მსხვერპლის კარგად დასაბუთებული საშიშროების გამო იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ისარგებლოს შესაბამისი მფარველობით ამ საშიშროების გამო, ანდა არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და მსგავსი მოვლენების შედეგად იმყოფება თავისი ქვეყნის გარეთ, რის გამოც არ შეუძლია ან არ სურს დაბრუნდეს იქ ამგვარი საშიშროების გამო“.

საქართველოს კანონში „ლტოლვილთა შესახებ“ (1-ლი მუხ., 1-ლი პუნქ.), რომელიც მიღებულია 18.II.1998, მოცემულია ლტოლვილის ცნების შემდეგი განმარტება: „ლტოლვილად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი (იხ. აპატრიდი), რომლისთვისაც საქართველო არ არის მისი წარმოშობის ქვეყანა და რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მოქალაქეობის ან მუდმივად საცხოვრებელი ქვეყანა, რადგან იდეენებოდა რასის, რელიგიის, ეროვნული კუთვნილების, რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური შეხედულების გამო და არ შეუძლია ან არ სურს ისარგებლოს იმ ქვეყნის მფარველობით ასეთი საშიშროების გამო.“ საქართველოს კანონში (28.VI.1996) აღნიშნულია: „დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო (საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში) იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამო.“ საქართველოში ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი და სოციალური საკითხების მოგვარება ძირითადად ეკისრება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელიც, თავისი დებულების მიხედვით, „ხელმძღვანელობს ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, რეპატრიანტთა (იხ. *რეპატრიაცია*), სტიქიით დაზარალებულთა და სხვა მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მიგრაციის კონტროლისა და განსახლების სფეროებს“ (იხ. *რეპატრიაცია*). ლტოლვილთა და დევნილთა პრობლემებზე, თავისი პროფილის მიხედვით, ზრუნავენ აგრეთვე საქართველოს იუსტიციის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების და სხვა სამინისტროები.

საერთაშორისო დაცვის თვალსაზრისით, საქართველოში აქტიურად მოღვაწეობს *გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის* (გლუკ-ის) წარმომადგენლობა, რომელსაც გახსნილი აქვს სამსახურები თბილისში, ზუგდიდსა და სოხუმში. მარტო 1998 წელს ამ წარმომადგენლობამ საქართველოში დააფინანსა ათი მილიონ სამასი ათას დოლარზე მეტი ღირებულების სპეციალური პროგრამები დევნილებისა და ლტოლვილებისათვის. გლუკ-ის ოფისი უმთავრეს როლს ასრულებს ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა სოციალურ-სამართლებრივი დაცვის საქმეში. გლუკ-ს მანდატით ევალება ყველა იმ პირის დაცვა, ვინც 1951 წლის კონვენციისა და 1967 წლის ოქმის საფუძველზე ლტოლვილად შეიძლება იქნეს მიჩნეული. იგი მოწოდებულია, უზრუნველყოს ლტოლვილები თავშესაფრით, დაიცვას მათი სამართლებრივი უფლებები, არ დაუშვას მათი ძალით დაბრუნება იმ ქვეყანაში, სადაც საფრთხე ემუქრებათ და ა.შ. გლუკ-ი დიდ როლს ასრულებს აგრეთვე ლტოლვილთათვის მატერიალური დახმარების გაწევაში, რაც თავდაპირველად მის ფუნქციებში არ შედიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გლუკ-ის მანდატი ვრცელდებოდა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც დასაბუთებული საფრთხის გამო გადაკეთეს თავიანთი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის საზღვარი, შემდგომ, მსოფლიოს არაერთი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ საჭიროდ ჩათვალა, რომ გლუკ-ი დახმარებოდა იმ პირებსაც, რომლებიც საკუთარი ქვეყნისავე ტერიტორიაზე ლტოლვილთა ანალოგიურ პირობებში იმყოფებიან. დღეს გლუკ-ი უფლებამოსილია, განახორციელოს ლტოლვილთა და ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა კატეგორიის პირთა დაცვა, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობს მათი ქვეყანა, მონაწილეა თუ არა იგი 1951 წლის ჟენევის კონვენციისა და 1967 წლის ოქმისა, როდის შეექმნა საფრთხე იძულებით გადაადგილებულ პირს და ა.შ. გლუკ-ის ამოცანაა ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დაცვა, მიუხედავად მის ქვეყანაში შექმნილი ვითარებისა, რომელთა შორის 13,2 მილიონი იყო ლტოლვილი, 4,7 მილიონი – დევნილი, 8,1 მილიონი – სხვა კატეგორიის გადაადგილებული პირი.

- მ -

მაასტრიხტის ხელშეკრულება (Maastricht Treaty) – იხ. ევროკავშირი.

მარტენსის დეკლარაცია (დათქმა) (Martence Declaration) – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ტერმინი, რომელიც უკავშირდება 1899 წლის ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე რუსი პროფესორის, ფეოდორ მარტენსის მიერ „სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ კონვენციის“ პრეამბულაში შესატანად შეთავაზებულ შემდეგ დებულებას: „ისეთ შემთხვევებში, რომლებსაც კონვენციის დებულებები არ ითვალისწინებენ, მოსახლეობისა და მეომრების დამცველად გამოდის ის სამართალი, რომელიც ცივილიზებულ ხალხთა მიერ ჩამოყალიბებული ტრადიციებიდან, ჰუმანურობის კანონებიდან და საზოგადოებრივი შეგნების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს“. დეკლარაცია ვრცელდება ყველა იმ სიტუაციაზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დარეგულირებული *საერთაშორისო სამართლით*. აღნიშნული დათქმა აისახა ფენევის 1949 წლის კონვენციებსა და 1977 წლის I დამატებით ოქმში, 1-ლი მუხ. (იხ.: *ფენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*). იგი ერთგვარი სამართლებრივი გარანტიაა ომის მსხვერპლთათვის ისეთ სიტუაციებში, როდესაც პოზიტიურ სამართალში გარკვეული ხარვეზები არსებობს და პრობლემის დარეგულირება მხოლოდ ჰუმანურობის პრინციპების მიხედვით შეიძლება. ფ. მარტენსის ზემოაღნიშნული დებულება შევიდა საერთაშორისო სამართლის ტერმინოლოგიაში როგორც „მარტენსის დეკლარაცია (დათქმა)“.

მასობრივი განადგურება (აღამიანების) (Mass destruction (of people)) – აღამიანთა დიდი რაოდენობის ფიზიკური ლიკვიდაცია ბირთვული თუ სხვა ასეთი სიძლიერის იარაღის გამოყენებით, სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ *ეროვნულ უმცირესობათა* ან სხვა, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი ჯგუფების მასობრივი მკვლელობა მათი არსებობის მოსპობის მიზნით, შეიარაღებული კონფლიქტის დროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეობის გაფლეთა (იხ.: *გენოციდი, ომის დანაშაულობანი, დანაშაულობანი ადამიანურობის წინააღმდეგ*).

ლისაბონის სამიტზე (ეუთო) დაგმოხილ იქნა აფხაზი სეპარატისტების ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რაც გამოიხატა, ძირითადად, ქართველი მოსახლეობის „მასობრივი განადგურებით“ (მკვლელობებით).

მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები (Intergovernmental international organizations) – მუდმივმოქმედი სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებები, რომლებიც იქმნება მთავრობებს შორის ამა თუ იმ სფეროში თანამშრომლობის, მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. ასეთი ორგანიზაციების შესაქმნელად აუცილებელია, რომ, სულ ცოტა, სამმა სახელმწიფომ შეიმუშაოს საერთაშორისო შეთანხმების დამფუძნებელი აქტი (წესდება, სტატუტი თუ სხვ.). მს(ო) საერთაშორისო სამართლის სუბიექტები არიან. მათი აუცილებელი კომპონენტია მუდმივმოქმედი ორგანოს არსებობა. მს(ო)-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იურიდიული ძალა განსაზღვრულია ორგანიზაციის დამფუძნებელი აქტით, რომელიც, თავის მხრივ, თანამედროვე საერთაშორისო სამართალს ემყარება (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*). მს(ო) სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით დაყოფილია სამ კატეგორიად, ესენია: 1) წევრთა რაოდენობის მიხედვით – ზოგადი (*გაერო*), რეგიონალური (*ევროპის საბჭო*) და ლოკალური; 2) კომპეტენციის მიხედვით – უნივერსალური (*გაერო*) და სპეციალური (*გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებანი*); 3) გადაწყვეტილების მიღების პროცედურის მიხედვით – სუვერენული თანასწორობის პრინციპზე დამყარებული და „წონადი ხმის“ მიცემის (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი) პრინციპზე დამყარებული.

მიგრანტი-მუშაები (Migrant-workers) – განვითარებადი და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნიდან (იტალია, თურქეთი) დასავლეთ ევროპასა და აშშ-ი ჩამოსული *იმგრანტები*, რომლებიც, როგორც იაფფასიანი მუშახელი, სახელმწიფოს მხრიდანც და კერძო საწარმოებშიც ექსპლუატაციის ობიექტებად იქცევიან. მუშაობენ 10-12 საათს, იღებენ ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით გაცილებით დაბალ ხელფასს, იღვენებიან პოლიციის მიერ, არ აქვთ უფლება პროფკავშირებში გაერთიანებისა, შეზღუდულია მათი საოჯახო უფლებებიც – გარკვეულ კატეგორიას არ აქვს ოჯახის ჩამოყვანის უფლება.

საერთაშორისო საზოგადოება ცდილობს, შეამსუბუქოს მმ-ის მდგომარეობა, 1990 წლის 18 დეკემბერს *გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ* მიიღო და ხელმოწერისათვის გახსნილად გამოაცხადა „საერთაშორისო

კონვენცია ყველა მიგრანტი-მუშისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის შესახებ“ (ძალაში შევიდა I.IV.03), რომლის მიზანია, დაარეგულიროს ურთიერთობა მიმღებ სახელმწიფოსა და მმ-ს შორის და ავალბეს, დაიცვას არსებული, საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები სამოქალაქო, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში, უზრუნველყოს მმ-ის ღირსეული და უსაფრთხო ცხოვრება, დაცული უნდა იყოს ოჯახების ყველა წევრის უფლებები, იცხოვრონ ერთად და ისარგებლონ კულტურული და განათლების ელემენტარული უფლებებით.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის დებულებები სავალდებულოა არა მარტო მასში მონაწილე ქვეყნებისათვის, არამედ ყველა სახელმწიფოსათვის, რადგანაც ისინი შემოტანილია ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ არსებული სტანდარტებით.

აღსანიშნავია ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით მიღებული კონვენციები „სამუშაოს მოპოვებისათვის მიგრაციის შესახებ“ („მიგრაციის პირობებში და მიგრანტთა თანასწორობისა და მოპყრობის დაცვის შესახებ“ და სხვ.).

1957 წლის მინიმალური სტანდარტები პატიმართა მოპყრობის შესახებ (1957 Minimal standards for prisoners treatment) – იხ. პატიმრობა.

მონიტორინგი (Monitoring) – კონკრეტული საკითხის ან ვითარების ირგვლივ ინფორმაციის სისტემური მიღება და დამუშავება, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს: გადაწყვეტილების მიღების გასაუმჯობესებლად ან ხელის შესაწყობად, სახელმწიფოთაშორისი ინფორმაციის ურთიერთგაცვლის საშუალებად, პროექტის განხორციელების თუ მიზნის მიღწევის საშუალებად ან საზოგადოების ინფორმირების გასაღრმავებლად.

მ-ის ჩატარება შემდეგ მიზნებს ემსახურება: გამოავლინოს მოცემულ სფეროში არსებული მდგომარეობა, რათა შემდგომში შემუშავდეს კონკრეტული ღონისძიებები; ხელი შეუწყოს კრიტიკიულებისა და წესების დანერგვას: უზრუნველყოს გრძელვადიანი ურთიერთობების დანერგვა ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მეშვეობით (მაგალითად, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებულ მაკონტროლებელ ორგანოს შორის).

მ შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი. დროებითი მ ტარდება ერთი კონკრეტული ღონისძიების შესასწავლად (მაგალითად, სახელმწიფოში არჩევნების ჩატარების დროს). მუდმივი მ-ის სახეობაა *ვეროპის საბჭოს* მიერ სისტემატური შემოწმება საქართველოს მიერ აღებული

ვალდებულებების შესრულების მსვლელობისა და საპარლამენტო ასამბლეისათვის ინფორმაციის მიწოდება, რასაც, როგორც წესი, ამ ორგანოს რეზოლუცია მოჰყვება.

მონობა და მონებით ვაჭრობა (Slavery and trade in slaves)

– *საერთაშორისო ზასიათის დანაშაული*, რომელიც გამოიხატება ექსპლუატაციის მიზნით ადამიანების მონობაში მოქცევასა და მოგების მიღების მიზნით მონებით ვაჭრობაში. მ და მმ-ის მსგავსი დანაშაულია *ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა*. საერთაშორისო სამართლით მონობა აკრძალულია. 1890 წელს ბრიუსელში საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა აქტი, რომელიც ითვალისწინებდა მონობასთან ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებებს. 1926 წლის 25 სექტემბერს მიღებულ იქნა საერთაშორისო კონვენცია მონობის შესახებ. გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მე-4 მუხ.) კრძალავს მონობის ყოველგვარ ფორმას. მონებით ვაჭრობა ნიშნავს მონების გადაყვანის ან მათი გადაყვანის მცდელობას ერთი ქვეყნიდან მეორეში, ან მათ გაყიდვას მატერიალური თუ სხვაგვარი მოგების მიღების მიზნით.

მოქალაქე (Citizen) – პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე მიეკუთვნება გარკვეულ სახელმწიფოს. მ-ს აქვს განსაზღვრული უფლებაუნარიანობა, აღჭურვილია გარკვეული უფლებებითა და თავისუფლებებით, აკისრია კანონით განსაზღვრული მოვალეობები. მ თავისი სამართლებრივი მდგომარეობით განსხვავდება ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი *უცხოელებისაგან* და მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან (იხ. *აპატრიდი*). მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს მ-ს აქვს პოლიტიკური უფლებები.

მოქალაქეობა (Citizenship) – პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლებების, მოვალეობებისა და ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის ერთიანობით. სახელმწიფო აღიარებს და იცავს პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს სახელმწიფოში და მფარველობს მას სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ. მოქალაქე იცავს სახელმწიფოს კანონებს და ასრულებს სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამ უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა ქმნის აყალიბებს მოქალაქის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს, რაც განსხვავებს მას *უცხოელებისა* და მოქალაქეობის არმქონე პირებისაგან (იხ. *აპატრიდი*). მ-ის მოპოვება ხდება როგორც დაბადებით, „სისხლის“ პრინციპის (იხ. „*სისხლის პრინციპი*“ *მოქალაქეობის შეძენისა*),

ანუ მშობელთა მოქალაქეობის მიხედვით (საქართველო, დანია და სხვა) ან „ნიადაგის“ პრინციპით (იხ. „*ნიადაგის პრინციპი*“ მოქალაქეობის შექმნისა): იმის მიხედვით, თუ სად დაიბადება ბავშვი (აშშ, არგენტინა და სხვ.), ასევე ნატურალიზაციით (მ-ის შექმნა ხდება პიროვნების პირადი თხოვნის საფუძველზე და პიროვნების განსაკუთრებული პირადი დამსახურების გამო). მ-თან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საერთაშორისოსამართლებრივი ნორმები და ეროვნული კანონმდებლობა. მაგ.: *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია* (1948 წლის), 1957 წლის გაეროს კონვენცია გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ, *1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* და სხვ. საქართველოს მ-სთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია (მე-12, მე-13 მუხლები) და საქართველოს 1993 წლის 25 მარტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“.

საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით. საქართველოში არ არსებობს *ორმაგი მოქალაქეობა*, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილება 06.02.2004 №3272-სსმ№2, მე-5 მუხ.). საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ადგილსამყოფელისა. საქართველოს კანონმდებლობით, მოქალაქეობის ჩამორთმევა და საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია. ასევე არ დაიშვება საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა, გარდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მოქალაქის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მოქალაქეობის არმქონე პირი (Stateless person) – იხ. აპატრიდი.

მოხალისე (Volunteer) – პირი, რომელიც თავისი ნებით მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში მიმდინარე საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის მისაღებად. მოხალისეობა დასაშვებად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მ-ის სახელმწიფო ახორციელებს ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, ხოლო დაუშვებლად არის მიჩნეული, თუ „მოხალისე“, სინამდვილეში, საგანგებოდ

დაქირავებული პირია, რომელიც აგრესორი სახელმწიფოს ან აგრესიული სეპარატიზმის მხარეზე საბრძოლველად მიდის. ხშირად „მოხალისეობა“ მხოლოდ ნიღაბია ისეთი საქმიანობის მიჩქმალვისათვის, რომელიც *საერთაშორისო სამართლით* აკრძალულია. ასე, მაგალითად, აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს აფხაზი სეპარატისტების მხარეზე მებრძოლი ათასობით „მოხალისე“ სინამდვილეში რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დაქირავებული პირები იყვნენ.

მრავალმხრივი სამართაშორისო ხელშეკრულება (Multilateral international Treaty) – ხელშეკრულება, რომელშიც მონაწილეობს ორზე მეტი მხარე. იგი შეიძლება იყოს უნივერსალური (მაგ., *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*) და რეგიონალური (*ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ*). საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში ასევე გამოყოფილია შეზღუდული რაოდენობის მონაწილეთა ხელშეკრულებები.

მფარველობაში მყოფი პირები (Protected persons) – *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით* გათვალისწინებული ისეთი პირები, რომლებიც, *ომის მსხვერპლთა* დაცვის შესახებ ჟენევის 1949 წლის კონვენციების მიხედვით და ამ კონვენციების 1977 წლის ორი დამატებითი ოქმით, შეიარაღებული კონფლიქტების დროს განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ (იხ.: *ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*). „*ჟენევის სამართალი*“ ერთმანეთისაგან განასხვავებს მმპ-თა რამდენიმე კატეგორიას როგორც *შეიარაღებულ ძალებში*, ისე სამოქალაქო მოსახლეობაში. ესენია: დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალიის კატასტროფაში მოყოლილი პირები, სამხედრო ტყვეები, ინტერნირებული სამოქალაქო პირები, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მყოფი სამოქალაქო პირები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი სამოქალაქო პირები.

ჟენევის 1949 წლის კონვენციების მეორე დამატებითი ოქმი, რომელიც *არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს* ეხება, არ ცნობს იმ პირთა განსაკუთრებულ სტატუსს, რომლებიც მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში. აღნიშნულ ოქმში საუბარია მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ძალას იყენებენ არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს, აგრეთვე იმ პირებზე, რომლებიც არ იყენებენ ან ვე-

ღარ იყენებენ ასეთ ძალას, მაგ.: დაჭრილები, ავადმყოფები, ტყვეები, მოსახლეობა, რომელიც საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს.

მშვიდობიანი მოსახლეობა (Civilian population) – მოსახლეობა, რომელიც იმყოფება მეომარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ ეკუთვნის მის *შეარაღებულ ძალებს* მშ-ის სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება ჰააგის 1907 წლის კონვენციით „სახმელეთო ომის კანონთა და ჩვეულებათა შესახებ“ (იხ. *ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები*), ჟენევის 1949 წლის IV კონვენციით „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ და ჟენევის 1949 წლის კონვენციების 1977 წლის დამატებითი ოქმებით (იხ. *ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*). მეომარ მხარეებს ეკრძალებათ საომარი მოქმედებები მშ-ის წინააღმდეგ, რაც ომის დროს მოქმედი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ნებისმიერ პირობებში მშ-ს უფლება აქვს მოითხოვოს, პატივისცემით მოეკიდონ მის პირად ღირსებას, რელიგიურ მრწამსსა და წეს-ჩვეულებებს; მოითხოვოს, თავი შეიკავონ მის მიმართ ყოველგვარი *დისკრიმინაციისგან*, მოუხელავდნენ რასობრივი კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა თუ მრწამსის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა რაიმე ნიშნისა. ფაშისტური გერმანიის დანაშაულებრივმა პოლიტიკამ მშ-ის მიმართ (იხ. *გენოციდი*) შეძრა დემოკრატიული სამყარო, რამაც განაპირობა ზემოაღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიღების აუცილებლობა. ბოლო წლებში მშ გახდა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებული აგრესიული სეპარატიზმის დანაშაულებრივ ქმედებათა ძირითადი მსხვერპლი (იხ. *ეთნიკური წმენდა*). აკრძალულია მეომარი სახელმწიფოების შეარაღებულ პირთა თავდასხმა მშ-ზე, მათ წინააღმდეგ არაარჩევითი იარაღის გამოყენება, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მშ-ის გაუღელტა, ასევე ხელშეუხებელია მშ-ის სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები.

მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული (Crimes against peace and humanity) – მძიმე საერთაშორისო სამართალდარღვევა (დანაშაული), რომელიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, ხელყოფს მშვიდობიანი თანაცხოვრების წესებს, სახელმწიფოთა და ხალხთა თავისუფალ განვითარებას, მასობრივად და უხეშად ლახავს ადამიანის უფლებებს. ამ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება: დანაშაული მშვიდო-

ბის წინააღმდეგ (აგრესია, *გენოციდი* და სხვ.); სამხედრო დანაშაულობანი (*ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა*); *დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ*. პირველად საერთაშორისო დანაშაულთა კლასიფიკაცია მოახდინეს ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალებმა (იხ. *ნიურნბერგის პროცესი* და *ტოკიოს პროცესი*), რომელთა წესდებასა და მთავარ სამხედრო დანაშაულთა მიმართ გამოტანილ განაჩენებში ჩამოყალიბებულია *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა* აგრესიული სახელმწიფოებისა და მათი მეთაურების პასუხისმგებლობის შესახებ.

მძევალთა აყვანა (ხელში ჩაგდება) (Hostage taking) – ამა თუ იმ პირის (ან პირთა ჯგუფის) შეპყრობა ან იძულებით დაკავება, რასაც თან ახლავს სიკვდილის, დასახირების ან ტყვეობაში დატოვების ბუქარა. მპ-ის მიზანია, მძევლის (მძევლების) განთავისუფლების პირობით აიძულონ მესამე მხარე (სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი), უშუალოდ თუ სხვისი მეშვეობით შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ან, პირიქით, უზრუნველყოს მისი შეუსრულებლობა. თანამედროვე *საერთაშორისო სამართლით* და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით მძევალთა შეპყრობა აკრძალულია და დანაშაულად არის მიჩნეული. მძევალთა შეპყრობა პირველად აკრძალა ჰააგის 1907 წლის კონვენციით სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულების შესახებ (იხ. *ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები*). 1979 წელს *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* მიიღო საერთაშორისო კონვენცია მძევალთა შეპყრობასთან ბრძოლის შესახებ. ამავე საკითხს არეგულირებს *ჰააგის 1970 წლის კონვენცია საჰაერო ზომავლების გატაცებასთან ბრძოლის შესახებ* და *მონრეალის 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქციებთან ბრძოლის შესახებ*.

მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა მძევალთა ხელში ჩაგდებას დანაშაულად აცხადებს. მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საამისოდ გათვალისწინებულია დანაშაულის ორი შემადგენლობა – „მძევლად ხელში ჩაგდება“ (144-ე მუხ.) და „მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით“ (329-ე მუხ.).

-6-

ნატურალიზაცია (Naturalisation) – ფიზიკური პირისათვის მისი პირადი თხოვნის (განცხადების) ან თანხმობის საფუძველზე უცხოეთის სახელმწიფოს *მოქალაქეობის* მინიჭება ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ. ნ-ით მოქალაქეობის მიღების წესს არეგულირებს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმები.

საქართველოს კანონში მოქალაქეობის შესახებ, რომელიც მიღებულია 25.03.1993, ჩამოთვლილია ნ-ის წესით მოქალაქეობის მიღების შემდეგი პირობები: ა) პირი მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; ბ) დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა; გ) დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა; დ) საქართველოში აქვს საშუალო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება. კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს ცალკეული კატეგორიის პირების მიმართ, როდესაც დაშვებულია ასეთი პირის განთავისუფლება ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისაგან. კერძოდ, კანონის თანახმად (27-ე მუხ.), საქართველოს პრეზიდენტს, გამონაკლისის სახით, უფლება აქვს, ჩამოთვლილი პირობების შეუსრულებლად საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭოს ამა თუ იმ პირს, რომელსაც: 1) კაცობრიობის ან საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო ან საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს ისეთი პროფესია, ან კვალიფიკაცია, რომელიც ხელსაყრელია საქართველოსათვის; 2) მისთვის მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან. ამავე კანონით განსაზღვრულია, რომ საქართველოს მოქალაქეობა არ მიენიჭება პირს, თუ იგი ნასამართლევა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით, და თუ ეს ნასამართლეობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული (26-ე მუხ.).

„ნიადაგის პრინციპი“ მოქალაქეობის შმძენისა (jus soli) – დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც, მშობლების მოქალაქეობის მიუხედავად, პირს ენიჭება იმ სახელმწიფოს მოქალაქეობა, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა. 1993 წლის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონი ითვალისწინებს „ნიადაგის პრინციპის“ ცალკეულ შემთხვევას. კერძოდ, კანონის მე-13

და მე-15 მუხლები ადგენენ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა ბავშვები საქართველოს მოქალაქეები არიან, თუ ისინი დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

ნიუ-იორკის საერთაშორისო კონვენცია მძევალთა აყვანასთან ბრძოლის შესახებ (1979 წელი) – იხ. საერთაშორისო ტერორიზმი.

ნიურნბერგის პროცესი (Nuremberg trial) – გერმანელი ნაცისტების მთავარ სამხედრო დანაშავეთა გასასამართლებლად გამართული სასამართლო პროცესი, რომელიც ქ. ნიურნბერგში (გერმანია) მიმდინარეობდა 20.XI.1945-1.X.1946. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა (სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი) შეთანხმების საფუძველზე. სასამართლოს წინაშე წარდგა ფაშისტთა 24 ლიდერი. ტრიბუნალის შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობათა მიერ დანიშნული ოთხი მოსამართლე და მათი მოადგილეები, ბრალდებას მხარს უჭერდა ოთხი მთავარი ბრალმდებელი.

ნპ-ზე პირველად გერმანიის ხელმძღვანელობას ბრალს სდებდნენ: შეთქმულებაში აგრესიული ომის მომზადებისათვის და ამ ომის წარმოებაში პოლონეთის, ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, დანიის, ნორვეგიის, ბელგიის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, სსრ კავშირისა და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობათა ჩადენაში, სამხედრო ტყვეების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის წამებასა და მასობრივ განადგურებაში, სამოქალაქო მოსახლეობის გერმანიაში გადაყვანაში იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად, მიქვალთა მკვლელობაში, სახელმწიფო და კერძო საკუთრების გაძარცვაში, სამოქალაქო ობიექტების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების არასამხედრო მიზნით განადგურებაში, სამხედრო დანაშაულობებში, პოლიტიკური, რასობრივი ან რელიგიური მოტივებით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში და სხვ. ამგვარად, პირველად იქნა აღიარებული აგრესია, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული და პასუხისმგებლობა აგრესიული ომის გაჩაღებისათვის, ამასთან, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ როგორც რიგით ფიზიკურ პირებს, ასევე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ნპ-ზე ასევე პირველად იქნა გამოყე-

ნებული პრინციპი, რომ პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება პირი, რომელიც ასრულებდა დანაშაულებრივ ბრძანებას. აღნიშნული პრინციპი აისახა სამხედრო ტრიბუნალების წესდებებსა და ამ ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენებში. ამავე პრინციპს, როგორც საერთაშორისოსამართლებრივ პრინციპს, აღიარებს *გაეროს გენერალური ასამბლეის* ორი რეზოლუცია, რომლებიც მიღებულია II.XII.1946 და 27.XI.1947. ნპ-ზე აღიარებული პრინციპები საფუძვლად დაედო 1968 წელს მიღებულ კონვენციას „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ“ (იხ. აგრეთვე: *ომის დანაშაული, დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული*).

ნორმა სამართაშორისოსამართლებრივი (Norm of international law) – საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ქცევის წესი, რომელსაც აქვს იურიდიულად სავალდებულო ძალა (იხ. *წყაროები საერთაშორისო სამართლისა*). განასხვავებენ პირველად და მეორად ნორმებს ანუ შესაბამისად იმ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სუბიექტთა (იხ. *სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა*) უფლება-მოვალეობებს და იმ ნორმებს, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობის სახეებსა და ფორმებს ამ უფლება-მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში (იხ.: *საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სანქციები და კონტრზომები*).

- (1) -

ოკუპაცია (Occupation) – *საერთაშორისო სამართალში* ოკუპაციის ორ გაგებას ვხვდებით: 1) (1) – „terra nullius“ – არავისი მიწის დაკავება (ათვისება), ანუ ისეთი ტერიტორიის დაკავება, რომელიც არცერთი სხვა სახელმწიფოს სამფლობელო არ არის. (1)-ის ნიშნებს შორის გადამწყვეტ ფაქტორად აღიარებულია ამ ტერიტორიაზე მოკუპირებული სახელმწიფოს ხელისუფლების ეფექტიანობა. ასეთი გაგებით, (1) *სახელმწიფო ტერიტორიის* შეძენის ერთ-ერთი ფორმაა აზიისა და აფრიკის კოლონიზაციის პერიოდში (XVI–XIX სს.); 2) სამხედრო (1) ძალის გამოყენებით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დროებითი დაკავება. „სამხელეთო ომის კანონთა და ჩვეულებათა შესახებ“ ჰააგის 1907 წლის კონვენციის, „ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის მე-4 კონვენციის, აგრეთვე 1949 წლის ჟენევის კონვენციებთან დაკავშირებით 1977 წელს მიღებული 1-ლი დამატებითი ოქმის (იხ.: *ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები, ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*) დებულებათა მიხედვით, სამხედრო (1)-ის დროს დამყარებული ხელისუფლება *სუვერენიტეტს* მოკლებული დროებითი ფაქტობრივი ხელისუფლებაა, რომელმაც პატივი უნდა სცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ *ადამიანთა უფლებებს*, დაამყაროს იქ წესრიგი და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეინარჩუნოს და პატივი სცეს იქ არსებულ კანონებს. სამხედრო (1) არის არა ტერიტორიის შეძენის ფორმა, არამედ იგი ძალის გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მხოლოდ დროებითი დაკავებაა და, წესისამებრ, უნდა შეწყდეს კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ დადებული საზავო ან სხვა სახის *საერთაშორისო ხელშეკრულებათა* საფუძველზე (მაგ., პიტლერული გერმანიის ტერიტორია დაყოფილ იქნა ოთხ საოკუპაციო ზონად აშშ-ს, სსრკ-ს, საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის, რაც კარგა ხნის შემდეგ გაუქმდა).

ომბუდსმენი (Ombudsman – შეედურად წარმომადგენელი) – პირი ან კოლექტიური ორგანო, რომელსაც ვეალება, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად დაიცვას პიროვნების უფლებები, თუ ისინი დარღვე-

ულია საჯარო ხელისუფლების მიერ. ზოგიერთ ქვეყანაში (1)-ს ირჩევს ან ნიშნავს პარლამენტი, ზოგიერთში ამ ფუნქციას ასრულებს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ არჩეული (დანიშნული) პირი. ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე სახის 1 - ადამიანის პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების დაცვის სფეროში, ეროვნულ უმცირესობათა დაცვისა და სამხედრო ნაწილებში მომსახურე ჯარისკაცთა და ოფიცერთა უფლებების დამცველები და ა.შ.

პირველი ეროვნული 1 არჩეულ იქნა შვედეთის პარლამენტის მიერ, შემდგომ ამ ინსტიტუტის შემოღება სხვა ქვეყნებშიც იწყება. 1987 წლის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „ომბუდსმენის განსაკუთრებული მოვალეობაა, უზრუნველყოს სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონსტიტუციის იმ დებულებათა შესრულება, რომლებიც ეხება ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას, და არ დაუშვას მოქალაქეთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა საჯარო ხელისუფლების მიერ“.

საქართველოში 1-ის ინსტიტუტის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით (იხ. *საქართველოს სახალხო დამცველი*).

ომის დამნაშავეები (War criminals) - ის პირნი, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული (იხ. *მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული*), დაარღვიეს *ომის კანონები და ჩვეულებები. საერთაშორისო სამართალში* ამგვარ დამნაშავეებს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ. სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის მიერ 2.VII.1943 მიღებული ერთობლივი დეკლარაციის თანახმად, ის პირნი, რომელთა დანაშაული არ უკავშირდება გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ანუ აღიარებული არიან მთავარ სამხედრო დამნაშავეებად, ექვემდებარებიან საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალებს. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი მთავარ სამხედრო დამნაშავეთა საქმეებზე მიმდინარეობდა ნიურნბერგში (გერმანია) 20.XI.1945-იდან 1.X.1946-მდე (იხ. *ნიურნბერგის პროცესი*), ხოლო მთავარ იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა საქმეებზე - 3.V.1946-დან 12.X.1948-მდე ტოკიოში (იაპონია) (იხ. *ტოკიოს პროცესი*). ორივე ტრიბუნალი ჩამოყალიბდა სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე და მოქმედებდნენ საკუთარი წესდებით. ორივე ეს წესდება აგებულია სისხლის სამართლის დემოკრატიულობის პრინციპების მიხედვით. ორივე წესდებაში გამოყოფილ იქნა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სამი ჯგუფი: 1) მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი - აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება ან

წარმოება, ან ომის წამოწყება *საერთაშორისო ზელშეკრულების* დარღვევით, ან ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებათა ჩასადენად შეთქმულებაში თუ საერთო გეგმაში მონაწილეობის მიღება; 2) სახელდობრ ომის დანაშაულობანი — ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა, კერძოდ: მკვლელობა, წამება ან ოკუპირებული ტერიტორიების სამოქალაქო მოსახლეობის მონობაში (ან სხვა მიზნით) წაყვანა, სამხედრო ტყვეთა ან მძევალთა მკვლელობა ან წამება; კერძო ან საზოგადოებრივი ქონების ძარცვა და განადგურება, ქალაქებისა და სოფლების უმიზნოდ განადგურება და სხვ.; 3) *დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ*.

მეორე მსოფლიო ომში ჩადენილი დანაშაულებისათვის გერმანელ და იაპონელ მთავარ სამხედრო დამნაშავეებს მიესაჯათ სიკვდილი, ხოლო დანარჩენებს — მუდმივი ან ხანგრძლივი ვადით თავისუფლების აღკვეთა. არამთავარი სამხედრო დამნაშავეების სასამართლო პროცესები გაიმართა საბჭოთა კავშირში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. სამხედრო დამნაშავეებზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა და არც *თავშესაფრის უფლება*. სამხედრო დამნაშავეები ექვემდებარებიან *ექსტრადიციას*. დღემდე ზდება ზოგიერთი მათგანის გადაცემა იმ ქვეყნისათვის, სადაც მათ დანაშაული ჩაიდინეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მოხდა *ომის დანაშაულობათა* ნუსხის შემდგომი გაფართოება თანამედროვე სიტუაციის გათვალისწინებით. საფუძვლად დაედო *ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები*. *ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ* დიდი მნიშვნელობა აქვს *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს* სტატუსს, რომელიც 1948-თა განმსაზღვრელი ნორმების კოდიფიცირებას ახდენს.

ომის დანაშაულობანი (War crimes) — *ომის კანონებისა და ჩვეულებების* განსაკუთრებით სერიოზული, მძიმე დარღვევები, რომლებსაც მიეკუთვნება: მკვლელობა, წამება, ოკუპირებული ტერიტორიებიდან *მშვიდობიანი მოსახლეობის* მონობაში ან სხვა მიზნით გარეკვა, *სამხედრო ტყვეთა* ან გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა მკვლელობა და წამება, მძევალთა მკვლელობა; კერძო ან საზოგადოებრივი ქონების ძარცვა, სამოქალაქო დასახლებული პუნქტების უმიზნოდ განადგურება-გაპარტახება და სხვ. ეს დანაშაულობები ჩამოთვლილია ნიურნბერგის 1946 წლის *საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის* (იხ. *ომის დამნაშავეები, ნიურნბერგის პროცესი*) წესდებაში (მე-6 მუხ.).

ომის დანაშაული წარმოადგენს *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს* იურისდიქციას დაქვემდებარებულ დანაშაულებს (რომის სტატუტის მე-5 მუხლის 1 პუნქტის „ც“). რომის სტატუტის

მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება ომის დანაშაულებად. სტატუტი 17D-ად მიიჩნევს როგორც ომის მსხვერ-ჯლათ მიმართ ჩადენილ დანაშაულებს, ასევე ომის წარმოების აკრძალულ მეთოდებსა და საშუალებებს. გარდა ამისა, მე-2(ე) პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და, ამრიგად, არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დაძაბულობების დროს, როგორებიცაა: არეულობები, ძალადობის ცალკეული და სპორადული შემთხვევები ან სხვა მსგავსი ხასიათის აქტები; ის ეხება შეიარაღებულ კონფლიქტებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე, როდესაც მიმდინარეობს ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სამთავრობო ძალებსა და ორგანიზებულ შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის ან ასეთ დაჯგუფებებს შორის.

რომის სტატუტი განსაზღვრავს, თუ რა ჩაითვლება ომის დანაშაულებად. კერძოდ, 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციების მძიმე დარღვევა ანუ ქმედებები, რომლებიც მიმართულია ჟენევის კონვენციების დაცვის ქვეშ მყოფი პირების ან საკუთრების წინააღმდეგ: განზრახ მკვლელობა; წამება ან არაადამიანური მოპყრობა, მათ შორის ბიოლოგიური ექსპერიმენტები; მძიმე ტანჯვის, სხეულის მძიმე დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება; საკუთრების უკანონო, უაზრო და ფართომასშტაბიანი განადგურება და მითვისება, რაც გაუმართლებელია სამხედრო აუცილებლობით; სამხედრო ტყვის ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის იძულება, იმსახუროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში; სამხედრო ტყვის ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირისთვის სამართლიანი და ნორმალური სასამართლო განხილვის უფლების ჩამორთმევა; უკანონო დეპორტაცია ან გადაადგილება, ან უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა; მძევლების აყვანა; იმ კანონებისა და ჩვეულებების მძიმე დარღვევები, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად გამოიყენება საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება: განზრახ თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობაზე, ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც უშუალოდ არ გამოიყენებიან საომარ მოქმედებებში; განზრახ თავდასხმა სამოქალაქო ობიექტებზე, ე.ი. იმ ობიექტებზე, რომლებიც არ გამოიყენებიან სამხედრო სამიზნედ; დარტყმების განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში გაეროს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, ობიექტებზე, მასალებზე, ქვედანაყოფებზე ან გადასაზიდ საშუალებებზე, ვიდრე მათ აქვთ ის დაცვის უფლება, რაც ენიჭება სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; განზრახ თავ-

დასხმა, როდესაც ცნობილია, რომ ასეთი თავდასხმა გამოიწვევს სამოქალაქო პირთა შემთხვევით დაღუპვას ან დაზიანებას ან სამოქალაქო ობიექტების დაზიანებას, ანდა ბუნებრივი გარემოს ფართომასშტაბიან, ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ზიანს, რომელიც არათანაზომიერი იქნებოდა კონკრეტული და უშუალოდ მოსალოდნელი საერთო სამხედრო უპირატესობისა; ნებისმიერი საშუალებით ქალაქებზე, სოფლებზე, საცხოვრებლებსა ან შენობებზე თავდასხმა, ან მათი დაბომბვა, რომლებიც არ არიან დაცული და არ გამოიყენებიან სამხედრო სამიზნედ; იმ კომბატანტის მოკვლა ან დაჭრა, რომელმაც დადო იარაღი ან აღარ გააჩნია დაცვის საშუალება და უსიტყვოდ დანებდა; დროებით ცეცხლის შეწყვეტის აღმნიშვნელი აღმის, ეროვნული დროშის, ანდა გაეროს ან მოწინააღმდეგის განმასხვავებელი სამხედრო ნიშნის და ფორმის, აგრეთვე ენევის კონვენციებით გათვალისწინებული განმასხვავებელი ემბლემების არასათანადო გამოყენება, რამაც ადამიანთა სიკვდილი ან მათი მძიმე ფიზიკური დაზიანება გამოიწვია; ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის პირდაპირ ან არაპირდაპირ გადაყვანა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ან ოკუპირებული ტერიტორიის მთელი მოსახლეობის თუ მისი ნაწილის ღებორტაცია ან გადაადგილება ამ ტერიტორიის საზღვრის ფარგლებში თუ მის გარეთ; რელიგიური, სავანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისთვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, საავადმყოფოებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილებზე ღარტყმების განზრახ მიყენება, თუ ისინი არ გამოიყენებიან სამხედრო სამიზნედ; მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო თუ სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რაც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ზორციელდება მისი ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს, ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას; მოწინააღმდეგე მხარის ქვეშევრდომთა ან მისი შეიარაღებული ძალების მოსამსახურეთა დალატით მკვლელობა ან მათთვის ჭრილობის მიყენება; იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება; მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით; იმის გამოცხადება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა უფლებები და სარჩელები სასამართლოში გაუქმებული, შეჩერებული ან მიუღებელია; მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეთა იძულება,

მონაწილეობა მიიღონ მათი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, იყვნენ თუ არა ისინი ომის დაწყებამდე მემორი მხარის სამსახურში; ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარცვა, თუნდაც შტურმით ალებისას; შხამიანი ნივთიერების ან მოწაღლული იარაღის გამოყენება; მგუდავი, მომწამვლელი ან სხვა აირების, აგრეთვე ყოველგვარი მსგავსი სითხის, მასალის ან საშუალების გამოყენება; ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადვილად ფეთქდება ან ბრტყელდება ადამიანის სხეულში, როგორცაა მყარგარსიანი ტყვიები, რომელთა გარსი არ ფარავს ტყვიის მთელ გულს ან აქვს ჩანაჭრები; ისეთი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ტექნიკის, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევენ გადაჭარბებულ ზიანს ან უსარგებლო ტანჯვას, ან რომელიც იწვევს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის ნორმათა განურჩეველ დარღვევას, ამასთან, თუ ასეთი იარაღი, საბრძოლო მასალა ან ტექნიკა, აგრეთვე ბრძოლის წარმოების ასეთი მეთოდები ექვემდებარება საყოველთაო აკრძალვას და შესწორების სახით შეტანილია ამ წესდების დანართში, 121-ე და 123-ე მუხლების სათანადო დებულებების შესაბამისად; ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა; გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის (ფ) ქვეპუნქტით, ძალადობით სტერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე უნევის კონვენციების მძიმე დარღვევაა; სამოქალაქო ან სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის თანდასწრების გამოყენება ცალკეული პუნქტების, რაიონების ან შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებებისგან დაცვის მიზნით; დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ უნევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს; ომის წარმოების საშუალების სახით სამოქალაქო მოსახლეობაში შიშმილის განზრახ გამოწვევა სასიცოცხლო მნიშვნელობის საგნების ჩამორთმევით, მათ შორის უნევის კონვენციებით გათვალისწინებული დახმარების გაწვევისათვის განზრახ ხელის შეშლა; თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

მე-8 მუხლის მე-2 (ც) ქვეპუნქტის თანახმად, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, 1949 წლის 12 აგვისტოს

ჟენევის კონვენციებისათვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება, ჩადენილი იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურად არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში, მათ შორის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემაჯავალი იმ პირების წინააღმდეგ, რომელთაც დადეს იარაღი ან აღარ შესწევთ ბრძოლის უნარი ავადმყოფობის, მიღებული ჭრილობის, პათიმრობის ან სხვა მიზეზის გამო: ძალადობა, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლის ან პიროვნების წინააღმდეგ, კერძოდ, ყოველგვარი მკვლელობა ნებისმიერი ფორმით, დამახინჯება, სასტიკი მოპყრობა ან წამება; ადამიანის ღირსების შელახვა, კერძოდ, შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი მოპყრობა; მძევლების აყვანა; განაჩენის გამოტანა ან მისი აღსრულება სათანადოდ დაფუძნებული სასამართლოს მიერ წინასწარი განხილვის გარეშე, იმ ყველა იურიდიული გარანტიის დაცვით, რომლებიც საყოველთაოდ სავალდებულოდ არის აღიარებული; მე-2(ვ) პუნქტი ეხება არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებს და ამრიგად არ გამოიყენება შიდა წესრიგის დარღვევისა და დამახურობების დროს, როგორებიცაა: არეულობები, ძალადობის ცალკეული და სპორადული შემთხვევები ან სხვა ანალოგიური ხასიათის აქტები; არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული კანონებისა და ჩვეულებების სხვა მძიმე დარღვევები, კერძოდ, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება: დარტყმების განზრახ მიყენება სამოქალაქო მოსახლეობაზე ან ცალკეულ სამოქალაქო პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში; დარტყმების განზრახ მიყენება იმ შენობებზე, მასალებზე, სამედიცინო დაწესებულებებზე ან სატრანსპორტო საშუალებებსა და პერსონალზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის შესაბამისად იყენებენ ჟენევის კონვენციებით გათვალისწინებულ განმასხვავებელ ემბლემებს; დარტყმების განზრახ მიყენება ჰუმანიტარულ დახმარებაში ან მშვიდობის მხარდამჭერ მისიაში გაეროს წესდების შესაბამისად მონაწილე პერსონალზე, დანადგარებზე, ობიექტებზე, მასალებზე გადასაზიდ საშუალებებზე, ვიდრე მათ აქვთ ის დაცვის უფლება, რაც ენიჭება სამოქალაქო პირებს ან სამოქალაქო ობიექტებს შეიარაღებული კონფლიქტების საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; რელიგიური, საგანმანათლებლო, ხელოვნების, სამეცნიერო ან საქველმოქმედო მიზნებისთვის განკუთვნილ შენობებზე, ისტორიულ ძეგლებზე, ჰოსპიტლებზე ან ავადმყოფთა და დაჭრილთა თავმოყრის ადგილებზე განზრახ დარტყმების მიყენება, თუ ისინი არ გამოიყენებიან სამხედრო ობიექტებად; ქალაქის ან ადგილმდებარეობის გაძარ-

ცვა, თუნდაც შტურმით აღებისას; გაუპატიურება, სქესობრივ მორჩილებაში ყოლა, პროსტიტუციის იძულება, იძულებითი ორსულობა, რაც განსაზღვრულია მე-7 მუხლის 2(ფ) პუნქტით, ძალადობით სტიერილიზაცია ან სქესობრივი ძალადობის სხვა სახე, რომელიც ასევე ეწვევის ოთხი კონვენციისათვის საერთო მე-3 მუხლის მძიმე დარღვევა; თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების გაწვევა ან შეგროვება ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში ან დაჯგუფებებში სამსახურისთვის ან მათი გამოყენება სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად; ბრძანების გაცემა იმის შესახებ, რომ კონფლიქტთან დაკავშირებული მიზეზების გამო სამოქალაქო მოსახლეობა გადაყვანილ იქნეს სხვა ადგილას, თუ ამას არ მოითხოვს აღნიშნულ სამოქალაქო პირთა უსაფრთხოება ან აუცილებელი სამხედრო მიზეზები; მოწინააღმდეგე მხარის კომბატანტის დალატით მკვლელობა ან ჭრილობის მიყენება; იმის გამოცხადება, რომ დანდობა არ იქნება; კონფლიქტში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის განკარგულებაში მყოფი პირების ფიზიკური დამახინჯება ან მათზე ნებისმიერი სახის სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარება, რომლებიც გაუმართლებელია აღნიშნული პირის სამედიცინო, სტომატოლოგიური ან სტაციონარული მკურნალობის თვალსაზრისით, ამასთან, არ ხორციელდება ამ პირის ინტერესებიდან გამომდინარე და იწვევს ამ პირის ან პირთა სიკვდილს ან სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებს მათ ჯანმრთელობას; მოწინააღმდეგის საკუთრების განადგურება ან ხელში ჩაგდება, თუ ეს განადგურება ან ხელში ჩაგდება განპირობებული არ იყო იმპერატიული სამხედრო აუცილებლობით.

ომის კანონები და ჩვეულებები (Laws and customs of war)

– *საერთაშორისო სამართლის* ნორმები და პრინციპები, რომლებშიც განსაზღვრულია *მეომარი მხარეებისა და ნეიტრალური სახელმწიფოს* უფლებები და მოვალეობანი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტისა და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს. საამისოდ დადებულია სპეციალური *საერთაშორისო ხელშეკრულებები* და მოქმედებს *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის* ნორმები. ამ ნორმების მიზანია ომის წარმოების აკრძალული საშუალებებისა და მეთოდების თავიდან აცილება, ტყვედ ჩაყარდნილ მეომართა, დაჭრილთა, ავადმყოფთა, სამოქალაქო მოსახლეობის, სამედიცინო პერსონალის სამართლებრივი რეჟიმის დაცვა და მათთვის ომით მიყენებული ტანჯვის შემსუბუქება. 1949-ში განსაზღვრულია ომის დაწყების, წარმართვისა და შეწყვეტის წესები, დადგენილია პასუხისმგებლობა ამ კანონებისა და

ჩვეულებების დარღვევისათვის (იხ.: *ომის წარმოების აკრძალული მეთოდები, ომის წარმოების აკრძალული საშუალებები, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*).

ომის მსხვერპლნი (Victims of war) – ომის მსხვერპლად ითვლებიან: სამოქალაქო მშვიდობიანი მოსახლეობა, სამხედრო ტყვეები, დაჭრილები, ავადმყოფები, საზღვაო კატასტროფასა და შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილი პირები. მათი სამართლებრივი მდგომარეობა რეგულირდება „ომის მსხვერპლთა შესახებ“ *ჟენევის 1949 წლის კონვენციებით* (ოთხივე კონვენცია) და *1977 წლის დამატებითი ოქმებით*.

ომის წარმოების აკრძალული მეთოდები (Prohibited methods of warfare) – ომის მსხვერპლთა დაცვის *ჟენევის 1949 წლის კონვენციებითა და 1977 წლის დამატებითი ოქმებით ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ* დადგენილი წესები, რომლებიც კრძალავენ ომის წარმოების ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორებიცაა: მოწინააღმდეგე მხარის მებრძოლ პირთა მუხანათურად დახოცვა ან დაჭრა; წამება მოწინააღმდეგე მხარის შესახებ ცნობების მოპოვების მიზნით; ეროვნული და საერთაშორისო ემბლეების, სიგნალებისა და დროშების ბოროტად გამოყენება; პარლამენტარებისა და მათი თანმხლები პირების მკვლელობა; სანიტარიულ ობიექტებზე თავდასხმა; გენოციდი, აპარტიდი, მშვიდობიანი მოსახლეობის ტერორი, სამხედრო ტყვეთა და მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებულ ძალებში მებრძოლ სხვა პირთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ სამხედრო მოქმედებებში საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ; კულტურულ ფასეულობათა და ისტორიულ ძეგლთა განადგურება და სხვ.

ომის წარმოების აკრძალული საშუალებები (Prohibited means of warfare) – ის საშუალებები, რომელთა გამოყენება აკრძალულია ომის კანონებითა და ჩვეულებებით, ასევე დაუშვებლად არის მიჩნეული საერთაშორისო სამართლით და განიხილება როგორც ისეთი ომის დანაშაულობანი ან მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი, რომლებიც ექვემდებარებიან იურიდიულ პასუხისმგებლობას (იხ. *საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*). საერთაშორისო სამართალი კრძალავს ომის წარმოების ისეთ საშუალებათა გამოყენებას, რომლებიც ზედმეტად ტანჯავენ მტრის ცოცხალ ძალას, გაუმართლებელ ზიანს აყენებენ მის მშვიდო-

ბიან მოსახლეობასა და მატერიალურ საშუალებებს. XIX საუკუნიდან მოყოლებული, აკრძალულია ომის დროს ისეთი ტყვიების გამოყენება, რომლებიც ადამიანის სხეულთან შეხებისას ფეთქდებიან, წვავენ მის სხეულს ან ადამიანს ზედმეტ ტანჯვას აყენებენ.

1868 წელს და მომდევნო ხანებში მიღებულ იქნა მრავალი სამართლებრივი აქტი განსაზღვრულ საბრძოლო იარაღთა ან საბრძოლო მოქმედების წარმოების საშუალებათა აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ. ასეთ აქტთა რიცხვს განეკუთვნება: სანქტ-პეტერბურგის 1868 წლის დეკლარაცია „ფეთქებადი და ცეცხლგამჩენი ტყვიების გამოყენების აკრძალვის შესახებ“, რომლითაც აიკრძალა ადამიანის სხეულში ადვილად ბრუნვადი და კუმშვადი ტყვიები – ე.წ. „დუმ-დუმ“ ტყვიები; ჰააგის 1899 წლის დეკლარაციები „ადვილად ბრუნვადი და კუმშვადი ტყვიების გამოყენებლობის შესახებ“ და „საწამლავი და მოწამლული იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ“; ჰააგის 1907 წლის დეკლარაცია, „მხუთავი, მომწამვლელი ან სხვა მსგავსი აირების გამოყენების აკრძალვის შესახებ“ (იხ. ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები); ჟენევის 1925 წლის „ოქმი ომის დროს მხუთავი, მომწამვლელი ან სხვა მსგავსი აირებისა და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების აკრძალვის შესახებ“; საერთაშორისო აქტებით აკრძალულია აგრეთვე: მცურავი ნაღმების დაყენება, თუ მათ არა აქვთ თვითგაუვნებლობის უნარი იმ პერიოდიდან, რაც კონტროლს აღარ დაექვემდებარებიან; ლუზაზე დამაგრებული ნაღმის დაყენება, თუ იგი მოწყდომისთანავე უსაფრთხო არ ხდება, და ისეთი ტორპედოების გამოყენება, რომლებიც, თუ მიზანს ასცდა, ავტომატურად არ ხდება უსაფრთხო.

ჟენევის 1949 წლის კონვენციებსა და 1977 წლის მათსავე დამატებით ოქმებში მითითებულია, რომ „მეომარი მხარისათვის ზიანის მიყენების საშუალებათა არჩევანის უფლება არ არის შეუზღუდავი“. ჟენევის 1949 წლის კონვენციების 1977 წლის I დამატებითი ოქმის მიხედვით (51-ე მუხ., მე-4 პუნქ.), აკრძალულია სამხედრო იერიშის მიტანა იმ იარაღითა და საბრძოლო მასალით, რომლებიც საერთაშორისო სამართალში განურჩეველი მოქმედების მქონედ ითვლებიან და რომლებიც განურჩევლად ანადგურებენ სამხედრო თუ სამოქალაქო ობიექტებს, სამოქალაქო მოსახლეობას. იმავე პირველი დამატებითი ოქმით (55.2-ე მუხ.) აკრძალულია ისეთი იარაღისა და ჭურვების გამოყენება, რომლებიც „თავიანთი ბუნებით ჭარბი ტანჯვის გამოწვევია“. 1980 წლის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ზღუდავენ მხარეთა მიერ თანამედროვე ტექნიკის ჭარბად გამოყენებას. ამავე კონვენციამ დასაშვებად მიიჩნია დამატებითი ოქმების შემუშავების, მათში ცვლილებათა და შესწორებათა შეტანის პროცესი, რითაც

შესაძლებელი გახდა ახალი აკრძალვებისა თუ შეზღუდვების დაწესება, ცხადია, დროის მოთხოვნების შესაბამისად. ამიტომ ეს მიმართულება შესაძლოა, დიდად სასარგებლო პროცესად იქცეს *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის* განვითარებაში.

1980 წლის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის დებულებათა თანახმად, მხარეებს ეკისრებათ, „ახალი სახეობების იარაღის, ომის წარმოების საშუალებებისა და მეთოდების შესწავლის, შემუშავების, შექმნის ან შეიარაღებაში შეტანის დროს განსაზღვრონ, ზომ არ ეწინააღმდეგება მათი გამოყენება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ხოლო თუ ეწინააღმდეგება, უზრუნველყონ, რომ ასე არ იყოს“. 1980 წელს ვენაში გამართული კონფერენციის პირველსავე სესიაზე მიღებულ იქნა 1980 წლის კონვენციის ახალი, მეოთხე „ოქმი დამატებითი ლაზერული იარაღის შესახებ“. ამ ოქმით (1-ლი მუხ.) აკრძალა საბრძოლო მოქმედებათა დროს ისეთი ლაზერული იარაღის გამოყენება, რომელიც სპეციალურად არის გათვალისწინებული ოპტიკური მოწყობილობით დაუცველ ადამიანთა საშუალოდ დაბრძანებისათვის, ამასთან, აკრძალა ასეთი იარაღის გადაცემა სხვა სახელმწიფოსათვის თუ არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ნაღმების (მცურავი ნაღმების გარდა) გამოყენების შეზღუდვის საკითხი 1980 წლის კონვენციის II ოქმით ნაწილობრივ დარეგულირდა, ამ ოქმში შესწორებები შემდგომაც იქნა შეტანილი (მაგ.: ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვა, ბირთვული იარაღის აკრძალვა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება, უბირთვო ზონები, საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვა, მასობრივი მოსპობის იარაღის ახალი სახეების აკრძალვა, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირება, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება).

ოპტაცია (Optation) – *მოქალაქეობის* მიღებისა და შეწყვეტის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ტერიტორიის კუთვნილების შეცვლისას მოქალაქეობის არჩევას. ერთი სახელმწიფოს მფლობელობისაგან მეორე სახელმწიფოს მფლობელობაში გადასაცემ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები ირჩევენ ერთ-ერთი მათგანის მოქალაქეობას იმ პირობით, რომ ახალი მოქალაქეობის არჩევის შემთხვევაში ისინი უნდა დასახლდნენ იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეობასაც ირჩევენ. (1)-ის უფლება სათანადო პირს მიენიჭება

ტერიტორიის გადაცემის შესახებ დადებული ხელშეკრულებით ან შიდასახელმწიფოებრივი კანონით.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება (Treaties for avoiding double taxation) – საერთაშორისო ხელშეკრულება ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შორის, რომლითაც ხელშემაკრებელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე უცხო ფიზიკური და იურიდიული პირები (კომპანიები) თავისუფლდებიან მოვალეობისაგან, უხადონ შემოსავლიდან, მოგებიდან გადასახადი როგორც ადგილსამყოფელ სახელმწიფოს, ასევე თავის სახელმწიფოსაც ან სახელმწიფოს, სადაც ისინი რეგისტრირებული არიან (კომპანიის იურიდიული მისამართი). ამ ხელშეკრულებით მათ ეძლევათ უფლება, გადაუხადონ ეს თანხები მხოლოდ ერთ-ერთ სახელმწიფოს. საქართველოს აქვს დადებული ასეთი სახის ხელშეკრულებები ბულგარეთთან, იტალიასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, საფრანგეთთან, დსთ-ის ქვეყნებთან და სხვ.

ორმაგი მოქალაქეობა (Dual Nationality / Citizenship) – იხ. ბიპატრიზმი.

ოქმი (Protocol) – საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახელწოდება, რომელიც, იურიდიული თვალსაზრისით, არაფრით განსხვავდება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისაგან (იხ. *ფაქულტატიური ოქმი საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*).

- 3 -

პარტიზანები (Partisans) – პირები, რომლებიც ერთიანდებიან აგრესორი სახელმწიფოს ან ქვეყნის შიგნით მეამბოხეთა წინააღმდეგ აგრესორების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე, თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის, მთლიანობისა და თავისუფლებისათვის. პ-ზე ვრცელდება *კომბატანტების* რეჟიმი, თუკი ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს: ღიად ატარებენ სამხედრო იარაღს უშუალოდ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას, ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც პასუხს აგებს თავისი რაზმის წევრებზე, მოქმედებენ *ომის კანონებისა და ჩვეულებების* შესაბამისად, აქვთ განსაზღვრული და შორიდან ამკარად გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი. პ-ის ეს უფლება განმტკიცდა *საერთაშორისო სამართალში* მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რაც მოასწავებს პარტიზანული მოძრაობის დამსახურების აღიარებას აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

პატიმრობა (Imprisonment) – სასამართლო განაჩენით დანაშაუდვად ცნობილი პირისათვის თავისუფლების აღკვეთა (საზოგადოებისაგან იზოლაცია) სახელმწიფოს მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. პატიმართა უფლებებზე საუბარია შემდეგ დოკუმენტებში: *1984 წლის წამებისა და სხვა აქტების, არაადამიანური ან დამამკირებელი მოპყრობისა და დასჯის კონვენციები; 1957 წლის მინიმალური სტანდარტები პატიმართა შესახებ; 1988 წლის ძირითადი პრინციპები ნებისმიერი ფორმის პატიმართა ან დაკავებულთა უფლებების შესახებ.*

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებულია პ-ის რამდენიმე სახე: **ტუსაღობა** – გულისხმობს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლაციას. მიესჯება ერთიდან ექვს თვემდე ვადით (48-ე მუხლი); სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება – მიესჯება სამხედრო მოსამსახურეს, თუ მას განაჩენის გამოტანის დროისათვის არ მოუხდია კანონით გათვალისწინებული გაწვევის ვადა. ინიშნება სამი თვიდან ორ წლამდე ვადით (49-ე მუხლი); ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – გულისხმობს მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან იზოლაციას და კანონით განსაზღვრულ სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებას, რომელიც მიესჯება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით (50-ე მუხლი); უვადო თავისუფლების – მიესჯება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის (51-ე მუხ-

ლი). საპატიმრო დაწესებულებებში ქცევის წესებს არეგულირებს 1999 წლის საქართველოს კანონი პატიმრობის შესახებ.

პაქტი (Pact) – სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხზე (მაგ., საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1945 წლის პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ), ან მაღალი მორალურ-პოლიტიკური ჟღერადობის მქონე ხელშეკრულება *საერთაშორისო სამართლის* რომელიმე სფეროში უფლება-მოვალეობათა დაფიქსირებით (მაგ., *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*).

პაციენტის უფლებები (Patients rights) – უფლებათა და თავისუფლებათა ერთობლიობა, რომელიც აქვს ნებისმიერ პირს და მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს, ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით. დაუშვებელია პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო. პაციენტთა უფლებები განსაზღვრულია საქართველოს 2000 წლის 5 მაისის კანონით „პაციენტთა უფლებების შესახებ“, რომლის მიზანია მოქალაქეთა უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა (1-ლი მუხ.). პაციენტის უფლებებს არეგულირებს აგრეთვე: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს 1997 წლის კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, საქართველოს 1995 წლის კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტები.

პაციენტის უფლებებზე საუბარია: 1996 წლის ევროპის საბჭოს კონვენციაში „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, 1997 წლის იუნესკოს უნივერსალურ დეკლარაციაში „ადამიანის გენომისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ“, 1949 წლის ჟენევის კონვენციებში ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ და 1977 წლის დამატებით ოქმებში, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის 1964 წლის პელსინკის დეკლარაციაში, ადამიანზე ჩატარებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის საერთაშორისო ეთიკურ სახელმძღვანელო პრინციპებში; გაეროს 1982 წლის სამედიცინო ეთიკის პრინციპებში, მსოფლიოს სამედიცინო ასოციაციის ტოკიოს 1975 წლის დეკლარაციაში – სახ-

ელმძღვანელო პრინციპები ექიმებისათვის დაკავებული პირებისა და პაციენტების წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის შემთხვევაში; მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰამბურგის 1997 წლის დეკლარაციაში ექიმებისათვის მხარდაჭერის შესახებ, როდესაც ისინი უარს ამბობენ წამებაში ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახავ სხვა ფორმებში მონაწილეობაზე ან მათ დაფარვაზე და სხვა.

პირსონა ნონ გრატა (Persona non grata) – ლათინური ტერმინი, რომელიც ნიშნავს არასასურველ პირს. ასე მოიხსენიება *დიპლომატიური წარმომადგენლობის* მეთაური, სხვა *დიპლომატიური აგენტი*, რომელმაც დიპლომატიურ საქმიანობასთან შეუთავსებელი ქმედება ჩაიდინა. ამ სახელმწიფოს მიერ დიპლომატის პნმ-ად გამოცხადება ნიშნავს, რომ მისი ყოფნა მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე არასასურველია. წარმგზავნმა სახელმწიფომ ასეთი პირი უკან უნდა გაიწვიოს რაც შეიძლება მოკლე დროში. თუ წარმგზავნი სახელმწიფო უარს აცხადებს ამ პირის უკან გაწვევაზე, ან არ აკეთებს ამას გონივრულ ვადაში, მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია აღარ ჩათვალოს ეს პირი დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლად.

პირადი უფლებები (Personal rights) – ბუნებრივი (ფუნდამენტური), განუსხვისებელი უფლებებისა და თავისუფლებების ერთობლიობა, რომელიც აქვს ყველა ადამიანს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქე. პირად უფლებებს კონსტიტუციურ სამართალში „სამოქალაქო უფლებებს“ უწოდებენ. ეს უფლებები და თავისუფლებები ქმნის პიროვნების სამართლებრივი სტატუსის საფუძველს. პირად უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება: სიცოცხლის უფლება; პიროვნების პირადი ხელშეუხებლობის უფლება; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლება; გადაადგილებისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება; უფლება – დატოვოს სახელმწიფო და თავისუფლად დაბრუნდეს სახელმწიფოში; აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება; ნებისმიერ სახელმწიფოში ადამიანის უფლებაუნარიანობის აღიარების უფლება და სხვა. პირადი უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და დაცულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით.

პირდაპირი დისკრიმინაცია (Direct discrimination) – ტერმინი აღმოცენდა ბოლო წლებში არსებული შიდასახელმწიფოებრივი პრაქტიკის ანალიზის შედეგად. კვ ნიშნავს განსხვავებულ მოპყრობას,

რომლის გამართლებაც შეუძლებელია რაიმე ობიექტური და დასაბუთებული მიზეზით. განსხვავებული მოპყრობა არ არის ობიექტური, თუ არ ემსახურება სამართლებრივ მიზანს, ან თუკი მიზნის მიღწევისათვის გამოყენებული საშუალებები არ შეესაბამება მისალწევ მიზნებს. პლ-ის შესახებ აისახება კონსტიტუციასა თუ სხვა კანონებში, კანონქვემდებარე აქტებში, სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებში არსებულ თავლნათლივ პრაქტიკაში. მაგ., კანონი ზლუდავს სხვა რასიხს. კანის ფერის, სქესის, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობიხ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებებს, მათ მონაწილეობას პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ა.შ. (იხ. *აპარტიიდი, რასიზმი*), აგრეთვე იზლუდება უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირების (იხ. *ეროვნული უცხოელები*) სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული უფლებები. თუმცა სახელმწიფოს შეუძლია, არ დაუშვას ამ კატეგორიის პირები გარკვეულ სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში სამუშაოდ (ჯარი, პოლიცია, პროკურატურა და სხვ.), მაგ., აშშ-ში, სხვა სახელმწიფოებში რესტორნებსა და საპარიკმახეროებში შესასვლელად ჩამოკიდებული აბრა – „მხოლოდ თეთრკანიანებისათვის“ ან „ებრაელები არ დაიშვებიან“.

პლურალიზმი (Pluralism) – საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ჯგუფებისადმი შემწყნარებლური (იხ. *შემწყნარებლობა, შეუწყნარებლობა*) დამოკიდებულება. პ მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიული სახელმწიფოს ცნებასა და არსთან, იგი ეფუძნება დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ლიბერალურ (იხ. *ლიბერალიზმი*) იდეებს, რომელთა მიხედვით, საზოგადოებაში უნდა ბატონობდეს, თუ არა შემწყნარებლობა, ხელის შეწყობა მაინც კონსტიტუციური სამართლისა და ინსტიტუტების ორგანიზმის და საქმიანობის დონეზე და ითვალისწინებდეს, რომ დღეს ნებისმიერ სახელმწიფოში არ არის პოლიტიკურ შეხედულებათა ერთიანობა, ხოლო ერი-სახელმწიფო არ არის მხოლოდ ერთი ერის უსაზღვრო ბატონობა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მოითხოვს ყველა სახელმწიფოსაგან ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და სხვა ჯგუფების კულტურული, სოციალური ენობრივი, ადათჩვეულებითი წესების აღიარებასა და დაცვას.

პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები (Political Rights and Freedoms) – ადამიანის უფლებათა (კონსტიტუციურ

უფლებათა და თავისუფლებათა) ერთ-ერთი ჯგუფი, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებთან ერთად. პოლიტიკურ უფლებათა ჯგუფს მიეკუთვნება: მოქალაქეთა უფლება – მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მართვაში; მოქალაქეთა საარჩევნო უფლება; გაერთიანების უფლება, ინფორმაციის უფლება, შეკრებისა და მანიფესტაციების მოწყობის უფლება; აზრის თავისუფლება; პეტიციის უფლება. მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.

პრესის თავისუფლება (Freedom of press) – დემოკრატიულ საზოგადოებაში პრესას განსაკუთრებული სტატუსი ენიჭება, ვინაიდან პრესის თავისუფლება საზოგადოებრივი აზრის გამოვლენისა, და ფორმირების საუკეთესო საშუალებაა, შესაბამისად, პოლიტიკური დებატები – დემოკრატიული საზოგადოების საფუძველი. პრესას აკისრია პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გავრცელების მისია. თუ პრესას ინფორმაციის გავრცელების ამოცანა აკისრია, საზოგადოებას, თავის მხრივ, აქვს უფლება, მიიღოს იგი. **პო** მნიშვნელოვან სტატუსს იძენს, თუ მისი მეშვეობით განსაკუთრებული ინტერესის მქონე საკითხები შექმდება.

პრესამ არ უნდა გადააჭარბოს იმ საზღვრებს, რომლებიც დადგენილია სხვასთან ერთად, სხვა პირთა რეპუტაციის დასაცავად. **პო**-ის კონტექსტში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც ვარაუდს ან ჭორს ვერდნობა. ჟურნალისტური ინფორმაციის წაყრო ასევე ექცევა ამ უფლების დაცვის ქვეშ. ბეჭდვის თავისუფლების ერთ-ერთი ფუძემდებლური პირობა ჟურნალისტური ინფორმაციის წაყროა, ვინაიდან დაუცველობის შემთხვევაში ინფორმაციის წყაროები მას ვერ შეუწყობენ ხელს საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებით ინფორმირებაში.

პო დაკავშირებულია როგორც *აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან*, ასევე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებასთან. თავის მხრივ, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება არ უშლის ხელს სახელმწიფოს, შემოიღოს რადიომაუწყებლობის, ტელევიზიისა და კინოწარმოების ლიცენზირება. სახელმწიფომ უნდა დაასაბუთოს სალიცენზიო მოთხოვნები და პრაქტიკა. ეროვნულ ხელისუფლებას ლიცენზირების მექანიზმის შემოღება მხოლოდ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლია, და ეს ზომები ხელს არ უნდა უშლიდეს გამოხატვის თავისუფლებას (გარდა შეზღუდვასთან დაკავშირებული მოთხოვნებისა).

აუდიოვიზუალურ საშუალებებზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება ეწინააღმდეგება აზრის გამოხატვის თავისუფლებას. ამგვარი მონოპოლიზაცია არ არის აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის და არ შეიძლება გამართლებული იყოს გადაუდებელი სოციალური მოთხოვნებით. საზოგადოებრივ მოთხოვნათა მრავალფეროვნება არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთი სამაუწყებლო კომპანიის ძალების მეშვეობით. დემოკრატიულ საზოგადოებაში უნდა არსებობდეს წყაროების მრავალფეროვნება, რათა *ქლურალიზმის* პრინციპები იქნეს დაცული. პრესის თავისუფლების შინაარსი მოიცავს ასევე მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალური მასობრივი საშუალებების მეშვეობით გაშვებულ კომერციულ რეკლამასაც. თუმცა ამ სფეროში სახელმწიფოს, შეზღუდვების შემოსაღებად, ბევრად უფრო მეტი უფლებები აქვს. ეროვნული სასამართლო საქმიანობის განხორციელებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ის მორალური ფასეულობები, რომლებიც დემოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის საწინდარია. ბავშვებისათვის განკუთვნილი რეკლამა არ უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც მათ ზიანს მიაყენებს. ასეთმა რეკლამამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვების ფიზიკური, ფსიქიკური თუ სულიერი განვითარების დონე. სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეული შეზღუდვები დააწესოს პრესის თავისუფლებაზე, იმ პირობით, რომ ეს შეზღუდვები ემსახურება კანონიერ მიზანს, აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, უწყსრიგობისა და დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა და ზნეობის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლო ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის (*იხ. ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ, მე-10 მუხ.*).

პრეცედენტული სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (Case law of the European Court of Human Rights) – *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომლებიც განმარტავენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.*

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ სასამართლო დავაში მონაწილე სახელმწიფოებისათვის. მიუხედავად ამისა, სახელმწი-

ფოები, რომლებიც არ არიან კონკრეტული პროცესის მხარეები, ევროპული სასამართლოს პს-ს იყენებენ პრაგმატული მოსაზრებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, ასევე ეროვნული სასამართლოები, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, როგორც კონვენციის საზედამხედველო ორგანო, ახდენს ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, ამასთან ეროვნული სასამართლოების, მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს. ევროპული სასამართლოს განმარტებით, რაც აისახება პს-ში, ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას. ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციაზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში.

ევროპული სასამართლოები აცნობიერებენ, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკის, მისი პს-ის გაანალიზების გარეშე ძალზე რთულია კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის სწორად დადგენა და, შესაბამისად, კონვენციის დებულებათა სწორად გამოყენება. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმულირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. ევროპული სასამართლოს პრეცედენტებში, კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ზუსტდება კონვენციის (და მისი ოქმების) დებულებათა შინაარსი და ფარგლები. კონვენციის დებულებათა განმარტება, ევროპული სასამართლოს პს-ის გათვალისწინებით, ნათელს ჰფენს კონვენციით განმტკიცებულ ვალდებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, რაც ხშირად პირდაპირ არ ჩანს კონვენციის ტექსტის გაცნობის შედეგად.

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპული სასამართლოს პს აზუსტებს კონვენციის ცალკეულ დებულებათა შინაარსსა და ფარგლებს, ისევე როგორც გამოყენების სფეროს, ევროპულ სახელმწიფოთა ეროვ-

ნული სასამართლოები არ განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ევროპული სასამართლოს პს-ის გარეშე. ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები არ განისაზღვრება მხოლოდ კონვენციის ტექსტით. ისინი დადგენილია როგორც კონვენციის ტექსტით, ისე მის საფუძველზე მიღებული პს-ით. სხვა სიტყვებით, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტებში მოიაზრება არა მხოლოდ თავად კონვენციის ტექსტით გათვალისწინებული სტანდარტები, არამედ ასევე ევროპული სასამართლოს პრეცედენტებით ჩამოყალიბებული სტანდარტები.

საქართველოს როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო სასამართლოები მზარდი ინტენსივობით იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პს-ს.

- 5 -

შენიშნის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ (1949 Geneva Conventions and 1977 Additional Protocols on Protection of Victims of War) – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წყაროები ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ. მათი მიზანია შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვა. საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ჟენევის 1949 წლის ამ ოთხ კონვენციას და 1977 წლის ორ დამატებით ოქმს „ჟენევის სამართლის“ ქვაკუთხედად მიიჩნევენ.

ჟენევის 1949 წლის I კონვენცია („მოქმედ არმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“) ეხება აღნიშნულ პირთა მოვლას, დაცვას და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას; მასში ჩამოყალიბებულია სპეციალური წესები სანიტარიულ-სატრანსპორტო საშუალებათა შესახებ. დაჭრილთა გადასაცემად გამოყენებული სამედიცინო, სამოქალაქო და სამხედრო სატრანსპორტო საშუალებები, ამ წესების მიხედვით, სრული დაცვით უნდა სარგებლობდნენ; სრული სახით ვრცელდება ეს წესები აგრეთვე სამედიცინო პერსონალზე, სასულიერო პირებზე, ჟურნალისტებზე, სამედიცინო პერსონალის ტრანსპორტირებასა და სამედიცინო ტვირთის გადატანაზე.

II კონვენცია („საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შეძველებილი დაჭრილებისა და ავადმყოფების და ზომალდების კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“) აწესებს, რომ ჰოსპიტალური ზომალდები, რომლებიც ზღვაზე სახმელეთო ჰოსპიტლების ფუნქციას ასრულებენ, ისეთივე დაცვით უნდა სარგებლობდნენ, როგორც სხვა სამედიცინო სატრანსპორტო საშუალებებს აქვთ, რომ ისინი უნდა ატარებდნენ დამცავ ემბლემას (წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარი) და მონაცემები ამ ზომალდების შესახებ უნდა მიეწოდებოდეს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს.

III კონვენცია („სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ“) განსაზღვრავს ომის დროს ტყვედ ჩავარდნილ პირთა უფლებებს. კონვენცია მოითხოვს, რომ სამხედრო ტყვეებს ყოველთვის ჰუმანურად ეპყრობოდნენ, ტყვეობის დროს შენარჩუნებული ჰქონდეთ სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსი, რაც გულისხმობს შემდეგს: მათ უფლება აქვთ, ატარონ სამხედრო ფორმა; ექვემდებარებიან ტყვედ ჩავარდნილ

ზემდგომი ჩინის მქონე ოფიცრებს; საომარ მოქმედებათა დასრულებისას უნდა მოხდეს მათი რეკატრიაცია; ტყვეობაში ყოფნისას შესრულებული სამუშაოებისათვის უნდა მიეცეთ განსაზღვრული თანხა (გასამრავლო); უნდა ეწეოდეთ შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, ჰქონდეთ თავიანთი კულტურული და სულიერი ცხოვრების წარმართვის საშუალება, ნათესავებთან და ახლობლებთან მიმოწერის უფლება.

III კონვენციაში ჩამოთვლილია იმ პირთა კატეგორიები, რომლებიც სამხედრო ტყვეთა სტატუსით სარგებლობენ, ესენია: 1) წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებსაც ჰყავთ მათ მოქმედებაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და აქვთ გარკვეულ მანძილზე ადვილად გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი, ან აქვთ საკუთარი სამხედრო ფორმა; აშკარად ატარებენ იარაღს; იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს; 2) შეიარაღებულ ძალებთან მყოფი ის პირნი, რომლებიც მათ შემადგენლობაში არ შედიან (მაგ.: ხომალდებისა და თვითმფრინავების ეკიპაჟის წევრი სამოქალაქო პირები, სამხედრო კორესპონდენტები); 3) ადგილობრივი მოსახლეობა, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელში იარაღი მოწინააღმდეგის მოახლოებული ძალებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად; 4) სამედიცინო პერსონალი, როგორც განსაკუთრებული სტატუსის მქონე სამხედრო ტყვეები, ემორჩილება დამტყვევებელი სახელმწიფოს წესებსა და კანონებს. კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო ან დისციპლინური ზომები. სამხედრო ტყვეთა წამება ან მათდამი სხვა სახის სასტიკი მოპყრობა *საერთაშორისო დანაშაულად* ითვლება.

IV კონვენცია შეეხება სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის საკითხებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს. 1977 წლის პირველ დამატებით ოქმში ამ საკითხის განსაზღვრამ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო. სამოქალაქო პირად ითვლება ყველა ის, ვინც შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ შედის და საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს. აკრძალულია სამოქალაქო პირთა კოლექტიური დასჯა, მოსახლეობის ტერორი, დაშინება, მარცვა, მძევლად შეპყრობა, *რეპრესალიების* გამოყენება. დასაშვებად არის მიჩნეული სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების ზონების შექმნა. კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს *უცხოელების*, ქალებისა და ბავშვების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს. აკრძალულია სამოქალაქო დანიშნულების ობიექტებისათვის ზიანის მიყენება, აგრეთვე იმ ობიექტებისათვის, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი მწყობრიდან გამოყვანა საფრთხეს შეუქმნის სამოქალაქო მოსახლეობას (მაგ.: ელექტროსადგურის აფეთქება, წყალსაცავის დაზიანება და სხვ.). ჟენევის კონვენციებით დადგენილი წესები სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ შე-

იარაღებული კონფლიქტების ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ამ კონფლიქტის ესა თუ ის მხარე არ აღიარებს საომარი მდგომარეობის არსებობას. აღნიშნული კონვენციების მუხლები გამოიყენება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის *ოკუპაციისას*.

1977 წელს მიღებულმა ორმა დამატებითმა ოქმმა, მათ შორის, მეტადრე „ოქმმა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ (მეორე დამატებითი ოქმი), უნევის კონვენციების მოქმედების სფერო გააფართოვა და მათი დებულებები გაავრცელა იმ არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებზეც, რომლებსაც ხალხები კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, თავისი ეროვნული თვითგამორკვევისათვის აწარმოებენ (1-ლი მუხ., მე-4 პუნქ.). მეორე დამატებითი ოქმი მოქმედებს აგრეთვე სახელმწიფოში არსებულ შიდა არეულობათა შემთხვევებში.

„ჟენევის“ სამართალი (Law of Geneva) – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ერთ-ერთი წყარო. იგი მოიცავს სამართლის ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ დაჭრილ და ავადმყოფ კომბატანტთა, სამოქალაქო პირთა და მფარველობაში მყოფ პირთა დაცვას, რომელ სახელმწიფოსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. *ჟს-ში* გაერთიანებულია 1864 წლიდან მიღებული ყველა კონვენცია, რომლებიც ითვალისწინებენ *ომის მსხვერპლთა* დაცვის მექანიზმს (იხ. *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი*).

- რ -

რასა (Race) – დღემდე შემორჩენილი მცდელობა კაცობრიობის დაყოფისა ჯგუფებად, რომლებიც განსხვავდებიან შთამომავლობით გადმოცემული ობიექტურად შესამჩნევი ნიშნებით (სახის და მისი ნაკეთების კონფიგურაცია – შავკანიანი მოსახლეობა, ინდიელები, ჩინელები, იაპონელები, მალაზიელები და ა.შ.), კანის ფერით (შავკანიანები, ყვითელკანიანები, წითელკანიანები, თეთრკანიანები და ა.შ.).

საუკუნეების მანძილზე ეს ნიშნები საფუძვლად ედო *რასიზმს*, რომელიც მოწოდებული იყო, გაემართლებინა დასავლეთ ევროპის კოლონიზატორთა უმოწყალო ექსპლუატაცია კოლონიებში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობისა, რ იქცა ნაციისტური გერმანიის იდეოლოგიის ქვაკუთხედად ებრაელების, სლავების, და სხვა „არაარიულ ხალხთა“ მიმართ, რომლებიც მილიონობით იყვნენ ფიზიკურად განადგურებული (იხ. *ნაციზმი, აპარტეიდი, ანტისემიტიზმი*). მიუხედავად ამისა, დღეისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი ყველა დოკუმენტი კრძალავს ნებისმიერ დისკრიმინაციას და პირველ რიგში ტრადიციულად ასახელებს „რასას“, თუმცა მის შინაარსში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს:

1. „რასა“ მოიცავს არა მხოლოდ ზემოდასახელებული ნიშნების მქონე ადამიანებს, მათ ჯგუფს, არამედ სხვა ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებს.

2. ამიტომ ტერმინი „რასობრივი დისკრიმინაცია“ განისაზღვრება ისეთ ფაქტორებზე დაფუძნებულ განსხვავებულ მოპყრობად, როგორებიცაა: რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, *მოქალაქეობა, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობა*“ (იხ. *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისიის №7 რეკომენდაცია* (ეროვნული შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა რასიზმსა და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის თაობაზე).

ზმირად დოკუმენტი, რომელიც იყენებს ტერმინს – „რასა“, იქვე მიუთითებს, რომ არ ცნობს ადამიანთა რასებად დაყოფას, მაგრამ ჯერჯერობით, კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე ადამიანთა ცნობიერებაში არსებული შტამპის გამო, იძულებულია იხმაროს ეს ტერმინი.

რასიზმი (Racism) – რწმენა ადამიანის ან ადამინთა ჯგუფისა, რომ *რასა*, კანის ფერი, ენა, რელიგია, *ეროვნული თუ ეთნიკური წარ-*

მომავლობა შეიძლება იყოს უპატივეცემულობის, ზიზღისა და დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებული ჯგუფის მიმართ და ამართლებს თავისი ჯგუფის (ადამიანის) პრეტენზიას უპირატესობაზე (ბიოლოგიურ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ) სხვა დანარჩენ ადამიანებთან ან მათ ჯგუფებთან შედარებით (იხ.: ნაიციზმი, აპარტეიდი, რასობრივი დისკრიმინაცია, სიძულვილის დამთესავი ვანცხადება, სიძულვილით გამოწვეული დანაშაული, ქსენოფობია, ანტისემიტიზმი, შეუწყნარებლობა, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია (European Commission against Racism and Intolerance – ECRI) – (შემდგომში – კომისია) ევროპის საბჭოს ორგანო. დაფუძნდა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმაღლეს დონეზე 1993 წელს ვენაში ჩატარებული პირველი შეხვედრის შედეგად. 2000 წელს ჩატარებულმა რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კონფერენციამ მოუწოდა კომისიას საქმიანობათა სფეროს გაძლიერება. 2003 წლის 13 ივნისს მინისტრთა კომიტეტმა (იხ. *ევროპის საბჭო*) მიიღო კომისიის ახალი სტატუტი, რომლითაც იგი *რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის* დამოუკიდებელ ორგანოდ გამოცხადდა.

კომისიის მიზანია *ადამიანის უფლებათა დაცვის* კუთხით ევროპის მასშტაბით ბრძოლა რასიზმის, *ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის* წინააღმდეგ.

კომისია იყენებს ყველა საჭირო საშუალებას, რომლითაც ებრძვის *რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეთნიკური და ეროვნული ნიშნების* (იხ. *ეროვნული წარმომავლობა, ეთნიკური წარმომავლობა*) მიხედვით დისკრიმინაციასა და ცრურწმენას.

მის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ექსპერტები შედიან, რომლებიც პირადად მუშაობენ (მართალია, კომისიის შემადგენლობას ექსპერტი წარედგინება სახელმწიფოს მიერ, მაგრამ არჩევის შემდეგ იგი არ უნდა ასრულებდეს სახელმწიფოს დავალებებს და იცავდეს სახელმწიფოს ინტერესებს კომისიაში).

კომისიის მუშაობა სამი მიმართულებით მიმდინარეობს:

1. წევრ სახელმწიფოში სიტუაციის შესწავლა დაგეგმილი ცხრილის მიხედვით – ხუთწლედში ერთხელ;
2. ზოგადი ხასიათის პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავება;
3. სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა;

კომისიის სამუშაო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა „მიღგომა ქვეყნების მიხედვით“, რომლის მეშვეობით იგი დეტალურად აანალიზებს სიტუაციას ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში არსებული რასიზმის და შეუწყნარებლობის პრობლემათიკასთან დაკავშირებით. ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, კომისია აგზავნის სახელმწიფოში ჯგუფებს ადგილზე ვითარების შესასწავლად. ჯგუფი ზედება სახელმწიფოს ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებს, აგრეთვე ფიზიკურ პირებს, რომელთაც შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ. კომისია ამზადებს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოხსენებას, რომელიც შენიშვნებისათვის ეგზავნება სახელმწიფოს.

კომისიის მიერ შენიშვნების გაზიარების შემთხვევაში ისინი მოხსენებაში აისახება, ან დანართის სახით მიეკვრება მოხსენებას. კომისიის მოხსენება მოიცავს როგორც სახელმწიფოში არსებული ვითარების ანალიზს, ასევე რეკომენდაციებს, თუ რა ზომები უნდა მიიღოს სახელმწიფომ პრობლემების მოსაგვარებლად. საბოლოო მოხსენება ეგზავნება სახელმწიფოს და *მინისტრთა კომიტეტს* (იხ. *ევროპის საბჭო*). თუ სახელმწიფო არ არის წინააღმდეგი, მოხსენება საჯაროდ ქვეყნდება.

სახელმწიფოში ვიზიტები ციკლურ ხასიათს ატარებს, პირველი რაუნდი დასრულდა 1998 წელს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც იმ დროისათვის ევროპის საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ; მეორე რაუნდი 2002 წლის დეკემბერში დასრულდა (სწორედ ამ პერიოდში მოეწყო საქართველოში პირველი საკონტაქტო ვიზიტი, რომლის საფუძველზე 2002 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა მოხსენება); 2003 წელს დაიწყო მესამე რაუნდი (საქართველოში ვიზიტი დაგეგმილია 2006 წელს). მესამე რაუნდის მოხსენებებში ყურადღება გამახვილდება იმაზე, თუ როგორ შეასრულა სახელმწიფომ წინა ვიზიტის შედეგად კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რა შედეგები გამოიწვია მათმა შესრულებამ და როგორია რასიზმის, ქსენოფობიისა და შეუწყნარებლობის პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით კომისიასა და სახელმწიფოს შორის არსებული თანამშრომლობის მიმდინარე მდგომარეობა.

კომისიის ძალზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციები, რომლებიც ყველა წევრი სახელმწიფოს აუცილებელ შიდასახელმწიფოებრივ საქმიანობას განსაზღვრავს. ამ რეკომენდაციების რაოდენობა დღესდღეობით ცხრას აღწევს: ბრძოლა რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (1996 წელი); ეროვნულ დონეზე არსებული რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო

სპეციალური ორგანოები (1997 წელი); ბრძოლა ბოშათა მიმართ არსებული რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (1998 წელი); ეროვნული გამოკვლევები პოტენციურ მსხვერპლთა მიერ დისკრიმინაციისა და რასიზმის გამოცილებისა და აღქმის შესახებ (1998 წელი); ბრძოლა მუსლიმანთა მიმართ არსებული შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ (2000 წელი); ინტერნეტით რასისტული, ქსენოფობიური და ანტისემიტური მასალების გავრცელებასთან ბრძოლა (2000 წელი); რასიზმთან დაკავშირებით მეშვიდე რეკომენდაციაში მოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი ცნებების განმარტებანი, როგორებიცაა: რასიზმი, პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია. (იხ. *რასიზმი, პირდაპირი დისკრიმინაცია, არაპირდაპირი დისკრიმინაცია*) და შეუწყნარებლობასთან ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობის შესახებ (2002 წელი).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მერვე და მეცხრე რეკომენდაციებს – კომისიამ დაემო ტერორიზმი, მაგრამ, ამავე დროს, მოითხოვა სახელმწიფოებისაგან, მიეღოთ ზომები, რათა II სექტემბრის ტერაქტი და შემდგომი მოვლენები არ გადაზრდილიყო რასიზმში, ანუ მუსლიმანების წინააღმდეგ გაუპართლებელ ბრძოლასა და დისკრიმინაციაში (2004 წლის 17 მარტი), ხოლო ამავე წლის 25 ივნისს კომისიამ აღნიშნა ანტისემიტისტური ზასიათის სხვადასხვა სახის ქმედებების რაოდენობის ზრდა ევროპაში და მოითხოვა სახელმწიფოებისაგან ყველა ზომის მიღება მოვლენის აღმოსაფხვრელად.

კომისიამ მოამზადა და ჩაატარა ევროპული კონფერენცია რასიზმის წინააღმდეგ (13.X.200) და დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო კონფერენციის მომზადება-ჩატარებაში, რომელიც მიეძღვნა ბრძოლას რასიზმთან, რასობრივ დისკრიმინაციასთან, ქსენოფობიასა და შეუწყნარებლობასთან (31.VIII-8.IX.2001).

რასობრივი დისკრიმინაცია (Racial Discrimination) – იხ.: *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ; რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობიის, ანტისემიტისმისა და მსგავს შეუწყნარებლობათა წინააღმდეგ ბრძოლა.*

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (Committee on Racial Discrimination) – *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ* (1969) მიზნად ისახავს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიერ რასობრივი დის-

კრიზისის, განსაკუთრებით რასობრივი სეგრეგაციისა და აპარტეიდის პრაქტიკის აკრძალვასა და აღმოფხვრას. შექმნილი კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ამ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას. კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან, რომლებიც აირჩევიან 4 წლის ვადით. კომიტეტი განიხილავს მოხსენებებს, რომლებსაც სახელმწიფოები წარუდგენენ კონვენციის დებულებათა შესრულების მიზნით. კომიტეტი მოქმედებს პროცედურის წესების მიხედვით (მე-10(1) მუხ.). კომიტეტი განიხილავს კონვენციის მონაწილე ამ თუ იმ სახელმწიფოს შეტყობინებას სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ (მე-11 მუხ.). კონვენციის თანახმად, შეიძლება შეიქმნას *ad hoc* (კონკრეტული საქმის განსახილველად) შემთანხმებული კომისია (მე-12 მუხ.); იგი განიხილავს კონვენციის მონაწილე ამა თუ იმ სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ ინდივიდთა ან მათი ჯგუფის შეტყობინებას შესაბამისი სახელმწიფოს მიერ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის შესახებ. პირმა ან პირთა ჯგუფმა, რომელიც ფიქრობს, რომ მისი უფლებები დაირღვა, კომიტეტისადმი მიმართვამდე უნდა ამოწუროს დარღვეულ უფლებათა აღდგენისათვის ქვეყნის შიგნით არსებული საშუალებები.

რბილი სამართალი (Soft law) – საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი ტერმინი, რომლითაც აღინიშნება სარეკომენდაციო ხასიათის ნორმები. რს-ის ნორმები განსაზღვრავს არა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს, არამედ თანამშრომლობის საერთო მიმართულებას და საჭიროებს მომავალში დაკონკრეტებას ან განსაკუთრებულ იმპლემენტაციას. რს-ის ნორმებს განეკუთვნება, როგორც წესი, *საერთაშორისო ორგანიზაციების* გადაწყვეტილებები, რომლებიც პოლიტიკური და მორალური ხასიათისაა, მათ საფუძველზე მომავალში შეიძლება შეიქმნას სავალდებულო ხასიათის ნორმები, რომლებითაც ხდება ახალი ქვეყნის წესების ჩამოყალიბება. მართალია, რს-ის ნორმები მიეკუთვნება *საერთაშორისო სამართლის* დამხმარე წყაროებს, მაგრამ სამართალგამოყენებითი პრაქტიკა ფართოდ იყენებს მათ.

სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტები სხვადასხვა დასახელებით გვხვდება. ეს შეიძლება იყოს: რეზოლუცია (როგორც ცნობილია, *გაეროს წესდების* მე-10 მუხლის მიხედვით *გაეროს გენერალური ასამბლეის* რეზოლუციებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმე შიდასაორგანიზაციო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხებს ეხება); დეკლარაცია, რომლითაც დგინდება ქვეყნის ახალი წესი (მაგ., *გაეროს გენერალური ასამბლეის* დეკლარაცია ახალი ეკო-

ნომიკური მართლწესრიგის დადგენის შესახებ); სპეციალური საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების სფეროში სახელმწიფოთა ქცევის კოდექსი (მაგ., UNCTAD-ის მიერ მიღებული მაღალი ტექნოლოგიების გადაცემის სფეროში სახელმწიფოთა ქცევის კოდექსი), სახელმწიფოთა თანამშრომლობის კონკრეტული სფეროს განვითარების პროგრამები.

რს-ის ნორმების შესრულებას დიდი ყურადღება ექცევა ეკონომიკური ხასიათის ორგანიზაციებში (მაგ., მსოფლიო სავალუტო ფონდი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია). ასეთი ტიპის ორგანიზაციებში რეკომენდაციის შეუსრულებლობის შემთხვევაში, როგორც წესი, გამოიყენება სანქცია წევრი სახელმწიფოს მიმართ არა რეკომენდაციის შეუსრულებლობის, არამედ წესების საფუძველზე აღებული ვალდებულებების დარღვევისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინაში რს-ის საკითხები ბოლომდე არ არის გადაჭრილი, თანამედროვე საერთაშორისოსამართლებრივ ურთიერთობებში ამ ტიპის ნორმები მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია (Regional international organization) – მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ცალკეული გეოგრაფიული რეგიონების სახელმწიფოებს მოიცავს (*ევროპის საბჭო, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია* და სხვ.). აუცილებელი არ არის, რომ რს(ო) მოიცავდეს მთელ კონტინენტს ან რეგიონს, ის შეიძლება არსებობდეს რამდენიმე კონტინენტზე (*ნატო, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა*), ან კონტინენტის ნაწილში მდებარე სახელმწიფოებში. *გაეროს წესდების* თანახმად, დასაშვებია „რეგიონალურ შეთანხმებათა ან ორგანოების შექმნა გარკვეულ გეოგრაფიულ რაიონში მშვიდობისა და უშიშროების დაცვის მიზნით“. ეს ორგანიზაციები გაეროს წესდების შესაბამისად უნდა მოქმედებდნენ. მათი წევრები უნდა ცდილობდნენ, რომ თავიანთი დავები რეგიონალური ორგანიზაციების მეშვეობით გადაწყვიტონ და მხოლოდ ყველა სხვა საშუალების ამოწურვის შემდეგ ესა თუ ის დავა უნდა გადაეცეს *გაეროს უშიშროების საბჭოს*, თუ მანამდე თვითონ საბჭომ არ ჩათვალა საჭიროდ კონფლიქტში ჩარევა (52-ე მუხ.).

რეგიონალურ ორგანიზაციას უფლება არა აქვს, გამოიყენოს შეიარაღებული ძალა, თუ ამას უშიშროების საბჭო არ მოითხოვს (53-ე მუხ.). მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის წევრები სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული აგრესიის ობიექტები გახდებიან, მათ უფლება აქვთ, ორგანიზაციის მთელი ძალები გამოიყენონ აგრესორის უკუსაგდებად, რის შესახებაც ატყობინებენ უშიშროების საბჭოს (51-ე,

53-ე, 54-ე მუხლები). ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს მიეკუთვნებიან ნატო, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკული კავშირი, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა, ევროპის კავშირი (იხ. ევროკავშირი), ევროპის საბჭო. შვეიციის, ხალხთა უშიშროებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციების გარდა, არსებობს ეკონომიკური ხასიათის საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაციებიც (მაგ., შვეი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და სხვ.).

რეზერვაცია (Reservation) – ტერიტორია, რომელიც სპეციალურად არის გამოყოფილი მკვიდრი ხალხებისათვის (ინდიელები აშშ-ში, აბორიგენები ავსტრალიაში) ან მოსახლეობის სხვა ფენებისათვის. ოფიციალური პროპაგანდა რ-ების არსებობას იმით ამართლებს, რომ აქ მაქსიმალურად არის შენარჩუნებული და დაცული მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრების წესი, ტრადიციული ყოფა და კულტურა, რაც გამორიცხავს ასიმილაციის საფრთხეს და საიმედო გარანტიას მათი თვითყოფადობის შენარჩუნებისათვის. ამ თვალსაზრისის ოპონენტები რ-ების არსებობას რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაციის გამოვლინებად მიიჩნევენ. ამ დისკრიმინაციული წესების გაუქმებისათვის ხშირია რ-ებში მომწვედელი ხალხების აჯანყება, რაც, ჩვეულებრივ, სისხლისმღვრელი შეტაკებებით მთავრდება (მაგ., ინდიელთა ტომის – „დაჭრილი მუხლის“ – აჯანყება აშშ-ში 1970-იან წლებში).

რეინტეგრაცია მოქალაქეობისა (Reintegration of citizenship) – მოქალაქეობის აღდგენის გაადვილებული წესი იმ პირთათვის, რომლებმაც რაიმე მიზეზით დაკარგეს თავისი სახელმწიფოს მოქალაქეობა. საქართველოს კანონით მოქალაქეობის შესახებ 25.III.1993 გათვალისწინებულია მოქალაქეობის დაკარგვის პირობები და შემოღებულია მისი აღდგენის გამარტივებული წესი.

რელიგიური უმცირესობა (Religious minority) – ერთი და იმავე რელიგიის მიმდევრების ერთობა, გაერთიანებული საერთო მრწამსით, რომელიც განსხვავდება მოსახლეობის უმრავლესობაში გაბატონებული სარწმუნოებისაგან. რწმ შეიძლება მოიცავდეს ქვეყნის ტერიტორიაზე გაბნეული პიროვნებების ან სოფლად თუ ქალაქად კომპაქტურად მცხოვრები მოსახლეობის მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვან ნაწილს, ანუ ეს არის ამა თუ იმ სარწმუნოების პიროვნებათა მრეკლი, რომელიც ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი რელიგია და მასთან დაკავშირებული რიტუალი სალოცავი დაწესებულებებისა და საფლავების მოწყობის ჩათვლით. ყველაზე კარგი მაგალითია ქართველ ებრაელთა

სტატუსი საქართველოში, კერძოდ თბილისში, რაც საუკუნეების მანძილზე საქართველოში არსებული ტოლერანტობის ერთ-ერთი მაჩვენებელია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობს, აღმოფხვრას ჰიტლერული გერმანიის მიერ განხორციელებული ქმედებები, ებრაელების, რუსებისა და სხვა სლავების მასობრივი განადგურების შედეგები, არ დაუშვას მსგავსი რეციდივები, (იხ. *რელიგიური შეუწყნარებლობა, რასიზმი*). საერთოდ არ დაუშვას ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობის დისკრიმინაცია როგორც ყოფით, ასევე სახელმწიფო დონეზე (იხ. *რელიგიური შეუწყნარებლობა, შეუწყნარებლობა, რასიზმი*).

რელიგიური შეუწყნარებლობა (Religious intolerance) – უარყოფითი დამოკიდებულება სახელმწიფოში მცხოვრები რელიგიური ჯგუფების მიმართ (იხ. *შეუწყნარებლობა, ანტიისემიტიზმი*). რწ შეიძლება ატარებდეს პასიურ ფორმას, ანუ არსებობდეს მხოლოდ ადამიანის ცნობიერებაში, მაგრამ არ ვლინდებოდეს მის საქმიანობაში, რაც არასასურველია, მაგრამ ვერ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან რაიმე რეგულირებას. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ებრძვის, პირველ რიგში, რწ-ის აქტიურ ნებისმიერ გამოვლინებას და ამ სფეროში ძირითად პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოებს. გაეროს წესდება მოუწოდებს სახელმწიფოებს, „წაახალისონ პატივისცემა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართ რასის, სქესის, ენის და რელიგიის განურჩევლად“ (პრეამბულა); ამავე პრინციპს ეფუძნება: 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სოციალური და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მე-2, 27-ე მუხ.), 1981 წლის დეკლარაცია რელიგიის ან რწმენის საფუძველზე შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ, 1992 წლის დეკლარაცია იმ პირობების შესახებ, რომლებიც ეროვნულ, ეთნიკურ, ენობრივ თუ რელიგიურ უმცირესობებს მიეკუთვნებოდათ, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (მე-14 მუხ.) ეუთო-ს 1975 წლის ჰელსინკის დასკვნითი აქტი (იხ., აგრეთვე რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია).

რწ შეიძლება არსებობდეს მოსახლეობის უმრავლესობაში, რაც ძირითადად ყოფით და კერძო ურთიერთობაში ვლინდება, ასევე სახელმწიფოს საქმიანობის დონეზე. ზემოაღნიშნული 1992 წლის დეკლარაცია რწ-სთან ბრძოლის ძირითად წესებს აყალიბებს:

- იმ პირებს, რომლებიც ეკუთვნიან რელიგიურ უმცირესობებს, უფლება აქვთ: „აღიარონ თავისი რელიგია და შეასრულონ რელიგიური რიტუალები...“ (2,1); „აქტიურად მიიღონ მონაწილეობა რელიგიურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში“ (2,2);

- ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თავისუფალი და მშვიდობიანი კონტაქტები ჰქონდეთ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან: პირებს, რომლებიც ეკუთვნიან სხვა უმცირესობებს, ასევე შეუძლიათ, დაამყარონ კონტაქტები სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან, რომლებთანაც ისინი დაკავშირებულნი არიან ეროვნული, ეკონომიკური, რელიგიური ან ენობრივი კავშირით (2,5).

ვერობის საბჭო, გაერო, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მკაცრად მოითხოვენ სახელმწიფოებისაგან, აქტიურად ებრძოლონ რწმ-ს ცხოვრების ყველა სფეროში არა მარტო კანონითა და დასჯით, არამედ იდეოლოგიურადაც, დარწმუნებით.

რეპარაცია (Reparation) – საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მატერიალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც სამართლის დამრღვევს მხოლოდ მატერიალური ზარალის ფულადი ან გარკვეული საქონლის ანაზღაურება მოეთხოვება. მაგ., მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ანტიჰიტლერულმა კოალიციამ გერმანიასა და მის მოკავშირეებს დააკისრა რ-ის გადახდა ომში მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით. რ-ის გადახდა ხდება ფულადი ან სხვა მატერიალური კომპენსაციის სახით. რ განსხვავდება კონტრიბუციისაგან, რომელიც 1919 წლამდე არსებობდა. ვერსალის 1919 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება კონტრიბუციის ნაცვლად რ-ს ითვალისწინებს როგორც მიყენებული ზარალის აღდგენის ფორმას და მას გერმანიასა და მის მოკავშირეებს აკისრებს პირველ მსოფლიო ომში (1914–1918) მიყენებული ზიანისათვის. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რ ვრცელდება აგრესიული ომის წამომწყებ სახელმწიფოსა და მის მოკავშირეებზე, რომლებიც მონაწილეობენ *აგრესიის* მსხვერპლის ტერიტორიის დაბომბვაში, ქვეყნის მატერიალური და ადამიანთა რესურსების განადგურებაში.

რეპატრიაცია (Repatriation) – იმ პირთა დაბრუნება სამშობლოში, რომლებიც სხვადასხვა იტულებითი გარემოების გამო (*ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები*) სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. რ ხშირად დაკავშირებულია *მოქალაქეობის* შეცვლასთან. *სამხედრო ტყვეების* რ-ის ვალდებულებას ითვალისწინებს

ვენევის 1949 წლის კონვენცია (იხ. *ვენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*), რომლის თანახმად, ომის მონაწილე მხარეთა მოვალეობაა, სამხედრო მოქმედების დროს სამშობლოში დაბრუნონ მძიმედ დაჭრილი ტყვეები და ავადმყოფები, ხოლო სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ტყვეები დაუყოვნებლივ გააცვალონ. ამასთან, გაცვლა შეიძლება არ შეეხოს მძიმე ავადმყოფს, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს.

რეპუბლიკური (Referendum) – საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა (გამოკითხვა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თვალსაზრისით რომელიმე დიდმნიშვნელოვან საკითხზე, მაგ.: *საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნის გაწევრიანება ან გამოსვლა, კონსტიტუციის მიღება, ტერიტორიული საკითხი (პლებისციტი), დამოუკიდებლობის მოპოვება თუ გამოცხადება და ა.შ. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., შვეიცარიაში) სახელმწიფო კანონთა მნიშვნელოვანი ნაწილი რ-ის საშუალებით მიიღება. საქართველოში 31.III.1991 ჩატარებულმა რ-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რაც იმავე წლის 9 აპრილს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტით გაფორმდა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს რ-ის ჩატარებას, რომელიც უშუალოდ დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმას მიეკუთვნება (მუ-5.3 მუხ.). საქართველოს კანონი რეფერენდუმის შესახებ (15.05.96) დეტალურად არეგულირებს რ-ის დანიშვნის და ჩატარების პროცედურას. 74-ე მუხ. ადგენს: 1. „საქართველოს პარლამენტის არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პარლამენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. 2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწყობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ანისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიკირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს“.*

რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი (International Tribunal for Rwanda) – დაფუძნდა *გაეროს წესდების VII* თავის შესაბამისად *გაეროს უშიშროების საბჭოს* მიერ 1993 წელს. ტრიბუნალი უფლებამოსილია, განახორციელოს სასამართლო დევნა როგორც იმ პირთა მიმართ, რომლებმაც *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის* სერიოზული დანაშაული ჩაიდინეს რუანდის ტერიტორიაზე, ასევე რუანდის მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც ამგვარი დანაშაული

მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე ჩაიდინეს 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე. წესდების შესაბამისად, ტრიბუნალი განხორციელებს დევნას შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის: 1) გენოციდი, 2) მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, 3) ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების საერთო მე-3 მუხლის დარღვევა. ტრიბუნალთან ერთად პარალელური იურისდიქცია ენიჭება ეროვნულ სასამართლოებს. არც ერთი პირი არ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ორივე სასამართლო ორგანოს მიერ. ტრიბუნალი შედგება შემდეგი ორგანოებისაგან: 1) კამერები (ორი სასამართლო და ერთი სააპელაციო კამერა); 2) ბრალმძებელი (პროკურორის ოფისი); 3) ომის სასამართლო კამერები შედგება 3 მოსამართლისაგან, სააპელაციო – 5 მოსამართლისაგან. მოსამართლეები ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელიც ყოველწლიურ მოხსენებას წარუდგენს გაეროს უშიშროების საბჭოსა და გაეროს გენერალურ ასამბლეას. სასჯელის ფორმაა: თავისუფლების აღკვეთა საპრობილემში მოთავსებით. ტრიბუნალის სამუშაო ენებია ინგლისური და ფრანგული. როსტ-ის ადგილმდებარეობაა ქ. არუშა (ტანზანია), პროკურატურისა – ქ. კიგალი (რუანდა).

- ს -

საარჩევნო უფლებები (Right to election) – დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველა დონის წარმომადგენლობითი ან არჩევითი თანამდებობის დაკომპლექტების წესი, რომელიც შეიცავს შემდეგ პრინციპებს:

საყოველთაო საარჩევნო უფლება – არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილ ასაკს მიღწეულ ყველა პირს, რომელიც აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს. საყოველთაო საარჩევნო პრინციპი ითვალისწინებს გარკვეული ცენზების ანუ მოსახლეობის გარკვეულ კლასიფიკაციას, რომელიც ზღუდავს საარჩევნო უფლების მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. მაგალითად, ასაკობრივი ცენზი, მოქალაქეობის ცენზი.

თანასწორი საარჩევნო უფლება – გულისხმობს ყველა ამომრჩევლისათვის კანონის ფარგლებში თანასწორი უფლებებისა და საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის თანასწორი პირობების შექმნას. ეს პრინციპი უზრუნველყოფილია იმით, რომ თითოეული ამომრჩეველი ფლობს იმდენსავე ხმას, რამდენსაც სხვა ნებისმიერი ამომრჩეველი;

პირდაპირი საარჩევნო უფლება – ამომრჩევლის უფლება, უშუალოდ აირჩიოს ან არჩეულ იქნეს წარმომადგენლობით ორგანოში ან არჩევით თანამდებობაზე საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ანუ თითოეული ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას;

ფარული კენჭისყრა – ამ პრინციპით უზრუნველყოფილია ყოველი ამომრჩევლის ნების გამოხატვის თავისუფლება ყოველგვარი კონტროლისა და ზემოქმედებისაგან.

საშუალოდ აღიარებულია ყველა ამომრჩევლის უფლება – უშუალოდ აირჩიოს ან არჩეულ იქნეს წარმომადგენლობით ორგანოში ან სახელმწიფოს არჩევით ორგანოში თანამდებობაზე.

ყოველი საერთაშორისო საარჩევნო პრინციპი ითვალისწინებს ყოველი ადამიანის უფლებას – თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა საკუთარი სახელმწიფოს მმართველობაში. აღნიშნული პრინციპები აღიარებულია საერთაშორისო დოკუმენტებში: *ვეროპის საბჭოს ვენეციის კომისიის* მიერ რეკომენდებული ნორმების კრებულში არჩევნების ჩატარების შესახებ (2002 წ). აღნიშნული საარჩევნო პრინციპები აღიარებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსშიც.

საგანგებო მდგომარეობა (Public emergency) – სახელმწიფოში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობა, როცა მისი ინტერესები საფრთხეშია. სახელმწიფო ოფიციალურად აცხადებს საგანგებო მდგომარეობის შესახებ ისეთი მოვლენების დროს, როგორებიცაა: სამხედრო ოკუპაცია, სოციალური არეულობა, აჯანყება და სხვა შიდა არეულობა, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოში არსებულ მართლწესრიგს. საგანგებო მდგომარეობა არის დროებითი ღონისძიება, რომელიც ცხადდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში.

„საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ (1997 წ.) საქართველოს კანონის შესაბამისად: „მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა თუ შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს სტიქიურ უბედურებათა, დიდი ავარიების, ეპიზოოტიების ან სხვა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას. საგანგებო მდგომარეობის მიზანია ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაცია, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა“ (1-ლი მუხ.).

სმ-ის სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს გარკვეული უფლებების მოქმედება. ასეთი შეზღუდვების დაწესება უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს.

საქართველოში გადაწყვეტილებას უფლებათა შეზღუდვის შესახებ იღებს პრეზიდენტი, კონსტიტუციის 46-ე მუხლის შესაბამისად, რომელსაც წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად არაუგვიანეს 48 საათისა. დაუშვებელია *ხელშეუხებელი უფლებების* შეზღუდვა.

სამართაშორისო ამნისტიია (Amnesty International) – არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა. შეიქმნა 1961 წელს. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს *ადამიანის უფლებათა* დაცვის ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: სიკვდილით დასჯის გაუქმება და *წამების* აღმოფხვრა. ორგანიზაციის შტაბ-ბინა ქ. ლონდონშია. ორგანიზაციას თავისი წარმომადგენლობები აქვს მრავალ ქვეყანაში.

სამართაშორისო დანაშაული (International crime) – სახელმწიფოს ან ინდივიდის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის შედეგად ირ-

ვევა საერთაშორისო მშვიდობა ან ხალხთა უშიშროება. ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალთა წესდებებსა და განაჩენებში (იხ. *ნიურნბერგის, ტოკიოს პროცესები*), რომლებიც მთავარ სამხედრო დამნაშავეებს შეეხება, ჩამოყალიბებულია *საერთაშორისო სისხლის სამართლის* ძირითადი პრინციპები აგრესორი სახელმწიფოების, მათ მეთაურთა და ქმედების უშუალო ჩამდენთა პასუხისმგებლობის დასადგენად. სს-ის საგანია, გამოიკვლიოს სახელმწიფოთა ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს მიერ *საერთაშორისო მართლწესრიგის* ფუძემდებლური პრინციპების დარღვევის შემთხვევაში. სს-თა რიცხვს განეკუთვნებიან: *მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი* (აგრესია, აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და წარმოება); *ომის დანაშაულობანი* (*ომის კანონებისა და ჩვეულებათა* დარღვევა – ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის განადგურება, წამება, სამხედრო ტყვეთა წამება და მკვლელობა, დამონება, მძევალთა მკვლელობა, სახელმწიფო ან კერძო საკუთრების გაძარცვა, სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებული პუნქტების განადგურება და სხვ.); *დანაშაულობანი ადამიანურობის წინააღმდეგ* (სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება, წამება და სხვ.). სს-ს მიეკუთვნება, აგრეთვე: *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის* ჩახშობის ცდა, *ინტერვენცია*, რასობრივი დისკრიმინაციის (იხ.: *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ*) უსასტიკესი ფორმები – *გენოციდი* და *აპარტიდი*, *მონობა* და *მონებით ვაჭრობა*; ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის (იხ. *ჰააგის ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი*) პრაქტიკამ ამ დანაშაულთა რიცხვს *ეთნიკური წმენდაც* მიაკუთვნა.

სს-თა თითქმის სრული კოდიფიცირება გვევლინება *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს* სტატუტში.

რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი საერთაშორისო დანაშაულებად მიიჩნევს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აკისრებს გენოციდისათვის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთათვის, რომლებიც განხორციელდა 01.01.1994 წლიდან 31.12.1994 წლამდე რუანდაში.

საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულების ჩამონათვალი მოცემულია მუდმივმოქმედ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში (რომის სტატუტი), რომელიც ამოქმედდა 2001 წელს. რომის სტატუტის თანახმად, საერთაშორისო სისხლის სამართ-

ლის იურიდიქციას დაქვემდებარებული დანაშაულებია: გენოციდი; ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; ომის დანაშაულები; აგრესიის დანაშაული (რომის სტატუტის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ბ“, „ც“, „დ“).

სამართაშორისო კერძო სამართალი (Private international law) – იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ხასიათის მქონე სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებს. ამ სამართლებრივ ურთიერთობათა საერთაშორისო ხასიათი შეიძლება გამოიხატებოდეს მათში უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების ან სახელმწიფოების მონაწილეობით, სამართლებრივ ურთიერთობათა კავშირით ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან (მაგ., ადგილობრივი მოქალაქისა და უცხოელის ქორწინების რეგისტრაცია) ან იმით, რომ სამართლებრივ ურთიერთობათა ობიექტი უცხოეთში მდებარეობს (მაგ., საქართველოს მოქალაქეთა პრეტენზია საფრანგეთში დატოვებულ ქონებაზე). ამრიგად, სპს-ის მოქმედების სფერო არის სამართლებრივი ურთიერთობა უცხოელი სუბიექტის ან უცხოეთში მყოფი ობიექტის მონაწილეობით; იგი არეგულირებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ არაქონებრივ ურთიერთობებს, საოჯახო, შრომისა და საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს. სპს-ის წყაროებია როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტები, ისე საერთაშორისო ხელშეკრულებები (იხ. *საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ*).

სამართაშორისო კერძო სამართლის სუბიექტები (Subjects of private international law) – სამართლის ეს დარგი *საერთაშორისო სამართლისაგან* (საერთაშორისო საჯარო სამართლისაგან) განსხვავდება არა მხოლოდ რეგულირების საგნითა და წყაროებით, არამედ სუბიექტებითაც. სპს-ის მთავარი სუბიექტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში მის სუბიექტად ზოგჯერ გამოდის სახელმწიფოც, მისი ორგანოები, რომლებიც დებენ ხელშეკრულებებს ინვესტორებთან ინვესტიციების შემოტანისა და რეალიზაციის შესახებ.

სამართაშორისო კერძო სამართლის წყაროები (Sources of private international law) – ეს ის წყაროებია, რომლებიც მოიცავენ *საერთაშორისო კერძო სამართლის* ისეთ ფორმებს, როგორებიცაა, ერთი მხრივ, *საერთაშორისო ხელშეკრულება* და საერთაშორისო

ჩვეულება (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*) და, მეორე მხრივ, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტები და სასამართლო ან საარბიტრაჟო პრაქტიკა. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც შეიცავენ საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ნორმებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია სავაჭრო ხელშეკრულებები, აგრეთვე ხელშეკრულებები და შეთანხმებები საქონელბრუნვის საკითხებზე, *სამართლებრივი დახმარების* შესახებ და ა.შ. საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ჩვეულებებს შორის ძირითადად იგულისხმება სავაჭრო ჩვეულებები. რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებს, როგორც საერთაშორისო კერძოსამართლის ერთ-ერთ წყაროს, ამ მხრივ საერთაშორისო პრაქტიკა შესამჩნევი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სპეციალური სამართლებრივი აქტი საერთაშორისო კერძოსამართლის შესახებ, საკმაოდ ბევრ სახელმწიფოში კი საერთაშორისო კერძოსამართლებრივ ნორმებს შეიცავს სხვადასხვა სამართლებრივი აქტი. საქართველოში მიღებულ იქნა სპეციალური კანონი საერთაშორისო კერძოსამართლის შესახებ (იხ. *საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძოსამართლის შესახებ*). სასამართლო ან საარბიტრაჟო პრაქტიკაში იგულისხმება სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ მიღებული ისეთი გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომლის გამოყენებაც სავალდებულოა ანალოგიური დავის გადასაწყვეტად. სასამართლო პრაქტიკის სავალდებულო სამართლებრივი ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ., დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და ა.შ.).

საერთაშორისო ორგანიზაციები (International organizations) – მუდმივმოქმედი *მთავრობათაშორისი საერთაშორისო* (სახელმწიფოთაშორისი) და *არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციები*, რომლებიც იქმნებიან პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად. ს(“)-ის როლი ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო იზრდება. მსოფლიოს ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში ურთიერთკავშირი თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გაერთიანებათა შექმნის ცდები შორეულ წარსულშიც ყოფილა (მაგ., ძველ საბერძნეთში არსებობდა რელიგიურ-პოლიტიკური გაერთიანება „ამფიქტიონია“ და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „სიმახია“), პირველი ნამდვილი, მასშტაბური ს(“ მხოლოდ XIX ს-ში აღმოცენდა. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბების

პროცესი ინტენსიურად დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რაც დაკავშირებულია გაეროს შექმნასთან და თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შემდგომ განვითარებასთან.

სამართაშორისო ორგანიზაციების სამართალი (Law of international organizations) – დარგი თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა, იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას, მათ სამართლებრივ სტატუსს, განსაზღვრავს უფლებამოსილებასა და საქმიანობის წესს. სწო აერთიანებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საერთო პრინციპებსა და ნორმებს, ასევე იმ ინდივიდუალურ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც ასახავს ცალკეული ორგანიზაციების ან ორგანიზაციათა ჯგუფის სპეციფიკას. განასხვავებენ საერთაშორისო ორგანიზაციების შიდა და საგარეო სამართალს. მათი საგარეო სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ორგანიზაციების ურთიერთობას სხვა სტრუქტურებთან – ამ ორგანიზაციების როგორც წევრ, ისე არაწევრ სახელმწიფოებთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ა.შ., ხოლო შიდა სამართალი იმ ნორმათა ერთობლიობაა, რომლებიც აწესრიგებენ ორგანიზაციის შიდასამართლებრივ ურთიერთობებს (საპროცედურო, საფინანსო და პერსონალისათვის განკუთვნილი წესები).

სწო-ის წყაროებს მიეკუთვნება: 1) საერთაშორისო ორგანიზაციების დამფუძნებელი აქტები; 2) საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა შეთანხმებები; 3) საერთაშორისო ჩვეულებები (იხ. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი); 4) საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებანი. სწო, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილი, უნდა შეესაბამებოდეს იმ საყოველთაოდ აღიებული პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც დაფიქსირებულია გაეროს წესდებაში. სწო-ის განსაკუთრებულ ნაწილს შეადგენს ის შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს, სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ამ ორგანიზაციების, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა მუდმივი წარმომადგენლობების პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს (1946 წლის კონვენცია გაეროს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, 1947 წლის კონვენცია სპეციალიზებულ დაწესებულებათა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, 1975 წლის კონვენცია უნივერ-

სალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა წარმომადგენლობის შესახებ და სხვ.).

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (International Covenant on Economic, Social and Cultural Rights) – მიიღო *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* 16.XII.1966 (ძალაშია 1976 წლიდან). პაქტი ითვალისწინებს ისეთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვას, როგორებიცაა: შრომის უფლება, შრომის სამართლიანი პირობების უფლება, პროფესიული კავშირების შექმნის ან მათში გაწევრიანების უფლება, სოციალური უსაფრთხოების უფლება, პირადი და ოჯახის ადეკვატური ცხოვრების პირობების უფლება, განათლების უფლება, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და სამეცნიერო პროგრესის შედეგებით სარგებლობის უფლება და სხვ. პაქტის შესრულებას ზედამხედველობას უწევს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი. საქართველო ამ პაქტს შეუერთდა 1994 წელს.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (International Covenant on Civil and Political Rights) – მიღებულია *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ 16.XII.1966 (ძალაშია 1976 წლიდან). პაქტი იურიდიულად სავალდებულოა სახელმწიფოებისათვის. მასში თავმოყრილია მრავალი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება და თავისუფლება. პაქტის თანახმად, შექმნილია *ადამიანის უფლებათა კომიტეტი*, რომელიც ზედამხედველობას უწევს სახელმწიფოებს პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვაში. პაქტს დართული აქვს ორი ფაკულტატიური ოქმი (*იხ. ოქმი*). პირველი ოქმის თანახმად, კომიტეტს ენიჭება უფლება, განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები სახელმწიფოს მიერ ცალკეულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ. მეორე ოქმი მიზნად ისახავს სიკვდილით დასჯის გაუქმებას. საქართველო ამ პაქტს შეუერთდა 1994 წელს.

საერთაშორისო საზოგადოება (International Society) – პირველად ეს ტერმინი გვხვდება ბურჟუაზიული *საერთაშორისო სამართლის* მეცნიერების მამამთავარის, XVII საუკუნის პოლანდიელი იურისტის ჰუგო გროციუსის შრომაში – „ომისა და მშვიდობის სამართალი“ (1625), სადაც მითითებულია, რომ „სახელმწიფოთა დიდი საზოგადოება“ ის ძირითადი საფუძველია, რომელზეც საერთაშორისო სამართლის, წეს-

რიგისა და თანამშრომლობის შენობა უნდა აიგოს. კამათი სს-ის რაობასა და, საერთოდ, მისი არსებობა-არარსებობის შესახებ დღემდე გრძელდება. ბევრს საეჭვოდ მიაჩნია ასეთი საზოგადოების საერთაშორისო მასშტაბით არსებობა, რომლის მკაფიო მაგალითებს საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკა არ იძლევა, ყოველ შემთხვევაში, საიმისოდ, რომ ამ ურთიერთობებს სს ვუწოდოთ, ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით. ამიტომ მკვლევართა უმრავლესობა ამჯობინებს გამოიყენოს უფრო ნეიტრალური ცნების გამომხატველი ტერმინი – „სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემა“, რომელშიც იგულისხმება საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვეული მოდელი სპეციფიკურ (საერთაშორისო) გარემოში, მაგრამ არ არის ურთიერთდამოკიდებულების ის დონე და ხარისხი, რაც აუცილებელია იმისათვის, რათა მას საზოგადოება ეწოდოს. მიუხედავად ამისა, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ სს-ის არსებობა უკვე ფაქტია და რომ მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობათა სს-დ გარდაქმნის პროცესი. სს-ის იდეის მხარდამჭერი განსაკუთრებით ბევრია საერთაშორისო ურთიერთობათა ინგლისური სკოლის წარმომადგენლებს შორის. მათი აზრით, თვით საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ძირითადი ობიექტი არის საზოგადოებრივი წესრიგის პირობების შესწავლა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ამ სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი კ. ბული წერს, რომ „სახელმწიფოთა საზოგადოება (საერთაშორისო საზოგადოება) არსებობს მაშინ, როდესაც იმ ქვეყნების ჯგუფი, რომლებსაც საერთო ინტერესები და ფასეულობათა სისტემა აქვთ, აცნობიერებენ საკუთარი ინტერესების გარკვეული შეზღუდვის საჭიროებას და, ამასთანავე, ერთმანეთთან ურთიერთობებში ერთობლივი მართვისა და საერო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობას. ინსტიტუტები, რომლებმაც საერთაშორისო საზოგადოებაში წესრიგი უნდა უზრუნველყონ, არის: *საერთაშორისო სამართალი*, დიპლომატია, *საერთაშორისო ორგანიზაციები* და ძალთა წონასწორობა. სს-სა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პირველი მათგანისათვის აუცილებელია საერთო ინტერესების, ღირებულებებისა და მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბების მზარდ ტენდენციასთან, რომლის რეალიზაციის პირველი ეტაპი *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაა*.

საერთაშორისო სამართალი (საერთაშორისო საჯარო სამართალი) (International Law) – სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ქცევის წესების ერთობლიობა, აღიარებულია სახელმწიფოთა და სს-ის სხვა სუბიექტთა მიერ (იხ. *სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა*) იურიდიულად სავალდებულო ნორმებად და გამოხატავს სუბიექტთა საერთო ინტერესებს, რომლებიც თავს იჩენენ *საერთაშორისო ხელშეკრულებებსა* თუ ჩვეულებებში (იხ. *წყაროები საერთაშორისო სამართლისა*) და რომელთა შესრულებას უზრუნველყოფენ სუბიექტები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. სს-ს ისტორიულად სახელმწიფოები ქმნიდნენ. XX ს-ის მეორე ნახევარში საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა მიენიჭა *მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებს*, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს; სახელმწიფოსმაგვარ წარმონაქმნებს (მაგ., ვატიკანი 1929 წლიდან), მაგრამ ამ სახის სუბიექტებს შეზღუდული ხელშეკრულებით (მაგ., *კაერო*) ან სახელმწიფოების გადაწყვეტილებით (თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები) სუბიექტუნარიანობა აქვთ. სს-ის სრულყოფილებიან სუბიექტად დღესაც მხოლოდ სუვერენული სახელმწიფო (იხ. *სუვერენიტეტი, სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოებისა*) გვევლინება. სწორედ სახელმწიფოები ქმნიან და იცავენ ჩამოყალიბებულ *საერთაშორისო მართლწესრიგს*. შიდასახელმწიფოებრივი სამართლისაგან სს მრავალი თავისებურებით განსხვავდება: ა) ფიზიკური პირი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ძირითად სუბიექტად გვევლინება, არ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში; ბ) სს არეგულირებს მხოლოდ მთავრობათაშორის ურთიერთობებს, ე.ი. ისეთ ურთიერთობებს, რომლებშიც სახელმწიფოები მონაწილეობენ როგორც უზენაესი სუვერენული ხელისუფლების მქონე ერთეულები, სახელმწიფოში მოქმედი სხვა ელემენტები – პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები – მოკლებულნი არიან საერთაშორისო სამართლებრივ სუბიექტუნარიანობას, რაც არ გამორიცხავს მათ აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო არამთავრობათაშორის ურთიერთობებში; გ) სს-ის ნორმებს სახელმწიფოები და სხვა სუბიექტები ურთიერთშეთანხმებით ქმნიან. არ არსებობს ცენტრალიზებული, სახელმწიფოებზე მაღლა მდგომი საკანონმდებლო ორგანო; დ) სახელმწიფოები თუ სხვა სუბიექტები იცავენ იმ ნორმებს, რომლებიც თვითონვე დააწესეს და რომელთაგან უმთავრესია შემდეგი: დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია, თავისი ძალებით ან სხვა სახელმწიფოებისა თუ საერ-

თაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დაიცვას შელახული უფლებები (იხ. *საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა*).

თანამედროვე სს-ს ჭეშმარიტად საყოველთაო ხასიათი აქვს, იგი დედამიწის ზურგზე არსებული ყველა კონტინენტის ყველა სუვერენულ სახელმწიფოს მოიცავს, მათი რაოდენობა კი 190-ს უახლოვდება. ეს შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტური და სოციალისტური კოლონიური სისტემების მსხვერველსა და საერთაშორისო მართლწესრიგის დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის შედეგად. სს-ის რეგულირების სფეროები დღითიდღე იზრდება, რაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მზარდი საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ-ახალ სფეროებზე გავრცელებით აიხსნება. მიმდინარეობს ამ სამართლებრივი სისტემის ნორმების მუდმივი კოდიფიკაცია და პროგრესული განვითარება, რაც გამოიხატება არსებული ნორმების შემდგომი დახვეწით, მათი ერთიან სახელშეკრულებო სისტემაში მოქცევით, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონის შესაფერისად თანამედროვე საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი სფეროების მარეგულირებელი ნორმების შექმნით. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს სს-ის დარგების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: დიპლომატიური სამართალი და საკონსულო სამართალი, საერთაშორისო საზღვაო სამართალი, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, საერთაშორისო კოსმოსური სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი; განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია ადამიანის უფლებათა დაცვაზე, რაც *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის* დარგებად ჩამოყალიბდა. საერთაშორისო საჯარო სამართალს განასხვავებენ *საერთაშორისო კერძო სამართლისაგან*, რომელიც ძირითადად შიდასახელმწიფოებრივი სამართლის იმ ნორმათა ერობლიობაა, რომლებიც უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სტატუსს არეგულირებენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში.

საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა (International Law Responsibility) – ამ სახის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, როდესაც სახელმწიფო ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტები (იხ. *სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა*) არღვევენ თავიანთ საერთაშორისოსამართლებრივ ვალდებულებებს, რის შედეგადაც დაზარალებულ სახელმწიფოს (სახელმწიფოებს) *საერთაშორისო სამართლის* ნორმებით უფლება ეძლევათ, აღადგინონ დარღვეული ვალდებულებანი ძალის გამოყენებით თუ გამოუყენებლად. სსპ

იყოფა ორ ჯგუფად: 1) მართლსაწინააღმდეგო აქტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობასა და უშიშროებას, ლახავენ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებს, საერთაშორისო სამართლის ძირითად საწყისებს და ყოველივე ამის გამო საერთაშორისო დანაშაულობებად ითვლებიან (დელიქტები); 2) მართლსაწინააღმდეგო აქტები, რომლებიც სახელმწიფოებს მეტ-ნაკლებად სერიოზულ ზიანს აყენებენ, მაგრამ ძირითადად არ არღვევენ მშვიდობისა და უშიშროების პრინციპებს (იხ. *საერთაშორისო დელიქტები*). საერთაშორისო დანაშაულობათა ობიექტურ მხარეს წარმოადგენენ: დანაშაულობები მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების წინააღმდეგ, სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა, ეროვნული და სახალხო დამოუკიდებლობა, ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები*, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო კონფლიქტებში. საერთაშორისო დელიქტების ობიექტებია ლოკალური ხასიათის საკითხები. დღეისათვის საერთაშორისო დანაშაულად ითვლება ისეთი ქმედება ან ქმედებისაგან თავის შეკავება, რომელთა შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა ან უსაფრთხოება. ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალთა წესდებებსა და განაჩენებში მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები აგრესორი სახელმწიფოებისა და მათი მეთაურების პასუხისმგებლობის შესახებ. მართალია, ამ დოკუმენტებში უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო მოღვაწეთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ მათი ქმედებანი არ შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფოს საქმიანობის გარეშე. ამ გარემოებამ მკაფიო გამოხატულება პოვა ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალთა წესდებებსა და განაჩენებში, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაულის ცნების ამსახველ დოკუმენტებში (იხ. *ნიურნბერგის პროცესი, ტოკიოს პროცესი*). *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* თავის ორ რეზოლუციაში (II.XII.1946 და 21.XI.1947) დაადასტურა ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებასა და განაჩენში ჩამოყალიბებული პრინციპები. ეს არის დანაშაული: ა) მშვიდობის წინააღმდეგ (აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, გაჩაღება და წარმართვა); ბ) ადამიანურობის წინააღმდეგ (სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება, დამონება, გადასახლება და სხვა სიმკაცრენი, დევნა პოლიტიკური, რასობრივი, რელიგიური მოტივებით); გ) სამხედრო დანაშაული (ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა – ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის განადგურება, წამება, დამონება, იგივე ქმედებანი სამხედრო ტყვეთა მიმართ, მძევლების მკვლელობა, სახელმწიფო და კერძო საკუთრების გაძარცვა, ქალაქებისა და

სოფლების განადგურება და სხვ.). ასეთ საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ცდა, ინტერვენცია, რასობრივი დისკრიმინაციის (იხ. *კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ*) ისეთი ფორმები, როგორებიცაა: *გენოციდი* და *აპარტეიდი*, მონობა. გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისია იძლევა ასეთ დანაშაულთა უფრო მოკლე ნუსხას (აგრესია, კოლონიური ბატონობა, მონობა, გენოციდი, აპარტეიდი, ატმოსფეროსა და ზღვების მასობრივი გაჭუჭყიანება). კომისიამ უარყო საერთაშორისო სამართალში გაბატონებული იდეა, რომელიც არ იცნობდა საერთაშორისო დანაშაულის ცნებას და ყველაფერს მიაკუთვნებდა საერთაშორისო დელიქტს, რომელიც წინათ, მეორე მსოფლიო ომამდე, თავისი შინაარსით ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან, რაც გამოიხატებოდა სამოქალაქო ომის ან ამბოხების დროს უცხო სახელმწიფოსა თუ მოქალაქეებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებითა და უცხოელთათვის ვალის გადახდით. საერთაშორისო დელიქტები მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, რომელიც თავისი შედეგებით ლოკალური მნიშვნელობის რიგითი აქტებია: თავშესაფრის მიცემა საელჩოში ადგილობრივი ბოროტმოქმედისათვის, საელჩოს დარბევა, უცხოელის მიერ სახელმწიფო დროშის დახვევა ან სხვა შეურაცხყოფა, სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელისათვის ზარალის მიყენება და ა.შ.

ამგვარად, სსპ-ის ინსტიტუტი მოიცავს სახელმწიფოს ქმედებათა ფართო წრეს და, პირველ, რიგში მიზნად ისახავს, უზრუნველყოს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი საწყისის – მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის ხელშეუხებლობა და განმტკიცება. ამით იგი ძირფესვიანად განსხვავდება სსპ-ის წინათ არსებული თეორიისაგან, რომელიც ომს დავათა გადაწყვეტის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევდა, ხოლო გამარჯვებულს დამარცხებულის მიმართ ფართო უფლებებს ანიჭებდა (მათ შორის, ანექსიის უფლებას) და სახელმწიფოების პასუხისმგებლობას ძირითადად სამოქალაქო სამართლის ასპექტით განიხილავდა, ე.ი. შემოიფარგლებოდა მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების პრინციპით. საერთაშორისო პასუხისმგებლობა გარკვეულ იურიდიულ შედეგებს წარმოშობს: დაზარალებულ სახელმწიფოს უფლება აქვს, საერთაშორისო სამართლის საშუალებებით აღიდგინოს შელახული უფლებანი. დავის ამ მხარეს (დაზარალებულს) ხშირად პასუხისმგებლობის პასიურ სუბიექტს უწოდებენ, მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩამდენს კი – აქტიურ სუბიექტს. საერთაშორისო პასუხისმგებლობის ძირითად სუბიექტებს სახელმწიფოები წარმოადგენენ. აქტიურ და პასიურ სუბიექტებად შეიძლება გვევლინებოდნენ ავ-

რთვე *საერთაშორისო ორგანიზაციები* და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერები (ხალხები), ე.ი. საერთაშორისო სამართლის ყველა სახის სუბიექტი.

პასუხისმგებლობის იურიდიული შედეგების დადგომისათვის საჭიროა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩამდენის ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის. ამასთან, ნორმის დარღვევა სუბიექტის პირდაპირი განზრახვით ან დაუდევრობით უნდა იყოს გამოწვეული. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის (იხ. *მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი*) პასუხისმგებლობის განსაზღვრისას. საერთაშორისო სამართლის ყოველი სუბიექტი საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედებს როგორც ერთიანი, მონოლითური ერთეული, რომელსაც აქვს კოლექტიური ნება. ყოველი სახელმწიფოს საქმიანობა არის მისი ნების გამოქვეყნება, რაც ხელისუფლების სათანადო ორგანოების მეშვეობით ხდება. იგივე ითქმის ერზე (ხალხზე). საერთაშორისო ორგანიზაციები სპეციფიკური სუბიექტები არიან, მაგრამ მათაც აქვთ კოლექტიური ნება, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობაში ვლინდება. სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა თავისი ორგანოს საქმიანობისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ურთიერთობათა ორგანოებს; მათი ქმედება, რომელიც არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს არღვევს, პასუხისმგებლობას აკისრებს მთელ სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. სახელმწიფოს უფლება არა აქვს, თავი გაიმართლოს იმით, რომ სახელმწიფო ორგანოს ესა თუ ის ქმედება მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით დასაშვებია, რადგან ამ სამართლის ნორმები არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს დელიქტის ჩამდენი სახელმწიფოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. ამიტომ გაერომ უარყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოტივი, რომ აპარტეიდი და რასობრივი სეგრეგაციის პოლიტიკა თითქოს მისი სამინაო საქმეა და რომ ის ორგანოები, რომლებიც ამ პოლიტიკას ახორციელებენ, მოქმედებენ კანონის ფარგლებში. სახელმწიფო ასევე პასუხისმგებელია ყველა იმ მართლსაწინააღმდეგო აქტზე, რომლებიც მის ტერიტორიაზე ადგილობრივმა ან უცხოელმა მოქალაქეებმა (იხ. *უცხოელები*) ჩაიდინეს; უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა გამოწვეულია იმ ორგანოების უმოქმედობით (დაუდევრობით), რომლებსაც ასეთი ქმედების საფრთხის თავიდან აცილება ან დაშინავე პირთა დასჯა ეკისრებათ. აღნიშნული მოტივით შეიძლებოდა გამართლებულიყო, მაგალითად, ადგილობრივი მოქალაქის ან უცხოელის მიერ ელჩის მკვლელობა. თუ სახელმწიფო დროზე დაგმობს ჩადენილ

აქტს და დასჯის დამნაშავეს, მისი ბრალი შემსუბუქდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო მხარს უჭერს მართლსაწინააღმდეგო აქტს, რომელიც ამა თუ იმ ორგანომ, თანამდებობის პირმა ან სხვა ვინმემ ჩაიდინა, იგი ამით ამძიმებს თავის პასუხისმგებლობას. ხოლო როდესაც ასეთი ქმედება თვით მთავრობის განკარგულებით ხორციელდება და საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ წამყვან გეზად იქცევა. მაშინ სსპ მთელი სიმძიმით ეკისრება სახელმწიფოს მმართველ წრებს.

საერთაშორისო სამართალში განასხვავებენ სსპ-ის ორ სახეს: პოლიტიკურს და მატერიალურს. შესაბამის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს (მხარეებს) უფლება აქვს, არა მარტო დაიკამაყოფილოს დარღვეული ინტერესები ზიანის მიმყენებლის ხარჯზე, არამედ გამოიყენოს სანქციებიც სამართალდამრღვევის მიმართ. პასუხისმგებლობის რეალიზაცია ეფუძნება სახელშეკრულებო და *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის* ნორმებს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრეცედენტები. სსპ-ის საკითხი შეიძლება დადგეს ბრალის გარეშეც, ანუ სახელმწიფოს მიერ მართლზომიერი საქმიანობის განხორციელების შედეგად. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხი ეფუძნება სპეციალურ ხელშეკრულებას, როგორცაა, მაგალითად, 1972 წლის კონვენცია კოსმოსური ობიექტების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ: აქ საქმე გვაქვს ე.წ. აბსოლუტურ პასუხისმგებლობასთან. პოლიტიკური პასუხისმგებლობის სახეებია: საერთაშორისო სანქციები, რომლებიც, თავის მხრივ, ორ სახედ იყოფა – სამხედრო (შეიარაღებული ძალის გამოყენებით) და არასამხედრო სანქციებად (რეპრესალები, რეტორსია და სატისფაქცია); მატერიალური პასუხისმგებლობის სახეებია რესტიტუცია და რეპარაცია (იხ. სანქციები და კონტრზომები) – პირველ შემთხვევაში დამნაშავეს ეკისრება ვალდებულება, აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა გატაცებული ნივთის დაბრუნებით ან დანგრეული შენობის აშენებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მას მხოლოდ მატერიალური ზარალის ფულადი ან გარკვეული სახის საქონლით ანაზღაურება მოეთხოვება.

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები (Generally recognized principles and norms of International Law) – *საერთაშორისო სამართლის* სუბიექტთა მიერ (იხ. *სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა*), ძირითადად, *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* ყველა ან თითქმის ყველა წევრის მიერ აღიარებული იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესები (იხ. *წყალობები საერთაშორისო სამართლისა, ნორმა საერ-*

თაშორისო სამართლებრივი, ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლის), რომლებიც სავალდებულოა ყველა საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის (იხ. *საყოველთაო საერთაშორისო სამართალი*), მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა ის ნორმის შექმნაში თუ არა (იხ. *იმპერატიული ნორმები*). სსსპან-ს მიეკუთვნება როგორც ზოგად საერთაშორისო ხელშეკრულებებში არსებული ნორმები, ასევე საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს სსსპან-ს, აგრეთვე კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი საერთაშორისო ხელშეკრულებების უფრო მაღალ იურიდიულ ძალას საქართველოს ნორმატიულ აქტებთან მიმართებით (მე-6 მუხ.), ხოლო ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს უშუალოდ მოქმედი სამართლის ძალას ანიჭებს (მე-7 მუხ.).

საერთაშორისო სახელმწიფოებშო სამართალი (Law of international treaties) – საერთაშორისო სამართლის დარგი, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებას, შესრულებასა და შეწყვეტას. ეს წესები რეგულირდება როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ისე საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულებებით.

იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც აწესრიგებს საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებას, შესრულებასა და შეწყვეტას, განსაკუთრებით აღსანიშნავია 1969 წლის „ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებას, შესრულებასა და შეწყვეტას და 1986 წლის „ვენის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ან საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის“. საერთაშორისო ხელშეკრულებათა მიმართ სამართალმემკვიდრეობის საკითხები წესრიგდება 1978 წლის „ვენის კონვენციით ხელშეკრულებების მიმართ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობის შესახებ“.

1969 წლის საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით, „ხელშეკრულება“ ნიშნავს საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც დადებულია სახელმწიფოებს შორის წერილობითი ფორმით და რეგულირდება საერთაშორისო სამართლით, მიუხედავად იმისა, ასეთი შეთანხმება შედგება ერთი დოკუმენტისაგან, ორი ან მეტი ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტისაგან და ასევე მიუხედავად მისი კონკრეტული სახელწოდებისა.

ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შემუშავდა და მიღებულ იქნა საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადების, შესრულებისა და გაუქმების შესახებ.

საერთაშორისო სისხლის სამართალი (International criminal law) – პრინციპებისა და ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განმტკიცებულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას, დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების, გამოძიებისა და დასჯის მიზნით. სსს არის საერთაშორისო საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილი და, ამავე დროს, მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოთა ეროვნულ სისხლის სამართალთან. სსს მოიცავს სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სისხლის სამართლის აღმასრულებელ ნორმებს. *საერთაშორისო სამართლის* საერთო პრინციპებთან ერთად, სსს-ს ახასიათებს სპეციფიკური პრინციპები: სამსჯდრო დამნაშავეებთან და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობა და სხვ. სსს-ის წყაროებია უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო ხელშეკრულებები, აგრეთვე სახელმწიფოებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებები სისხლის სამართლის საქმეებზე *სამართლებრივი დახმარების* შესახებ.

საერთაშორისო ტერორიზმი (International terrorism) – *საერთაშორისო ხასიათის დანაშაული*. ტერორიზმის ნაირსახეობა – გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების (უმეტესად პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვა) მისაღწევად ძალადობის, ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელების გზით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინების მიზნით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლის მოსახდენად. სტ არის საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას. სტ-ის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში (ორგანიზაციებში) გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა ან ინდივიდისა თუ ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლობისა და დიპლომატიური აგენტების, უცხო სახელმწიფო-

თა ოფიციალურ წარმომადგენელთა (სახელმწიფო მეთაური, მთავრობის მეთაური, პარლამენტის წევრები, მინისტრები და სხვ.) საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პერსონალის წინააღმდეგ. სტ-ის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიღებულია როგორც უნივერსალური ნორმები (იხ. *საყოველთაო საერთაშორისო სამართალი*), ისე რეგიონალური ნორმები (იხ. *რეგიონალური საერთაშორისო სამართალი*): 1937 წელს ერთა ლიგამ შეიმუშავა სპეციალური კონვენცია ტერორიზმის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ (რომელიც ძალაში არ შევიდა); 1963 წლის ტოკიოს კონვენცია თვითმფრინავში განხორციელებული დანაშაულისა და ზოგიერთი სხვა აქტის შესახებ; კონვენცია (1973 წლის) იმ პირთა, მათ შორის დიპლომატიური აგენტების, წინააღმდეგ დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, რომლებიც საერთაშორისო დაცვით სარგებლობენ; ჰააგის 1970 წლის კონვენცია საჰაერო ხომალდების გატაცების შესახებ; მონრეალის 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1976 წელს მიღებული ევროპული კონვენცია ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ; გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული 39/159 რეზოლუცია „სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის დაუშვებლობისა და სახელმწიფოთა მიერ ნებისმიერი სახის მოქმედებების დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც მიმართულია სხვა სუვერენულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ“; 1977 წლის ევროპის კონვენცია ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ; ნიუ-იორკის 1979 წლის საერთაშორისო კონვენცია მძევალთა აყვანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ვენის 1980 წლის კონვენცია ბირთვული მასალების ფიზიკური დაცვის შესახებ; 1971 წლის კონვენციის სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტების შესახებ მონრეალის 1988 წლის დამატებითი ოქმი აეროპორტებში უკანონო ძალადობის აქტებთან ბრძოლის შესახებ; რომის 1988 წლის კონვენცია საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ; რომის 1988 წლის ოქმი კონტინენტურ შეღწეზე სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო ძალადობასთან ბრძოლის შესახებ.

სტ-თან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთა შორის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება და *მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება*. მაგალითად: 1971 წელს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის მიერ მიღებულ იქნა რეგიონ-

აღური კონვენცია ტერორისტული აქტების და მათთან დაკავშირებული გამოძალვის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, როდესაც ეს აქტები საერთაშორისო ხასიათს ატარებენ; 1986 წლის ტოკიოს შეთანხმება სტ-ის შესახებ; 1989 წლის *ეუთოს* ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია ტერორიზმთან ბრძოლის ზომები. ასეთი მიდგომა სტ-ისადმი ბატონობდა საერთაშორისო სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში 2001 წლის 11 სექტემბრამდე, როდესაც მიწასთან გასწორდა ნიუ-იორკის სიმბოლო – „ტყუპი“ ცათამბჯენი (ვაჭრობის მსოფლიო ცენტრი) და განადგურდა ვაშინგტონში მდებარე თავდაცვის უწყების – პენტაგონის შენობის ნაწილი აშშ-ის საჰაერო სივრცეში თვითმკვლელი საერთაშორისო ტერორისტების ჯგუფების მიერ გატაცებული თვითმფრინავების დაჯახების შედეგად, რასაც 4000-მდე მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. იმათავითვე დადგინდა იქნა, რომ არაბეთის ქვეყნების მოქალაქეებისაგან შემდგარი ეს ჯგუფები ექვემდებარებოდნენ ავღანეთში თავშეფარებულ საუდის არაბეთის მოქალაქეს – ოსამა ბინ ლადენს და მიეკუთვნებოდნენ მის მიერ შექმნილ ტერორისტულ ქსელს – „ალ-ქაედას“. ბინ ლადენი იძებნებოდა ნაირობსა (კენია) და დარ-ეს სალაამში (ტანზანია) 1998 წლის 7 აგვისტოს აშშ-ის საელჩოების აფეთქების მოწყობის გამო, რასაც რამდენიმე ასეული ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რის შემდეგაც მას განიხილავენ როგორც ნომერ I ტერორისტს.

11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა მკვეთრად იცვლის პოზიციას და ერთხმად აღიარებს სტ-ს დანაშაულად ადამიანურობის წინააღმდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი იქნებიან ასეთი აქტების მოწყობა-ჩადენაში, წარდგებიან საერთაშორისო იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე (იხ. *სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო*). უფრო მეტიც, ის სახელმწიფო, რომელიც თავშესაფარს აძლევს საერთაშორისო ტერორისტებს, მათ ლიდერებს, აძლევს უფლებას, იქონიონ იქ სასწავლო ბაზები და სხვა ინფრასტრუქტურა, შეიძლება გახდეს სამხედრო ოპერაციების ობიექტი დაზარალებული სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან, ასე მაგ., 2001 წლის ოქტომბერ-დეკემბერში აშშ-ისა და ანტიტერორისტულ ალიანსში შემაჯავლი მრავალი სხვა სახელმწიფოს ძალისხმევით განადგურებულ იქნა არა მარტო ტერორისტთა ბანაკები, შეიარაღებული ნაწილები, არამედ ავღანეთის უკანონო რეჟიმის – ტალიბების შეიარაღებული ძალებიც, რასაც ქვეყანაში დემოკრატიული ხელისუფლების დამყარება მოჰყვა. სტ-ის

აქტი, რომელსაც მოჰყვება უდანაშაულო ადამიანების მასობრივი განადგურება და უმძიმესი მატერიალური ზარალი, დღეს განიხილება როგორც ქმედება, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას (იხ. *გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1373* (2001)) და შეადგენს ჩადენილ დანაშაულს ადამიანურობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო შვიარალმბული კონფლიქტი (International armed conflict) – *შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთი სახე საერთაშორისო კუმანტარულ სამართალში*. იგი გამოიხატება ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა* და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის სამხედრო მოქმედებებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე პარტიზანების ბრძოლით. სშპ-ის მხარეები მოვალენი არიან, დაიცვან *ომის კანონები და ჩვეულებები*, რომლებსაც შეიცავს „ჟენევის სამართალი“ და „ჰააგის სამართალი“, დაიცვან კულტურული ფასეულობები, აკრძალულია თავდასხმა *მშვიდობიანი მოსახლეობის* სასიცოცხლო ობიექტებზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლის წყაროებზე, ირიგაციულ სისტემებზე და სხვ.), აგრეთვე ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტებად არიან მიჩნეული ქალები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარიული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია *აგრესორის* თავდასხმის ან სხვა სახელმწიფოს მიერ *ოკუპაციის* დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია (იხ. *ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*).

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი (International Custom Law) – სახელმწიფოთა პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული ქცევის ერთნაირი წესები, რომლებსაც ისინი იურიდიული ძალის მქონე ნორმებად მიიჩნევენ. სჩს არის *საერთაშორისო სამართლის* ერთ-ერთი ძირითადი წყარო (იხ. *წყაროები საერთაშორისო სამართლისა*) და მოქმედებს იმ სფეროებში, რომლებსაც *საერთაშორისო ხელშეკრულება* ჯერჯერობით მოლიანად ან ნაწილობრივ ვერ მოიცავს. *გაეროს საერთაშორისო სასამართლოს* სტატუტის თანახმად (38-ე მუხ.), სასამართლო, რომელიც „მოვალეა, მისთვის გადაცემული დავა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაწყვიტოს, იყენებს:

... ბ) საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას“. საერთაშორისო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც მხარეთა ნების მკაფიო გამომჟღავნების შედეგია, სჩს-ის არსებობა ეფუძნება ე.წ. დუმილით თანხმობას. რომელიც გამომდინარეობს ცალკეული სახელმწიფოების მიერ უკვე დანერგილი, ცალმხრივად შემოღებული იურიდიული ძალის მქონე ქცევის წესის საყოველთაო (საყოველთაო ჩვეულება), რეგიონალური ან ლოკალური პრაქტიკიდან. ამგვარად, ჩვეულება ყალიბდება ორსაფეხურიანი პროცესის შედეგად. ეს საფეხურებია: 1) ცალკეული სახელმწიფოების მიერ ერთგვაროვანი ქცევის წესის (პრაქტიკის) შემოღება; 2) ამ წესის სავალდებულო ნორმად გადაქცევა სახელმწიფოთა ამა თუ იმ წრისათვის, თუკი დამტკიცდა, რომ აღნიშნული პრაქტიკის მიმდევრები ამ წესს იურიდიულად სავალდებულოდ მიიჩნევენ, რაც ტერმინ *opinio juris sive necessitatis*-ით გამოიხატება. ამ პროცესს შეძლება მოჰყვეს შიდასახელმწიფოებრივი კანონის თუ სხვა იურიდიული ნორმის მიღება, *გაეროს* რეზოლუციაში ან ხელმოუწერელ თუ არარატიფიცირებულ ხელშეკრულებაში შეტანილ დებულებათა აღიარება სამთავრობო განცხადებით ან შესაბამისი საკანონმდებლო პრაქტიკით, რაც იმას მოწმობს, რომ ეს სახელმწიფო ამ წესს უდავოდ მიაკუთვნებს იურიდიული ძალის მქონე ნორმათა რიცხვს. საერთაშორისო სამართლის პრაქტიკასა და მეცნიერებაში ის ჩვეულება, რომელიც ყველა სახელმწიფოს ან მათი დიდი უმრავლესობის პრაქტიკაში არის დანერგილი, რასაც *საერთაშორისო ხელშეკრულება* იშვიათად თუ აღწევს, მიეკუთვნება *საყოველთაო საერთაშორისო სამართალს*, რომელიც ჩვეულებებისაგან (ზოგჯერ ამ კატეგორიაში *სამართლის ზოგად პრინციპებსაც* გულისხმობენ) შედგება და სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსათვის, მიუხედავად იმისა, ეთანხმება ის თუ არა მას. ზოგიერთი სახელმწიფოს მცდელობა, რომ თავისი *სუვერენიტეტის* მოშველიებით უარი თქვას საყოველთაოდ დამკვიდრებულ ჩვეულებაზე, *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება, თანამედროვე *საერთაშორისო მართლწესრიგის* მტკიცედ დაცვის სასარგებლოდ.

სჩს განსხვავდება საერთაშორისო ადათისა და საერთაშორისო თავაზიანობისაგან, რომლებსაც იურიდიულად სავალდებულო ძალა არა აქვთ. წინათ ჩვეულების ჩამოყალიბება საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა (მაგ., დიპლომატიურ და საკონსულო სამართალში). XX ს-ში ეს პროცესი გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობდა და გაჩნდა კიდევაც ტერმინი – „მომენტალური ჩვეულებითი სამართალი“ (*instant customary law*), რომლის მაგალითად მიჩნეულია 1957 წელს სსრ

კავშირის მიერ დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვება კოსმოსში, რასაც არც ერთი სახელმწიფოს პროტესტი არ გამოუწვევია და რამაც დასაბამი მისცა სახელმწიფოთა საპერო სივრცეზე *სუვერენიტეტის* ზედა საზღვრის შეზღუდვასა და ყველა ქვეყნის უფლებას – კოსმოსურ სივრცეში თავისუფლად აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, გამოიყენოს იგი მშვიდობიანი მიზნებისთვის. აშშ-ის მიერ ასეთი თანამგზავრის გაშვებამ კიდევ უფრო განამტკიცა ეს პრინციპები. დღეს სჩს-ის ადგილს სულ უფრო მეტად იკავებენ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც მკაფიოდ აფიქსირებენ მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ახდენენ არსებულ ჩვეულებათა კოდიფიკაციას და პროგრესულ განვითარებას. ასეთია, მაგ.: 1961 და 1963 წწ. კონვენციები დიპლომატიურ და საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, 1967 წლის ხელშეკრულება და მთელი რიგი კონვენციებისა კოსმოსური სივრცის გამოკვლევისა და გამოყენების დარგში და სხვა, მაგრამ სჩს დღემდე მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისოსამართლებრივ პრაქტიკაში.

საერთაშორისო წითელი ჯვარი (International Red Cross) – არასამთავრობო საერთაშორისო, დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაცია (იხ. *არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია*), რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების დროს მასში მონაწილე მხარეებს შორის ნეიტრალურ შუამავლად გამოდის. ორგანიზაცია აერთიანებს *წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს*, რომელიც 1863 წელს ჩამოყალიბდა, და 1919 წელს ჩამოყალიბებულ წითელი ჯვრის ფედერაციას. სწჯ-ს მხოლოდ ჰუმანიტარული მისია აკისრია, რომელიც გულისხმობს ომისა და ქვეყნის შინაშლილობის მსხვერპლთა სიცოცხლისა და ღირსების დაცვას და მათთვის დახმარების გაწევას. კომიტეტი ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს წითელი ჯვრის მოძრაობას, საერთაშორისო ჰუმანიტარულ საქმიანობას შეიარაღებული კონფლიქტების დროს; იგი ცდილობს, ადამიანებს ააცილოს ტანჯვა ჰუმანიტარული სამართლისა და ზოგადსაკაცობრიო ჰუმანიტარული პრინციპების განმტკიცებით, ომის წარმოების მეთოდებისა და საშუალებათა შეზღუდვით ან აკრძალვით და ყოველივე ამის შესახებ ცოდნის გავრცელებით. წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტი და ეროვნული საზოგადოებები *წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაციასთან* ერთად აყალიბებენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ-

მთვარის საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც ასევე „სწპ-ს“ უწოდებენ.

სამართაშორისო ხასიათის დანაშაული (Crimes of international character) – ქმედება, რომელიც, *საერთაშორისო დანაშაულისაგან* განსხვავებით, არ არის მიმართული *საერთაშორისო მართლწესრიგის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ, ადამიანურობის წინააღმდეგ* (აგრესია, *გენოციდი, ეთნიკური წმენდა* და სხვ.), მაგრამ თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს, ხელყოფს ცალკეული კატეგორიების ადამიანთა უფლებებს, მათ თავისუფლებასა და სიცოცხლეს (თვითმფრინავის გატაცება (მაგ. ჰააგის 1970 წლის კონვენცია საჰაერო ხომალდების გატაცებასთან ბრძოლის შესახებ და მონრეალის 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ), საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა, მათ შორის დიპლომატიურ აგენტთა, უსაფრთხოების დარღვევა, ნარკოტიკების გადაზიდვა და გავრცელება, *მონობა და მონობით ვაჭრობა, პორნოგრაფიული პროდუქციის დამზადება-გავრცელება, ყალბი ფულისა და ჩეკების დამზადება-გავრცელება* და სხვ.). ამ სახის დანაშაულობასთან ბრძოლა რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით და *საერთაშორისო ხელშეკრულებებით*, რომლებიც ადგენენ ექვიპოლიტანითა ძებნის, დაკავებისა და გადაცემის წესებს (იხ. *ექსტრადიცია, ინტერპოლი*).

სამართაშორისო ხელშეკრულება (International treaty) – ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტის (იხ. *სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა*) შეთანხმება უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ასეთ შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს: კონვენცია, პაქტი, ოქმი, ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ., მაგრამ, მიუხედავად სახელწოდებისა, მათი იურიდიული ძალა თანაბარია. სხ-ის მხარედ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტები გვევლინებიან, ძირითადად სახელმწიფოები. საერთაშორისო ჩვეულებისაგან (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*) განსხვავებით, ხელშეკრულებას წერილობითი ფორმა აქვს და მკაფიოდ ასახავს მხარეთა პოზიციას. ზეპირი, ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმებები, რომლებიც წარსულში ნაკლებად გამოიყენებოდა, საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში აღარ გვხვდება, თითო-ორიოლა შემთხვევის გარდა.

საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობაში (International treaty in the Georgian Legislation) – საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ (მე-6 მუხ., 1-ლი პუნქ.) საერთაშორისო ხელშეკრულებებს საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად აცხადებს. საერთაშორისო ხელშეკრულება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან ხდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილი, რომელიც შეიძლება უშუალოდ იქნეს გამოყენებული როგორც ქვეყნის სამართლის წყარო, თუ მისი დებულებები საამისოდ საკმარისად კონკრეტულია (საქართველოს კონსტიტუცია, მე-6 მუხ.).

საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო (International treaties and Constitutional Court of Georgia) – საქართველოს კონსტიტუციის თანახმად (89-ე მუხ.), საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის, რაც მიზნად ისახავს, თავიდან იქნეს აცილებული წინააღმდეგობა საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის.

საერთაშორისო ხელშეკრულების „თვითშესრულებადი“ და „არათვითშესრულებადი“ ნორმები (Self-executing and non-self-executing international treaties) – საერთაშორისო ხელშეკრულების „თვითშესრულებად“ ნორმად ითვლება ისეთი ნორმა, რომლის შინაარსი იმდენად კონკრეტულად არის ფორმულირებული, რომ შესაძლებელია, იგი უშუალოდ გამოიყენოს სასამართლომ ან სხვა ორგანომ. „არათვითშესრულებადი“ ნორმა, რომლის გამოსაყენებლად სასამართლოს ან სხვა ორგანოს დასჭირდება, სახელმწიფოსაგან მიიღოს დამაზუსტებელი ნორმატიული აქტი. „თვითშესრულებადი“ და „არათვითშესრულებადი“ ნორმების საკითხი დგება მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნაწილად აღიარებენ. ამასთან, ეს სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობით დგინდება, საერთაშორისო ხელშეკრულების რომელი ნორმა „თვითშესრულებადი“ და რომელი – „არათვითშესრულებადი“.

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების ვადა (Terms of international treaty) – დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც საერთაშორისო ხელშეკრულების დაცვა სავალდებუ-

ლოა მხარეებისათვის. უმრავლეს შემთხვევაში ხელშეკრულება თვითონვე ადგენს თავისი მოქმედების ვადას. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განსაზღვრული ვადით (მაგ., ერთი, ორი, ათი და ოცდახუთი წლით), განუსაზღვრელი ვადით ან უვადოდ. საერთაშორისო ხელშეკრულებათა დიდი ნაწილი იდება განსაზღვრული ვადით და შეიცავს სპეციალურ დებულებას მისი მოქმედების გაგრძელების შესახებ. ამგვარ ხელშეკრულებებში აღნიშნულია, რომ განსაზღვრული ვადით დადებული ხელშეკრულება განაგრძობს მოქმედებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდგომი ვადით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ოფიციალურად არ განაცხადებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის სურვილს მისი მოქმედების ვადის გასვლისთანავე (დენონსაცია). არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც მათი ობიექტის ხასიათის გამო არ შეიცავს დებულებებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ასეთია, მაგალითად, ხელშეკრულებები დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, ხელშეკრულებები სახელმწიფო საზღვრის დადგენის შესახებ და სხვ.

საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება (Suspension of international treaty) – საერთაშორისო ხელშეკრულების დროებითი შეწყვეტა. ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება, ჩვეულებრივ, ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. სხმშ ათავისუფლებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებისაგან ამ პერიოდის განმავლობაში.

საერთაშორისო ხელშეკრულების ნოვაცია (Novation of international treaty) – საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განახლება ხელშეკრულების დადების შემდგომ შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ძირითად (საკვანძო) დებულებათა შენარჩუნებით. სხნ ხორციელდება ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო სასამართლო პროცესი (Due judicial process) – პიროვნების უფლების დაცვა კანონით და სხვა სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივი პროცესის ყველა ეტაპზე ან სამოქალაქო პროცესში ყველა მონაწილე მხარისათვის თანაბარი უფლებების მინიჭება. როგორც წესი, სსპ მოიცავს პიროვნების უფლებას – ჰყავდეს დამცველი, ინფორმირებულ იქნეს საქმის სასამართლო განხილვის დაწყების თარიღის შესახებ, დროუ-

ლად მოემზადოს დაცვისათვის, დაკითხოს მოწმეები, მოსმენილ იქნეს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოში. *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* აცხადებს: „ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება – მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენციურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“ (მე-14 მუხ.). ამავე მუხლში დეტალურად არის ჩამოთვლილი პირის უფლებები ამ სფეროში. *ვეროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ* ანალოგიურ დებულებებს შეიცავს (მე-6 მუხლი).

სამართლებრივი დახმარება (Legal assistance) – სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებისას გაწეული დახმარება, რომელსაც სახელმწიფოთა იუსტიციის ორგანოები (სასამართლო, სანოტარო ორგანოები, პროკურატურა) ახორციელებენ, სახელმწიფოთა შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე. სს-ის ხელშეკრულებათა მიზანია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების ურთიერთალიარება და დაცვა. ეს ხელშეკრულებები არეგულირებენ: იუსტიციის დაწესებულებათა თანამშრომლობის საკითხებს, სამართლებრივ დაცვას სასამართლოთა კომპეტენციის განსაზღვრისას, გამოსაყენებელი სამართლის საკითხებს, *უცხოელთა* პროცესუალურ მდგომარეობას, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღიარებასა და აღსრულებას სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ, სათანადო დოკუმენტების აღიარებასა და გადაგზავნას, დამნაშავეთა *ექსტრადიციის* საკითხებს და სხვ. სს-ის ხელშეკრულებით, მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეებს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ისეთივე პირადი და ქონებრივი უფლებები აქვთ, როგორც თვით ამ მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებს – მიმართონ ამ სხვა სახელმწიფოს პროკურატურის, სანოტარო, სასამართლო ორგანოებს; ისარგებლონ ისეთივე პროცესუალური უფლებებით, როგორითაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეები სარგებლობენ, მაგალითად, სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლებით. სს-ის ხელშეკრულებით დგინდება, თუ როგორ ურთიერთქმედებენ სხვადასხვა ქვეყნის იუსტიციის ორგანოები – თავიანთი ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, თუ დიპლომატიური წესით.

ყველა ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მხარეები აღიარებენ ხელშეკრულების მონაწილე მხარის სასამართლოთა დადგენილებებს და ვალდებულებას იღებენ, აღასრულონ სახელმწიფო დაწესებულებათა სამართლებრივი ხასიათის დავალებები, როგორებიცაა: დოკუმენტების შედგენა, გადაგზავნა, ჩხრეკა, ამოღება, ნივთმტკიცებათა გადაგზავნა, ბრალდებულთა, ევკვიტანილთა, მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა და სხვ. ოუსტიციის ორგანოები, რომლებსაც სს-ისათვის მიმართავენ, მოქმედებენ თავიანთი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

სს-ის ხელშეკრულებათა უმრავლესობაში შეტანილია სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა ურთიერთაღიარების მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებას ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორიც იმ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებას, რომლის მოქალაქეც მოსარჩელე ან მსჯავრდებულია. ხელშეკრულებაში ხშირად მითითებულია, რომ ერთი ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება იძულებითი წესითაც იქნეს აღსრულებული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. დაუშვებლად არის მიჩნეული სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების არსებითი გადასინჯვა იმ სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც ეს გადაწყვეტილება უნდა იქნეს აღსრულებული. სს-ის სამართლებრივი დახმარების შესახებ კონცეფციას ითვალისწინებს *საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ* (01.10.98). სს-ის ნორმები გამოიყენება საქმის გარემოებების გამოსარკვევად, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების გადასაცემად ან იმ შემთხვევაში, თუ სხვა მიზნით აუცილებელია სასამართლო მოქმედებების განხორციელება ერთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ამ შემთხვევაში აღიძრება შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ. თუ მოქმედება ხორციელდება საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით, მაშინ შუამდგომლობა უნდა აღიძრას მათ მიმართ. საქართველოს სასამართლოები აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობას სს-ის შესახებ. უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობა სს-ისათვის ცალკეული საპროცესო მოქმედებების შესრულების შესახებ საქართველოში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, თუ შუამდგომლობა სს-ის შესახებ ქართულ ენაზე არ არის შედგენილი,

ან მას არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, მისი დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება იმაზე, გაიღებს თუ არა დაინტერესებული მხარე შესაბამის ავანსს ქართულ ენაზე თარგმანის შესასრულებლად და დასამოწმებლად. შუამდგომლობა სსს-ისათვის დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს მისი შესრულებისათვის საჭირო მონაცემებს. სსს „საერთაშორისო კრძოლ სამართლის შესახებ“, საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოში არ გაიწევა, თუ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, ან შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას. საქართველოს სსს-ის ხელშეკრულებები დადებული აქვს უკრაინასთან (1995), აზერბაიჯანთან, თურქეთთან, რუსეთთან, უზბეკეთთან და ყაზახეთთან (1996), აგრეთვე მონაწილეობს დსთ-ის (იხ. *დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა*) კონვენციაში სსს-ის შესახებ.

სამართლიანი სასამართლო (Fair trial) – ტერმინი, რომელიც სინამდვილეში მოიცავს არა მხოლოდ, სახელდობრ, სასამართლო პროცესს, არამედ საქმის სამართლიან განხილვას ყველა ეტაპზე. *ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის* მე-6 მუხლი – „საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“ – შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონიერულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მოუკერძოებელი სასამართოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქნეს დამკვეთი დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია, განსაკუთრებული გარემოებების გამო, ვინაიდან საქვეყნობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს.

2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალდება არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

- ა) მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწერილებით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;
- ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;
- გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;
- დ) თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს თავისი ბრალდების მოწმეები, და, გამოაძახებინოს და დააკითხვინოს თავისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოქმედების თანაბარ პირობებში;
- ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ აცხადებს: „უარი სამართლიან სასამართლოზე“ ნიშნავს საქმის ისეთ განხილვას, რომელიც არ იყო საჯარო (ღია) და სამართლიანი“, სასამართლო განხილვის გარეშე მიღებული გადაწყვეტილება (მე-14, მე-15 მუხ.) შეიძლება გაუუტოლოთ „თავისუფლების უკანონო აღკვეთას“.

სამართლის უზენაესობა (Rule of Law) – თანამედროვე დემოკრატიის პრინციპები ეყრდნობა ადამიანის უფლებათა წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს, რომლებიც აღიარებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და რომელთა დაცვა და ცხოვრებაში გატარება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მოვალეობაა. შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ მაშინ ითვლება დემოკრატიულ სამართლებრივ სისტემად, თუ ყოველი სამართლებრივი ნორმა და, პირველ რიგში, კონსტიტუცია ასახავენ ამ მოთხოვნებს. ამიტომ სწ ნიშნავს არა ყველა სამართლებრივი ნორმის უზენაესობას (რადგანაც პიტლერულ გერმანიაშიც მოქმედებდა „კანონის უზენაესობა“), არამედ მხოლოდ ისეთებისას, რომლებიც გამოხატავენ კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ საწყისებს (სამხრეთ როდეზიაში თეთრკანიანთა მიერ შემოღებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც შავკანიან მოსახლეობას თეთრკანიანთა უმცირესობის ბატონობის ქვეშ აქცევდა, გაეროს ძალისხმევით მარცხით დამთავრდა). მხოლოდ ასეთ კანონებს აქვთ უმაღლესი იურიდიული ძალა ქვეყანაში მოქმედ სამართლის ნორმათა სისტემაში. სხვადასხვა სამართლებრივი აქტი, რომლებსაც გამოსცემენ სახ-

ელმწიფო ორგანოები, უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს, არ ეწინააღმდეგებოდეს მათ. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ეს ნორმები, დაიცვას მართლწესრიგი. სამართლის ნორმები ისევეა სავალდებულო სახელმწიფო ორგანოებისათვის, როგორც მოქალაქეებისათვის. სახელმწიფო ხელისუფლება მოქმედებს იმ ფარგლებში, რაც დადგენილია კანონით. სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე ემორჩილებოდნენ სამართლის ნორმებს. მათ მხოლოდ იმის უფლება აქვთ, რაც კანონით არის დადგენილი. სახელმწიფოს შიგნით უნდა არსებობდეს ეფექტური მექანიზმები მოსახლეობის ყველა წევრის (*მოქალაქის, უცხოელის და სხვ.*) უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ს.შ-ის ეფექტური უზრუნველყოფა უნივერსალური და რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა (იხ. *ვეროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა კომიტეტი*).

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი იმპერატიულად მოითხოვს ყოველი სახელმწიფოსაგან, შექმნას ყველა პირობა ს.შ-ის დამყარებისა და განვითარებისათვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში.

საქართველოს კონსტიტუციით „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს“ (მე-6 მუხ.), ხოლო მე-7 მუხლის ძალით, „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც „წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებით და თავისუფლებებით, როგორც უმუქლოდ მოქმედი სამართლით“.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები (Civil and Political Rights) – ადამიანის უფლებათა პირველ თაობას (ე.წ. ნეგატიურ უფლებებს) მიეკუთვნება ის უფლებები, რომლებიც ტრადიციული ლიბერალური ფასეულობებიდან გამომდინარეობს, და რომლებიც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული რევოლუციების განხორციელების პროცესში.

პირველ თაობას მიეკუთვნება სამოქალაქო (პირადი) და პოლიტიკური უფლებები. ეს უფლებები გამოხატავს „ნეგატიურ თავისუფლებას“ – სახელმწიფო ვალდებულია, თავი შეიზღუდოს ადამიანის პირადი თავისუფლების სფეროში და შეუქმნას პირობები, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პოლიტიკური უფლებების მინიჭება აუცილებელი წინაპირობაა სხვა უფლებების არსებობისათვის, ვინაიდან სწორედ ისინი ქმნიან დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველს. ხოლო პირადი უფლებების მიზანია, უზრუნველყოს ადამიანის ავტონომიურობა.

ამ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება: *სიცოცხლის უფლება, აზრის, რწმენისა და სინდისის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის უფლება, უფლება სამართლიან სასამართლოზე, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება* და სხვა.

სამოქალაქო ომი (Civil war) – ხანგრძლივი შეიარაღებული კონფლიქტი სახელმწიფოს შიგნით არსებულ დაპირისპირებულ ძალებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. სწორედ დროში გაწეული პროცესია და იგი განსხვავდება სახელმწიფო გადატრიალებისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, დროის მოკლე მონაკვეთში ხდება. სწორედ დროში დაპირისპირებული მხარეები შეიძლება იყვნენ: სხვადასხვა კლასი, სოციალური ფენა, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფი, პოლიტიკური დაჯგუფება და ა.შ. სწორედ ერთი მხარე იბრძვის არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და სახელმწიფო წესწყობილების შენარჩუნებისათვის, ხოლო მეორე მხარე – ახალი პოლიტიკური რეჟიმის დასამყარებლად, თავის უფლებათა დასაცავად. ანტიკოლონიური ბრძოლა სწორედ რიცხვს არ განეკუთვნება და იგი *გაეროსა და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* მორალური და მატერიალური მხარდაჭერით სარგებლობს. *საერთაშორისო სამართალი* კრძალავს სწორედ სხვა სახელმწიფოების ჩარევას, თუკი იმ სახელმწიფოს მთავრობა, სადაც ეს ომი წარმოებს, არ არღვევს ადამიანთა უფლებების საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. სწორედ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მესამე მხარემ – გარე ფაქტორმა. მესამე ძალის აქტიურმა ეკონომიკურმა, მორალურმა და, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურმა (მათ შორის, სამხედრო) მხარდაჭერამ შესაძლოა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს სწორედ შედეგზე ომის მონაწილე ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. უკიდურეს შემთხვევაში ხდება გარეშე ძალების ამკარა სამხედრო *ინტერვენცია* და მათი მონაწილეობა საბრძოლო ოპერაციებში.

უკანასკნელ ათწლეულებში სწორედ რიცხვმა მკვეთრად იმატა. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდით, რომელთა უმრავლესობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ყოფილი კოლონიური ქვეყანაა. ამ ქვეყნებში ეთნიკური, ტომობრივი, რელიგიური, პარტიული თუ კლანური დაპირისპირებები ჩვეულებრივი

მოვლენაა და ნოყიერ ნიადაგს ქმნის სწ-ის გაჩაღებისათვის; მეორე მხრივ, გარკვეული წინააღმდეგობა, რომელიც *საერთაშორისო სამართლის* ორ – *ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის* და *სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის* – პრინციპს შორის არსებობს, სწ-ისათვის მრავალ მიზეზს წარმოშობს. ასევე მხედველობაში მისაღებია *საერთაშორისო ტერორიზმის* მზარდი როლი, რაც გამოიხატება უკანონო სამხედრო ძალების შექმნით და მათი გაგზავნით სწ-ის კერებში ამა თუ იმ მხარისათვის მხარდაჭერის მიზნით, რაც *საერთაშორისო სამართლით* აკრძალულია (იხ. მაგ., *დაქირავებული პირები*).

სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები (Civil and political freedoms) – სამართლებრივი გარანტიები, რომლებითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ესენია: სიცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება, *წამების აკრძალვა*, *სიტყვის თავისუფლება*, *რელიგიის თავისუფლება*, პირადი ცხოვრების თავისუფლება, *გადაადგილების თავისუფლება*, *სამართლიანი სასამართლოს* მიერ საქმის განხილვის უფლება, გაერთიანების თავისუფლება.

სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მრწამსის გამო (Conscientious objection) – მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა *საერთაშორისო ხელშეკრულებებით* გათვალისწინებული აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების ფუნდამენტური ასპექტია. *ვეროპის საბჭოს* წევრი სახელმწიფოების უმრავლესობამ გაითვალისწინა მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლება თავიანთ კონსტიტუციებსა თუ კანონმდებლობაში.

ვეროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა თავის 1987 წელს მიღებულ რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ: „ნებისმიერ სამხედროვადებულ პირს, რომელიც მრწამსის გამო უარს აცხადებს იარაღის გამოყენებაზე, აქვს უფლება, განთავისუფლდეს ასეთი სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან, დადგენილი პირობების გათვალისწინებით. ასეთ პირებს შეიძლება დაეკისროთ ალტერნატიული სამსახურის შესრულება.“

სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მრწამსის გამო შეიძლება მოხდეს როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური მოტივით. არარელიგიური მოტივით ასეთ სამსახურზე უარის თქმა შეიძლება განპირობებული იყოს პაციფისტური მსოფლმხედველობით.

თუმცა მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარი არ ანიჭებს პირს უფლებას, განთავისუფლდეს სამოქალაქო სამსახურისაგან. პირს შეიძლება დაეკისროს მისი გავლა როგორც სამხედრო სამსახურის შემცველისა. ამდენად, სახელმწიფოს შეუძლია, დააწესოს სამოქალაქო სამსახურის გავლა და დააკისროს პასუხისმგებლობა მათ, ვინც უარს აცხადებს, გაიაროს ეს სამსახური.

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმის უფლებას. იმ პირთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე მრწამსის გამო, წესრიგდება საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. სპეციალური კანონი „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ არეგულირებს სამხედრო ვალდებულების არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ფორმით მოხდასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

კანონი განსაზღვრავს არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო სამოქალაქო სამსახურს, რომელიც ცვლის სამხედრო სამსახურს და ემყარება სამხედრო ვალდებულების სამხედრო სამსახურის ფორმით მოხდაზე უარის თქმის დასაბუთებას სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლების საფუძველზე. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევას აწარმოებს მოქალაქეთა სამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისია.

სამხედროვალდებული საქართველოს მოქალაქე (ე.ი. პირი 18-დან 27 წლამდე), რომელიც აზრის, სინდისის ან რელიგიის გამო უარს აცხადებს სამხედრო სამსახურზე, გაიწვევა არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურში. პირები, რომლებიც გადიან არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს, დაკავებულნი არიან ისეთი საქმიანობით, რომელიც დაკავშირებულია საეკონომიკურ-სამამუშაო და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებთან, ეკოლოგიასთან, მშენებლობასთან, სოფლის მეურნეობასთან, ჯანმრთელობასა და კომუნალურ მომსახურებასთან.

საქართველოს კანონმდებლობა არ მიჯნავს იმ პირთა სხვადასხვა კატეგორიას, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურზე მრწამსის გამო, იმის მიხედვით, თუ ვინ შეიძლება განთავისუფლდეს სამხედრო სამსახურისაგან და შეასრულოს არასამხედრო, ალტერნატიული სამსახური. საქართველოს კანონმდებლობა არ იზიარებს ზოგიერთი სახელმწიფოს მიდგომას, რომ მხოლოდ იაპვეს მოწმეები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისაგან. ამდენად, საქართველოს ყველა მოქალაქე, რომლებიც უარს აცხადებენ სამხედრო სამსახურის გავლაზე აზრის, სინდისის ან რელიგიის გამო (და არა მხოლოდ იაპ-

ვეს მოწმეები), თავისუფლდება სამხედრო სამსახურისაგან და გადის არასამხედრო, ალტერნატიულ სამსახურს.

კანონის მიხედვით, არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის ვადაა 18 თვე უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის, ხოლო 24 თვე უმაღლესი განათლების არმქონე პირებისათვის. აღსანიშნავია, რომ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, სამხედრო სამსახურის ვადაა 12 თვე უმაღლესი განათლების მქონე პირებისათვის და 24 თვე უმაღლესი განათლების არმქონე პირებისათვის.

კანონი დეტალურად განსაზღვრავს წესებს, პროცედურებსა და პირობებს, რომლებიც გამოიყენებიან არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის მიმართ, მათ შორის სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ განაცხადთა განხილვასთან დაკავშირებით. პირს, რომელიც ითხოვს არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გავლას, უფლება აქვს, დაესწროს იმ კომისიის სხდომას, რომელიც წევრებს ამ საკითხს და დაასაბუთოს თავისი მოსაზრება. არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის ან გაწვევაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და შესაბამის ბრძანებას გამოსცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გაწვევის სახელმწიფო კომისიის დასკვნის საფუძველზე. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში 10 დღის განმავლობაში. სასამართლო ვალდებულია, 10 დღის განმავლობაში განიხილოს საკითხი და გამოიტანოს გადაწყვეტილება მინისტრის ბრძანების ძალაში დატოვების ან გაუქმების შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართლებრივ პასუხისმგებლობას არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გაცდენის ან მისთვის თავის არიდებისათვის. „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ კანონი ადგენს, რომ არასამხედრო, ალტერნატიული სამსახურის გაცდენილი დღეები გაორმაგდება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდებისათვის.

სამხედრო ტყვე (Prisoner of war) – *საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში* ამ ტერმინით აღინიშნება მტრის ხელში ჩავარდნილი პირი, რომელიც მეორე მხარის *შეიარაღებულ ძალებს* ეკუთვნის. სტ-ებად ითვლებიან: შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში შემავალი პირები, *პარტიზანები, მოხალისეთა რაზმები, არაკომპეტან-*

ტები, წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, რომლებიც კონფლიქტის მონაწილე ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ იბრძოდნენ, ჰყავთ ხელმძღვანელი, რომელიც პასუხს აგებს მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებზე, ღიად ატარებენ იარაღს, აქვთ შორ მანძილზე გასარჩევი განმასხვავებელი ნიშანი ან საკუთარი ფორმა და იცავენ *ომის კანონებსა და ჩვეულებებს*. წესისამებრ, ის პირები, რომლებიც *საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში* მონაწილეობდნენ და ტყვედ ჩავარდნენ, ხვდებიან დამტყვევებელი სახელმწიფოს ხელში, ხოლო *არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში* მონაწილენი – მეომარი მხარის პასუხისმგებელი მეთაურის ხელში.

სამხედრო ტყვეობის რეჟიმი განისაზღვრება ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციით და ჟენევის 1949 წლის მესამე კონვენციით სტ-ის მოპყრობის შესახებ და 1977 წლის პირველი და მეორე დამატებითი ოქმებით. ამ დოკუმენტების შესაბამისად, სახელმწიფოები ტყვეებს ჰუმანურად უნდა ექცეოდნენ, არ დაუშვან მათი *დისკრიმინაცია* სქესის, კანის ფერის, რელიგიისა და სარწმუნოების, ენის, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებათა, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, დაბადების ან სხვა სტატუსის თუ კრიტერიუმების მიხედვით. სტ-თა სტატუსი აქვთ აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში არ შედიან, მაგრამ მოეპოვებათ მათი თანხლების უფლება (მაგ., ზომალდისა და თვითმფრინავის სამოქალაქო ეკიპაჟს). სტ-ების მიმართ დაუშვებელია ძალადობის, დაშინებისა და შეურაცხყოფის აქტების გამოყენება. კონვენციის თანახმად, ისინი იმყოფებიან არა ცალკეულ პირთა ტყვეობაში, არამედ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ხელში, რაც იმას ნიშნავს, რომ ჟენევის ხსენებული კონვენციების მონაწილე სახელმწიფო პასუხს აგებს თავის ვალდებულებათა შესრულებაზე.

სანძქიები და კონტრზომები (Sanctions and Countermeasures) – სახელმწიფოს ან სახელმწიფოების (*საერთაშორისო ორგანიზაციების*) მიერ იძულებითი ზომების გამოყენება *საერთაშორისო სამართლის* დამრღვევი სახელმწიფოს თუ ქვეყნის შიგნით მებრძოლი ძალების მიმართ, მათი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესაწყვეტად. მაგალითად, *გაეროს უშიშროების საბჭომ* არაერთგზის მიმართა ეკონომიკურ სანქციებსა და ემბარგოს, როგორც იძულების მეთოდს, როდესაც მშვიდობას საფრთხე დაემუქრა, ხოლო დიპლომატიურმა ძალისხმევამ მარცხი განიცადა. სანქციები იქნა შემოღებული 1977 წელს სამხრეთ აფრიკის აპარტიდული რეჟიმის წინააღმდეგ, რის შედეგადაც 1994 წელს ეს რეჟიმი დაემხო. ბოლო ხანებში სანქციები

დაეკისრა ერაყს, ყოფილ იუგოსლავიას, ლიბიას, ჰაიტის, ლიბერიას, რუნდას, სომალის, სუდანს, სიერა-ლეონეს, ოპოზიციის ძალებს ანგოლაში. ეკონომიკური სანქციები სხვადასხვა ფორმით ზორციელდება, იქნება ეს ამა თუ იმ პროდუქციაზე ვაჭრობის აკრძალვა, თუ სრული ემბარგო. სანქციების გამოყენება ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე, რათა უშოშროების საბჭოს მიერ დადგენილი პირობები შესრულებულ იქნეს შეიარაღებული ძალის გამოყენების გარეშე. გაეროს უნივერსალური ხასიათი მას ზღის განსაკუთრებით შესაფერის ორგანოდ ასეთი ზომების გამოყენებისა და მათზე მეთვალყურეობის გაწევისათვის. ამ შემთხვევაში ითვალისწინებენ აგრეთვე იმ არასასურველ შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ სანქციებს მოსახლეობის ყველაზე დაუცველი ფენებისათვის. როდესაც შეიარაღებული ძალის გამოყენებლობას სათანადო შედეგი არ მოჰყვება, მიმართავენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას. მაგალითად, გაეროს დავალებით, ერაყის მიმართ, რომელმაც 1990 წელს ქუვეითის ოკუპაცია მოახდინა, აშშ-ის მეთაურობით, სახელმწიფოთა კოალიციამ მოძღვენო წელს იერიში მიიტანა ერაყის ჯარზე (1991) და განდევნა იგი ქუვეითიდან. ასევე გაეროს დავალებით, ნატოს შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს საჰაერო და საზღვაო ძალები იუგოსლავიის მიმართ ეკონომიკური სანქციების (ემბარგოს) გასატარებლად სერბი სეპარატისტების წინააღმდეგ, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს ბოსნიაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი (1992-1996).

იძულება ყოველთვის იყო საერთაშორისო სამართლის პრობლემა. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ, რადგან არ არსებობს ცენტრალიზებული იძულება, არ არსებობს ამგვარი სამართლის იურიდიული ხასიათიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოსაზრებას თავისი მომხრეები ჰყავს, საერთაშორისო სამართალში იძულებით ზომებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, მაგრამ იძულებას აქ მაინც არ გააჩნია ის დომინირებული ადგილი, რომელსაც მას ზოგიერთი იურისტი ანიჭებს. ასევე არასწორად უნდა ჩაითვალოს ის გარეობა, რომ საერთაშორისო სამართალში იძულებითი ზომები გადააწყვეტ როლს ასრულებენ, მაშინ როდესაც ძირითადი როლი ზოგადსოციალურ ფაქტორებს ეკუთვნის. უმეტეს შემთხვევაში სამართლის ნორმები ნებაყოფლობით, ყოველგვარი იძულების გარეშე სრულდება. მისი ძირითადი ნიშანია მართლზომიერება. იძულება უნდა იყოს მართლზომიერი როგორც თავისი საფუძვლითა და მიზნით, ისე მეთოდებითა და მოცულობით. მართლზომიერება განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის ძირითად

ამოცანებთან და პრინციპებთან შესაბამისობით. საერთაშორისო სამართლის დოქტრინაში ზოგჯერ იგულისხმება იძულების ზომები, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები იყენებენ. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ იძულებით ზომებს, კონტრზომებს უწოდებენ. ეს ტერმინოლოგია აისახა საერთაშორისო სამართალში. სანქციათა გამოყენების ყველაზე ფართო უფლებამოსილება აქვს გაეროს: მას შეუძლია მიმართოს ისეთ ზომებს, როგორებიცაა: ეკონომიკური, საჰაერო, სარკინიგზო, საზღვაო, საფოსტო, სატელეკრაფო და სხვა სახის ურთიერთობათა შეწყვეტა. ასევე, გაერო უფლებამოსილია, მოითხოვოს დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, გამოიყენოს სამხედრო ზომებიც კი (იხ. *გაეროს წესდების* 41-ე და 42-ე მუხლები). ეს ზომები სავალდებულოა სახელმწიფოთათვის მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ მშვიდობისათვის საშიშროების ან *აგრესიის* აქტის დროს.

სამართალდამრღვევთა მიმართ ზემოქმედების ერთ-ერთ საშუალებად ითვლება *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ შემუშავებული და მიღებული დამგობი რეზოლუციები. ეს არის სანქციები, რომელთა მორალურ-პოლიტიკური ზემოქმედების ძალა საკმაოდ მნიშვნელოვანია. ამგვარ რეზოლუციებს შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგიც, მაგალითად, იმ შედეგების უარყოფა, რომლებიც მიღებული იყო ძალის ან სხვა იძულების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ეს რეზოლუციები თავისებურ სანქციებად გვევლინებიან. გაეროს მიერ გამოყენებულმა სანქციებმა დადებითი როლი შეასრულეს სამხრეთ აფრიკაში რასისტული რეჟიმების ლიკვიდაციაში, ასევე ყოფილ იუგოსლავიაში შეიარაღებული კონფლიქტის დარეგულირებაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ეკონომიკური სანქციები (მაგ., ერაყის მიმართ), რომელთა შემოღება ზემოქმედებას ახდენს არა მარტო სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებზე, არამედ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობებზეც. კონტრზომები, რომლებსაც სახელმწიფოები იყენებენ, დაიშვება საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ძირითად პრინციპებს. უმთავრესი, რაც სახელმწიფოებს ამ დროს მოეთხოვებათ, არის ძალის გამოყენებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ *რეპრესალიებისგან*, რომლებიც დაკავშირებულია ძალის გამოყენებასთან. უფრო რთულად დგას საკითხი, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკური სანქციების გამოყენებას. იურისტების აზრით, ფართომასშტაბიანი ეკონომიკური ზომები უნდა იქნეს მიღებული ძალის გამოყენების ფორმად. კონტრზომების გამოყენ-

ნებას არ უნდა დაარღვიოს *ადამიანის უფლებები*. სახელმწიფოთა კონტრაზომები ძველთაგანვე იყოფოდა რეპრესალიად და *რეტორსიად*.

საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (Georgia - EU Agreement on Partnership and Cooperation) – დაიდო 22.IV.1996, ხოლო ძალაში შევიდა 1.VII.1999. ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით, რომლის შემდეგ ავტომატურად გაგრძელდება ყოველწლიურად, თუ არც ერთმა მხარემ უარი არ განაცხადა მის გაგრძელებაზე. შეთანხმება განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთობებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში; იგი მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიული რეფორმებისა და საბაზრო ეკონომიკის შემდგომ განვითარებას; თავის მხრივ, საქართველომ უნდა შეასრულოს რიგი ვალდებულებებისა, რაც მას საშუალებას მისცემს, გაეიდეს საერთაშორისო ეკონომიკურ ბაზარზე; ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს, განამტკიცოს პოლიტიკური დიალოგი, კომერციული კავშირურობის ურთიერთობა და დააჩქაროს ეკონომიკური სისტემების ურთიერთდაახლოების (კონვერგენციის) პროცესი; იმ პირობაში, რომლებიც სამუშაოზე კანონიერად მოეწყობიან, არ უნდა განიცადონ რაიმე დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურების, სამსახურში მოწყობის პირობებისა თუ სხვა საკითხებში; ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს, ებრძოდოს *არალეგალურ მიგრაციას*, კონტრაბანდას, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას თუ მათ გადაზიდვას და სხვ.; *ევროკავშირი* საქართველოს აღმოუჩენს ამ ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო ტექნიკურ და ადმინისტრაციულ დახმარებას; შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას ბუნების დაბინძურების აღკვეთის მიზნით, საწარმო უსაფრთხოების თავიდან აცილებისათვის და სხვ.; გაძლიერდება *„ტახისის“ (TACIS)* პროგრამები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ფინანსური დახმარების სფეროში.

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო (National Central Bureau of INTERPOL in Georgia) – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში 20.XI.1993 შექმნილი დამოუკიდებელი სამმართველო, რომელსაც *ინტერპოლის* ეროვნული ცენტრალური ბიუროს ფუნქციები დაეკისრა. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 3.I.1994 დადგენილებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა, წარმოადგინოს საქართველო ინტერპოლში – კრიმინალური პოლიციის საერთაშო-

რისო ორგანიზაციაში. ბიურო თავის საქმიანობაში ძირითადად ხელმძღვანელობს ინტერპოლის წესდებით, სათანადო *საერთაშორისო ხელშეკრულებებით*, ეროვნული კანონმდებლობით. ბიურო წარმოადგენს ორი სისტემის სტრუქტურულ რგოლს – ინტერპოლისას და საკუთარი ქვეყნის ეროვნული პოლიციის ძალებს. დაკისრებული ფუნქციების შესრულების პროცესში ბიურო თანამშრომლობს: ინტერპოლის გენერალურ სამდივნოსთან და ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ანალოგიურ ბიუროებთან, ეროვნულ სამართალდამცველ ორგანოებთან, აგრეთვე სხვა კომპეტენტურ უწყებებთან. ბიუროს აქვს საკუთარი სიმბოლიკა და ბეჭედი. სამუშაო რეგლამენტის მიხედვით, ბიუროს აქვს მაკოორდინებელი ფუნქციები, *სამართლებრივი დახმარების* თხოვნისა და *ექსტრადიციის* საკითხების შემთხვევაში კი ოპერატიული სახის დახმარებით შემოიფარგლება, რაც, ძირითადად, ინფორმაციის ქსელით სათანადო შეტყობინებათა გადაცემით გამოიხატება. ბიურო მონაწილეობს ძებნილი დამნაშავეის ადგილსამყოფელის დადგენისა და დამნაშავეის გადაცემის პროცესში. ოპერატიული ხასიათის შეკითხვებსა და ინფორმაციებს შემდგომი რეაგირებისათვის ბიურო უგზავნის კომპეტენტურ უწყებებს. იმ შემთხვევაში, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის ანალოგიური ბიუროები დახმარებისათვის პირდაპირ მიმართავენ საქართველოს გარკვეული სახის ოპერატიულ-სამძებრო სამსახურს, ეს დახმარება ამ სამსახურის სტრუქტურაში არსებული ოპერატიული ქვედანაყოფების საშუალებით ხორციელდება.

საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ (Georgian Law on Citizenship) – მიღებულ იქნა 25.III.1993. კანონი არეგულირებს საქართველოს *მოქალაქეობის* შეძენის, მოქალაქეობიდან გასვლის, მოქალაქეობის შეწყვეტის, აღდგენის წესსა და პროცედურებს. კანონი აღიარებს და განამტკიცებს *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს*. იგი, საერთაშორისო სამართლისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვას როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. კანონით დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა, ანუ აკრძალულია ორმაგი მოქალაქეობა (იხ. *ბიპატრიზმი*). კანონის თანახმად, არავის არ შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს მოქალაქეობის შეძენა შესაძლებელია: დაბადებით, საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (*ნატურალიზაციით*), საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთ გათვალისწინებული საფუძვლებით, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენით. კანონის მე-11 მუხლი აღიარებს სისხლის პრინციპით (იხ. „*სისხლის პრინციპი*“ მო-

ქალაქობის შეძენისა) საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას. კერძოდ, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისი დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს მოქალაქედ ითვლება დაბადების ადგილის მიუხედავად. კანონი არეგულირებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვის მშობლები სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან. კერძოდ, თუ ბავშვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ბავშვი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ, თუ: დაიბადა საქართველოს ტერიტორიაზე; დაიბადა საქართველოს ფარგლებს გარეთ, მაგრამ მის ერთ-ერთ მშობელს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიაზე; ერთ-ერთი მშობელი ბავშვის დაბადების მომენტისათვის, დაბადების ადგილის მიუხედავად, საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე – მოქალაქეობის არმქონე პირი. კანონი ითვალისწინებს ნიადაგის პრინციპით (იხ. „*ნიადაგის პრინციპი*“ მოქალაქეობის შეძენისა) მოქალაქეობის მოპოვების რამდენიმე შემთხვევას. მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვი, რომლის მშობლები უცნობია, ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ, სანამ სხვა რამ არ დადგინდება (მე-15 მუხლი). სრულწლოვან უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მიღება შეუძლია, თუ იგი აკმაყოფილებს კანონით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: მუდმივად ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; დადგენილ ფარგლებში იცის სახელმწიფო ენა; დადგენილ ფარგლებში იცის საქართველოს ისტორია და კანონმდებლობა; საქართველოში აქვს მუდმივი საშუალო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება. კანონი ითვალისწინებს ნატურალიზაციის გაადვილებულ პროცედურას – საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, გამონაკლისის სახით, ნატურალიზაციით მოქალაქეობის მიღების პირობების დაუცველად, საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ: საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობით, აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო, მისი მიღება გამოძინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. სპმშ ითვალისწინებს მოქალაქეობის მიღებას ოპტაციის წესით (იხ. *ოპტაცია*) და საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა საფუძვლებით (რაც გულისხმობს ბავშვის მოქალაქეობის მოპოვებისა და შეცვლის წესს). მაგალითად, ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლა იწვევს 14 წლამდე ასაკის ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას, 14-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით და სხვა. კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის სა-

ფუძვლებია: საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა (კანონი ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც პირს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე), საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა (თუ პირი საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში; მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში; მიიღო სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა); საქართველოს მოქალაქეობა შეიძინა ყალბი დოკუმენტებით; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ორგანული კანონით გათვალისწინებულია სხვა შემთხვევები. მაგ., 14 წელს მიღწეული ბავშვის მშობლების საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა იწვევს ბავშვის მოქალაქეობის შეცვლას. საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა შესაძლებელია, თუ პირს მოქალაქეობა შეუწყდა: მოქალაქეობის არამართლზომიერი შეწყვეტის შედეგად; მოქალაქეობიდან გასვლის შედეგად; მშობლების არჩევანის შედეგად. საქართველოს მოქალაქეობის შექენისა და შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს პრეზიდენტი. კანონი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქმეთა გადაწყვეტის წესს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით, აღიარებულია *საერთაშორისო ხელშეკრულებების პრიორიტეტი* მოქალაქეობის შესახებ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან მიმართებით. თუ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლის მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია მოქალაქეობის შესახებ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებისაგან განსხვავებული წესი, გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმები, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებს არეგულირებს კონსტიტუციის მე-12 და მე-13 მუხლები.

საქართველოში არ არსებობს ორმაგი მოქალაქეობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება, ან მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის ცვლილება 06.02.2004 №3272-სსმ №2, მე-5 მუხ.).

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (Georgian Law on Private International Law) –

მიღებულია 29.IV.1998, ხოლო ძალაში შევიდა 1.X.1998. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესები გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივ გარემოებათა არსებობისას, განსაზღვრავს აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას (1-ლი მუხ.). ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით საქართველოს საერთაშორისო ზელშეკრულებით გათვალისწინებულ წესებს უპირატესი ძალა აქვთ. ამავე კანონით დადგენილია, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს (მე-5 მუხ.). კანონი არეგულირებს იმ საერთაშორისო კერძოსამართლებრივ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციასთან. პირებთან, გარიგებებთან, სანივთო სამართალთან, ვალდებულებით სამართალთან, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალთან, საპროცესო ნორმებთან.

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თა-ვისუფლების შესახებ (Georgian Law on Freedom of Speech and Expression) – კანონი, რომელიც მჭიდრო კავშირშია სიტყვის და გამოხატვის, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლებასთან, პრესის თავისუფლებასთან, მიღებულ იქნა 2004 წლის 24 ივნისს და შეცვალა 1991 წელს მიღებული „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“ კანონი. ამ კანონის მნიშვნელობა ძალზე დიდია. პირველად საქართველოს სინამდვილეში კანონში აისახა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებითაც აღნიშნული უფლებები რეგულირდება. კანონი შედგება ხუთი თავისაგან. პირველ მუხლში მოცემულია ტერმინების განმარტება (მაგალითად, პირადი საიდუმლოება, კომერციული საიდუმლოება, პროფესიული საიდუმლოება, აბსოლუტური პრივილეგია, კვალიფიციური პრივილეგია, უხამსობა, ცილისწამება). კანონის თანახმად, კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს: საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად. ამ ნორმას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამართალშემოქმედებითი, არამედ სამართალგამოყენებითი თვალსაზრისით.

კანონის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობას. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებითა და თავისუფლებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

კანონი განმარტავს პოლიტიკურ და სასამართლო სიტყვის თავისუფლებას, ადგენს შეზღუდვის საფუძვლებსა და წესებს, საიდუმლოების დაცვის პირობებს. აღსანიშნავია, რომ კანონი მკაფიოდ მიჯნავს კერძო პირისა და საჯარო პირის უფლება-მოვალეობებს.

სიტყვისა და გამოხატვის უფლებების შემზღუდველი კანონი უნდა იყოს: პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისაკენ; კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; არადისკრიმინაციული; პროპორციულად შემზღუდველი (იხ. *აზრის გამოხატვის უფლება, ინფორმაციის უფლება*).

საქართველოს სახალხო დამცველი (Public Defender of Georgia) – საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლით „1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. 2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით“.

ამ მუხლის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორგანული კანონი (16.V.1996), რომელიც დაწერილებით არეგულირებს სახალხო დამცველის უფლება-მოვალეობებს და განსაზღვრავს ამ საქმიანობის დამოუკიდებლობის გარანტიებს.

სსდ-ის ფუნქციის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი გამოიხატება იმით, რომ პიროვნების უფლებების დაცვის პროცესი შეიძლება დაიწყოს როგორც დაზარალებული პირების საჩივრის საფუძველზე, ასევე თვით დამცველის ინიციატივით.

საქართველოს პირველი სახალხო დამცველი არჩეულ იქნა 1997 წელს (იხ. აგრეთვე *ომბუდსმენი*).

საყოველთაო საერთაშორისო სამართალი (General International Law) – სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობაში შემაჯალი ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ საერთო

საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საერთაშორისო ჩვეულებებით (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*) დადგენილი პრინციპები და ნორმები, რომლებიც ამ სახელმწიფოების საერთო ინტერესებს ეფუძნება და თანამედროვე *საერთაშორისო მართლწესრიგს* შეადგენს; *ლოკალური საერთაშორისო სამართლისაგან* განსხვავებით, იგი საკლდებულაა აგრეთვე იმ სახელმწიფოებისა თუ სხვა შესაბამისი სუბიექტებისათვის, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ სახის პრინციპებისა და ნორმების შექმნაში. ცალკეულ სუბიექტებს არა აქვთ არა მარტო იმის უფლება, რომ ცალმხრივად დაარღვიონ საყოველთაოდ აღიარებული ქცევის წესები (იხ. *საერთაშორისო სამართლებრივი მასუხისმგებლობა*), არამედ ლოკალური ხელშეკრულების თუ საერთაშორისო ჩვეულების მიხედვით, ე.ი. ურთიერთშეთანხმებით გადაუხვიონ ზოგიერთ ნორმას (იხ. *იმპერატიული ნორმები*). მრავალი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც, კონსტიტუციით აღიარებს *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების* უზენაესობას (მე-ნ მუხ.).

სეგრეგაცია (Segregation) – გარკვეული ეთნიკური ან რასობრივი ჯგუფის იზოლაცია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, დამაბრკოლებელი სამართლებრივი ან ფაქტობრივი შეზღუდვების შეფარდება ამ ჯგუფებისათვის, მათი წევრებისათვის; საეციალური დასახლების პუნქტებში მოთავსება, გადაადგილების შეზღუდვა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დაბალ საფეხურზე იძულებით შეკავება, განათლების სფეროში განცალკევებული სწავლების შემოღება და სხვ. ს *რასობრივი დისკრიმინაციისა* და *აპარტეიდის* შემადგენელი ნაწილია.

სეპარატიზმი (Separatism) – სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები მცირერიცხოვანი *ერის, ეროვნული ან ეთნიკური უმცირესობის* მცდელობა – მიაღწიოს ამ სახელმწიფოს ფარგლებში მაქსიმალურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ავტონომიას, ფედერაციაში ცალკე სუბიექტის სტატუსს, ან საერთოდ გამოეყოს მას დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან გაერთიანებით (იხ. *ირედენტიზმი*). საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, ს-ის ყოველგვარი მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ სახელმწიფოს მთელი მოსახლეობის ნება-სურვილის გამოძეღავენით (რეფერენდუმით, პარლამენტის გადაწყვეტილებით). დაუშვებელია სეპარატიზტული მოძრაობის მცდელობა, ძალით ჩამოაცილოს არსებულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილი და ხელყოს ამ სახელმწიფოს ტერი-

ტორიული მთლიანობა. შეიარაღებული ძალით ანუ აგრესიული სეპარატიზმის გამოვლენით ე.წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა ეწინააღმდეგება *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს* (იხ. *ხალხის თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება*). ამიტომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ ცნობს არცერთი ძალით გამარჯვებულ დამყარებული რეჟიმის დამოუკიდებლობას.

სიკვდილით დასჯა (Death penalty, Capital punishment) – სასჯელის უმაღლესი ზომა. *საერთაშორისო სამართალში* სიკვდილით დასჯის საკითხებსა და სიკვდილმისჯილთა უფლებების დაცვას რამდენიმე *საერთაშორისო ხელშეკრულება* არეგულირებს. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* (1966), რომლის მე-6 მუხლი ადგენს, რომ სასიკვდილო განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ასეთი დანაშაულის ჩადენისას მოქმედი კანონის შესაბამისად. რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ პაქტის დებულებებს (მე-2 პუნქ.), ამასთან, ნებისმიერ სიკვდილმისჯილს უფლება აქვს, ითხოვოს შეწყალება ან სასჯელის შემსუბუქება (მე-4 პუნქ.). პაქტით ასევე გათვალისწინებულია, რომ სასიკვდილო განაჩენი არ შეიძლება გამოტანილ იქნეს 18 წელს მიუღწეველი პირებისა და ორსული ქალების მიმართ (დღემდე აშშ-ის ზოგიერთ შტატში სიკვდილით სჯიან უფრო ნაკლები ასაკის დამნაშავეებსაც). სიკვდილით დასჯა აკრძალულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმით, ევროპის კონვენციის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მეექვსე და მეცამეტე ოქმებით. 1998 წლიდან სიკვდილით დასჯა საქართველოში გაუქმებულია.

სიკვდილით უკანონო დასჯა (Summary, Illegal execution) – ნებისმიერი არაკანონიერი და თვითნებური მკვლელობა, რომელიც ხდება მთავრობის მიერ, ან მთავრობის თანხმობით, პიროვნების დასჯა სათანადო სასამართლო პროცედურების დაცვისა და განაჩენის გამოტანის გარეშე (იხ. *სათანადო სასამართლო პროცესი*).

საშლ უხეშად ლახავს *ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე*.

თანამედროვე *საერთაშორისო სამართალი* და თითქმის ყველა ქვეყნის სამართალი სასტიკად კრძალავს ადამიანის უკანონოდ *სიკვდილით დასჯას*.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ აცხადებს: „სიცოცხლის უფლება თითოეული ადამიანის გა-

ნუყოფელი უფლებაა. ამ უფლებას იცავს კანონი. არავის შეიძლება თვითნებურად წართვან სიცოცხლე“ (მე-6 მუხ. 1-ლი პ).

ვეროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ (მე-2 მუხ.) აცხადებს: 1. „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება ვინმეს განზრახ მოკვდინება, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისთვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს. 2. მოკვდინება არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა: ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისგან; ბ) კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად; გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად“.

მნიშვნელოვან მოვლენად მიჩნეულია კონვენციის ოქმი №6 – „სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ“ (28.IV.1998), რომლის თანახმადაც: „სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. არ შეიძლება ვინმესათვის სიკვდილის მისჯა ან მისჯილი სიკვდილის აღსრულება“ (1-ლი მუხ.), თუმცა „სახელმწიფოს შეუძლია თავის კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სიკვდილით დასჯა ომის ან ომის გარდაუვალი საფრთხის დროს ჩადენილი ქმედებისათვის; ამგვარი სასჯელის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და მისი ღირებულების შესაბამისად. სახელმწიფო აცნობებს *ვეროპის საბჭოს* გენერალურ მდივანს ამ კანონმდებლობის შესაბამისი დებულების შესახებ“ (მე-2 მუხ.).

საქართველოში სიკვდილით დასჯა 1998 წლიდან აკრძალულია (იხ. *სიკვდილით დასჯა*).

„სისხლის პრინციპი“ მოქალაქეობის შექმნისა (Jus sanguinis) – დაბადებით მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი სახე, რომლის მიხედვითაც პირს, მისი დაბადების ადგილის მიუხედავად, მოქალაქეობა ენიჭება მშობლების მოქალაქეობის მიხედვით. 1993 წლის *საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ* ითვალისწინებს „სისხლის“ პრინციპით მოქალაქეობის მიღებას.

სისხლის სამართლის სამართაშორისო სასამართლო (International Criminal Court) – საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი ორგანო. მისი შექმნა გათვალისწინებულია 1998 წლის რომის სტატუტით, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს.

საქართველომ სტატუტის რატიფიკაცია მოახდინა 2003 წლის 5 სექტემბერს და სამი თვის შემდეგ გახდა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. 2004 წლის დამლევისათვის სტატუტის მონაწილეთა რაოდენობამ 100-ს მიაღწია. სასამართლო უფლებამოსილია, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც დაფიქსირებულია სტატუტში, *მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ* მიმართული დანაშაულების კოდექსსა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში. აგრეთვე სსსს წყაროებად გამოიყენებს *საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს*, მათ შორის შეიარაღებული კონფლიქტების ნორმებს; მსოფლიო სამართლებრივ სისტემებზე დაყრდნობით სამართლის ზოგად პრინციპებს; სასამართლოს პრეცედენტებს. სტატუტის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, განახორციელოს დევნა შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის: 1) *გენოციდი*; 2) *დანაშაულებანი ადამიანურობის წინააღმდეგ*; 3) *ომის დანაშაულები*. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ. სსსს ახორციელებს პარალელურ იურისდიქციას ეროვნულ სასამართლოებთან ერთად. პირი არ შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ორივე სასამართლო ორგანოს მიერ, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: 1) თუ სასამართლო პროცესი არ იყო მიუკერძოებელი; 2) თუ სასამართლო პროცესი მიზნად ისახავდა ბრალდებულისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ან თუ საქმე არ იყო სათანადოდ გამოძიებული. იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც სსსს-ს იურისდიქციას ექვემდებარება, არ ვრცელდება ზანდაზმულობის ვადა. სასამართლო შედგება შემდეგი ორგანოებისაგან: 1) პრეზიდიუმი (შედგება თავმჯდომარისა და ორი ვიცე-თავმჯდომარისაგან); 2) სააპელაციო განყოფილება, სასამართლო განყოფილება და წინასწარი წარმოების განყოფილება; 3) პროკურორის კანცელარია; 4) სამდივნო. სსსს-ს ოფიციალური ენებია: არაბული, ესპანური, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ჩინური. სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული (იხ. *ოფიციალური და სამუშაო ენები*). სასამართლოს ადგილსამყოფელია ქ. ჰააგა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები (International criminal tribunals) – ნაირსახეობა დროებითი საერთაშორისო სასამართლოებისა, რომლებიც იქმნება საერთაშორისო სისხლის სამართლის დამრღვევთა დევნისა და გასამართლების მიზნით (იხ. *ნიურნბერგის პროცესი, ტოკიოს პროცესი, ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, რუანდის*

თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი). ასეთი სახის სასამართლოები იქმნება სახელმწიფოთა სპეციალური შეთანხმებით, მათ აქვთ თავისი წესდება. სასამართლო პროცესი შეიძლება ხანმოკლე იყოს (მაგ., ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალები საქმიანობდნენ 1945-1946 წლებში, ჰააგისა და რუანდის ტრიბუნალები 1992-1993 წლებიდან დღემდე აგრძელებენ მუშაობას). 2002 წლის ივლისიდან შევიდა ძალაში პირველი მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი, რომელიც მომავალში გადაიქცევა ერთადერთ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოდ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე (International Criminal Tribunal for Former Yugoslavia) – დაარსდა გაეროს უშიშროების საბჭოს 1993 წლის № 827 რეზოლუციის საფუძველზე. ტრიბუნალი უფლებამოსილია, განახორციელოს სასამართლო დევნა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დანაშაული ჩადინეს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე. წესდების შესაბამისად, ტრიბუნალი განახორციელებს დევნას შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის: 1) გენოციდი, 2) ომის კანონებისა და ჩვეულებების დარღვევა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, 3) ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების საერთო მე-3 მუხლის დარღვევა, აგრეთვე ისეთი დანაშაულებისათვის, როგორებიცაა: განზრახ მკვლელობა, წამება, არაადამიანური მოპყრობა, სამოქალაქო პირების მძევლად აყვანა ან მათი უკანონოდ დეპორტაცია და სხვ. ტრიბუნალთან ერთად პარალელურ იურისდიქციას ახორციელებს ეროვნული სასამართლოები. არც ერთი პირი არ შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცეს ორივე სასამართლო ორგანოს მიერ, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: 1) თუ ეროვნულმა სასამართლომ დააკვალიფიცირა ქმედება როგორც ჩვეულებრივი დანაშაული და არა წესდების მიხედვით; 2) თუ სასამართლო პროცესი არ იყო მიუკერძოებელი და მიზნად ისახავდა ბრალდებულისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას, ან თუ საქმე არ იყო სათანადოდ გამოძიებული. ტრიბუნალი შედგება შემდეგი ორგანოებისაგან: 1) კამერები (სასამართლო და სააპელაციო); 2) ბრალმძებელი (პროკურორის ოფისი), რომელსაც გაეროს უშიშროების საბჭო გენერალური ასამბლეის რეკომენდაციის საფუძველზე ნიშნავს; 3) სამდივნო. სასამართლო კამერები შედგება 3 მოსამართლისაგან, სააპელაციო – 5 მოსამართლისაგან. ტრიბუნალის შემადგენლობაში სულ თერთმეტი მოსამართლეა, რომელთაც გაეროს უშიშროების საბ-

ჭობ მიერ წარმოდგენილი სიიდან *გაეროს გენერალური ასამბლეა* ირჩევს 4 წლის ვადით. სასჯელის მოზღის ადგილს განსაზღვრავს ტრიბუნალი სახელმწიფოთა იმ სიიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ამ პირთა მიღებაზე. ტრიბუნალის ადგილსამყოფელია ქ. ჰააგა.

სიძულვილის დამთმესაჰი ბანცხადება (Hate speech) – ნებისმიერი განცხადება (ზეპირი თუ წერილობითი), რომელიც მიზნად ისახავს, დათესოს სიძულვილი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიმართ და ეფუძნება ამ ადამიანების გარკვეულ დამახასიათებელ ნიშნებს – რასას, კანის ფერს, რელიგიას, *მოქალაქეობას, ეროვნულ თუ ეთნიკურ წარმომავლობას*.

სღბ არ თავსდება *სიტყვის თავისუფლების* ჩარჩოებში და აკრძალულია როგორც *საერთაშორისო სამართლით*, ასევე შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

სიძულვილით ჩადენილი დანაშაული (Hate crime) – დანაშაული რომელიც ჩადენილია დამნაშავეს მიერ დაზარალებულის მიმართ *რასის, კანის ფერის, რელიგიის, მოქალაქეობის, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის გამო*. როგორც წესი, ჩადენილ დანაშაულში სჩდ-ის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში იგი ბრალის დამამძიმებელ გარემოებას მიეკუთვნება (იხ. *შეუწყნარებლობა, რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცია*).

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებებები (Social, Economic and Cultural Rights) – არც ისე დიდი ხანია, რაც სახელმწიფოთა კანონმდებლობებსა თუ საერთაშორისო დოკუმენტებში სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ასახვა დაიწყო. XVIII-XIX საუკუნეთა საკანონმდებლო აქტები თუ კონსტიტუციები, რომლებიც *ადამიანის უფლებებს* ასახავდა, ძირითადად *პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებებზე* ამახვილებდა ყურადღებას. ეკონომიკური და სოციალური უფლებები განიხილებოდა როგორც მათი განვითარების დამატებითი საშუალება. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო უფლებათა ამ ბლოკის ასახვა ნაციონალურ კანონმდებლობაში. ამავე პერიოდს მიეკუთვნება პირველი საერთაშორისო დოკუმენტებიც, რომლებიც ამ სფეროს არეგულირებენ (ძირითადად ეს არის *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის* ეგიდით მიღებული კონვენციები), მაგრამ სახელმწიფოები როდი აღიარებდნენ სპკპ-ს დიდი ენთუზიაზმით,

რასაც შიდასახელმწიფოებრივი ეკონომიკური განვითარების არასაკმარისი მდგომარეობით ხსნიდნენ.

ბოლო ათწლეულებში შეიმჩნევა ახალი მიდგომა ამ უფლებათა მიმართ, როგორც უნივერსალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. ამის დასტურია 1986 წელს ლიბურგის უნივერსიტეტში (პოლანდია) ჩატარებულ შეხვედრაზე მიღებული პრინციპები:

1. ყველა უფლება და თავისუფლება, სოციალურ-ეკონომიკურის ჩათვლით, განუყოფელი და ურთიერთდამოკიდებულია. ისინი *საერთაშორისო სამართლის* განუყრელ ნაწილებად ითვლებან.

2. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტი წვერი სახელმწიფოებისათვის ორიდრულად სავალდებულოა.

საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მიმართ ასეთი ყურადღება განპირობებულია იმით, რომ „თავისუფალი პიროვნების იდეალის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შეიქმნა ისეთი პირობები, როცა თითოეული შეძლებს ისარგებლოს თავისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით, ისევე როგორც თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებებით.“

ეკონომიკურ-სოციალურმა და კულტურულმა უფლებებმა – შრომის უფლება, სოციალური უზრუნველყოფის უფლებები, განათლების უფლება და სხვა – ნორმატიული გამოხატულება პოვა როგორც უნივერსალურ (*საერთაშორისო პაქტში სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ* (1966 წელი)), ასევე რეგიონალურ დონეზე (*ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია, აფრიკის კავშირი*). ევროპაში ეს უფლებები აისახება *ევროპის სოციალურ ქარტიაში* (1961 წელი, შესწორდა 1969 წელს). სახელმწიფომ, პაქტისგან განსხვავებით, რომლის იმპლემენტაციაც, შესაბამისი რესურსებიდან გამომდინარე, თანდათანობით შეუძლია, ქარტიის შესაბამისად ნაკისრი ვალდებულებები დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს.

სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია (Specialised international organization) – უნივერსალური ან რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია (იხ.: *უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია*), რომელიც სახელმწიფოთა შორის გარკვეული სახის თანამშრომლობას ემსახურება. მაგ., ოცამდე უნივერსალური ორგანიზაცია მოქმედებს *გაეროში სპეციალიზებული დაწესებულების* სახით (მაგ. *იუნესკო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია* და სხვ.). სს(ო)-ების

რიცხვს მიეკუთვნება *ვეროპის საბჭო*, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია.

სტატუტი (Statute) – *საერთაშორისო სამართალში* მრავალმხრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ორგანოს საქმიანობას, სტრუქტურას, მიზნებს, ფუნქციებსა და სხვ. (იხ. მაგ., *გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი*).

სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა (Subjects of international law) – *საერთაშორისო სამართლის* ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება ისაა, რომ იგი სახელმწიფოთაშორისი სამართალია, ე.ი. მისი ძირითადი სუბიექტები სახელმწიფოებია. საერთაშორისო სამართლის სპეციფიკა განაპირობებს სუბიექტის ცნების თავისებურებასაც – საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, სამართლის სხვა დარგების სუბიექტებისაგან განსხვავებით, არის სამართლებრივი ურთიერთობის ისეთი მონაწილე, რომელიც არა მარტო ფლობს საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ურთიერთობის სხვა მონაწილეებთან ერთად თვითონ ქმნის ამ ნორმებს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას. მხოლოდ სახელმწიფოებს აქვთ სრული უფლებაუნარიანობა. იგი ეყრდნობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს (იხ. *საყოველთაო საერთაშორისო სამართალი*) და პრაქტიკულად უსაზღვროა, თუკი სახელმწიფოს საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ ძირითად პრინციპებს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გარკვეული მოცულობით სუბიექტად ცნობს აგრეთვე თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს. *გაეროს წესდების* 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები და 55-ე მუხლი აღიარებს ერის (ხალხის) თვითგამორკვევის უფლებას. იმავე დებულებას შეიცავს გენერალური ასამბლეის 1960 წლის 14 დეკემბრის „დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“, *გაეროს* 1970 წლის „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების და თანამშრომლობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად“ (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*) და სხვ.

საერთაშორისო სამართლის არაძირითადი, განსაკუთრებული, სუბიექტებია *საერთაშორისო ორგანიზაციები* – *გაერო*, *გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებანი* (*შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია*, მსოფლიო საფოსტო კავშირი და ა.შ.). ასეთ ორგანიზაციებს მიაკუთვნებენ

საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა რიცხვს იმის გამო, რომ ისინი, ვინაიდან სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციებია, მოქმედებენ საერთაშორისო ასპარეზზე მათი წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში. ეს წესდებანი ანიჭებენ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებს *საერთაშორისო ხელშეკრულებათა* დადებისა და შესრულების უფლებას. სახელმწიფო არის პირველადი, ძირითადი სუბიექტი, *საერთაშორისო ორგანიზაცია* კი მეორეული, არაძირითადი, წარმოებული, სუბიექტი, რომლის უფლებაუნარიანობა ზუსტადაა განსაზღვრული, უპირველეს ყოვლისა, წესდებით და არა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპებით. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის გვეკვლინებიან ისეთებიც, რომლებიც ძირფესვიანად განსხვავდებიან სახელმწიფოების, ერებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სუბიექტობის საწყისებისაგან. ეს სუბიექტები ხელოვნურად შექმნილი ერთეულებია, რომლებიც თავიანთი საეციფიკით ხასიათდებიან და რომელთა უფლებაუნარიანობა პრაქტიკულად ვიწრო, დანიშნულებით ხასიათს ატარებს (იხ. ვატიკანი, (წმინდა ტახტი)).

ბოლო ხანებში ძლიერდება ტენდენცია, აღიარონ ფიზიკური პირი (აღამიანი) საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირი ვერ აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს — ის ვერ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლის ნორმის შექმნაში, მათი შესრულების უზრუნველყოფასა და დაცვაში. ფიზიკური პირები მოქმედებენ როგორც გარკვეული სახელმწიფოს მოქალაქენი და მხოლოდ ამიტომ სარგებლობენ ამ უფლებით; ამ უფლებათა დაცვას აწარმოებს არა თვით ფიზიკური პირი, არამედ მისი სახელმწიფო. ფიზიკურ პირს არა აქვს უფლება, მიმართოს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას პრეტენზიებით თავისი ან უცხო სახელმწიფოს მიმართ. ის მხოლოდ იყენებს სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად წარმოშობილ უფლებებს ან მოვალეა, შეასრულოს გარკვეული ვალდებულებანი, რაზეც პასუხს აგებს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების საფუძველზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი აგრესიული სახელმწიფოს ხელმძღვანელია და მისი ბოროტმოქმედება მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ თავისი მასშტაბით საერთაშორისო ხასიათს ატარებს, მისი გასამართლება ხდება სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალში და საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე. მაგრამ ეს უკვე *საერთაშორისო სისხლის სამართლის* სფეროა, სადაც ფიზიკური პირი დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი სახეა. ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულე-

ბით (იხ. *ფაკულტატიური ოქმი საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ*), ფიზიკურ პირს ეძლევა უფლება, დაიცვას თავისი უფლებები, თუ მონაწილე სახელმწიფო არღვევს მათ. მაგრამ ეს სპეციფიკური სუბიექტუნარიანობაა, რომელიც დღეს *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით* რეგულირდება.

სუვერენიტეტი (Sovereignty) – სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ს-ის ცნება სახელმწიფო და *საერთაშორისო სამართალში* შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ჟან ბოდენმა (1576), რომელიც ასაბუთებდა მეფეების აბსოლუტურ ხელისუფლებას, მათ დამოუკიდებლობას ვინმესაგან, გარდა ღმერთისა. უფრო ადრე, თუმცა პოსტულატის სახით, ეს დოქტრინა საქართველოშიც იჩენს თავს (XI–XIII სს.) და მეფის „ერთუფლების“, „ერთმთავრობის“, „თვითმპყრობელობის“ ტერმინების სახით გვევლინება. ევროპაში ბურჟუაზიული რევოლუციების დროს (XVII–XVIII სს.) ეს ტერმინი ხალხის უზენაესობის ამსახველ პოლიტიკურ და სამართლებრივ ლოზუნგად იქცა – მხოლოდ ხალხი ცხადდებოდა თავისი ბედის ერთადერთ ბატონ-პატრონად, ანუ სუვერენად (ჟან-ჟაკ რუსო). მოგვიანებით (XIX–XX სს-თა მიჯნაზე) *პოზიტივიზმის* მიმდევრებმა ს-ის ცნება მხოლოდ ფორმალურ ნიშან-თვისებამდე დაიყვანეს – მასში ზოგადად გულისხმობდნენ ხელისუფლების უზენაესობასა და დამოუკიდებლობას. დღეს ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელმწიფო ს-ს, ეროვნულ ს-სა და სახალხო ს-ს. სახელმწიფო ს სახელმწიფო ხელისუფლების ნიშან-თვისებაა, რომელიც გამოხატავს ამ ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე; ეროვნული ს არის *ერის* განუსხვისებელი, სისხლხორცეული უფლება, თვითონ განსაზღვროს თავისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ბედი, შექმნას დამოუკიდებელი, ანუ სუვერენული სახელმწიფო (იხ. *სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოებისა*). ეროვნულ უმცირესობებს ასეთი უფლება არ აქვთ; სახალხო ს-ს იგივე ნიშან-თვისებები აქვს, რაც ეროვნულ ს-ს, მაგრამ ზოგჯერ მისი მოქმედების სფერო უფრო ფართო ხასიათისაა – მრავალეროვან საზოგადოებაში ხალხის ცნება არ თავსდება მხოლოდ ერთი ერის ჩარჩოებში, იგი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა თუ ეროვნების მოქალაქეთა კრებისით უფლებად გვევლინება, თუმცა ზოგიერთ ერს შეუძლია, სრულად გამოიყენოს თავისი ეროვნული ს დამოუკიდებელი სა-

ხელმწიფოს შექმნის სახით (იხ. *ბალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება*), და მაშინ ეროვნული ს და სახალხო ს ერთმანეთს ემთხვევა. *საერთაშორისო სამართლისათვის* მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ს-ს, რადგანაც მისი ძირითადი სუბიექტები სუვერენული სახელმწიფოებია (იხ. *სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოებისა*). ეროვნული ს და სახალხო ს განუსხვისებელ უფლებად არის აღიარებული და მათი გარედან ძალით შეზღუდვა თუ გაუქმება *საერთაშორისო დანაშაულად* ითვლება. სახელმწიფო ს ასევე ხელშეუხებელია სხვა სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია, თვითონ, სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით (*ხელშეკრულებით, საერთაშორისო ორგანიზაციაში* მონაწილეობით), ნებაყოფლობით შეზღუდოს თავისი სუვერენული უფლებები საშინაო თუ საგარეო საქმეების ამა თუ იმ სფეროში, რაც არ იწვევს მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, სტატუსის გაუქმებას (იხ. *ვეროკავშირი, ვეროპის საძგრო*), რადგან ეს ხდება სათანადო ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების მონაწილეთა თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის საწყისებზე.

სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა (Sovereign equality of states) – *საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი* (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*), რომელსაც ეყრდნობა *გაეროს წესდება* (მე-2 მუხ., 1-ლი პუნქ.) და რომლის შინაარსი განსაზღვრულია *გაეროს 1970 წლის დეკლარაციით საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ*, აგრეთვე ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტით (იხ. *ეუთო, და ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*). *სუვერენიტეტი* განსაზღვრავს სახელმწიფოების სუბიექტუნარიანობას საერთაშორისო ასპარეზზე და მათ თანასწორუფლებიანობას საერთაშორისო სამართლის წინაშე, განურჩევლად მათი ტერიტორიის სიდიდისა, მოსახლეობის რაოდენობისა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ძლიერებისა; ყოველ მათგანს აქვს თანაბარი უფლებები და მოვალეობანი, რომლებსაც მათ ანიჭებს და აკისრებს *საყოველთაო საერთაშორისო სამართალი* თავისი ძირითადი პრინციპებისა და სხვა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა თუ ნორმების სახით; სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებას – თავიანთი შეხედულებისამებრ განსაზღვრონ და განახორციელონ ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად; მათ უფლება აქვთ, ეკუთვნოდნენ ან არ ეკუთვნოდნენ *საერთაშორისო ორგანიზაციებს*, იყვნენ ან არ იყვნენ ორმხრივ თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებათა მონაწილენი, აქვთ აგრეთვე

ნეიტრალიტეტის უფლება; საერთაშორისო კონფერენციებზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ სხვა საერთაშორისო ორგანოებში ყოველ სახელმწიფოს აქვს თითო ხმა. *გაეროს უშიშროების საბჭოს* მუდმივი წევრების ვეტოს უფლება არ არის მიჩნეული თანასწორობის პრინციპისაგან გადახვევად, რადგან ამ უფლების მქონე დიდ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მსოფლიოში მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვის საქმეში. რაც შეეხება უნივერსალურ საფინანსო ორგანიზაციებს (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი), მათ შემოღებული აქვთ ე.წ. „აწონილი ხმების პრინციპი“, რაც გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის, ეროვნული შემოსავლის სიდიდისა და ორგანიზაციაში ფულადი შენატანის ოდენობის გათვალისწინებას.

სუვერენული სახელმწიფო (Sovereign State) – იხ. სუვერენიტეტი, სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა.

- ტ -

ტექნიკური თანამშრომლობა (Technical cooperation) – მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დანერგილი პრაქტიკა, რომლის მიზანია, დაეხმაროს ცალკეულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა წახალისებასა და დაცვას კონკრეტული პროექტების საშუალებით, რათა განმტკიცდეს და განვითარდეს ამ სფეროში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და მისი განხორციელების ეფექტურობა (იხ. *ადამიანის უფლებათა და დაცვა*). როგორც წესი, ტმ ფორმდება ან სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით, ან არასამთავრობო ორგანიზაციებით. ძირითადი მიმართულება გრანტების გაცემაა, რომლებსაც აწარმოებენ კონკრეტული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები სემინარების, ტრენინგების, მრგვალი მაგიდების მოწყობისათვის, საექსპერტო და ტექნიკური აღჭურვილობის (კომპიუტერები, ავტომანქანები, საკანცელარო საგნები და ა.შ.) უზრუნველყოფისათვის. დიდი ადგილი ეთმობა ამ საქმიანობაში კონსტიტუციის, რიგითი კანონების, კოდექსების შემუშავებისათვის ექსპერტების გამოგზავნას, ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (მაგ., *ვეროპის საქმის*) საექსპერტო დასკვნებით უზრუნველყოფას.

ტოკიოს პროცესი (Tokyo Trial) – იაპონიის იმ მთავარ სამხედრო და მნაშავეთა სასამართლო პროცესი, რომლებმაც *საერთაშორისო დანაშაული* ჩაიდინეს მშვიდობის, ადამიანურობის, *ომის კანონებისა და ჩვეულებათა* წინააღმდეგ. ეს იყო საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში მიმდინარეობდა 3.V.1946–12.IX.1948. ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალი, ისევე როგორც ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალი (იხ. *ნიურნბერგის პროცესი*), ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა (სსრკ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, კანადა, ნიდერლანდი, ახალი ზელანდია, ფილიპინები და ინდოეთი) საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე და მოქმედებდა სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად.

იაპონელ სამხედრო და მნაშავეთა გასამართლება მოხდა 1945 წლის ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციისა და 1945 წლის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებშიც იაპონიის კაპიტულაციის ერთ-ერთ პირობად გათვალისწინებული იყო სამხედრო და მნაშა-

ვეთა დასჯა. საერთაშორისო ტრიბუნალს განსახილველად გადაეცა 28 ადამიანის საქმე. განაჩენი გამოტანილ იქნა 25 პირის მიმართ (მათ შორის: 4 პრემიერ-მინისტრის, 11 ყოფილი მინისტრის, უმაღლესი გენერალიტეტის 8 წარმომადგენლის მიმართ). ტრიბუნალის განაჩენით, 7 მთავარ სამხედრო დამნაშავეს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 16 მსჯავრდებულს – სამუდამო პატიმრობა, ერთს – 20 წლით და კიდევ ერთს – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში აღინიშნა, რომ ომამდელი და ომისდროინდელი იაპონიის პოლიტიკა მიმართული იყო აგრესიული ომების საწარმოებლად, ხოლო იაპონელი მილიტარისტები ჰიტლერული გერმანიის მთავრობასთან ერთად მსოფლიო კეგემონიას ესწრაფოდნენ. ზოგიერთი იაპონელი სამხედრო დამნაშავეს სასამართლო პროცესი გაიმართა 1948 წელს სსრკ-ში, ქ. ხაბაროვსკში, და იგი ხაბაროვსკის პროცესის სახელწოდებით არის ცნობილი.

ტოლერანტობა (Tolerance) – იხ. *შემწყენარებლობა*.

ტოტალიტარიზმი (Totalitarianism) – ავტორიტარული მმართველობის ფორმა, რომლის დროს სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა ქცევის ყველა ასპექტს უკიდურესად ცენტრალიზებული ხელისულება წარმართავს. ტ საზოგადოდ, ფაშისტური და კომუნისტური რეჟიმების აღმნიშვნელი ტერმინია, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი გამოიყენებოდა კონკრეტულად საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტ სახელმწიფოებში გამეფებული მმართველობის სისტემის აღსანიშნავად. ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელია ერთპარტიული სისტემა, პიროვნების თავისუფლების უგულვებელყოფა და მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე უმკაცრესი კონტროლი.

ტრაიბალიზმი (Tribalism) – ტომობრივი დაპირისპირება, ტომთაშორისი შუღლი, ტომთა მისწრაფება განცალკევებისაკენ. ტ თავს იჩენს ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ტომობრივი დაყოფა (ძირითადად აფრიკაში). ტ-ს მოხერხებულად იყენებდნენ კოლონიზატორი ქვეყნები და ტომთა ერთმანეთთან დაპირისპირებით ადვილად აღწევდნენ თავიანთთვის სასურველ შედეგს. დღესაც ტ მნიშვნელოვანი იარაღია გარეშე ძალებისათვის. ზოგჯერ მან შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს ქვეყანა (მაგ., რუანდაში ორი ტომის – ჰუტუს და ტუტსის – დაპირისპირებამ 1994–1996 წლებში მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა). ტ-ის გადმონაშთები შეიმჩნევა ზოგიერთ შედარებით განვითარებულ ქვეყანაშიც. კერძოდ, არჩევნების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა მხარს უჭერს

ამა თუ იმ პიროვნებას მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მათი კუთხის თუ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელია.

ტრეფიკინგი (Trafficking) – ადამიანთა, მათ შორის 18 წლის ასაკამდე ბავშვების, გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ასევე „ტრეფიკინგად“ ითვლება ტრანსპორტირება, გადაყვანა, შეფარება ან მიღება შუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით, მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხისა თუ სხვა სარგებლის მიცემით ან მიღებით, ვისი დამოკიდებულების ქვეშაც იმყოფება მეორე პირი, ან ადამიანის ექსპლუატაციის მიზნით. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს არეგულირებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის კონვენციის ოქმი „ადამიანის, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დასჯად ქმედებად აცხადებს ტ-ს. კერძოდ, 143-ე¹ მუხლი. ადამიანით ვაჭრობად (ტრეფიკინგად) ითვლება ადამიანის ყიდვა და გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე ვადით. ამავე მუხლის მიხედვით, კოდექსის ამ და 143-ე² მუხლების მიზნებისათვის ექსპლუატაციად ჩაითვლება ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ან პროსტიტუციაში ჩაბმის, მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების, აგრეთვე ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის, ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს: მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ჩამორთმევას, თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, ოჯახთან კავშირის, მათ შორის, მიმოწერისა და სატელეფონო კონტაქტების აკრძალვას, კულტურულ იზოლაციას, პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში ყოფნას, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ან არაადეკვატური ანაზღაურებით მუშაობის იძულებას.

საქართველოს კანონმდებლობით, დასჯად ქმედებად გამოცხადებულია არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), არასრულწლოვნის ყიდვა და გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მისი გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა

მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ვადით.

ტუსაღობა (Imprisonment) – იხ. *პატიმრობა*.

- უ -

უდანაშაულობის პრეზუმფცია (Presumption of innocence)

– სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირთადი პრინციპი, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ მანამ, სანამ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაადგენს ამას.

უკ ერთ-ერთი უძველესია სისხლის სამართალში დემოკრატიული საწყისების შეტანის პროცესში. დღეს იგი დაფიქსირებულია მრავალ საერთაშორისო სამართლებრივ და ყველა ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივ აქტში. *საერთაშორისო აქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ* (მე-14 მუხ., მე-2 პ.) და *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ* (მე-6 მუხ.) ერთნაირად აცხადებენ, რომ თითოეული პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, მიიჩნევა უდანაშაულოდ, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

დანაშაულის ჩადენის დამტკიცება მთლიანად ევალება ბრალდებულ მხარეს.

უპიზო უმსკლა (Visa-free entry) – სახელმწიფოში შესვლა ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ვიზის მიცემის აუცილებლობის გარეშე. უდ უ-ის წესი (თუნდაც მოკლევადიანი მგზავრობის დროს, როდესაც საჭიროა უცხო ქვეყანაში შესვლა-გამოსვლის ვიზა) დგინდება სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე (იხ. *შენგენის ვიზა*). უდ უ-ის წესი არ ცვლის ქვეყანაში შესვლა-გამოსვლის ნებართვის მიღების სისტემას, რომელიც ყველა სახელმწიფოში არსებობს და არ გამორიცხავს საზღვარზე ყველა საჭირო დოკუმენტის (მაგ., პასპორტის) წარდგენის აუცილებლობას. ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფოებს შეუძლიათ გახსნან საზღვრები. წესისამებრ, ამგვარი შეთანხმებები ვრცელდება მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოქალაქეებზე. გამონაკლის შემთხვევაში სახელმწიფოებს შეუძლიათ, საზღვარი გახსნან ცალმხრივად (მაგ., *ლტოლვილების მიღების მიზნით* (იხ. *ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები*)). საზღვრის გახსნის პირობებით, რომლებიც ხელშეკრულებაში ან ცალმხრივ აქტებში არის განსაზღვრული, შეიძლება დაიშვას საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი

ლოკუმენტების საფუძველზე (მაგ., პირადობის მოწმობის წარდგენით და სხვ.). ამასთან, საზღვრის გახსნა არ ნიშნავს საბაჟო, სანიტარიული და სხვა სახის კონტროლის ავტომატურად გაუქმებას.

უკანონო დაკავება (Arbitrary detention) – პირის თავისუფლების უფლების შეზღუდვა (ჩამორთმევა) თანამდებობის ან სხვა პირის მიერ, რომელიც ასეთად ითვლება, მასთან შეთანხმებით, მისი თანხმობით ან დასტურით, – კანონით გათვალისწინებული ოფიციალური პროცედურების დარღვევით, რომელთა მიზანია, პირადი თავისუფლების უფლების შეზღუდვა მოაქციოს ადამიანისათვის მკაცრ კანონიერ ჩარჩოებში. უკანონო გრძელდება მანამ, სანამ დაკავებული არ წარდგება დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლოს წინაშე ყველა პროცესუალური გარანტიის უზრუნველყოფით. უკანონო შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაღრაგი დაკავებულს გაათავისუფლებს ყოველგვარი პირობების გარეშე, ან როდესაც კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო განიხილავს მის საქმეს.

უკანონო იმიგრანტი (Unlawful, illegal immigrant) – უცხოელი, რომელიც შემოდის სახელმწიფოში აქ სამუდამოდ ან დროებით დასახლებისათვის (იხ. *იმიგრანტი*), ამ სახელმწიფოში არსებული იმიგრაციული წესების გვერდის ავლით – საზღვრის უკანონო, ფარულად გადალახვის გზით (ყალბი პასპორტების ან სხვა ასეთი დოკუმენტის გამოყენებით, სახელმწიფო საზღვრის მანქანებში სპეციალურად გაკეთებულ სამალავებში მოთავსებით და სხვ.). აგრეთვე, აღსანიშნავია ის პირები, რომლებიც თავდაპირველად კანონიერად შედიან ქვეყანაში, მაგრამ მერე, ვიზის ვადის გასვლის შემდეგ, რჩებიან და ემალებიან ხელისუფლების წარმომადგენლებს. უკანონო იმიგრანტის სახელმწიფო, როგორც წესი, ახდენს მათ *გაძევებას* ან *დეპორტაციას*, გამონაკლის შემთხვევებში, სახელმწიფო გამოსცემს ერთჯერად აქტს, რომლითაც იმ დროისთვის ყველა უკანონო იმიგრანტს ლეგალურ სტატუსს.

უკანონო რადიომაუწყებლობა (Unlawful radio broadcasting) – საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, რომელიც ხელყოფს საერთაშორისო ურთიერთობათა სტაბილურობას და რომლის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა დადგენილია ელექტროკავშირის 1965 წლის საერთაშორისო კონვენციით, საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენციით, ევროპის 1965 წლის შეთანხმებით ისეთი მაუწყებლობის აკრძალვის შესახებ, რომელიც ხორციელდება სახელმ-

წიფო ტერიტორიების გარეთ განლაგებული სადგურებიდან. ამ ხელშეკრულებათა მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დააკისრონ იმ პირებს, ვინც დაძაშავეა არასანქცირებული რადიო- ან ტელეგადაცემების მოწყობაში, რომლებიც განკუთვნილია მომიჯნავე თუ სხვა ქვეყნების მოსახლეობისათვის.

საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის კონვენცია კრძალავს არასანქცირებულ გადაცემებს და ადგენს სპეციალურ წესებსა და პასუხისმგებლობას სათანადო პირისათვის იმ სახელმწიფოს სასამართლოში, რომლის ალმითაც ღია ზღვაში დაცურავს ზომალდი, საიდანაც ხორციელდება უკანონო მაუწყებლობა; სადაც რეგისტრირებულია დანადგარი, რომლიდანაც ხორციელდება მაუწყებლობა; რომლის მოქალაქე აწარმოებს არასანქცირებულ გადაცემას; სადაც იღებენ ისეთ გადაცემებს (ან შეიძლება მიიღონ), რომლის კანონიერ მაუწყებლობას შეფერხებას უქმნიან. ამ სახელმწიფოთა სამხედრო ზომალდებს (სამხედრო საფრენ აპარატებს) ან სხვა უფლებამოსილ ზომალდებს შეუძლიათ შეამოწმონ ზომალდები (რომლებსაც სახელმწიფო იმუნიტეტი არ გააჩნიათ), საიდანაც არასანქცირებული მაუწყებლობა წარმოებს, თუ საფუძვლიანი ეჭვი აქვთ უკანონო რადიო- და ტელეგადაცემათა შესახებ.

უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი (Most favored nation principle) – საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვით, სახელმწიფოები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ერთმანეთს უპირატესობებსა და შეღავათებს ანიჭებენ სხვადასხვა სფეროში (იხ. *უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა*).

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა (Legal status of aliens) – სახელმწიფოში მცხოვრები იმ პირების უფლებამოვლევობათა ერთობლიობა, რომლებსაც ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა არ აქვთ. სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა უცხოელთა (იხ. *უცხოელი*) რეჟიმის ორი სახე: 1) ეროვნული რეჟიმი – უსმ-ის გათანაბრება ადგილობრივ მოქალაქეთა მდგომარეობასთან; 2) უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი – უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის ისეთ უფლებათა მინიჭება, რომლებითაც ამ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს ყველაზე მეტი უფლების მქონე მოქალაქენი სარგებლობენ. მაგალითად, თუ საფრანგეთში ყველაზე პრივილეგირებული უფლებებით ინგლისის მოქალაქენი სარგებლობენ, ხოლო იტალიას საფრანგეთთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს უპირატესი ხელშეწყობის პრინ-

ციას. საფრანგეთში მცხოვრებ იტალიელებზეც გავრცელდება ყველა ის უფლება. რომლებიც იქ ინგლისის მოქალაქეებს აქვთ. უფრო მეტიც, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ ინგლისელთა უფლებები საფრანგეთში უფრო გაფართოვდა, იქ ავტომატურად გაფართოვდება იტალიელთა უფლებებიც; 3) სპეციალური რეჟიმი – იგი გულისხმობს ხელშეკრულების ძალით უცხოელებისათვის განსაკუთრებულ უფლებათა მინიჭებას, მაგალითად, უცხო შეიარაღებული ძალების ბაზებისა და მათი პირადი შემადგენლობისათვის; 4) პრივილეგირებული რეჟიმი – უცხოელს ენიჭება უფრო მეტი უფლება, ვიდრე ადგილობრივ მცხოვრებლებს აქვთ. ეს რეჟიმი დღეს იშვიათი მოვლენაა, წინათ კი იგი „კაპიტულაციების რეჟიმის“ სახით ახლო და შუა აღმოსავლეთში მყოფი ევროპისა და ამერიკის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ძირითადი რეჟიმი იყო. დიპლომატიური პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მქონე პირები უსმ-ის არცერთ ამ კატეგორიას არ განეკუთვნებიან.

აღნიშნული რეჟიმის ძირითადი სახეებია პირველი ორი. *საერთაშორისო სამართალში* განასხვავებენ მატერიალური და ფორმალური ნაცვალგების პრინციპს. პირველ შემთხვევაში უცხოელებს მათ ადგილსამყოფელ სახელმწიფოში ენიჭებათ ზუსტად ისეთივე უფლებები, როგორც მინიჭებული აქვთ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს უცხოელთა სახელმწიფოში. უფრო ფართოდ გამოიყენება ფორმალური ნაცვალგება ამ რეჟიმის მოცულობის დაზუსტების გარეშე, ოღონდ იმ პირობით, რომ ასევე მოექცევა ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს უცხოელთა მშობლიური ქვეყანა. ნაცვალგების პირობა განისაზღვრება როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, ასევე *საერთაშორისო ხელშეკრულებით*. თუ როგორ იყენებს უცხოეთის სახელმწიფო ნაცვალგების პრინციპს, ამას არკვევს სასამართლო ან სხვა ორგანო, რომელიც საამისოდ სათანადო ნორმას იყენებს. თუ აღმოჩნდება, რომ უცხოეთის სახელმწიფო არ იცავს ნაცვალგების პრინციპებს, დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია, დამრღვევის მიმართ გამოიყენოს *რეტორსია*, ანუ „სამაგიეროს მიზღვა“ და თვითონაც ანალოგიურად შეზღუდოს თავის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებანი. ადგილობრივ მოქალაქეებთან უცხოელთა გათანაბრება ხდება უფლებათა მხოლოდ ძირითად სფეროში. უცხოელები მოკლებული არიან ისეთ პოლიტიკურ უფლებებს, როგორებიცაა: აქტიური და პასიური ხმის უფლება, პოლიტიკური პარტიის შექმნის ან რომელიმე პარტიის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება. უცხოელი თავისუფალი სამხედრო სამსახურისაგან და მასთან დაკავშირებული საბეგრო-საგადასახადო ვალდებულებებისაგან, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა ასეთ გამოწვევას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება სხვა გადასახადებს, მათ

ყველა უცხოელი უნდა იხდიდეს, თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (იხ. *ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება*). უცხოელი არ წყვეტს კავშირს თავის სახელმწიფოსთან, რომელიც მოვალეა, დაიცვას თავისი მოქალაქის უფლებები საზღვარგარეთ.

1990 წლის დეკემბერში *გაეროს გენერალურმა ასამბლეამ* მიიღო და ხელმოწერისათვის გახსნილად გამოაცხადა „საერთაშორისო კონვენცია ყველა მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრთა დაცვის შესახებ“ (იხ. *მიგრანტ-მუშები*). საქართველოში უცხოელებს ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ და ისეთივე მოვალეობანი აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თუ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სამისოდ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. უცხოელთა ეს უფლება-მოვალეობანი გარანტირებულია: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს 3.VI.1993 კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, აგრეთვე *საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით* და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისოსამართლებრივი ნორმებით. უცხოელები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, *ეროვნული* კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკურ თუ სხვა შეხედულებათა, საქმიანობის სფეროს თუ სხვა გარემოებათა მიუხედავად. საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, მათ უფლებებსა და თავისუფლებებს; საქართველო თავის მოქალაქეებს იცავს საქართველოს ფარგლებს გარეთ.

საქართველოში უცხოელთა უფლებამოსილებების აღსრულება არ უნდა იწვევდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შელახვას, საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებების შეზღუდვას, მათი კანონიერი ინტერესების უგულებელყოფას. იმ სახელმწიფოების მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს განზრახ შეზღუდავენ, საქართველო დააწესებს ადეკვატურ შეზღუდვებს. კანონი განსაზღვრავს საქართველოში მუდმივად და დროებით მცხოვრები უცხოელების სტატუსს, მათ შესაბამის უფლება-მოვალეობებს, საქართველოში მათი შემოსვლისა და საქართველოდან გასვლის წესებს. უცხოელი მოქალაქეები და საქართველოში დროებით მყოფი ის პირები, რომლებსაც მოქალაქეობა არ აქვთ, ვალდებული არ არიან, იმსახურონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ხოლო ის პირნი, რომლებიც საქართველოში მუდმივად ცხოვრობენ და

მოქალაქეობა არ აქვთ, სამხედრო ვალდებულად მიიჩნევიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უცხოელი (Alien) – სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყოველი პირი, რომელსაც ამ სახელმწიფოს *მოქალაქეობა* არ აქვთ. აღნიშნულ კატეგორიას, პირველ რიგში მიეკუთვნება უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, ე.ი. ის პირი, რომელსაც აქვს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები (იხ. *აპატრიდი*). საქართველოს 3.VI.1993 კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ეყრდნობა ამ საყოველთაოდ აღიარებულ განსაზღვრებას: „საქართველოში უცხოელებად ითვლებიან: ა) პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქენი); ბ) პირები, რომლებიც არც საქართველოს მოქალაქეები არიან და არც სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი არა აქვთ (მოქალაქეობის არმქონე პირები)“.

- 3 -

შაკულტატიური ოქმები საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (Optional Protocols to International Covenant on Civil and Political Rights) – დოკუმენტი, რომელიც ამ პაქტის საფუძველზე შექმნილ ადამიანის უფლებათა კომიტეტს ანიჭებს უფლებას, მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები პაქტის მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფ ცალკეულ პირთაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული ამა თუ იმ უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან. არც ერთ ასეთ შეტყობინებას კომიტეტი არ მიიღებს, თუ იგი ეხება პაქტის მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც არ არის ამ ოქმის მონაწილე; აგრეთვე არ მიიღებს შეტყობინებას იმ შემთხვევაში, თუ არ არის ამოწურული სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება, ან თუ შეტყობინებაში აღძრული საკითხი განხილულ იქნა საერთაშორისო გარჩევის ან მოწესრიგების სხვა პროცედურის შესაბამისად. ეს წესი არ გამოიყენება, თუ სათანადო შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებში ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხის განხილვის პროცესი გაუმართლებლად გაჭიანურდა. ოქმი მიღებულ იქნა და ხელმოწერის, რატიფიკაციისა და შეერთებისათვის ღია გახდა გაეროს გენერალური ასამბლეის 16.XII.1966 რეზოლუციით, ხოლო ძალაში შევიდა 23.III.1976. საქართველო ამ ოქმს შეუერთდა 1994 წელს.

შაკტების დადგენის ჯგუფები (Fact-finding missions) – საერთაშორისო დავათა მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალება. ეს პროცედურა გამოიყენება დავის მიზეზის ან შეთანხმების დარღვევის ფაქტის დასადგენად. პროცედურა შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებას, მაგალითად: მხარეთა მოსმენას, მოწმეების დაკითხვას, ადგილზე დათვალიერებას, მტკიცებულებათა მოძიებასა და ა.შ. პროცედურის განსახორციელებლად ხშირად იქმნება შერეული კომისიები, რომელთა ფორმირება ხდება სხვადასხვა წესით. შემთანხმებული კომისიის ფორმირებას ახდენენ როგორც მხარეთა შეთანხმების, ისე მესამე მხარის წარმომადგენლები. ხშირად **ვლ-ს** ახორციელებს არა შერეული კომისია, არამედ *საერთაშორისო ორგანიზაცია*, მისი ორგანო ან ამ ორგანოს თანამდებობის პირი.

შდ-ის ჯგუფი აქტიურად გამოიყენება ადამიანის უფლებათა დარღვევის ადგილზე შესწავლის მიზნით. ეს შეიძლება ხდებოდეს საერთაშორისო ორგანიზაციისა (*გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო, ევროპის კავშირი, დსთ* და სხვ.) და იმ სახელმწიფოს შეთანხმებით, რომლის ტერიტორიაზე მოხდა (ხდება) ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა ან ეს ხდება ორგანიზაციის ცალმხრივ გადაწყვეტილებათა საფუძველზე კონკრეტული სახელმწიფოს დაუკითხავად (*მაგ., გენოციდის, ეთნიკური წმენდის, წამების* და სხვ. ფაქტები).

შორსმაშორი (Force-majeure) – საერთაშორისო (საჯარო) და საერთაშორისო კერძო სამართალში მოქმედი პირობა, რომელიც დროებით ან საერთოდ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს (მხარეს) ვალდებულებათა შესრულებისაგან მათთვის (მისთვის) დამოუკიდებელი შემთხვევის დადგომისას. მაგალითად, *საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონით ნათობისა და გაზის შესახებ* განსაზღვრულია, რომ სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი და სხვა საწარმოო არეულობანი, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერის ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომლებიც მხარეთა კონტროლს არ ექვემდებარება და რომელთა თავიდან აცილება მათ მიერ შეუძლებელია, არ ითვლება ინვესტორის ფინანსური მდგომარეობის გაუარესებად, თუ იგი ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული.

შმ-ზე დაყრდნობით შეიძლება მოხდეს ადამიანის უფლებების გარკვეული სფეროს შეზღუდვა, როდესაც სახელმწიფო უძღურია, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებების დაცვა (*მაგ., კონფლიქტის არიდან უამრავი ლტოლვილის შემოსვლა, სამოქალაქო ომით გამოწვეული არეულობა და სხვ.*)

- ქ -

ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა (Trafficking in women and children) – საერთაშორისო ხასიათის დანაშაულობანი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო თანამშრომლობასა და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. XX საუკუნის პირველ ნახევარში დაიღო მთელი რიგი ხელშეკრულებებისა, რომლებიც მიმართული იყო ამ დანაშაულებრივ ქმედებათა წინააღმდეგ. ადამიანებით ვაჭრობისა და მესამე პირთა მიერ პროსტიტუციის ექსპლუატაციასთან ბრძოლის შესახებ კონვენციაში, რომელიც ხელმოსაწერად 2.XII.1949 გაიხსნა, ხოლო ძალაში 25.VII.1951 შევიდა, ჩამოთვლილია ქმედებები, რომელთა ჩადენისათვის კონვენციის მონაწილე მხარეები ვალდებულიებას კისრულობენ, დასაჯონ დამნაშავე პირები (იხ. 1-ლი და მე-2 მუხლები).

ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (Committee on elimination of discrimination of women) – შექმნილია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე (1979), რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში სახელმწიფოს მიერ ქალთა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნას და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველყოფას. კომიტეტი ზედამხედველობას უწევს იმას, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფოები კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. იგი შედგება 23 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან. წევრები აირჩევიან 4 წლის ვადით. კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოთა მოხსენებებს (მე-18 მუხ.) კონვენციის დებულებების შესრულებისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებულ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ თუ სხვა ღონისძიებათა შესახებ. კომიტეტი გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით გაეროს გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას თავისი საქმიანობის შესახებ. სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი მოხსენებების მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები სარგებმენდაციო ხასიათისაა.

ქალთა ვდგომარეობის კომისია (Commission on the Status of Women) – გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ეკოსოსი) კომისია, რომელიც დაფუძნდა ეკოსოსის №5(1) რე-

ზოლუციის საფუძველზე 1946 წელს. კომისია შედგება 32 სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ოთხი წლის ვადით აირჩევიან. იგი იკრიბება ორ წელიწადში ერთხელ. კომისია ამზადებს რეკომენდაციებს, მოხსენებებსა და საკონსულტაციო დასკვნებს ეკოსოსისათვის ქალთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვის სფეროში. კომისიამ მონაწილეობა მიიღო ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების შემუშავებაში, როგორებიცაა: 1) 1951 წლის *კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ*; 2) 1957 წლის *კონვენცია დაქორწინებული ქალის მოქალაქეობის შესახებ*; 3) *კონვენცია (1979) ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ* და სხვ.

ქალთა უფლებები (Rights of women) – *ადამიანის უფლებები*, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა უფლებებთან და თავისუფლებებთან. *საერთაშორისო სამართალში* მიღებულია რამდენიმე საერთაშორისო აქტი, რომლებიც განსაზღვრავენ ქალთა სტატუსს. ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ფუნდამენტური პრინციპია ქალთა დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა თითქმის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებით. სხვა საერთაშორისოსამართლებრივ აქტებთან ერთად ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპი გათვალისწინებულია: *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში* (1948), *საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* (1966), *საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ* (1966), აგრეთვე *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის* კონვენციაში *შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ* (1958), *იუნესკოს* კონვენციაში *განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ* (1960), *კონვენციაში მამაკაცთა და ქალთა მიერ თანაბარი საშუაოს შესრულებისათვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ* (1951). ქალთა სტატუსს აწესრიგს ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებებიც, როგორებიცაა: *კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ* (1952) და *კონვენცია გათხოვილ ქალთა მოქალაქეობის შესახებ* (1957). განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 19.XI.1979 კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: იგი ითვალისწინებს ქალთა ფუნდამენტურ უფლებებს და ქმნის სახელმწიფოების მიერ ამ უფლებათა შესრულების ზედამხედველობის მექანიზმს, რაც სახელმწიფო მოხსენებათა განხილვით გამოიხატება. *გაეროს* ფარგლებში მოქმედებს კომისია ქალ-

თა მდგომარეობის შესახებ, რომელიც გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს დამხმარე ორგანოა.

ქსენოფობია (Xenophobia) – შეუწყნარებლობა უცხოელების მიმართ, რომლებიც შემოდინან ქვეყანაში. ქ ეფუძნება რწმენას, რომ უცხოელები ქმნიან ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ, სოციალურ გარემოს, აუარესებენ მკვიდრი მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ მდგომარეობას. ქ ჯერ კიდევ ძველი დროიდან მომდინარეობს (საკუთრივ ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა), მაგრამ თანამედროვე ეტაპზე სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მასობრივი იმიგრაციის (იხ. *მიგრანტ-მუშები*) პირობებში ეს მოვლენა ევროპასა და აშშ-ი ფართო მასშტაბებს იღებს და ხშირად მკვიდრ მოსახლეობასა და *იმიგრანტთა* შორის სისხლისმღვრელ კონფლიქტებს იწვევს. ქ რადიკალური, ექსტრემისტული პარტიების საარჩევნო პროგრამებში პოპულობს ადვილს, რომლებიც დასაქმების პრობლემებს უცხოელების ფაქტორით ასაბუთებენ.

ევროპის საბჭო სასტიკად ებრძვის ამ მოვლენებს (იხ. *რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია*). აღსანიშნავია, რომ ქ არა მარტო ევროპისა თუ აშშ-ის გარეთ მდებარე ქვეყნებიდან დაძრულ იმიგრანტებს ეხება, არამედ თვით ევროპის ამა თუ იმ ქვეყნებიდან გასულ მოსახლეობასაც.

- უ -

შემოწყნარებლობა (Tolerance) – განსხვავებული *ეროვნული* თუ *ეთნიკური*, ენობრივი თუ რელიგიური წარმომავლობის, *რასისა* თუ *კანის ფერის*, *მოქალაქეობისა* თუ სხვა ნიშნებით გამოჩენილი ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, რომელიც გამორიცხავს *რასიზმს*, *რასობრივ დისკრიმინაციას*, სიძულვილს (იხ. *სიძულვილის დამთესვა*, *სიძულვილით ჩადენილი დანაშაული*) და ყოველთვის კეთილგანწყობით ხასიათდება, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ლახავს აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებებსა და თავისუფლებებს (იხ. *ადამიანის უფლებათა პატივისცემა*). შ შეიძლება უარყოფითად შეფასდეს, როდესაც საზოგადოება ითმენს რეაქციული, ექსტრემისტულად განწყობილი პოლიტიკური პარტიების, მათი წევრების, რიგითი მოქალაქეების რასისტულ, ანტიჰუმანურ გამოხტომებს.

საქართველოში შ-ის ოფიციალური იდეოლოგია და მისი ცხოვრებაში რეალიზაცია ყოველთვის იყო ძალზე მაღალი. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანაში არსებული შ იმდროინდელ და მომდევნო დროის წყაროებში ხასიათდება როგორც უნიკალური.

შეუწყნარებლობა (Intolerance) – პიროვნებისა და პიროვნებათა ჯგუფის, სახელმწიფოს ან არასამთავრობო ორგანიზაციების, საწარმოთა ხელმძღვანელობის და ა.შ. მხრიდან სხვა ადამიანთა ან მათი ჯგუფების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, დაფუძნებული ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: მათი *რასა*, *კანის ფერი*, *ენა*, *რელიგია*, *მოქალაქეობა*, *ეროვნული* თუ *ეთნიკური წარმომავლობა*. შ, როგორც წესი, გამოიხატება *რასიზმში*, *რასობრივ დისკრიმინაციაში*, რომელიც ყველა ზემოაღნიშნულ ფაქტორს შეიცავს, *ქსენოფობიაში*, *სიძულვილის დამთესვ* გამოსვლებში, *სიძულვილით ჩადენილ დანაშაულში*. შ ყოველთვის აქტიურ ფორმას ატარებს, რაც უხეშად არღვევს *გაეროს წესდების*, *ვეროპის საბჭოსა* და *ვეროპის კავშირის*, სხვა მთავრობათშორისი *საერთაშორისო ორგანიზაციების* ფუძემდებლურ აქტებს, რომლებიც განამტკიცებენ პრინციპს: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებით. მათ მომადლებული აქვთ გონება, სინდისი და ერთმანეთს ძმობის სულისკვეთებით უნდა ეპყრობოდნენ“ (*ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია*, 1-ლი მუხ., *გაეროს წესდება*).

ევროპის საბჭომ შექმნა სპეციალური ორგანო – *რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია (ECRI)*, რომელსაც დაეკისრა შ-ის ნებისმიერ გამოვლინებასთან საბრძოლველად საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს დარაზმვა და მათ მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების პროცესის *მონიტორინგი*.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლი დასჯადად აცხადებს რასობრივი, რელიგიური, ეროვნული თუ ეთნიკური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ მკვლელობას, სხეულის სერიოზულ დაზიანებას, წამებას (114-ე, 126-ე მუხ.). კოდექსი ასევე გამოყოფს ისეთი დანაშაულობების დასჯადობას, როგორებიცაა: საფლავების წაბილწვა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული თუ ეთნიკური შეუწყნარებლობის საფუძველზე (258-ე მუხ.), აპარტიდის ან რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული *საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის* განზრახ დარღვევა (411-ე მუხ.), *გენოციდის* დანაშაული (407-ე მუხ.).

შვილად აყვანა (Adoption of children) – ბავშვის უფლება – სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის იცხოვროს და აღიზარდოს ოჯახურ გარემოში, თუ იგი დარჩენილია მშობლის მზრუნველობის გარეშე. შპ ასეთ ბავშვთა მოვლის ყველაზე მისაღები ფორმაა. გაშვილებისას ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოს განსაკუთრებული პრეროგატივაა. ბავშვთა უფლებები აღიარებულია 1959 წლის ბავშვთა უფლებების დეკლარაციითა და 1989 წლის ბავშვთა უფლებების კონვენციით. ბავშვთა გაშვილებისას ბავშვთა უფლებების დაცვას შეეხება გაეროს 1986 წლის „საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის სოციალურსამართლებრივი პრინციპების დეკლარაცია“. დეკლარაციის თანახმად, შვილად აყვანის მიზანია ბავშვის მუდმივი ოჯახით უზრუნველყოფა, როდესაც მასზე ზრუნვას ვერ ახორციელებენ მშობლები (მე-13 მუხ.). დეკლარაციაში განსაზღვრულია სახელმწიფოს როლი გაშვილებულ და აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვთა უფლებების დაცვის საქმეში. დეკლარაციით სახელმწიფო ვალდებულია, განსაზღვროს საზღვარგარეთ გაშვილებულ ბავშვთა უფლებების დაცვის პოლიტიკა, დააწესოს მკაცრი კონტროლი და შეიმუშაოს ამ სფეროში კანონმდებლობა (მე-18 მუხ.).

საქართველოში შვილად აყვანის პროცედურასა და სუბიექტებს განსაზღვრავს საქართველოს 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონი „შვილად აყვანის შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირთა და უცხოელების მიერ საქართ-

ველოში მცხოვრები, მშობლების ზრუნვას მოკლებული არასრულწლოვანი ბავშვების გაშვილების პროცედურის დარეგულირება. კანონის მიხედვით, შვილად აყვანის საკითხებზე უფლებამოსილი დაწესებულებაა საქართველოს განათლების სამინისტრო თავისი ტერიტორიული ორგანოებით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები შესაბამისი ტერიტორიული ორგანოებით. კანონით განსაზღვრულია ბავშვის სხვა სახელმწიფოში გაშვილების პროცედურა. თუ საქართველოში მშვილებელთა და ბავშვთა ინტერესებისა და კანონის გათვალისწინებით არ მოიძებნა მშვილებელი, შეიძლება დაისვას საკითხი ბავშვის სხვა სახელმწიფოს მოქალაქეზე გაშვილების შესახებ, როგორც ბავშვის მოვლის ალტერნატიული საშუალება. საზღვარგარეთ ბავშვის გაშვილება შესაძლებელია მხოლოდ საინფორმაციო ბანკში მათი აღრიცხვაზე აყვანიდან 6 თვის შემდეგ. თუ ბავშვის სიცოცხლეს რაიმე საშიშროება ემუქრება (მაგალითად, განუკურნებელი ავადმყოფობა), ეს ვადა შეიძლება სასამართლოს მიერ შემცირდეს.

შოვინიზმი (Chauvinism) – ეთნიკური ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა. იგი ქდაგებს საკუთარი ერის გამორჩეულობას, ეროვნულ მტრობასა და სხვა ერების სიძულვილს. შ მიზნად ისახავს დაამტკიცოს სხვა ერების „არასრულფასოვნება“ და ამით გაამართლოს მათზე ბატონობა. განსაკუთრებით საშიშია დიდმპყრობელური შ., რომელიც დიდი ერებისათვის არის დამახასიათებელი და მიმართულია პატარა ერების დაპყრობის, ასიმილაციისა და ზოგჯერ განადგურებისაკენ. ასეთ უკიდურესობათა გამოვლინება დამახასიათებელი იყო ველიკორუსული, ჩინური, იაპონური და გერმანული (ნაციზმის პერიოდში) შოვინიზმისათვის. დღეს შ აგრესიული სეპარატიზმის ერთ-ერთ იარაღად არის ქცეული. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმართის სამიტზე დაგმობილ იქნა შ, ისევე როგორც აგრესიული სეპარატიზმი, ნაციონალიზმი და ფაშიზმი. სამიტის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, გააძლიერონ მათი აღმოზერის ღონისძიებანი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (World Labour Organisation) – შეიქმნა 1919 წელს ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე როგორც ერთა ლიგასთან არსებული ავტონომიური ორგანიზაცია. 1946 წლიდან მოქმედებს როგორც *გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება*. ამჟამად ორგანიზაციის წევრია 171 სახელმწიფო, მათ შორის საქართველო. მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობენ ამ სახელმწიფოების პროფკავშირებისა და მეწარმეთა

დელეგატები. ორგანიზაციის მიზანია, შეისწავლოს ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ცხოვრებისა და შრომის პირობები და ხელი შეუწყოს მათ გაუმჯობესებას, იქ ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის დამკვიდრებას, სოციალური დაზღვევისა და სრული დასაქმების უზრუნველყოფას, მოზარდთა და ქალთა შრომის დაცვას, ხელფასის დამაკმაყოფილებელი დონისა და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების გარანტირებას, სილატაკის წინააღმდეგ ბრძოლას და ა.შ. ორგანიზაცია ამზადებს და შეიმუშავებს საერთაშორისო კონვენციებისა და რეკომენდაციების პროექტებს ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე. ორგანიზაციამ შეიმუშავა შრომის საერთაშორისო კოდექსი, რომელშიც ჩამოყალიბებულია შრომასთან დაკავშირებული მინიმალური სტანდარტები.

შსო-ის უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, რომელსაც წელიწადში ერთხელ მაინც იწვევენ, ხოლო აღმასრულებელი ორგანოა ადმინისტრაციული საბჭო, რომელიც წელიწადში სამოთხჯერ ატარებს თავის სხდომებს ჟენევაში. საბჭო 56 წევრისაგან შედგება, რომელთაგან 28 წევრი მთავრობის წარმომადგენელია, ხოლო 14—14 წევრი — მეწარმეთა და პროფკავშირებისა; 10 მუდმივი ადგილი მიცემული აქვთ „პირველხარისხოვანი სამრეწველო მნიშვნელობის ქვეყნებს“, ხოლო 14 წევრი აირჩევა გენერალური კონფერენციის მიერ სამი წლის ვადით. ადმინისტრაციული საბჭო ხელმძღვანელობს მუდმივ სამდივნოს — შრომის საერთაშორისო ბიუროს და სხვადასხვა კომისიისა და კომიტეტის მუშაობას, განსაზღვრავს ორგანიზაციის ბიუჯეტს და ირჩევს მის გენერალურ დირექტორს უდიდესი ქვეყნების დედაქალაქებში. 1969 წელს ორგანიზაციას მიენიჭა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. ორგანიზაციის შტაბ-ბინა ქ. ჟენევაშია.

- ბ -

ძირითადი პრინციპები ნებისმიერი ზორმის კატიმართა ან დაკავებულთა უფლებების შესახებ 1988 წლის (Basic Principles for the Treatment of Prisoners (1988)) – იხ. ტუსალობა.

ძირითადი პრინციპები სამართაშორისო სამართლის (Main principles of international law) – საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ყველაზე უფრო ზოგადი, უმნიშვნელოვანესი და საყოველთაოდ აღიარებული ქცევის წესები, რომლებიც მთელი საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის ქვაკუთხედად ითვლებიან, გამოხატავენ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის საერთო ნებასა და ინტერესებს, ეფუძნებიან კაცობრიობის განვითარების პროცესის შედეგად დღეისათვის დამკვიდრებულ ზოგადსაკაცობრიო მორალურ ფასეულობებსა და პრინციპებს და სავალდებულოა ყველა არსებული, მათ შორის, ახალაღმოცენებული სახელმწიფოებისათვის, აგრეთვე სხვა სუბიექტებისათვის. შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპებისაგან განსხვავებით (ამ უკანასკნელთა შორის ზოგიერთს არ გააჩნია სამართლებრივი ქცევის წესის ძალა და ისინი მხოლოდ ზოგად მოთხოვნას ან რეკომენდაციას აფიქსირებენ, მაგ., შეჯიბრებითობის პრინციპს სისხლის სამართლის პროცესში), საერთაშორისო სამართლის ყოველი ძირითადი პრინციპი იურიდიული ნორმაა, რომლის სავალდებულობა ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ზოგად საერთაშორისო ხელშეკრულებას ან საერთაშორისო ჩვეულებას, ან ორივეს ერთად. ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია: გაეროს წესდებაში (1-ლი თავი, მე-2 მუხ.), აგრეთვე გაეროს 1970 წლის დეკლარაციაში საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება სახელმწიფოთა მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას გაეროს წესდების შესაბამისად, და ეუთოს 1975 წლის დასკვნით აქტში, რომლებიც აღიარებულია გაეროს წესდების განმარტებით აქტებად. ეს პრინციპები შემდეგია: სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოებისა, ძალით დამუქრებისა და ძალის გამოყენების აკრძალვა, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა, საზღვრების ურღვევობა, საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება, ადამიანის უფლებათა პატი-

ვისცემა, სახელმწიფოების მოვალეობა – ითანაშრომლონ ერთმანეთთან გაეროს წესდების შესაბამისად, საერთაშორისო სამართლით განსაზღვრულ ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

ძირკველი მოსახლეობა (Indigenous population) – *მოსახლეობის* კატეგორია, რომელიც განსხვავდება თავისი წარმოშობითა და სტატუსით იმ ქვეყანაში, რომელშიც ის ცხოვრობს. აღნიშნავენ ძმ-ის შემდეგ ძირითად ნიშნებს: ა) თაობები, რომელთა წინაპრები ცხოვრობდნენ კონკრეტულ ტერიტორიაზე სხვა ჯგუფის მოსვლამდე; ბ) როგორც წესი, ეს მოსახლეობა განსხვავდება გარედან მოსული და საზოგადოებაში გაბატონებული მოსახლეობისაგან კულტურით, ტრადიციებით, ადამიანურებით, ენით, ფსიქოლოგიით; გ) ამ ჯგუფის თვითშეგნება ეფუძნება რწმენას, რომ იგი არის ძმ-ის შემკვიდრე და მას სურს, შეინარჩუნოს კულტურა, კონტროლი მატერიალური რესურსების მიმართ.

ხშირად სახელმწიფოს მცდელობა, შეიტანოს ამ რეგიონებში თანამედროვე ცივილიზაციის ელემენტები, მედგარ წინააღმდეგობას აწყდება.

მეორე უკიდურესობაა სახელმწიფოს მცდელობა, მოათავსოს ძმ რეზერვაციებში – მკაცრად დაცულ სპეციალურ ზონებში (ინდიელები აშშ-ში), რამაც არაერთხელ ამ მოსახლეობის შეირაღებული წინააღმდეგობა გამოიწვია, რასაც მსხვერპლი მოჰყვა.

გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მეცადინეობით, დღეს ძმ-ის პრობლემა *ადამიანის უფლებათა* დაცვის ერთ-ერთ ამოცანად იქცა. 1995-2004 წლები გამოცხადებული იყო „მსოფლიოს ძირკველი ხალხების საერთაშორისო დეკადად“.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ცნობს ძმ-ის თვითგამორკვევის უფლებას (იხ. *ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება*) და ამ უფლების რეალიზაციისას კრძალავს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაშლას.

წამება (Torture) – იგი განეკუთვნება ადამიანის უფლებათა ერთ-ერთ ყველაზე უხემ დარღვევას. **წ** იკრძალება ადამიანის უფლებათა *საერთაშორისო ზელშეკრულებებით*, მათ შორის: *საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* (მე-4 მუხ.), *წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აღმოფხვრისა და დასჯის შესახებ კონვენციებით* და *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით*. **წ**-ის აკრძალვა ასევე განეკუთვნება საერთაშორისო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ ნორმას, როგორცაა *იმპერატიული ნორმები (ius cogens)*.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებები (Red Cross and Red Crescent National Societies) – ნებაყოფლობითი ჰუმანიტარული საზოგადოებები, რომლებიც ომის პერიოდში დახმარებას უწევენ დაჭრილებსა და ავადმყოფ ჯარისკაცებს. 1863 წლის საკონსულტაციო კონფერენციაზე განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ამგვარი ორგანიზაციების შექმნისა და საქმიანობის წესი. პირველი სამხედრო-სამედიცინო სამსახურის დამხმარე საზოგადოებებმა საფუძველი ჩაუყარეს წითელი ჯვრის მოძრაობას. ყოველი ეროვნული საზოგადოება თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე მონაწილეობს ჰუმანიტარულ საქმიანობაში. საზოგადოებათა მთავარი ამოცანაა *შეიარაღებული კონფლიქტების* დროს სამხედრო-სამედიცინო სამსახურებისათვის დახმარების გაწევა. საამისოდ საზოგადოებები მშვიდობიანობის პერიოდშივე ემზადებიან. გარდა ამისა, ეროვნულ საზოგადოებებს უფლება აქვთ, წითელი ჯვრის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად ეწეოდნენ მრავალ სხვა ჰუმანიტარულ საქმიანობასაც (დისპანსერებისა და საავადმყოფოების საჭიროებათა უზრუნველყოფა, მშვიდობიან პერიოდში სამედიცინო პერსონალის მომზადება, ინვალიდთა და ეპიდემიის მსხვერპლთა დახმარება, მოსახლეობის ინსტრუქტირება და ვაქცინაცია ეპიდემიის დროს, კატასტროფაში მოყოლილი მგზავრებისათვის დახმარების აღმოჩენა და სხვ.).

ეროვნული საზოგადოებები მოქმედებენ თავიანთ სახელმწიფოებში და ეფუძნებიან მათ კანონმდებლობას, ისევე როგორც წითელი ჯვრის სამართლებრივ ნორმებს. ამგვარი ორმაგი დაქვემდებარების გამო ეროვნული სტატუსი მათ ანიჭებს გამორჩეულ მდგომარეობას სახელმწიფოში არსებულ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შედარებით. წითელი

ჯვრის ფარგლებში ეროვნული საზოგადოებისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება ავალდებულებს საზოგადოებას, იმოქმედონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ყველა წევრისათვის საერთო მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო საქმიანობაში იხელმძღვანელონ წითელი ჯვრის პრინციპებითა და ნორმებით და არა საკუთარი კანონმდებლობით. ეროვნული საზოგადოებები რეგისტრაციას გადიან იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომელიც მიღებულია მათი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონმდებლობით. ამ საზოგადოებათა წესდებაში დეტალურად არის განსაზღვრული მათი ფუნქციონირების წესები და პირობები. ეროვნული საზოგადოებისათვის სავალდებულოა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციაზე ჩამოყალიბებული ათი წესი, რომელთა შესრულებას კონტროლს უწევს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი როგორც ნეიტრალური და დამოუკიდებელი ორგანო. ყველა ამ წესის შესრულების შემთხვევაში ეს კომიტეტი ეროვნულ საზოგადოებას აცხადებს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრად. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი ჩამოყალიბდა 1918 წელს. 1923 წლიდან გაერთიანებული იყო საკავშირო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა აღმასკომში. 1991 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება კვლავ დამოუკიდებელ საზოგადოებად ჩამოყალიბდა, ხოლო 1997 წლის ნოემბრიდან საზოგადოება წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრია. 1997 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ამ საზოგადოების სამართლებრივ სტატუსს, ფუნქციებს, მიზნებსა და ამოცანებს. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: მოწყალეების სამსახური, ძიების სამსახური, სამაშველო სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობათა და ჰუმანიტარული დახმარების სამსახური, წითელი ჯვრის მოძრაობის შესახებ ცოდნის გავრცელების სამსახური, საინფორმაციო სამსახური; საზოგადოებაში ფუნქციონირებს ახალგაზრდული დეპარტამენტი.

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაცია (Red Cross and Red Crescent Federation) – შეიქმნა 1919 წელს ქ. პარიზში. აერთიანებს 175 ქვეყანაში არსებულ *წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნულ საზოგადოებებს*. ფედერაცია ეროვნულ საზოგადოებათა დამაკავშირებელი ორგანოა. ფედერ-

რაციის წესდება მიღებულ იქნა 12.X.1977. ფედერაცია ეროვნულ საზოგადოებებს ეხმარება ბუნებრივი ან ხელოვნური კატასტროფებით გამოწვეულ უბედურებათა თავიდან აცილებასა და შემსუბუქებაში, განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავებასა და გავრცელებაში, კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამების განხორციელებას.

ფედერაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია. მის სხდომებზე განისაზღვრება ფედერაციის პოლიტიკა, ხდება ახალ ეროვნულ საზოგადოებათა მიღება ან მათი გარიცხვა ფედერაციის წევრობიდან. ფედერაციის წესებით განსაზღვრულია ეროვნულ საზოგადოებათა უფლებები და მოვალეობანი. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ეწყობა წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ესწრებიან არა მარტო წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ფედერაციისა და ეროვნული საზოგადოების წარმომადგენლები, არამედ ვენევის 1949 წლის კონვენციებისა და მათი დამატებითი ოქმების ხელმოწერი სახელმწიფოების დელეგაციებიც. იმ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე კრძალავს ეროვნულ საზოგადოებათა საქმიანობას, ეს საზოგადოება კარგავს თავის სტატუსს ფედერაციის შემადგენლობაშიც, რადგან საერთაშორისო აღიარებისათვის საჭირო ერთ-ერთი პირობაა საკუთარი სახელმწიფოს მიერ აღიარება. თუ ეროვნული საზოგადოების გაუქმების საფუძველი გახდა მისი უკანონო მოქმედება, წითელი ჯვრის ფედერაცია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ საზოგადოების გაუქმებამდე თვითონ იმსჯელებს ფედერაციის წევრობიდან მისი გარიცხვის შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაუქმების საფუძველი არ გახდება საზოგადოების უკანონო მოქმედება, ფედერაციას შეუძლია, მხოლოდ მორალურად იმოქმედოს სახელმწიფო ხელისუფლებაზე, რადგან მას უფლება არა აქვს, აუკრძალოს ხელისუფლებას ეროვნული საზოგადოების გაუქმება. საქართველოში ფედერაციამ თავისი წარმომადგენლობა 1993 წელს გახსნა. ამ დროიდან მოყოლებული, ფედერაცია ეროვნულ საზოგადოებას ეხმარება სამედიცინო, სოციალური და სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (International Committee of the Red Cross) – დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელმაც დააფუძნა წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობა. კომიტეტი შეიქმნა 1864 წელს შვეიცარიელი მოქალაქეების: ა. დიუნანის, პ. მუნიეს, გ. დიუფურის, ლ. აპიასა და ტ. მონუარის ინიციატივით. კომიტეტი ნეიტრალურ შუამავლად გამოდის საერთაშო-

რისო შეიარაღებულ კონფლიქტებსა და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში და თავის ძალ-ღონეს ახმარს ამ კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას. იგი მოქმედებს აგრეთვე შინაშლილობისა და ქვეყანაში სხვა სახის ძალადობათა შემთხვევებშიც ან საკუთარი ინიციატივით, ან *ენევის 1949 წლის კონვენციებისა და 1977 წლის დამატებითი ოქმების* შესაბამისად. კომიტეტს თავისი მანდატი საშუალებას აძლევს, სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გახსნას სხვადასხვა სახელმწიფოში თავისი წარმომადგენლობები, მიაღწიოს დელეგატები, წარმართოს დიალოგი შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის. ამგვარი ხელშეკრულებები *საერთაშორისო სამართლის* სფეროს მიეკუთვნება. ეს სახელმწიფოები კომიტეტს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებენ და ანიჭებენ მას იმ პრივილეგიებს, რომლებიც აქვს სხვა მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მოუხედავად იმისა, რომ კომიტეტი მთავრობათაშორის ორგანიზაციას არ წარმოადგენს; თავის დაწესებულებათა სისტემითა და სტრუქტურით იგი განსხვავდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგანაც, მაგ., *გაეროსაგან*.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარების მიზნით კომიტეტი ამზადებს და მართავს დიპლომატიურ კონფერენციებს, რომლებზეც ხდება ახალი დოკუმენტების მიღება; ამზადებს პროექტებს, რომლებიც საფუძვლად ედება სახელმწიფოთა მიერ მიღებულ დოკუმენტებს. ამგვარად იქნა მიღებული *ენევის 1949 წლის კონვენციები* და *1977 წლის დამატებითი ოქმები*. როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დამცველ დაწესებულებას, კომიტეტს საერთაშორისო თანამეგობრობისაგან მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, გააკონტროლოს ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს. კომიტეტი მოუწოდებდა და მოუწოდებს სახელმწიფოებს, მშვიდობიან პერიოდშივე მიიღონ პრაქტიკული ზომები საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დასაცავად ომის შემთხვევაში ისეთი საქმიანობით, როგორებიცაა, მაგალითად: *ენევის 1949 წლის კონვენციების ტექსტის* თარგმნა, წითელი ჯვრის ემბლემის დაცვის შესახებ საციალური კანონის მიღება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ ცოდნის გავრცელება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში და სხვ.

წითელი ჯვრის მოძრაობის წესდება განსაზღვრავს მასში შემავალი ორგანოების ურთიერთობის საკითხებს. ამასთან, კომიტეტსა და ზემოხსენებულ ფედერაციას შორის დადებულია შეთანხმება, რომლის მიხედვით შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებში მოქმედებს კო-

მიტეტი, ხოლო ტექნოლოგიური კატასტროფებისა და სტიქიურ უბედურებათა დროს – ფედერაცია. თავისი შექმნის დღიდან კომიტეტი ინარჩუნებს არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსს. იგი მოქმედებს შვეიცარიის კანონების საფუძველზე. მთავრობებს არ შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ მის საქმიანობაზე. მიუხედავად ამისა, კომიტეტის მანდატი საერთაშორისო ხასიათისაა, ხოლო თვით ამ ორგანიზაციის საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბები აქვს. ამ საქმიანობას იგი ახორციელებს დელეგატების მეშვეობით. კომიტეტის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს 25 წევრისაგან შემდგარი კონფერენცია; წევრები აირჩევიან ან ხდება მათი კოოპტაცია ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. კონფერენციის წევრები არიან მხოლოდ შვეიცარიის მოქალაქეები. კონფერენციის თავმჯდომარე აირჩევა ასევე ოთხი წლის ვადით, ამასთან, შეიძლება არაერთგზის იქნეს არჩეული. კომიტეტს ხელმძღვანელობს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შედგება, სულ ცოტა, 7 წევრისაგან, ესენია: პრეზიდენტი, მუდმივი ვიცე-პრეზიდენტი (ვიცე-პრეზიდენტები), ასამბლეის ორი სხვა წევრი, ზოგადი საკითხების სამმართველოს დირექტორი, ოპერატიული საკითხების სამმართველოს დირექტორი და დოქტრინისა და სამართლის სამმართველოს დირექტორი. კომიტეტის ბიუჯეტს შეადგენს ფინევის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების ხელმძღვრ სახელმწიფოთა სუბსიდიები, ეროვნულ საზოგადოებათა შენატანები, კერძო პირთა და სხვადასხვა ფონდის შენაწირები. კომიტეტის შტაბ-ბინა ქ. ფენევაშია (შვეიცარია). კომიტეტს თავისი მუდმივი წარმომადგენლობა ჰყავს 58 ქვეყანაში, თუმცა იგი მსოფლიოს 80-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწეობს, მათ შორის საქართველოში, სადაც კომიტეტის დელეგატები და სამედიცინო პერსონალი 1992 წლიდან საქმიანობენ: ისინი ხელს უწყობენ პატიმრებსა და მათი ოჯახების წევრებს შორის მიმოწერას, ეხმარებიან აფხაზეთში დარჩენილი ოჯახების წევრებს, იპოვონ ერთმანეთი და დაამყარონ კონტაქტები. 1994 წელს კომიტეტმა ორთოპედიული ცენტრები დააარსა თბილისსა და გაგრაში, ხოლო 1995 წლიდან შეუდგა ხელოვნური კიდურების წარმოების დანერგვას საქართველოში. აფხაზეთში კომიტეტი ინფორმაციას აგროვებს სამოქალაქო მოსახლეობის უმცირესობათა დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის აქტების შესახებ და გადასცემს ხელისუფლებას, რათა ბოლო მოეღოს ამგვარ ფაქტებს. კომიტეტი აქტიურ საქმიანობას ეწევა საქართველოში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პოპულარიზაციის მიზნით – რჩევას აძლევს ადგილობრივ ხელისუფლებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენების შესახებ, თანამშრომლობს სამთავრობო სტრუქტურებთან ეროვნულ კანონმდებლობაში სამართლის და ამ დარ-

გის ძირითადი პრინციპების ასახვის მიზნით, ქართულ ენაზე გამოსცემს სათანადო სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას და სხვ.

წინასწარი პატიმრობა (Pretrial detention) – სისხლის სამართლის პროცესში აღძვეთი ღონისძიებების ერთ-ერთი სახე, რომელიც თავისუფლების იძულებითი შეზღუდვით გამოიხატება (მაგ., საგამოძიებო იზოლატორში მოთავსება) წინასწარი გამოძიებისა და წინასწარი სასამართლო განხილვის პერიოდში. გამოიყენება სასამართლოს გადაწყვეტილების ან პროკურორის სანქციის საფუძველზე (სხვადასხვა ქვეყნებში). დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, საჩივრით მიმართოს სასამართლოს მისი პატიმრობაში ყოფნის კანონიერების თაობაზე. ჩვეულებრივ, წმ გამოიყენება იმ კატეგორიის საქმეებზე, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია ერთ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა. წმ გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც გამოძიებას აქვს საფუძველი, რომ ბრალდებული თავს აარიდებს მოკვლევას, დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს, ან შეეფარდება დანაშაულის საშიშროების მოტივით. კანონის თანახმად, წმ ზორციელდება კანონიერების, ყველა მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობის, ადამიანური ღირსების დაცვის, ჰუმანიზმის პრინციპების დაცვით.

წყაროები საერთაშორისო სამართლისა (Sources of international Law) – ის სპეციფიკური ფორმები, რომლებშიც სახელმწიფოთა (ან სხვა *სუბიექტთა საერთაშორისო სამართლის*) შეთანხმება ამა თუ იმ ქვეყნის წესის დადგენის შესახებ ობიექტურად გამოიხატება და იურიდიულად სავალდებულო ხდება მხარეებისათვის. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებობს ორი ძირითადი წყარო – *საერთაშორისო ხელშეკრულება* და *საერთაშორისო ჩვეულება* (იხ. *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი*). მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, აგრეთვე, სამართლის ზოგადი პრინციპები. *გაეროს საერთაშორისო სამართლის* სტატუტის თანახმად (38-ე მუხ.), სასამართლო, რომელიც მოვალეა, მისთვის გადაცემული დავა *საერთაშორისო სამართლის* საფუძველზე გადაწყვიტოს, გამოიყენებს: ა) როგორც ზოგად, ისე სპეციალურ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ წესებს; ბ) საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას; გ) სამართლის ზოგად პრინციპებს, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ.

მთავრობათაშორისი ორგანიზაციების საერთაშორისო აქტები (მაგ., *გაეროს გენერალური ასამბლეის* დეკლარაციები, სხვა რეზოლუციები),

თუ ისინი არ ეხებიან ორგანიზაციის შინაგან წესებს (სტრუქტურას, ბიუჯეტს, წესდებით გათვალისწინებულ სავალდებულო სხვა მსგავს სფეროს), არ ითვლებიან *საყოველთაო საერთაშორისო სამართლის* წყაროდ: ასეთ აქტებს მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ და იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესად გახდომა შეუძლიათ მხოლოდ *საერთაშორისო ხელშეკრულებებისა* ან *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის* საშუალებით (მაგ.: რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1963 წლის დეკლარაციას იურიდიული სახე მიეცა 1969 წლის ამავე სახელწოდების კონვენციის მიღების შემდეგ; გაეროს 1948 წლის *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია* საყოველთაო საერთაშორისო სამართლის აქტად იქცა საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების სახით – სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა მისი სავალდებულო ძალა თავის კანონმდებლობაში სათანადო დებულებათა შეტანით, რაც წინ უსწრებდა ამ დეკლარაციაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების შემუშავებასა და ძალაში შესვლას 1976 წელს). ამ სახის გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამართლის ნორმათა ჩამოყალიბების პროცესში: მათი ზემოქმედებით სუბიექტები იძულებული ხდებიან, გაითვალისწინონ *სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის* განწყობილება და იხელმძღვანელონ სათანადო მორალურ-პოლიტიკური პრინციპებით, თუმცა იციან, რომ ამ პრინციპების დარღვევის შემთხვევაში მათ არ დაეკისრებათ საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბოლო დროს ზოგიერთ *რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში* (მაგ., *ევროპის კავშირში*) ნორმათშემოქმედებით საქმიანობას სავალდებულო ძალა ეძლევა მათი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რაც მათ ზენაციონალური ორგანიზაციის ელემენტს მატებს. თავისთავად არც შიდასახელმწიფოებრივი კანონი მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლის წყაროთა რიცხვს: ეს კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ასეთ წყაროდ, თუ იგი სხვა სუბიექტისა ან სუბიექტების მიერ აღიარებულია *საერთაშორისო ხელშეკრულებით* ან ჩვეულებით (იხ. აგრეთვე ცალმხრივი აქტები). ასევე სასამართლო პრეცედენტები და მეცნიერთა დოქტრინა, ანუ მათი შრომები, დასკვნები, გამოკვლევები გვევლინება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ ნორმის არსებობის ფაქტის დადგენის დამხმარე წყაროდ, რომელსაც *საერთაშორისო სამართლის* ძირითადი წყაროების შემუშავების ან საერთაშორისო დაკების გადაწყვეტის დროს იყენებენ.

- 6 -

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება (Right of peoples to equality and self-determination) – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი (იხ. *ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა*), რომელიც *გაეროს წესდებით* არის დაფიქსირებული და რომელიც მიზნად ისახავს, „განავითაროს მეგობრული დამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის პატივისცემის საფუძველზე“. 1945 წლამდე ეს პრინციპი საგარეო პოლიტიკურ ღონისძიებებს არ გასცილებია და კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად გამოიყენებოდა. 1917–1922 წლებში ამ პრინციპს საბჭოთა რუსეთი იყენებდა ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების გულის მოსაგებად და მათ გასაერთიანებლად რუსეთის ფედერაციაში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში, რაც პრაქტიკულად ახალი იმპერიის შექმნას მოასწავებდა, მაგრამ გარეგნული დემოკრატიზმისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების პროპაგანდით თავის მიზანს აღწევდა – კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ღვივდებოდა და ძლიერდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. არც უკოლონიებოდ დარჩენილი აშშ იყო წინააღმდეგი ამ პროცესებისა. ანტი-ჰიტლერული კოალიციის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად ხალხთა თანასწორობისა და თვითგამორკვევის უფლება იქცა. მეორე მსოფლიო ომმა დააჩქარა კოლონიური სისტემის მსხვერვა, რაც 1960–80-იან წლებში ძირითადად უკვე დამთავრდა. ამ დროისათვის საერთაშორისო ასპარეზზე ასზე მეტი ახალი სახელმწიფო გამოდის, იქმნება განვითარებადი ქვეყნების ძლიერი სამყარო. ამ პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა *გაერომ*, მეტადრე მისი *გენერალური ასამბლეის* 14.XII.1960 დეკლარაციამ კოლონიური ხალხებისა და ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, აგრეთვე მისმა 14.XII.1962 რეზოლუციამ, რომლებშიც პირველად ჩამოყალიბდა ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის შინაარსი, ხოლო *გაეროს* 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ და *ეუთოს* 1975 წლის *დასკვნითი აქტი* (იხ. *ეუთო*) შეიცავს პრაქტიკაში უკვე დამკვიდრებულ დებულებებს; უფრო ლაკონიური ფორმულით არის გადმოცემული ეს დებულებები ადამიანის უფლებათა საერ-

თამორისო პაქტებში. დღეისათვის ჩამოყალიბებულია აღნიშნული პრინციპის შემდეგი ძირითადი კომპონენტები:

ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად, გარედან ჩაურევლად, განსაზღვრავენ თავის პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ახორციელებენ საკუთარ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას. ყველა ხალხს შეუძლია თავისუფლად მოიხმაროს თავის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი სიმდიდრეები და რესურსები; ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელების საშუალებებია: სუვერენული სახელმწიფოს (იხ. *სუვერენიტეტი, სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა*) შექმნა, დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან თავისუფალი შეერთება ან მასთან გაერთიანება, ან სხვა ნებისმიერი პოლიტიკური სტატუსის დადგენა, რომელსაც ხალხი თავისუფლად განსაზღვრავს. კოლონიალიზმის არსებობა შეუთავსებელია გაეროს წესდებასთან და დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს მისი ნარჩენებიც კი; მიუღებელია ხალხთა დამორჩილება, უცხოელთა ბატონობა და ექსპლუატაცია; სახელმწიფოები, მათ შორის ისინი, რომლებსაც გაეროს წესდების შესაბამისად პასუხისმგებლობა ეკისრებათ არათვითმმართველი და სამეურვეო ტერიტორიების მართვისათვის, ხელს უნდა უწყობდნენ თვითგამორკვევის განხორციელებას და პატივს სცემდნენ ამ უფლებას; კოლონიური თუ უცხოელთა ბატონობის უღელქვეშ მყოფი ხალხი, რომელსაც წინ აღუდგებიან თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციაში, უფლებამოსილია, იარაღით მოიპოვოს დამოუკიდებლობა, რაშიც გაეროს წევრმა სხვა სახელმწიფოებმა მას დახმარება უნდა აღმოუჩინონ; ეს პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებზე, არამედ სუვერენული სახელმწიფოების (იხ. *სუვერენიტეტი, სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა*) შექმნელ ხალხებზეც (*ჩაურევლობა*). თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია არ ნიშნავს არსებული სახელმწიფოდან აუცილებელ გამოყოფას, თუ ეს სახელმწიფო დემოკრატიულია, ანუ აღიარებს ხ.თ.ო.შ.-ს და თუ ამ სახელმწიფოში არ არსებობს კოლონიალიზმის ნიშნები, არ არსებობს ბატონობა თუ ექსპლუატაცია მასში მცხოვრები სხვა ხალხების მიმართ. დღეს ეს პრინციპი ქვეყნის დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ მთავარ საწყისად გვევლინება, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობაში შემაჯავლი მცირერიცხოვანი თუ ეროვნულ, ეთნიკურ ან სხვა უმცირესობაში მყოფი ხალხების (იხ. *ეროვნული უმცირესობანი*) ენის, კულტურისა და ჩვეულებათა განვითარებისათვის ხელის შეწყობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათთვის ტერიტორიული და პოლიტიკური ავტონომიის მინიჭებასაც. მეორე მხრივ, ამ ხალხების ყოველი

მცდელობა – იარაღით ხელში განახორციელონ თავიანთი პრეტენზიები დამოუკიდებლობის შესახებ, ეწინააღმდეგება *საერთაშორისო სამართალს*. სწორედ ამიტომ გაერომ და სხვა *საერთაშორისო ორგანიზაციებმა* უარი განაცხადეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის ფაქტის აღიარებაზე და სრული მხარდაჭერა აღუთქვეს საქართველოს, აღიდგინოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა (იხ. *არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები*).

ხელშეკრულება (Treaty) – ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა შორის დადებულ იურიდიულ სავალდებულო შეთანხმებას, რომელიც რეგულირდება *საერთაშორისო სამართლით* (იხ. *საერთაშორისო ხელშეკრულება*).

- ჰ -

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) – მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია (შეიქმნა 1948 წელს). იგი გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებაა, რომელშიც გაერთიანებულია 189 სახელმწიფო (მათ შორის საქართველო). ორგანიზაციის მიზანია ყველა ხალხის მიერ ჯანდაცვის მაღალი დონის მიღწევა. ჯმმ არ შემოიფარგლება სხვადასხვა დაავადებასთან ბრძოლით, იგი წყვეტს, აგრეთვე, სხვადასხვა სოციალურ პრობლემას საერთაშორისო მასშტაბით (ცალკეული სახელმწიფოებისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენა, სამედიცინო კვლევების ხელშეწყობა და სხვ.). იგი სისტემატურად აქვეყნებს სხვადასხვა სახის დიდძალ სტატისტიკურ ინფორმაციას (მაგ., შობადობის, ეპიდემიების, ტრავმატიზმის, სხვადასხვა დაავადებათა შესახებ). ორგანიზაცია დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე პოლიტიკურ საკითხებს (მაგ., ექიმებისა და ჯანდაცვის სხვა მუშაკთა როლს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში და ა.შ.). ჯმმ-ის ხელმძღვანელი ორგანოა მისი ასამბლეა, რომელიც ყოველწლიურად იკრიბება. აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი კომიტეტი. იგი შედგება ორგანიზაციის წევრი 30 სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ირჩევს ასამბლეა; კომიტეტი იკრიბება წელიწადში, სულ ცოტა, ორჯერ მანც. ადმინისტრაციული ორგანოა სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. ფუნქციონირებს, აგრეთვე, ჯმმ-ის 6 რეგიონალური ორგანიზაცია: დანიაში (კოპენჰაგენი), ამერიკაში (ვაშინგტონი), სამხრეთდასავლეთ აზიაში (დელი), ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონში (ალექსანდრია), წყნარი ოკეანის დასავლეთ რეგიონში (მანილა), აფრიკაში (ბრაზავილი). ჯმმ-ის შტაბ-ბინა ქ. ჟენევაშია (შვეიცარია).

ჯანმრთელობის დაცვის უფლება (Right to Health Care)

- ადამიანის სოციალურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება ჯანდაცვის უფლება, აღიარებული საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (მე-12 მუხ.), ევროპის ქარტიამი (მე-11, მე-13 მუხ.) (იხ. *ევროპის საბჭო*) და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში.

საქართველოს კონსტიტუციითა (37-ე მუხ.) და 1997 წლის „ჯანდაცვის შესახებ კანონით“ აღიარებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლება.

ႁႁႁႁႁ (Spy) – ის პირი, რომელიც მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ფარულად მოქმედებს და ცდილობს, შეაგროვოს ცნობები საომარ მოქმედებათა რაიონში, რათა ისინი გადასცეს თავის მზარეს (იხ. *ჰაგის 1899 და 1907 წლების კონვენციები*. – მეოთხე კონვენცია „სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებათა შესახებ“, 29-ე მუხ.). *ჟენევის 1949 წლის კონვენციები* და *1977 წლის დამატებითი ოქმები* ადგენენ ႁ-ის სტატუსს (იხ. *ჟენევის 1949 წლის კონვენციები* და *1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ*). ႁ ისჯება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნეს ჯაშუშური ქმედების დროს ადგილზე მისი დაკავების შემთხვევაში. თუ შინ მშვიდობით დაბრუნებული ႁ შემდგომ ხელახლა მოხვდა ტყვედ, იგი პასუხს არ აგებს წარსულში თავისი ჯაშუშური საქმიანობისათვის.

- 3 -

ჰააგის 1954 წლის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ (1954 Hague Convention on the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict) – შემუშავდა იუნესკოს მიერ მოწვეულ კონფერენციაზე და ხელმოწერილ იქნა 14.V.1954. კონვენცია განსაზღვრავს კულტურულ ფასეულობათა ცნებას, მათი დაცვისა და პატივისცემის პრინციპებს, კრძალავს კულტურულ ფასეულობათა ხელყოფას შეიარაღებული კონფლიქტების დროს და სხვ.

ჰააგის სამართალი (Hague Law) – საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები. ჰააგის 1899 და 1907 წლების კონვენციები, რომლებიც ზღუდავენ ომის წარმოების წესებს (იხ. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, ომის წარმოების აკრძალული მეთოდები, ომის წარმოების აკრძალული საშუალებები).

ჰუმანიტარული ინტერვენცია (Humanitarian intervention) – ადამიანის უფლებათა უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო ორგანიზაციის (ორგანიზაციების) მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის მოქმედებით ძალის გამოყენება. ინტერვენციისაგან განსხვავებით, რომელიც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია როგორც სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა (იხ. ჩაურევლობა), ჰი მართლზომიერ აქტად ითვლება, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაიდინოს თავის ტერიტორიაზე საერთაშორისო სამართლით აკრძალული დანაშაულობანი – გენოციდი, აპარტეიდი, ეთნიკური წმენდა და სხვ. ჰი-ს შეიძლება ჰქონდეს შეიარაღებული ძალების გამოყენების სხვადასხვა სახე (მაგ.: ნატოს მოქმედება იუგოსლავიის პროვინცია კოსოვოში 1999 წ.; გაეროს მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქცევა სრულ ეკონომიკურ, საეკონომიკურ და პოლიტიკურ ბლოკადაში – 1970–1990-იან წლებში და სხვ.). ჰი-ის გამოყენება ეკრძალებათ ცალკეულ სახელმწიფოებს, რადგან ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის ფაქტი, რომელიც საერთაშორისო დანაშაულის ტოლფასია და რომელსაც სამხედრო ჩარევაც კი შეიძლება მოჰყვეს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დგინდება და მისი მოწესრიგებაც საერთაშორისო ღონისძიებებით უნდა მოხდეს, რათა გამო-

ირიცხოს ყოველგვარი მიკერძობანი: ამ პრინციპის სათანადოდ დაუცველობის გამო, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თვით ნატოს მეთაურობით, კოსოვოში (იუგოსლავიის პროვინცია) ჰი-ის განხორციელებამ (იხ. *ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში*).

ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში (Humanitarian Intervention in Kosovo) (იუგოსლავია) – ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების გამოყენება ყოფილი იუგოსლავიის (სერბიის) ერთ-ერთ პროვინციაში – კოსოვოში. ძირითადად ალბანელებით დასახლებული კოსოვო (ისტორიულად იგი სერბების ტერიტორია იყო), რომელშიც ისინი არც ისე დიდი ხნის წინათ შემოვიდნენ მეზობელი ალბანეთიდან, მრავალი წლის განმავლობაში ავტონომიით სარგებლობდა. 1989 წელს ეს სტატუსი გაუქმდა, რამაც კოსოვოელი ალბანელების მედგარი წინააღმდეგობა გამოწვია, მათი შეიარაღებული აჯანყება მოჰყვა. ამის საპასუხოდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათ მიმართ უფრო მკაცრი და სისხლისმღვრელი ზომები გამოიყენა, კერძოდ, გააძლიერა *ეთნიკური წმენდა* (რომელიც ავტონომიის გაუქმებისას დაიწყო). ამან ასიათასობით ლტოლვილის (იხ. *ლტოლილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები*) ნაკადი გამოწვია, რამაც მეზობელ სახელმწიფოებში ეკონომიკური სიბნელები შექმნა. *გაეროს*, *ეუთოს* და ნატოს მშვიდობიანი ღონისძიებები არაერთარ შედეგს არ იძლეოდა. საკითხის სწრაფი მოგვარების მიზნით ნატოს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, დაეწყო კოსოვოში განლაგებული ცენტრალური ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურების ტექნიკისა და ცოცხალი ძალების დაბობვა, რათა იძულებული გაეხადათ ისინი, დაეტოვებინათ რეგიონი. ამ საშიშროებამ აიძულა იუგოსლავიის პრეზიდენტი მილოშევიჩი, 1998 წლის შემოდგომაზე დასთანხმებოდა კოსოვოში ეუთოს მეთვალყურეთა მისიისა და სხვა მაკონტროლებელი სტრუქტურების განლაგებას. მაგრამ ვერც ამან შეაჩერა სისხლისმღვრელი წინააღმდეგობა, რომლის მსხვერპლიც *მშვიდობიანი მოსახლეობაც* ხდებოდა. შექმნილი საკონტაქტო ჯგუფი (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი) ერთხელ კიდევ შეეცადა კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას რამბუეიში (საფრანგეთი, პარიზის შემოგარენი) სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერით (6.II.1999), მაგრამ ამანაც ვერ გამოიღო ნაყოფი – იუგოსლავიამ უარი თქვა, ხელი მოეწერა შეთანხმებისათვის, რომელიც კოსოვოს ავტონომიის აღდგენას ითვალისწინებდა. ბელგრადი შეშფოთებული იყო იმით, რომ შეთანხმებით მომავალში კოსოვოელ ალბანელებს უფლება ეძლეოდათ, რეფერენდუმით გადაეწყვიტათ თავიანთი სტატუსი, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებით შეიძლებოდა დასრულებულიყო. მოლაპარაკების მსვლელობაში ცენტრალურმა ხელისუფლე-

ბამ გაააქტიურა ეთნიკური წმენდა (ამან ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია), რაც მიზნად ისახავდა კოსოვოს დემოგრაფიული სტრუქტურის იძულებით შეცვლას, რათა მომავალი რეფერენდუმი ბელგრადისათვის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ეუთოს მისიაც და სხვა მაკონტროლებლებიც იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ კოსოვო.

1998 წლის მარტში დაიწყო ჯერ კოსოვოს, ხოლო მოგვიანებით მთელი სერბიის ტერიტორიაზე განლაგებული არა მარტო სამხედრო ობიექტების, არამედ ყველა სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის (ხიდების, ელექტროსადგურებისა და სხვ.) დაბომბვა. სამი თვის შემდეგ ეს ოპერაცია შეწყდა, რადგან იუგოსლავია დათანხმდა კოსოვოში გაეროს მშვიდობის დამცველი ძალების დისლოცირებაზე და იქ ეუთოს მისიის დაბრუნებაზე. დღეს კოსოვო დაყოფილია ტერიტორიებად, რომლებსაც საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის „ციხფერჩაფხუტიანები“ აკონტროლებენ, რაც გაგრძელდება რეგიონში პოლიტიკური სტრუქტურების შექმნამდე. ამ ოპერაციაში 38 სახელმწიფო მონაწილეობს, მათ შორის საქართველოდან წარგზავნილი ოცეული. პირველ რიგში უნდა განიარაღებულიყო კოსოვოს განმათავისუფლებელი არმია და გახსნილიყო გზა ყველა ლტოლვილის დასაბრუნებლად. ნატოს ოპერაცია კოსოვოში ჩატარდა გაეროს წესდების დარღვევით – არც ერთ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციას არა აქვს უფლება, გამოიყენოს ძალა გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე. ნატოს მესვეურები თავს იმართლებენ „ჰუმანიტარული კატასტროფის“ საფრთხით გამოწვეული აუცილებლობით და გაეროს მოუქნელობით ანალოგიურ სიტუაციებში. კოსოვოში ჰუმანიტარული ინტერვენციის სამართლებრივი და მორალური ასპექტების ურთიერთშეუსაბამობამ პოლიტიკოსთა და საერთაშორისო სამართლის ექსპერტთა წინაშე მწვავე საკითხი დასვა: რამდენად დასაშვებია, რომ ნებისმიერმა რეგიონალურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გაეროს ნებართვის გარეშე გამოიყენოს სამხედრო ძალა სუვერენული სახელმწიფოს მიმართ ამ სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის, თუნდაც კატასტროფულის, აღსაკვეთად.

ქ. ვაშინგტონში გამართულ ნატოს სამიტზე (1999 წლის აპრილი) დაფიქსირდა ნატოს უფლება – გამოიყენოს თავისი შეიარაღებული ძალები არა მარტო წესდებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არეში, არამედ ევროპის სხვა ადგილებშიც. ამასთან, ექსპერტთა აზრით, თუ ასეთ აქციას ნატო გაეროს უშიშროების საბჭოს დავალების გარეშე კიდევ ჩაატარებს, მანამ, სანამ გაეროს წესდება არ შეიცვლება, იგი საერთაშორისო სამართლის დარღვევად ჩაითვლება, რა მორალური მოტივებითაც არ უნდა იყოს დასაბუთებული.

ტერმინების საძიებელი

- ა -

ადამიანის აბსოლუტური უფლებები
 ადამიანის გატაცება
 ადამიანის კულტურული უფლებები
 ადამიანის უფლებათა განგრძობადი დარღვევები
 ადამიანის უფლებათა წახალისება და დაცვა
 ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმები
 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
 ადამიანის უფლებათა თაობები
 ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია
 ადამიანის უფლებათა კომიტეტი
 ადამიანის უფლებათა პატივისცემა
 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი
 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
 ადამიანის უფლებები
 ადამიანის ძირითადი უფლებები
 ადამიანის უფლებები, რომელთაგანაც გადახვევა დაუშვებელია
 ადამიანური განზომილება
 ადგილობრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა
 ადმინისტრაციული დაკავება
 ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია
 ანტისემიტიზმი
 აპარტიდი
 აპატრიდი
 არაბულ სახელმწიფოთა ლიგა
 არაკომბატანტი
 არალეგალური იმიგრაცია
 არაპირდაპირი დისკრიმინაცია
 არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები
 არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია
 აფრიკული კავშირი

- ბ -

ბავშვთა უფლებები
 ბიპატრიზმი (ორმოქალაქეობა)

ბრალდებული
ბუდაკეშტის სამიტი
ბუნებითი სამართალი
ბუნებითი სამართლის სკოლა

- 3 -

გადაადგილების თავისუფლება
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია
გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი
გაეროს ამოცანები
გაეროს გენერალური ასამბლეა
გაეროს გენერალური მდივანი
გაეროს დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისია
გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია
გაეროს 1985 წლის დეკლარაცია დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ
გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო
გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახური
გაეროს მიზნები და პრინციპები
გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“)
გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში
გაეროს საერთაშორისო სასამართლო
გაეროს სამდივნო
გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები
გაეროს უშიშროების საბჭო
გაეროს წესდება
გამოხატვის თავისუფლება
განათლების უფლება
განვითარების უფლება
გაუძეებლობა
გაძეება
გაძეება მასობრივი
გენოციდი

დამნაშავეთა გადაცემა
დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ
დაუსწრებლად გასამართლება
დაქირავებული პირები (მეომრები)
დასაშვებობა საჩივრის, განაცხადის
დეკლარაცია
დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ
თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს
დეპორტაცია
დიპლომატიური დაცვა
დისკრიმინაცია

ევთანაზია
ევროკავშირი
ევროკომისია
ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
ევროპის კავშირი
ევროპის კავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება დანაშაულის მსხვერ-
პლთა პროცესუალური უფლებაუნარიანობის შესახებ
ევროპის საბჭო
ევროპის სამართალი
ევროპის სოციალური ქარტია
ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის შესახებ
ევროპული კონვენცია ძალადობის დანაშაულთა მსხვერპლთათვის კომპენსა-
ციის გადახდის შესახებ 1985 წლისა
ევროპული სასამართლო
ევროპული ქარტია რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების დაცვის შესახებ
ევროპული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ
ეთნიკური კონფლიქტი
ეთნიკური წარმომავლობა
ეთნიკური წმენდა
ეთნიკური ჯგუფი
ემიგრანტი
ERGA OMNES

ერი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

ეროვნული რეჟიმი

ეროვნული უმცირესობანი

ეროვნული წარმომავლობა

ეუთო

ეუთოს 1975 წლის დასკვნითი აქტი

ექსპატრიაცია

ექსტრადიცია

ექსტრატერიტორიული იურისდიქცია

- 3 -

ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა

ვენეციის კომისია

ვენის მსოფლიო კონფერენცია ადამიანის უფლებათა თაობაზე

- 4 -

ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია

ზოგადი საერთაშორისო ხელშეკრულება

- 5 -

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები

თავისუფლების უფლების უკანონო შეზღუდვა

თავშესაფრის უფლება

თვითგამორკვევის უფლება

- 6 -

იერარქია საერთაშორისო სამართლის ნორმებში

იმიგრანტი

იმპერატიული ნორმები

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

ინტერპოლი

ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება

ირედენტიზმი
ისლამური ფუნდამენტალიზმი
იუნესკო
იუნესკო და საქართველო
იუნესკოს 1997 წლის საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის გენომისა და
ადამიანის უფლებათა შესახებ
იურისდიქცია

- კ -

კანონის უზენაესობა (იხ. სამართლის უზენაესობა)
კოლექტიური უფლებები
კოლიზიური სამართალი
კომპატანტები
კომპენსაცია ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის
კომუნიკე
კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღა-
ურების შესახებ
კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ
კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ
კონვენცია ქორწინებაში მყოფი ქალის მოქალაქეობის შესახებ
კონვენციები და შეთანხმებანი მონობისა და მონებით ვაჭრობის აღკვეთის შესახებ

- ლ -

ლეგალიზაცია
ლეგიტიმაცია
ლიბერალიზმი
ლისაბონის სამიტი
ლოკალური საერთაშორისო სამართალი
ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები

- მ -

მაასტრიხტის ხელშეკრულება
მარტენსის დეკლარაცია
მასობრივი განადგურება (ადამიანების)
მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები

მიგრანტი-მუშები

1957 წლის მინიმალური სტანდარტები პატიმართა მოპყრობის შესახებ

მონიტორინგი

მონობა და მონებით ვაჭრობა

მოქალაქე

მოქალაქეობა

მოქალაქეობის არმქონე პირი

მოხალისე

მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება

მფარველობაში მყოფი პირები

მშვიდობიანი მოსახლეობა

მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული

მძევალთა აყვანა

- 6 -

ნატურალიზაცია

„ნიადაგის პრინციპი“ მოქალაქეობის შექმნისა

ნიუ-იორკის საერთაშორისო კონვენცია მძევალთა აყვანასთან ბრძოლის შესახებ (1979 წელი)

ნიურნბერგის პროცესი

ნორმა საერთაშორისოსამართლებრივი

- (7) -

ოკუპაცია

ომბუდსმენი

ომის დამნაშაეები

ომის დანაშაულობანი

ომის კანონები და ჩვეულებები

ომის მსხვერპლნი

ომის წარმოების აკრძალული მეთოდები

ომის წარმოების აკრძალული საშუალებები

ოპტაცია

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება

ორმაგი მოქალაქეობა

ოქმი

პარტიზანები
პატიმრობა
პაქტი
პაციენტის უფლებები
პერსონა ნონ გრატა
პირადი უფლებები
პირდაპირი დისკრიმინაცია
პლურალიზმი
პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები
პრესის თავისუფლება
პრეცედენტული სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

- უ -

უენეის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ
„უენეის“ სამართალი

- რ -

რასა
რასიზმი
რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია
რასობრივი დისკრიმინაცია
რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
რბილი სამართალი
რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია
რეზერვაცია
რეინტეგრაცია მოქალაქეობისა
რელიგიური უმცირესობა
რელიგიური შეუწყნარებლობა
რეპარაცია
რეპატრიაცია
რეფერენდუმი
რაუნდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი

საარჩევნო უფლებები
საგანგებო მდგომარეობა
საერთაშორისო აზნისტია
საერთაშორისო დანაშაული
საერთაშორისო კერძო სამართალი
საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტები
საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები
საერთაშორისო ორგანიზაციები
საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ
საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
საერთაშორისო საზოგადოება
საერთაშორისო სამართალი
საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა
საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები
საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი
საერთაშორისო სისხლის სამართალი
საერთაშორისო ტერორიზმი
საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი
საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი
საერთაშორისო წითელი ჯვარი
საერთაშორისო ხასიათის დანაშაული
საერთაშორისო ხელშეკრულება
საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობაში
საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
საერთაშორისო ხელშეკრულების „თვითშესრულებადი“ და „არათვითშესრულებადი“ ნორმები
საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების ვადა
საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება
საერთაშორისო ხელშეკრულების ნოვაცია
სათანადო სასამართლო პროცესი
სამართლებრივი დახმარება
სამართლიანი სასამართლო
სამართლის უზენაესობა
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები
სამოქალაქო ომი
სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები

სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მრწამსის გამო
 სამხედრო ტყვე
 სანქციები და კონტრაზომები
 საქართველო-ვეროკავშირის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის
 შესახებ
 საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო
 საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ
 საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ
 საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ
 საყოველთაო საერთაშორისო სამართალი
 საქართველოს სახალხო დამცველი
 სეგრეგაცია
 სეპარატიზმი
 სიკვდილით დასჯა
 სიკვდილით უკანონო დასჯა
 „სისხლის პრინციპი“ მოქალაქეობის შექენისა
 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
 სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები
 სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თა-
 ობაზე
 სიძულვილის დამთესავი განცხადება
 სიძულვილით ჩადენილი დანაშაული
 სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები
 სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია
 სტატუტი
 სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა
 სუვერენიტეტი
 სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა
 სუვერენული სახელმწიფო

- ტ -

ტექნიკური თანამშრომლობა
 ტოკიოს პროცესი
 ტოლერანტობა
 ტოტალიტარიზმი
 ტრაიბალიზმი
 ტრეფიკინგი
 ტუსაღობა

- უ -

უდანაშაულობის პრეზუმპცია
უვიზო შესვლა
უკანონო დაკავება
უკანონო იმიგრანტი
უკანონო რადიომაუწყებლობა
უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი
უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა
უცხოელი

- ფ -

ფაქულტატიური ოქმები საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
ფაქტების დადგენის წესები
ფორსმაჟორი

- ქ -

ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა
ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
ქალთა მდგომარეობის კომისია
ქალთა უფლებები
ქსენოფობია

- უ -

შემწყნარებლობა
შეუწყნარებლობა
შვილად აყვანა
შოინიზმი
შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

- ძ -

ძირითადი პრინციპები ნებისმიერი ფორმის პატიმართა ან დაკავებულთა უფლებების შესახებ 1998 წლისა
ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა
ძირძველი მოსახლეობა

- 5 -

წამება

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებები

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ფედერაცია

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი

წინასწარი პატივობა

წყაროები საერთაშორისო სამართლისა

- 6 -

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება

ხელშეკრულება

- 7 -

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

ჯანმრთელობის დაცვის უფლება

ჯამში

- 8 -

ჰააგის 1954 წლის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ

ჰააგის სამართალი

ჰუმანიტარული ინტერვენცია

ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში

ინგლისური ტერმინების ქართული
განმარტების საკიბეპლი

-A-

- Absolute Human Rights** – ადამიანის აბსოლუტური უფლებები
Accused person – ბრალდებული
Administrative detention – ადმინისტრაციული დაკავება
Admissibility of communications – დასაშვებობა სარევის, განაცხადის
Adoption of Children – შეილად აყვანა
African Union – აფრიკული კავშირი
Alien – უცხოელი
Amnesty International – საერთაშორისო ამნისტია
Anti-Semitism – ანტისემიტიზმი
Apartheid – აპარტეიდი
Apatriot – აპატრიდი
Arbitrary detention – უკანონო დაკავება

-B-

- Basic Principles for the Treatment of Prisoners (1998)** – ძირითადი პრინცი-
პები ნებისმიერი ფორმის პატიმართა ან დაკავებულთა უფლებების შესახებ
1998 წლისა
Bipatriotism – ბიპატრიზმი (ორმოქალაქეობა)
Budapest Summit – ბუდაპეშტის სამიტი

-C-

- Case law of the European Court of Human Rights** – ადამიანის უფლებათა
ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი
Chauvinism – შოვინიზმი
Citizen – მოქალაქე
Citizenship – მოქალაქეობა
Civil and political freedoms – სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებები
Civil and Political Rights – სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები
Civil war – სამოქალაქო ომი
Civilian population – მშვიდობიანი მოსახლეობა

- Classification of Human Rights** – ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია
- Collective rights** – კოლექტიური უფლებები
- Collision Law** – კოლიზიური სამართალი
- Combatants** – კომბატანტები
- Commission on the Status of Women** – ქალთა მდგომარეობის კომისია
- Committee on Elimination of Discrimination of Women** – ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
- Committee on Racial Discrimination** – რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი
- Commonwealth of Independent States** – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
- Communiqué** – კომუნიკე
- Compensation for violation of human rights** – კომპენსაცია ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის
- Conscientious objection** – სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მრწამსის გამო
- Continuous violation of human rights** – ადამიანის უფლებათა განგრძობადი დარღვევები
- Convention on Citizenship of Married Women** – კონვენცია ქორწინებაში მყოფ ქალთა მოქალაქეობის შესახებ
- Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Women** – კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- Convention concerning Equal Remuneration for Men and Women Workers for Work of Equal Value** – კონვენცია მამაკაცთა და ქალთა თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების შესახებ
- Convention on the Political Rights of Women of 31 March 1953** – კონვენცია ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ
- Convention on the Elimination of All Forms of Racial Discrimination** – კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
- Conventions and Agreements on Elimination of Slavery and Trade in Slaves** – კონვენციები და შეთანხმებანი მონობისა და მონებით ვაჭრობის აღკვეთის შესახებ
- Council of Europe** – ევროპის საბჭო
- Crimes Against Humanity** – დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ
- Crimes against peace and humanity** – მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული
- Crimes of international character** – საერთაშორისო ხასიათის დანაშაული
- Cultural human rights** – ადამიანის კულტურული უფლებები
- Customary International Law** – საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი

-D-

Death penalty, Capital punishment – სიკვდილით დასჯა

Declaration – დეკლარაცია

Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious or Linguistic Minorities – დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ თუ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს

Deportation – დეპორტაცია

Diplomatic protection – დიპლომატიური დაცვა

Direct discrimination – პირდაპირი დისკრიმინაცია

Discrimination – დისკრიმინაცია

Dual Nationality / Citizenship – ორმაგი მოქალაქეობა

Due judicial process – სათანადო სასამართლო პროცესი

-E-

Emigrant – ემიგრანტი

Erga Omnes

Ethnic cleansing – ეთნიკური წმენდა

Ethnic conflict – ეთნიკური კონფლიქტი

Ethnic group – ეთნიკური ჯგუფი

Ethnic origin – ეთნიკური წარმომავლობა

European Charter on the Protection of Regional or Minorities Languages – ევროპული ქარტია რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების დაცვის შესახებ

European Commission – ევროკომისია

European Commission Against Racism and Intolerance – ECRI – რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია

European Communities Court of Justice – ევროპის გაერთიანებთა სასამართლო

European Convention on Compensation for Victims of Crimes of Violence – ევროპული კონვენცია ძალადობის დანაშაულთა მსხვერპლთათვის კომპენსაციის გადახდის შესახებ 1985 წლისა

European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms – ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ

European Court of Human Rights – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

European Framework Convention for the Protection of National Minorities – ევროპული ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

European Law – ევროპის სამართალი

European Social Charter – ევროპის სოციალური ქარტია

EU – ევროკავშირი

European Union – ევროპის კავშირი

European Union Framework Decision on Standing Victims in Criminal Proceeding – ევროპის კავშირის 2001 წლის ჩარჩო ხელშეკრულება დანაშაულის მსხვერპლთა პროცესუალური უფლებაუნარიანობის შესახებ

Euthanasia – ეთანაზია

Exhaustion of domestic remedies – ადგილობრივი დაცვის საშუალებების ამოწურვა

Expatriation – ექსპატრია

Expulsion – გაძევება

Extradition – ექსტრადიცია

Extraterritorial jurisdiction – ექსტრატერიტორიული იურისდიქცია

-F-

Fact-finding missions – ფაქტების დადგენის ჯგუფები

Fair trial – სამართლიანი სასამართლო

Force-majeure – ფორსმაჟორი

Free and Fair elections – თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები

Freedom of expression – გამოხატვის უფლება

Freedom of information – ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება

Freedom of movement – გადაადგილების თავისუფლება

Freedom of press – პრესის თავისუფლება

Fundamental human rights – ადამიანის ძირითადი უფლებები

-G-

General International Law – საყოველთაო საერთაშორისო სამართალი

General International Organisation – ზოგადი საერთაშორისო ორგანიზაცია

General International Treaty – ზოგადი საერთაშორისო ხელშეკრულება

Generally recognized principles and norms of International Law – საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები

Generations of Human Rights – ადამიანის უფლებათა თაობები

1949 Geneva Conventions and 1977 Additional Protocols on Protection of Victims of War – ჟენევის 1949 წლის კონვენციები და 1977 წლის დამატებითი ოქმები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ

Genocide – გენოციდი

- Georgia – EU Agreement on Partnership and Cooperation** – საქართველო-ევროკავშირის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ
- Georgian Law on Citizenship** – საქართველოს კანონი მოქალაქეობის შესახებ
- Georgian Law on Freedom of Speech and Expression** – საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ
- Georgian Law on Private International Law** – საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ

-H-

- 1945 Hague Convention on the Protection of Cultural Property in the Event of Armed Conflict** – ჰააგის 1945 წლის კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ
- Hague Law** – ჰააგის სამართალი
- Hate crime** – სიძულვილით ჩადენილი დანაშაული
- Hate speech** – სიძულვილის დამთესავი განცხადება
- Hierarchy of International Norms** – იერარქია საერთაშორისო სამართლის ნორმებში
- Hostage taking** – მძევალთა აყვანა
- Human dimension** – ადამიანური განზომილება
- Human Rights** – ადამიანის უფლებები
- Human Rights Committee** – ადამიანის უფლებათა კომიტეტი
- Humanitarian intervention** – ჰუმანიტარული ინტერვენცია
- Humanitarian intervention in Kosovo** – ჰუმანიტარული ინტერვენცია კოსოვოში

-I-

- Illegal immigration** – არალეგალური იმიგრაცია
- Immigrant** – იმიგრანტი
- Imprisonment** – პატიმრობა
- Indigenous population** – ძირძველი მოსახლეობა
- Indirect discrimination** – არაპირდაპირი დისკრიმინაცია
- Individual criminal responsibility** – ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
- Intergovernmental international organization** – მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციები
- International armed conflict** – საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი

- International Committee of the Red Cross** – წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი
- International Covenant on Civil and Political Rights** – საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ
- International Covenant on Economic, Social and Cultural Rights** – საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ
- International crime** – საერთაშორისო დანაშაული
- International Criminal Court** – სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
- International Criminal Tribunal for Former Yugoslavia** – სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე
- International Criminal Law** – საერთაშორისო სისხლის სამართალი
- International Criminal Tribunal for Rwanda** – რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი
- International Criminal Tribunals** – სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები
- International Law** – საერთაშორისო სამართალი
- International Law of Human Rights** – ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი
- International Legal Responsibility** – საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა
- International Organizations** – საერთაშორისო ორგანიზაციები
- International Red Cross** – საერთაშორისო წითელი ჯვარი
- Illegal restriction of the right to freedom** – თავისუფლების უფლების უკანონო შეზღუდვა
- International Society** – საერთაშორისო საზოგადოება
- International terrorism** – საერთაშორისო ტერორიზმი
- International treaty** – საერთაშორისო ხელშეკრულება
- International treaties and Constitutional Court of Georgia** – საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
- International treaty in Georgian Legislation** – საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობაში
- INTERPOL** – ინტერპოლი
- Intolerance** – შეუწყნარებლობა
- Irredentism** – ირედენტიზმი
- Islamic fundamentalism** – ისლამური ფუნდამენტალიზმი

-J-

Jurisdiction – იურისდიქცია

Jus cogens, peremptory norms – იმპერატიული ნორმები

Jus singuanis – „სისხლის პრინციპი“ მოქალაქეობის შექმენისა

Jus soli – „ნიადაგის პრინციპი“ მოქალაქეობის შექმენისა

-K-

Kidnapping – ადამიანის გატაცება

-L-

Law of Geneva – „ჟენევის“ სამართალი

Law of International Organizations – საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი

Law of international treaties – საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი

Laws and customs of war – ომის კანონები და ჩვეულებები

League of Arab States – არაბულ სახელმწიფოთა ლიგა

Legal assistance – სამართლებრივი დახმარება

Legal status of aliens – უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა

Legalisation – ლეგალიზაცია

Legitimation – ლეგიტიმაცია

Liberalism – ლიბერალიზმი

Lisbon Summit – ლისაბონის სამიტი

-M-

Maastricht Treaty – მასტრიხტის ხელშეკრულება

Main Principles of International Law – ძირითადი პრინციპები საერთაშორისო სამართლისა

Martence Declaration – მარტენსის დეკლარაცია

Mass Destruction of People – მასობრივი განადგურება ადამიანების

Mass expulsion – გაძევება მასობრივი

Mercenaries – დაქირავებული პირები (მეომრები)

Migrant-workers – მიგრანტი-მუშები

1957 Minimal Standards of treatment of prisoners – 1957 წლის მინიმალური სტანდარტები პატიმართა შესახებ

Monitoring – მონიტორინგი

Most favoured nation principle – უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი

Multilateral International Treaty – მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება

-N-

Nation – ერი

National Central Bureau of INTERPOL in Georgia – საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო

National minorities – ეროვნული უმცირესობანი

National origin – ეროვნული წარმომავლობა

National regime – ეროვნული რეჟიმი

National-liberation movement – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

Natural Law – ბუნებითი სამართლი

Natural Law School – ბუნებითი სამართლის სკოლა

Naturalisation – ნატურალიზაცია

Nuremberg trial – ნიურნბერგის პროცესი

Noncombatant – არაკომბატანტი

Non-derogatory human rights – ადამიანის უფლებები, რომელთაგანაც გადახვევა დაუშვებელია

Nongovernmental international organization – არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია

Non-international armed conflicts – არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტები

Non-Refoulment – გაუქვებლობა

Norm of international law – ნორმა საერთაშორისო სამართლებრივი

Novation of international treaty – საერთაშორისო ხელშეკრულების ნოვაცია

-O-

Occupation – ოკუპაცია

Ombudsman – ომბუდსმენი

Optation – ოპტაცია

Optional Protocols to the International Covenant on Civil and Political Rights – ფაკულტატიური ოქმები საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ

Organisation of American States – ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია

Organisation for Security and Cooperation in Europe – ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

OSCE – ეუთო

-P-

- Pact** – პაქტი
- Partisans** – პარტიზანები
- Patients rights** – პაციენტის უფლებები
- Persona non grata** – პერსონა ნონ გრატა
- Personal rights** – პირადი უფლებები
- Pluralism** – პლურალიზმი
- Political Rights and Freedoms** – პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები
- Presumption of innocence** – უდანაშაულობის პრეზუმფცია
- Pre-trial detention** – წინასწარი პატიმრობა
- Prisoner of war** – სამხედრო ტყვე
- Private International law** – საერთაშორისო კერძო სამართალი
- Prohibited means of warfare** – ომის წარმოების აკრძალული საშუალებები
- Prohibited methods of warfare** – ომის წარმოების აკრძალული მეთოდები
- Promotion and Protection of human rights** – ადამიანის უფლებათა წახალ-
ისება და დაცვა
- Protected persons** – მფარველობაში მყოფი პირები
- Protocol** – ოქმი
- Public emergency** – საგანგებო მდგომარეობა
- Public Defender of Georgia** – საქართველოს სახალხო დამცველი

-R-

- Race** – რასა
- Racial Discrimination** – რასობრივი დისკრიმინაცია
- Racism** – რასიზმი
- Red Cross and Red Crescent Federation** – წითელი ჯვრისა და წითელი
ნახევარმთვარის ფედერაცია
- Red Cross and Red Crescent National Societies** – წითელი ჯვრისა და
წითელი ნახევარმთვარის ეროვნული საზოგადოებები
- Referendum** – რეფერენდუმი
- Refugees and Internally Displaced Persons** – ლტოლვილები და ქვეყნის შიგ-
ნით გადაადგილებული პირები
- Regional International Law** – ლოკალური საერთაშორისო სამართალი

- Regional international organization** – რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია
- Reintegration of citizenship** – რეინტეგრაცია მოქალაქეობისა
- Religious intolerance** – რელიგიური შეუწყნარებლობა
- Religious minority** – რელიგიური უმცირესობა
- Reparation** – რეპარაცია
- Repatriation** – რეპატრიაცია
- Reservation** – რეზერვაცია
- Respect for Human Rights** – ადამიანის უფლებათა პატივისცემა
- Right of peoples to equality and self-determination** – ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის უფლება
- Right to asylum** – თავშესაფრის უფლება
- Right to development** – განვითარების უფლება
- Right to education** – განათლების უფლება
- Right to election** – საარჩევნო უფლებები
- Right to Healthcare** – ჯანმრთელობის დაცვის უფლება
- Right to self-determination** – თვითგამორკვევის უფლება
- Rights of the child** – ბავშვთა უფლებები
- Rights of women** – ქალთა უფლებები
- Rule of Law** – კანონის უზენაესობა

-S-

- Sanctions and Countermeasures** – სანქციები და კონტრზომები
- Segregation** – სეგრეგაცია
- Self-executing and non-self-executing norms of international treaties** – საერთაშორისო ხელშეკრულების „თვითშესრულებადი“ და „არათვითშესრულებადი“ ნორმები
- Separatism** – სეპარატიზმი
- Slavery and trade in slaves** – მონობა და მონებით ვაჭრობა
- Social, Economic and Cultural Rights** – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები
- Soft law** – რბილი სამართალი
- Sources of international Law** – წყაროები საერთაშორისო სამართლისა
- Sources of private international law** – საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები
- Sovereign equality of states** – სუვერენული თანასწორობა სახელმწიფოთა

Sovereign State – სუვერენული სახელმწიფო

Sovereignty – სუვერენიტეტი

Spy – ჯაშუში

Specialised international organization – სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია

Stateless person – მოქალაქეობის არმქონე პირი

Statute – სტატუტი

Subjects of international law – სუბიექტები საერთაშორისო სამართლისა

Subjects of private international law – საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტები

Summary, Illegal execution – სიკვდილით უკანონო დასჯა

Suspension of international treaty – საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება

-T-

Technical cooperation – ტექნიკური თანამშრომლობა

Term of international treaty – საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების ვადა

Tokyo Trial – ტოკიოს პროცესი

Tolerance – შემწყნარებლობა, ტოლერანტობა

Torture – წამება

Totalitarianism – ტოტალიტარიზმი

Trafficking – ტრეფიკინგი

Trafficking in women and children – ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობა

Treaties for avoiding double taxation – ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულება

Treaty – ხელშეკრულება

Treaty based mechanisms for the protection of human rights – ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმები

Trial in absentia – დაუსწრებლად გასამართლება

Tribalism – ტრაიბალიზმი

-U-

UN Aims – გაეროს ამოცანები

UN Bodies for the Protection of Human Rights – გაეროს ორგანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

UN Charter – გაეროს წესდება

UN Commission on Human Rights – გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია

- UN Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power** – გაეროს 1985 წლის დეკლარაცია დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ
- UN Economic and Social Council** – გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო
- UN General Assembly** – გაეროს გენერალური ასამბლეა
- UN High Commissioner for Human Rights** – გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი
- UN High Commissioner for Refugees** – გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
- UN International Court of Justice** – გაეროს საერთაშორისო სასამართლო
- UN Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice – Beijing Rules** – გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“)
- UN Office of High Commissioner for Refugees** – გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარის სამსახური
- UN Purposes and Principles** – გაეროს მიზნები და პრინციპები
- UN Secretariat** – გაეროს სამდივნო
- UN Secretary General** – გაეროს გენერალური მდივანი
- UN Security Council** – გაეროს უშიშროების საბჭო
- UN Special Agencies** – გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები
- UN Subcommission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities** – გაეროს დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისია
- UN Subcommission on Promotion and Protection of Human Rights** – გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია
- UNESCO** – იუნესკო
- UNESCO and Georgia** – იუნესკო და საქართველო
- UNESCO Declaration on Human Genome and Human Rights** – იუნესკოს 1997 წლის საყოველთაო დეკლარაცია ადამიანის გენომისა და ადამიანის უფლებათა შესახებ
- United Nations** – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
- Universal Declaration of Human Rights** – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- Unlawful radio broadcasting** – უკანონო რადიომაუწყებლობა
- Unlawful, illegal immigrant** – უკანონო იმიგრანტი

-V-

Venice commission – ვენეციის კომისია

Victims of war – ომის მსხვერპლნი

Vienna world Conference on Human Rights – ვენის მსოფლიო კონფერენცია
ადამიანის უფლებათა თაობაზე

Vienna Declaration and Program of action – ვენის დეკლარაცია და მოქმედების პროგრამა

Visa-free entry – უვიზო შესვლა

Volunteer – მოხალისე

-W-

War crimes – ომის დანაშაულობანი

War criminals – ომის დამნაშავეები

WHO – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

WIPO – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

World Labour Organisation – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

-X-

Xenophobia – ქსენოფობია

ავტორთა შესახებ

ლევან ალექსიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მართული ევროპული კომისიის წევრი.

ლევან გიორგაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი დეკანის მოადგილე.

კონსტანტინე კორკელია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი); საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (წარჩინებით), (ლეიფენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოცენტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის საერთაშორისო და ევროპული სამართლის განყოფილების უფროსი.

მარინა კვაჭაძე – იურიდიულ მეცნიერთა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მსოფლიო სამართლებრივი სისტემების კათედრის გამგე.

ირინე ქურდაძე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სამოსამართლო სწავლების ცენტრის ლექტორი

ტექნიკური რედაქტორი რ. ჭილაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ლალი კურდღელაშვილი